

სახელმჯიკრულო სამართალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2020, №6

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2020, №6

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2020, №6

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2020, №6

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ბიორბი ჭყონიკა

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 299 04 18;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საქიჯბელი

1. **იჯარა**
იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა 4
2. **ნარდობა**
საზღაურის გადახდა შესრულებული სამუშაოსთვის 52; 65
3. **გადაზიდვა-გადაყვანა**
გადამზიდველის პასუხისმგებლობა 92
4. **დავალბის ხელშეკრულება**
საადვოკატო მომსახურების ღირებულების ანაზღაურება 101
5. **დაზღვევა**
სადაზღვევო შემთხვევის დადგომის
შეტყობინების ვალდებულება 112
არასათანადო მოსარჩელე 136
6. **ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა)**
შემოსავლების განაწილებისა და
ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის წესი 143

1. იჯარა

იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-503-471-2017

22 დეკემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ე. გასიჩაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: გარიგების ბათილად ცნობა და ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „თ-ა“-ს (მეიჯარე, მოსარჩელე, საწარმო, საზოგადოება ან პირველი კასატორი) და ინდემნარმე (ი/მ) ს. ყ-ს (მოიჯარე, მოპასუხე, აპელანტი ან მეორე კასატორი) შორის, 2011 წლის 1 ივლისს, განუსაზღვრელი ვადით, გაფორმდა № 30 საიჯარო ხელშეკრულება უძრავ ქონებაზე მდებარე ქ. თბილისში, ... იჯარის საგანს წარმოადგენდა უძრავი ქონება, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა ნაგებობები, მდებარე დასახელებულ მისამართზე, უძრავი ქონების სარეგისტრაციო №..., ფართობი (დაზუსტებული) 64 598.00 კვმ.

2. ხელშეკრულების 3.1 მუხლის თანახმად, იჯარით სრულიად უზრუნველყოფილია „მოიჯარის“ მოთხოვნა გამოიყენოს საიჯარო ქონება (მიწის ჩათვლით) ეკონომიკური საქმიანობისათვის, აგრეთვე მესაკუთრესთან შეთანხმებით, დააგირაოს და იპოთეკით დატვირთოს ქონება შენობა-ნაგებობით (მიწის ჩათვლით), არა უმეტეს 450 000 (ოთხას ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარისა;

3. ხელშეკრულების 4.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოიჯარის ერთ-ერთ ვალდებულებას წარმოადგენდა მის მიერ იჯარით აღებული ქონების (მიწის ჩათვლით) დაგირავებისა და იპოთეკით დატვირთვის შემთხვევაში, მესაკუთრისათვის (მეიჯარისათვის) დროულად წერილობით, ყოველწლიურად (ან მხარეთა შორის შეთანხმებული სხვადასხვა პერიოდულობით) მიენოებინა ინფორმაცია მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

4. ხელშეკრულების მე-4 მუხლი განსაზღვრავს მოიჯარის ვალ-

დებულებებს, რომლის „გ“ ქვეპუნქტით მხარეები შეთანხმდნენ, რომ მეიჯარის მოთხოვნიდან 45 კალენდარული დღის ვადაში, მოიჯარე მესაკუთრეს დაუბრუნებდა საიჯარო ქონებას (მინის ჩათვლით), ყოველგვარი ყადაღისა და იპოთეკის გარეშე; ზემოხსენებული მუხლის „დ“ ქვეპუნქტით კი განისაზღვრა, რომ იჯარით აღებული ქონების (მინის ჩათვლით) დაზიანების ან ფინანსური პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში, მოიჯარეს ეკისრებოდა ვალდებულება, პასუხი ეგო თავისი ქონებით, მატერიალური აქტივებითა და საბრუნავი საშუალებებით; ამ შემთხვევაში მოიჯარეს მესაკუთრისათვის ქონება (მინის ჩათვლით) უნდა დაებრუნებინა, ან 45 კალენდარული დღის განმავლობაში გადაეხადა მისი სარეალიზაციო ფასი – 1 კვ.მ.-ში 80 აშშ დოლარის ოდენობით (იხ. იჯარის ხელშეკრულების მე-4 მუხლი).

5. ხელშეკრულების მე-6 მუხლი განსაზღვრავს ხელშეკრულების მოქმედებისა და მისი ვადამდე შეწყვეტის წესს, კერძოდ, მისი მე-2 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა ან გაუქმება დასაშვებია:

ა) მხარეთა ურთერთშეთანხმებით; ბ) 4.2. მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას (იხ. საიჯარო ხელშეკრულება).

6. ხელშეკრულების მე-9 მუხლით განსაზღვრულია საიჯარო ქირის – 1 500 (ათას ხუთასი) ლარის ყოველთვიურად გადახდა (დღგის ჩათვლით); ასევე, გათვალისწინებულია ანგარიშსწორება როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ფორმით და საიჯარო ქირის გადახდის დაგვიანებისათვის პირგასამტეხლო – 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7. მეიჯარესა და სს „ბ. ქ-უს“ შორის, 2012 წლის 19 დეკემბერს, დაიდო იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე უძრავი ქონების მესაკუთრემ იჯარის საგნით უზრუნველყო ბანკსა და მოიჯარეს შორის 2007 წლის 21 მაისს, გაფორმებული გენერალური ხელშეკრულების და მის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება.

7.1. იპოთეკის საგანს წარმოადგენდა მეიჯარის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (იხ. წინამდებარე განჩინების პირველი პუნქტი). მხარეთა შეთანხმებით იპოთეკის საგნის ღირებულება განისაზღვრა 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) აშშ დოლარით (იხ. 2012 წლის 19 დეკემბრის იპოთეკის ხელშეკრულება).

8. დადგენილია, რომ 2013 წლის 15 იანვარს შედგა მეიჯარე საწარმოს პარტნიორთა საერთო კრება, რომლის ოქმი წარდგენილია საქმის მასალებში;

8.1. კრებას ესწრებოდა საზოგადოების 100%-იანი წილის მფლო-

ბელი – ი. ე-ი;

8.2. დასახელებული კრების დღის წესრიგში შედიოდა ორი საკითხი:

1) ანგარიში საზოგადოების 2012 წლის საქმიანობის შესახებ;

2) საზოგადოებასა და წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში დასახელებულ ინდემნარმეს შორის, 01.07.2011 წელს დადებული №30 საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9. საზოგადოების კრების ოქმში მის პირველ საკითხთან დაკავშირებით, საწარმოს იმჟამინდელი დირექტორი – მ. კ-ი (შემდეგში: მოპასუხე) საზოგადოების 2012 წლის საქმიანობის და მისი შედეგების შესახებ აღნიშნავს, რომ საზოგადოებას მძიმე ფინანსური მდგომარეობა აქვს, მას დაუგროვდა დიდი ოდენობის ვალები, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის, ასევე – იურიდიული და ფიზიკური პირების მიმართ; აქედან გამომდინარე, დირექტორმა დააყენა საკითხი საწარმოს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი), რაც მოიცავს 64 598.00 კვ.მ. მიწის კომერციულ ფართსა და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობების მთლიან კომპლექსს, სასწრაფო რეალიზაციის შესახებ;

9.1. კრების ოქმში მითითებულია, რომ დასახელებული უძრავი ქონება, რომელიც 2011 წლის 1 ივლისის საიჯარო ხელშეკრულების საგანია, იპოთეკით არის დატვირთული კომერციულ ბანკში ინდემნარმის (მოიჯარის) ვალდებულების უზრუნველსაყოფად (იხ. წინამდებარე განჩინების მე-7 პუნქტი);

9.2. საწარმოს დირექტორმა კრებას სთხოვა, მიეღო გადაწყვეტილება ზემოხსენებული საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტისა და იპოთეკის გაუქმების თაობაზე, ხოლო ამის შემდეგ კი, მისცემოდა უფლება, სასწრაფოდ გაესხვისებინა ქონება (მითითებულია, რომ იმ დროსათვის, მთლიანი კომპლექსის გასხვისების შემთხვევაში მისაღები ფასი იყო 1 კვ.მ.-ზე 30 აშშ დოლარი);

9.3. კრების ოქმის თანახმად, საზოგადოების 100%-იანი წილის მფლობელი ი. ე-ი (შემდეგში: წილის გამსხვისებელი, მოსარჩელე ან პირველი კასატორი მეიჯარე საზოგადოებასთან ერთად) დაეთანხმა დირექტორს – მ. კ-ს და მისცა უფლება, დროულად მოენესრიგებინა ურთიერთობა მოიჯარესთან და დროის მოკლე მონაკვეთში აღესრულებინა ზემოხსენებული საკითხის გადაწყვეტა ყოველგვარი იურიდიული ნორმებისა და ხელშეკრულების (მისი ყველა პუნქტის) დაცვით;

9.4. კრების ოქმი ხელმოწერილია საზოგადოების 100%-იანი წილის მფლობელის მიერ (იხ. ამ განჩინების 9.3 ქვეპუნქტი).

10. მეიჯარე საწარმოს დირექტორსა (იხ. ამ განჩინების მე-9 პუნქტი) და მოიჯარე ინდემნარმეს შორის, 2013 წლის 11 აპრილს, ნე-

რილობით გაფორმდა გარიგება, რომლის მიხედვით, მხარეები შეთანხმდნენ „ბათილად ჩაითვალოს 2011 წლის 1 ივლისს გაფორმებული №30 საიჯარო ხელშეკრულება, 2013 წლის 1 აპრილიდან“ (იხ. 11.04.2013წ. შეთანხმება);

11. სანარმოს 100%-იანი წილის მფლობელმა კუთვნილი მთლიანი წილი საზოგადოებაში, 2014 წლის 17 ოქტომბერს, კ. ნ-აზე (წილის მიმღები) გაასხვისა 1 000 000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარად;

11.1. ხელშეკრულების მიხედვით, წილის შემძენისათვის ცნობილია წილზე არსებული ყველა ვალდებულება. იმავე დღეს – 2014 წლის 17 ოქტომბერს, წილის უფლების დათმობის შესახებ ხელშეკრულების მე-5 მუხლში შევიდა ცვლილება, კერძოდ: წილის გამსხვისებელმა ივალდებულა, გაათავისუფლოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 16 ოქტომბრის №... განჩინებით დაყადაღებული წილი მეიჯარე სანარმოში და სანარმოს კუთვნილი უძრავი ქონება (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი), ასევე – გაათავისუფლოს სს „ბ. ქ-უს“ სასარგებლოდ 2012 წლის 19 დეკემბრის ხელშეკრულების (რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს მიერ) საფუძველზე იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება (იხ. წინამდებარე განჩინების 7-7.1 პუნქტები);

11.2. საზოგადოების 100%-იანი წილის გამსხვისებელმა ზემოხსენებული ვალდებულების შესრულება იკისრა 2014 წლის 17 ოქტომბრიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, წილის გამსხვისებელმა ივალდებულა, წილის შემძენისათვის 2 100 000 (ორი მილიონ ასი ათასი) აშშ დოლარი (შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში) გადაეხადა ვალდებულების შეუსრულებლობიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში (იხ. ხელშეკრულებები შპს-ში წილის უფლების დათმობის შესახებ, საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორის გადანყვეტილებები).

12. მოიჯარესა (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი) და ვ. ქ-ს (შემდგომი: მოიჯარის დედა და მასთან ერთად მოპასუხე, მეორე კასატორი) შორის, 2014 წლის 24 ოქტომბერს, უძრავ ქონებაზე მდებარე – ქ. თბილისში, ..., გაფორმდა ჩუქების ხელშეკრულება; ასევე დაიდო, ქ. თბილისში, ... ავტოსადგომის ჩუქების ხელშეკრულება. დასახელებული უძრავი ქონება რეგისტრირებულია მოიჯარის დედის სახელზე (იხ. ჩუქების ხელშეკრულებები, ამონაწერი საჯარო რეგისტრიდან).

13. მოიჯარემ, 2014 წლის 21 ოქტომბერს, შპს „ს. ე-სი“ მისი კუთვნილი 24%-იანი წილი (ღირებულებით 234 040 ლარი) აჩუქა თავის

ძმას ნ. ყ-ს (შემდეგში: მოიჯარის ძმა და მასთან ერთად მოპასუხე, მეორე კასატორი; იხ. სამენარმეო საზოგადოების კაპიტალში წილის ჩუქების ხელშეკრულება, ამონაწერები საჯარო რეესტრიდან, ამონაწერები სამენარმეო რეესტრიდან).

14. სარჩელის საფუძვლები

14.1. მეიჯარე საზოგადოებამ სარჩელი აღძრა, ხოლო დაზუსტებული სარჩელით სანარმოსთან ერთად, მისი წილის 100%-იანმა გამსხვიებელმა (სანარმოს დამფუძნებელმა და 100%-იანი წილის მფლობელმა – იხ. 9.3 ქვეპუნქტი) სასარჩელო მოთხოვნა წაუყენეს მოპასუხებს: მოიჯარეს, მისი ოჯახის წევრებს – დედასა და ძმის, ასევე, მეიჯარე სანარმოს ყოფილ დირექტორს (იხ. მე-9 პუნქტი) და მოითხოვეს:

14.1.1. ინდემნარმესა (მოიჯარესა) და მეიჯარე სანარმოს შორის 2013 წლის 11 აპრილის შეთანხმების, 2011 წლის 1 ივლისის №30 იჯარის ხელშეკრულების გაბათილების შესახებ, ბათილად ცნობა (ამ გარიგებას ხელს აწერენ მოიჯარე და მეიჯარე სანარმოს ყოფილი დირექტორი, რომელიც გარიგების დადების დროისათვის სანარმოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი იყო);

14.1.2. მოპასუხეებს (მოიჯარეს და მისი ოჯახის წევრებს – დედასა და ძმას) დაეკისროთ ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება 1 500 000 აშშ დოლარის ოდენობით მოსარჩელის სასარგებლოდ;

14.1.3. ინდემნარმესა (მოიჯარესა) და დედამისს შორის გაფორმებული 2014 წლის 24 ოქტომბრის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა (იხ. მე-12 პუნქტი);

14.1.4. ინდემნარმესა (მოიჯარესა) და მის ძმას შორის 2014 წლის 21 ოქტომბრის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა (იხ. მე-13 პუნქტი).

14.2. მოსარჩელემ წინამდებარე განჩინების 1-13 პუნქტებში ასახულ გარემოებებზე მიუთითა და განმარტა, რომ არაერთხელ მოითხოვა მოიჯარისაგან, შეესრულებინა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება უძრავი ქონების იპოთეკისაგან გათავისუფლების შესახებ, თუმცა, მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონება კვლავ იპოთეკით დატვირთული რჩება;

14.3. მოსარჩელე მხარეს, ცუდი ფინანსური მდგომარეობის გამო, სურდა ქონების გაყიდვა, თუმცა იმის გამო, რომ ქონება იპოთეკით იყო დატვირთული საზოგადოების დამფუძნებელი (100%-იანი წილის მფლობელი) იძულებული გახდა, მეხუთედ ფასად გაეყიდა სანარმოს მთლიანი წილი კ. წ-აზე და ვალდებულია, ამ უკანასკნელს 1 500 000 აშშ დოლარი გადაუხადოს ქონებაზე რიცხული

სანივთო შეზღუდვის – იპოთეკის გამო. ხელშეკრულების რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში ვერ ხერხდება მოიჯარის სარჩელის გამო საზოგადოების (მეიჯარის) წინააღმდეგ, რადგან ამ უკანასკნელის ქონებას სასამართლო განჩინებით დადებული აქვს აკრძალვა ქონების გასხვისებასა და იპოთეკით დატვირთვაზე. ვალდებულების შესრულებაზე მოიჯარის უარის გამო მოსარჩელეს ადგება ზიანი 1 500 000 აშშ დოლარის ოდენობით. ამასთან ერთად, ინდემნარემ (მოიჯარემ) მოჩვენებითი გარიგებების დადების გზით მოახდინა მისი კუთვნილი ქონების – საცხოვრებელი სახლისა (ს/კ №...) და ორი ავტოსადგომის (ს/კ №..., ს/კ №...), მდებარე ქ. თბილისში, ..., გასხვისება დედაზე – ვ. ქ-ზე, ასევე ქონების ნაწილი გაასხვისა ძმაზე – ნ. ყ-ზე. მოსარჩელის მტკიცებით, მოიჯარის მიერ შემოსხენებული უძრავი ქონების გაჩუქება არ ემსახურება გარიგების ნამდვილობის პირობას, კანონსაწინააღმდეგოა, კრედიტორების მიმართ არსებული ვალდებულებების შესრულებისაგან თავის არიდებას ისახავს მიზნად და ბათილია;

14.4. მოიჯარესა და მეიჯარე საზოგადოების დირექტორს მ. კ.-ს შორის, 2013 წლის 11 აპრილს გაფორმებული შეთანხმება 2011 წლის 1 ივლისის №30 საიჯარო ხელშეკრულების ბათილობის შესახებ უნდა გაუქმდეს, რამდენადაც საწარმოს 100%-იანი წილის მფლობელისათვის ეს შეთანხმება არ იყო ცნობილი და მასზე თანხმობა არ მიუცია. 01.07.2011 წლის საიჯარო ხელშეკრულება, თავისი შინაარსით, მოსარჩელის (იგივე მეიჯარე საწარმოს) კუთვნილი უძრავი ქონების ფლობისა და განკარგვის წესებს ეხება და მისი ბათილად ცნობა, მხოლოდ საზოგადოების პარტნიორთა კრების მოწვევით იყო შესაძლებელი. საწარმოს წესდების 5.7 მუხლით მხოლოდ დამფუძნებელს აქვს უძრავი ქონების შეძენის, გასხვისებისა და სხვა უფლებები.

15. მოპასუხეთა შესაგებელი

15.1. მოპასუხებმა – მოიჯარემ და მისი ოჯახის წევრებმა (დედა და ძმამ) არ ცნეს მათ წინააღმდეგ აღძრული სარჩელი და წერილობით წარდგენილ შესაგებელში მიუთითეს, რომ 2013 წლის 11 აპრილის შეთანხმებით 2011 წლის 1 ივლისის საიჯარო ხელშეკრულება ბათილად იქნა გამოცხადებული და ამ შეთანხმებას სასარჩელო მოთხოვნასთან კავშირი არა აქვს. მოსარჩელეს არ აქვს წარდგენილი იმის მტკიცებულება, რომ მართლაც ითხოვდა უძრავი ქონების იპოთეკისაგან გათავისუფლებას, 2011 წლის 1 ივლისის ხელშეკრულება კი ბათილად არის გამოცხადებული შემოსხენებული შეთანხმების საფუძველზე. მოპასუხეთა მტკიცებით, ნასყიდობის შესახებ ორ კერძო პირს შორის დადებული ხელშეკრულებას დავის საგანთან არ აქვს კავშირი; გაუგებარია, თუ ვინ მიაყენა საზო-

გადოებას ზიანი, ან რით დასტურდება ზიანის მიყენების ფაქტი;

15.2. მოპასუხეები უთითებენ, რომ საწარმოში მთელი წლის იძულებით გაყიდვის შესახებ რაიმე მტკიცებულება მოსარჩელეს არ წარუდგენია. ერთი მხრივ, მოპასუხეებს არ ეხებათ ორ ფიზიკურ პირს შორის ურთიერთვალდებულებები და, მეორე მხრივ, არ დასტურდება, რომ მოსარჩელე მხარისათვის მიყენებული ზიანის თანხა არის 2 100 000 აშშ დოლარი;

15.3. მეიჯარე საზოგადოების დირექტორსა და მოიჯარეს (ინდემნარმეს) შორის 2013 წლის 11 აპრილის შეთანხმებაზე 2011 წლის 1 ივლისის საიჯარო ხელშეკრულების გაუქმების შესახებ, მოსარჩელემ შეიტყო 2014 წლის 19 ნოემბრის შესაგებლიდან. დაზუსტებული სარჩელი წარდგენილია 2015 წლის აპრილში, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა ამ ნაწილში ხანდაზმულია. მხარეთა შორის ურთიერთობა ფაქტობრივად დასრულებულია (იხ. შესაგებელი დაზუსტებულ სარჩელზე);

15.4. საწარმოს ყოფილმა დირექტორმა (მოპასუხემ – იხ. მე-9 პუნქტი) შესაგებელი არ წარადგინა. მან სასამართლოს სხდომაზე განმარტა, რომ ძმებ ყ-ებს არაერთხელ სთხოვა იპოთეკით დატვირთული ქონების გათავისუფლება. საზოგადოების დირექტორმა დაადასტურა, რომ 2013 წლის 11 აპრილის შეთანხმებაზე ხელმოწერა მას ეკუთვნის. მისივე განმარტებით, არსებული იჯარის ხელშეკრულება უნდა გაუქმებულიყო და მხარეებს შორის უნდა შემდგარიყო ახალი ხელშეკრულება (იხ. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება).

16. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

16.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებით მეიჯარე საწარმოს სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 408-ე, 992-ე, 394-ე, 50-ე, 319-ე, 327-ე, 292-ე და 56-ე მუხლებით;

16.1.1. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 7 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც ყადაღა დაედო შპს „ს. ე-სი“ (ს/კ ...) მოიჯარის ძმის 24%-იან წილს; გაუქმდა ამავე სასამართლოს 2014 წლის 5 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც მოიჯარის დედას აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა; ასევე, გაუქმდა მოიჯარის (ინდემნარმის) კუთვნილ მოძრავ ქონებაზე, კერძოდ, კუთხოვანას დამამზადებელ დანადგარზე 1 ცალი;

რულონური ლითონის დამხვევ- გადამხვევზე 1ც; ნანარმის დასამუშავებელ ჩარხზე 1ც; ფურცლოვანი ლითონის დამამუშავებელ ხაზზე 1ც; ლითონის საჭრელ დანადგარზე 1ც; ლითონის მაპროფილებელ დანადგარზე 1ც; ლითონის ხვიის პარალელური ქრის დანადგარზე 1ც. გამოყენებული ყადაღა.

16.2. საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა თავისი მოთხოვნების დასაბუთებულობა.

16.3. მოსარჩელე მოითხოვდა 2013 წლის 11 აპრილს, მეიჯარე საზოგადოების დირექტორსა და ინდემნარმეს (მოიჯარეს) შორის გაფორმებული შეთანხმების ბათილად ცნობას, რომლითაც გაუქმდა 2011 წლის 1 ივლისს გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულება №30, 2013 წლის 11 აპრილიდან (იხ. ნინამდებარე განჩინების მე-10 პუნქტი).

16.4. სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად მოსარჩელე მიუთითებს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ საზოგადოების დირექტორი არ იყო უფლებამოსილი, მიეღო ასეთი გადაწყვეტილება. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ხელმძღვანელობის უფლება აქვთ: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში – ყველა პარტნიორს, კომანდიტურ საზოგადოებაში – სრულ პარტნიორებს (კომპლემენტარებს), კომპლემენტარი იურიდიული პირის შემთხვევაში – მის მიერ დანიშნულ ფიზიკურ პირს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში – დირექტორებს, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამავე მუხლის მე-2 პუნქტით ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს, უფლებამოსილების ფარგლებში, საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს საწარმოს სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც, თუ პარტნიორთა შეთანხმებით (წესდებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16.5. სასამართლომ იმსჯელა საქმეში წარდგენილ საწარმოს წესდებაზე, რომლის მიხედვით, საზოგადოების მართვის ორგანოები დამფუძნებელ პარტნიორთა კრება და საზოგადოების დირექტორი. წესდების 5.7 პუნქტით საზოგადოების სახელით უძრავი ქონების შეძენის, გასხვისების და იპოთეკით დატვირთვის უფლებით სარგებლობენ დამფუძნებელი პარტნიორები. წესდების მე-8 მუხლის მიხედვით, მესამე პირებთან ურთიერთობაში საზოგადოებას წარმოადგენს დირექტორი, რომელიც მოქმედებს ერთპიროვნუ-

ლად და მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში არ არის შეზღუდული.

16.6. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალების მიხედვით დადგენილია, 2013 წლის 15 იანვარს შედგა საზოგადოების საერთო კრების ოქმი. კრებას ესწრებოდა 100%-იანი წილის მფლობელი-პარტნიორი ი.ე. კრებაზე განხილულ იქნა ანგარიში საზოგადოების 2012 წლის საქმიანობის შესახებ და მეიჯარე საზოგადოებასა და მოიჯარეს შორის 01.07.2011 წელს დადებული №30 საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი. საზოგადოების საერთო კრების ოქმის მიხედვით, დღის წესრიგის მე-2 საკითხს დაეთანხმა საზოგადოების 100%-იანი წილის მფლობელი და საწარმოს დირექტორს მისცა უფლება, დროულად მოენსრიგებინა მოიჯარესთან ურთიერთობა, დროის მოკლე მონაკვეთში აღესრულებინა ზემოხსენებული საკითხი. ოქმს ხელს აწერს საწარმოს 100%-იანი წილის მფლობელი, კრების ოქმი გასაჩივრებული და გაუქმებული არ არის;

16.6.1. სასამართლომ დაასკვნა, რომ აღნიშნული კრების ოქმით დადასტურებულია, რომ არსებობდა მეიჯარე საზოგადოების 100%-იანი წილის მფლობელისა და პარტნიორის თანხმობა საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. ის გარემოება, რომ ასეთი თანხმობა არსებობდა, დასტურდება სასამართლო სხდომაზე საზოგადოების დირექტორის მ. კ-ის განმარტებებითაც (იხ. სხდომის ოქმი), ეს უკანასკნელი ადასტურებს შეთანხმებაზე მის ხელმოწერას და ამ ნების არსებობას.

16.7. განსახილველი დავის საგნის, სასარჩელო მოთხოვნისა და მის საფუძვლად მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე, საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სსკ 408-ე მუხლით დადგენილი ის კონკრეტული მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი – ზიანის ანაზღაურება, რომლის დადგომაც სურს სარჩელით მოსარჩელეს.

16.7.1. სამოქალაქო სამართალში ზიანის ანაზღაურება ნიშნავს პირის მიმართ წარმოშობილი ზიანის კომპენსაციას სხვა პირის მიერ. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება შესაძლოა გამომდინარეობდეს ხელშეკრულებიდან, სხვა შემთხვევაში – სამართლებრივი მოწესრიგებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების და, მეორე მხრივ, დელიქტური ვალდებულების შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება, რაც ათავალისწინებულია სსკ-ის 992-ე მუხლით. კანონით განსაზღვრული ყოველი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წინაპირობა არის, რომ იგი გამოწვეულია მავალდებულებელი გარემოების შედეგად. ზიანის ანაზღაურების მავალდე-

ბულებელ გარემოებასა და ზიანს შორის, ესე იგი, არსებულ მდგომარეობასა და იმ მდგომარეობას შორის, რომელიც იარსებებდა, რომ არ განხორციელებულიყო ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება, უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი პირობა მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან და ამ შედეგისათვის თანაბარმნიშვნელოვანს წარმოადგენს. თუ დადგინდება, რომ ამ პირობის გარეშე შედეგი ამ კონკრეტული ფორმით არ დადგებოდა. ამდენად, სამოქალაქო კანონმდებლობის თანახმად, ზიანის ანაზღაურების შესახებ პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ კანონით გათვალისწინებული პირობების ერთობლივად არსებობისას, კერძოდ: დადასტურებული უნდა იყოს ზიანის ფაქტი; ზიანი მიყენებული უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით; მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს უნდა მიუძღოდეს ბრალი ზიანის დადგომაში. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის დადგომისათვის კი აუცილებელია პასუხისმგებელი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობა. თუ ასეთი ქმედება არ არსებობს, ცხადია, ბრალზე საუბარი შინაარსს მოკლებულია;

16.7.2. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გარემოებები, რომლებიც უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. მითითებულ ნორმათა დეფინიციის შესაბამისად, ფაქტობრივი გარემოების მტკიცების ვალდებულება აკისრია მხარეს, რომელიც თავის სამართლებრივ მოთხოვნას აფუძნებს აღნიშნულ გარემოებას და შესაბამისად, იგი უთითებს მასზე.

16.7.3. სსსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც გამოაქვს დასკვნა საქმი-

სათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

16.8. განსახილველ შემთხვევაში, მითითებული სადავო ფაქტობრივი გარემოების დადგენისას, სასამართლომ მხედველობაში მიიღო როგორც საქმეში წარდგენილი წერილობითი მტკიცებულებები, ისე – მხარეთა ახსნა-განმარტებები და დაასკვნა, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა გარემოებები, რომელზედაც ამყარებდა სასარჩელო მოთხოვნას.

16.8.1. დავის საგანს წარმოადგენს მეიჯარე საზოგადოებასა და მოიჯარეს შორის, 2011 წლის 1 ივლისის საიჯარო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების საკითხი. სსკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის. განსახილველ შემთხვევაში დადგინდა წინამდებარე განჩინების 1-6 პუნქტებში მითითებული გარემოებები.

16.8.2. განსახილველი სარჩელით, თავდაპირველად მოსარჩელე მოითხოვდა ზიანის ანაზღაურებას – 2 100 000 აშშ დოლარის ოდენობით, შემდეგ მან დააზუსტა თანხის ოდენობა და მოითხოვა მოპასუხეთათვის 1 500 000 აშშ დოლარის დაკისრება. როგორც მოსარჩელემ მიუთითა, თანხის ოდენობა განსაზღვრულია სს „ბ. ქუს“ 2014 წლის 28 ოქტომბრის წერილის შესაბამისად, რომლითაც მოსარჩელეს განემარტა მოიჯარის საკრედიტო ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად არსებული იპოთეკის გაუქმების საფუძველი.

16.8.3. საქალაქო სასამართლომ იმსჯელა მხარეთა შორის ხელმოწერილი იჯარის ხელშეკრულების მე-4 მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებზე (იხ. წინამდებარე განჩინების მე-4 პუნქტი) და ყურადღება გაამახვილა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა ქონების იპოთეკისაგან გათავისუფლების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა. ამ მოთხოვნის დასადასტურებლად საქმეში წარდგენილია მეიჯარე სანარმოს იმჟამინდელი დირექტორის 2013 წლის 16 იანვრის წერილი მოიჯარისადმი, რომლითაც საზოგადოება გამოთქვამს 01.07.2011 წლის №30 საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს. ამასთან, მოითხოვს ხელშეკრულების მე-4 მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, იჯარით გადაცემული ქონების ვალდებულებებისაგან გათავისუფლებას (იხ. სანარმოს 16.01.2013წ. წერილი).

16.8.4. საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ სსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სამართალწარმოება მიმ-

დინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

16.9. მოპასუხემ სადავო გახადა ზემოაღნიშნული წერილი, უარყო ამ წერილზე მოპასუხის (მოიჯარის) ხელმოწერის არსებობა. მიუთითა, რომ საქმეში წარდგენილი არ იყო ამ მტკიცებულების დედანი, ამასთან, სარჩელში ამ ფაქტობრივ გარემოებაზე მითითებული არ არის.

16.9.1. საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მტკიცება, რომ აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებაზე სარჩელში არ იყო მითითებული, რამდენადაც სარჩელში მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მან არაერთხელ მოითხოვა ქონების იპოთეკისაგან გათავისუფლება, რის დასადასტურებლადაც მითითებული წერილი სარჩელს ერთვის.

16.9.2. სასამართლომ სსსკ-ის 135-ე მუხლზე მიუთითა, რომლის შესაბამისად, წერილობითი მტკიცებულება, როგორც წესი, წარდგენილ უნდა იქნეს დედნის სახით. თუ წარდგენილია საბუთის ასლი, სასამართლოს, მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია მოითხოვოს დედნის წარდგენა. პირი შეიძლება გათავისუფლდეს დედნის წარდგენისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცებს, რომ ასეთი საბუთის წარდგენა გარკვეული მიზეზით, რომელსაც სასამართლო საფუძველიანად მიიჩნევს, შეუძლებელია. საბუთის ასლისათვის მტკიცებულებითი მნიშვნელობის მინიჭება დამოკიდებულია სასამართლოს შეხედულებაზე.

16.9.3. საქალაქო სასამართლომ ზემოხსენებული წერილი არ შეაფასა მეიჯარის მოთხოვნად მოიჯარისადმი, რათა ამ უკანასკნელს ქონება გაეთავისუფლებინა, ვინაიდან სსსკ-ის 135-ე მუხლის შესაბამისად მტკიცებულების დედანი არ იყო წარდგენილი, გაურკვეველი იყო მასზე ხელმომწერი პირის ვინაობა, ხოლო წერილზე არსებული შენიშვნა შეეხება სამომავლო სასესიო ურთიერთობის ჩამოყალიბებას. ამასთან, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 2013 წლის 11 აპრილს, მეიჯარე საზოგადოების დირექტორს მ. კ-ს და მოიჯარეს შორის გაფორმებული შეთანხმებით ბათილად ჩაითვალა 2011 წლის 1 ივლისს გაფორმებული №30 საიჯარო ხელშეკრულება, 2013 წლის 1 აპრილიდან. შესაბამისად, მხარეთა შორის შეწყდა ამ გარიგებიდან გამომდინარე უფლება-ვალდებულებები. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიე-

ჯარის 2014 წლის 5 იანვრის წერილი მოიჯარისადმი, რომლითაც მესაკუთრე ითხოვდა ქონების იპოთეკისაგან გათავისუფლებას ინვესტორზე რეალიზაციის მიზნით სასამართლომ სამართლებრივად უსაფუძვლოდ მიიჩნია, რადგან ამ დროისათვის, მხარეთა შეთანხმებით, საიჯარო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობა დასრულებული იყო. ამასთან, ეს წერილიც ასლის სახით იყო წარდგენილი და არ ირკვეოდა მასზე ხელმომწერი პირის ვინაობა. მოპასუხე კი უარყოფდა მოთხოვნის არსებობას.

16.10. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2011 წლის 1 ივლისის საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე 2012 წლის 19 დეკემბერს, სს „ბ. ქ-უს“ და მეიჯარე სანარმოს შორის დადებული იპოთეკის ხელშეკრულებით, უზრუნველყოფილი იქნა მოიჯარის მიერ სს „ბ. ქ-თან“ 2007 წლის 21 მაისს გაფორმებული გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების და მის ფარგლებში დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება 1 500 000 აშშ დოლარის ფარგლებში (იხ. წინამდებარე განჩინების 7-7.1 პუნქტები), ხოლო იჯარის ხელშეკრულებით თანხმობა გაიცა 450 000 აშშ დოლარის ფარგლებში ვალდებულების უზრუნველყოფაზე. ხელშეკრულების მიხედვით, იგი ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დღიდან და მოქმედებას წყვეტს იპოთეკით უზრუნველყოფილ ვალდებულებათა ჯეროვნად შესრულებით. ამასთან, ხელშეკრულების 5.1 მუხლით, იპოთეკის საგნის მესაკუთრეს განემარტა და ადასტურებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მსესხებელთან გაფორმებული გენერალური ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, იპოთეკარი (ბანკი) უფლებამოსილია, მოითხოვოს იპოთეკის საგნის რეალიზაცია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან მხარეთა ერთობლივი განცხადებით, მიმართოს საჯარო რეესტრს იპოთეკის საგნის იპოთეკარის სახელზე გადასაფორმებლად;

16.10.1. სსკ-ის 50-ე მუხლის თანახმად, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. ამავე კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილით: ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. სსკ-ის 50-ე მუხლითა და 319-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებულია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, რომელიც, ხელშეკრულების დადების თავისუფლებასთან ერთად, მოიცავს ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლებას. ეს უკანას-

კნელი გულისხმობს, რომ მხარეებს შეუძლიათ, თავისუფლად განსაზღვრონ ხელშეკრულების შინაარსი. მხარეთა ავტონომიურობის პრინციპს აშკარად ასახავს ზემოხსენებული ნორმით აღიარებული კერძო სამართლის სუბიექტთა უფლება, დადონ ისეთი ხელშეკრულება, რომელიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის ვალდებულებითი სამართლით გათვალისწინებულ ხელშეკრულებათა სახეები ამომწურავი არ არის და მხარეებს, ამავე კოდექსის ზემოხსენებული ნორმის შესაბამისად, ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლებში, შეუძლიათ, დადონ მათთვის სასურველი შინაარსისა და კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ხელშეკრულება.

16.10.2. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მხარეებმა 2011 წლის 1 ივლისს გამოხატეს ნება იჯარის ხელშეკრულების გაფორმებაზე, ხოლო 2013 წლის 11 აპრილის გარიგებით, ურთიერთშეთანხმებით, რაც შეესაბამება იჯარის ხელშეკრულების 6.2 მუხლის „ა“ პუნქტს, მხარეებმა გამოხატეს ნება, რომლითაც შეწყდა მათ შორის 2011 წლის 1 ივლისის იჯარის ხელშეკრულება. სასამართლომ დაადგინა, რომ 2013 წლის 11 აპრილის შეთანხმება არ არის კანონსაწინააღმდეგო, გამოხატავს მხარეთა ნებას და ბათილი არ არის. ასევე დადგენილია, რომ მეიჯარე საწარმოსა და სს „ბ. ქ-უს“ შორის 2012 წლის 19 დეკემბერს გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულება გასაჩივრებული და გაუქმებული არ არის. შესაბამისად, მხარეებს არ შეუძლიათ, არარსებული იჯარის შეთანხმებიდან გამომდინარე მოთხოვნები წაუყენონ ერთმანეთს. მეიჯარე საზოგადოება არ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება;

16.10.3. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იპოთეკის ხელშეკრულების 5.1 მუხლზე, რომლითაც მესაკუთრე (მეიჯარე საწარმო) არაორაზროვნად და უპირობოდ ადასტურებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მსესხებელთან გაფორმებული გენერალური ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, იპოთეკარი (ამ შემთხვევაში ბანკი) უფლებამოსილია, მოითხოვოს იპოთეკის საგნის რეალიზაცია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან მხარეთა ერთობლივი განცხადებით, მიმართოს საჯარო რეესტრს იპოთეკის საგნის იპოთეკარის სახელზე გადასაფორმებლად, ანუ მესაკუთრისათვის (მეიჯარისათვის) იპოთეკიდან გამომდინარე შესაძლო შედეგები ცნობილი იყოს და ეთანხმებოდეს მას.

16.10.4. სს-ის 292-ე მუხლის თანახმად, უძრავი ნივთის მესა-

კუთრე უფლებამოსილია დააკმაყოფილოს კრედიტორი, როცა მოთხოვნის შესრულების ვადა უკვე დადგა, ან როცა პირადი მოვალე უფლებამოსილია შეასრულოს შესაბამისი მოქმედება (პირველი პუნქტი). თუ მესაკუთრე არ არის პირადი მოვალე, მოთხოვნა გადადის მასზე მაშინ, როცა მესაკუთრე კრედიტორს დააკმაყოფილებს (მეორე პუნქტი). დადასტურებულია, რომ 2007 წლის 21 მაისის საკრედიტო ხელშეკრულების შესასრულებლად, იჯარით აღებული იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია არ განხორციელებულა, იპოთეკის ხელშეკრულება კი გაუქმებული არ არის. საქმეში არ მოიპოვება იპოთეკის საგნის შეფასების დოკუმენტი. ამასთან, გაურკვეველია 2007 წლის 21 მაისის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სს „ბ. ქ-უს“ მიმართ, ინდემნარმის, რომელიც მოცემულ დავაში მოპასუხე მოიჯარეა, ვალდებულებები. მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე გაურკვეველია მეიჯარის მიერ ზიანის ოდენობის განსაზღვრის წესი. საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ არ დასტურდებოდა მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტი, რაც ამ მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა.

16.11. მეიჯარის მოთხოვნის თაობაზე, რომელიც ეხება მოიჯარესა და მის დედას შორის, 2014 წლის 24 ოქტომბრის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობას, მსჯელობისას, საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მტკიცებით, ხელშეკრულება დადებულია მოსაჩვენებლად, იმ მიზნით, რომ მოიჯარემ თავი აარიდოს კრედიტორების დაკმაყოფილებას. სსკ-ის 56-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს /მოჩვენებითი გარიგება/ – (იხ. წინამდებარე განჩინების მე-13 პუნქტი).

16.11.1. დადგენილია, რომ 2014 წლის 24 ოქტომბრის ჩუქების ხელშეკრულების მხარეები დედა-შვილი არიან (იხ. წინამდებარე განჩინების მე-12 პუნქტი). საჯარო რეესტრიდან ამონაწერით დასტურდება, რომ უძრავი ქონება რეგისტრირებულია მოიჯარის დედის სახელზე. მოსარჩელემ ჩუქების ბათილობის დასადასტურებლად რაიმე მტკიცებულება ვერ წარადგინა. ამასთან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე, ამ მოთხოვნის მიმართ დაუსაბუთებელია მოსარჩელის იურიდიული ინტერესი. საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ მითითებული საფუძველებით მოსარჩელეს ასევე უარი უნდა ეთქვას 2014 წლის 21 ოქტომბერს მოიჯარესა და მის ძმას შორის, შპს „ს. ე-სი“ 24%-იანი წილის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე (იხ. წინამდე-

ბარე განჩინების მე-13 პუნქტი).

17. მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა

17.1. მეიჯარე საზოგადოებამ და მისი წილის 100 %-იანმა მფლობელმა (ი. ე-მა) სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, მისი გაუქმება და, სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს (იხ. სააპელაციო საჩივარი).

18. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

18. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით მეიჯარე საზოგადოებისა და მისი დამფუძნებლის (100%-იანი წილის მფლობელის) სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

18.1. ამ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილების ნაწილობრივ შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მეიჯარე საზოგადოებისა და მისი 100%-იანი წილის ყოფილი მფლობელის სარჩელი;

18.1.1. ბათილად იქნა ცნობილი 2013 წლის 11 აპრილს, მეიჯარე საზოგადოების დირექტორს – მ. კ-ს და მოიჯარეს (ინდემენარმეს) შორის გაფორმებული 2013 წლის 11 აპრილის შეთანხმება, 2011 წლის 01 ივლისის №30 საიჯარო ხელშეკრულების ბათილობის თაობაზე (იხ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი);

18.1.2. დანარჩენ ნაწილში (ზიანის ანაზღაურებისა და გარიგებების ბათილად ცნობის) სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად;

18.1.3. გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 5 ნოემბრის და 7 ნოემბრის განჩინებებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება (საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი), დარჩა უცვლელად.

18.2. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა წინამდებარე განჩინების 1-13 პუნქტებში დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და დაასკვნა, რომ მეიჯარე საზოგადოების დირექტორი (იხ. წინამდებარე განჩინების მე-9 პუნქტი) არ იყო უფლებამოსილი, გაეფორმებინა სადავო 2013 წლის 11 აპრილის შეთანხმება, შემდეგ გარემოებათა გამო:

18.2.1. საზოგადოების წესდების მე-6 თავის მიხედვით, საზო-

გადოების მართვის ორგანოებია: დამფუძნებელ პარტნიორთა კრება და საზოგადოების დირექტორი;

18.2.2. წესდების მე-5 თავით განსაზღვრულია დამფუძნებელი პარტნიორის უფლება-მოვალეობანი; 5.7 პუნქტის თანახმად, საზოგადოების სახელით უძრავი ქონების შეძენის, გასხვისების და იპოთეკით დატვირთვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მხოლოდ დამფუძნებლებს;

18.2.3. 2013 წლის 11 აპრილის შეთანხმების მიხედვით, მხარეები: ერთი მხრივ, საზოგადოების დირექტორი – მ. კ-ი და, მეორე მხრივ, მოიჯარე შეთანხმდნენ შემდეგზე: „ბათილად ჩაითვალოს 2011 წლის 1 ივლისს გაფორმებული №30 ხელშეკრულება 2013 წლის 1 აპრილიდან“.

18.3. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საზოგადოების პარტნიორთა 2013 წლის 15 იანვრის საერთო კრებაზე, რომელზე დაყრდნობითაც პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა საწარმოს 100%-იანი წილის მფლობელისა და პარტნიორის ი. ე-ის თანხმობა საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ; ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს აღნიშნული დასკვნა სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ მითითებული კრების ოქმის შინაარსი (იხ. წინამდებარე განჩინების 8-9.4 პუნქტები); ასევე სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების 4.3 ქვეპუნქტი) ცალსახად ადასტურებს, რომ 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი დაეთანხმა საწარმოს დირექტორის – მ. კ-ის პოზიციას და მისცა მას უფლება, დროულად მოეწესრიგებინა მოიჯარესთან ურთიერთობა და დროის მოკლე მონაკვეთში გადაეწყვიტა ისეთი საკითხები, როგორცაა საიჯარო ხელშეკრულებისა და იპოთეკის გაუქმება;

18.3.1. ამ უფლების მინიჭებას წინ უძღოდა დირექტორის ანგარიში საზოგადოების ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. როგორც ზემოთ აღინიშნა, საზოგადოების დირექტორმა, მიუთითა საწარმოს მძიმე ფინანსურ მდგომარეობაზე და დაგროვილ დავალიანებებზე, დააყენა საკითხი საწარმოს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების სასწრაფოდ რეალიზაციის თაობაზე; კერძოდ, მან მიუთითა ქ. თბილისში ... მდებარე 64 598,99 კვ.მ. მიწის, კომერციული ფართისა და მასზე განლაგებული უძრავი შენობა-ნაგებობის მთლიანი კომპლექსის სასწრაფოდ რეალიზაციის საჭიროების შესახებ;

18.3.2. დასახელებული კრების ოქმის მიხედვით, საზოგადოების საერთო კრება დღის წესრიგის მეორე საკითხად განიხილავდა 2011 წლის 1 ივლისს ინდემნარმესა (მოიჯარესა) და საწარმოს შორის დადებული №30 საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის სა-

კითხს; სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სწორედ ამ (დღის წესრიგის მე-2 საკითხზე) საკითხზე გამოთქვა თანხმობა საწარმოს 100%-იანი წილის მფლობელმა (წილის დამთმობმა); შესაბამისად, სასამართლოს შეფასებით, საზოგადოების 2013 წლის 15 იანვრის კრების ოქმის შინაარსი არ იძლევა იმგვარი დასკვნის საფუძველს, რომ საზოგადოების 100%-იანი წილის მფლობელმა პარტნიორმა (ი. ე-მა), საზოგადოების დირექტორს მ. კ-ს მიანიჭა უფლებამოსილება 2011 წლის 1 ივლისის №30 საიჯარო ხელშეკრულების 2013 წლის 1 აპრილიდან ბათილად ცნობის შესახებ;

18.3.3. სააპელაციო სასამართლომ ასევე შეაფასა, სადავო გარიგების დადების პერიოდისათვის, საწარმოს იმჟამინდელი დირექტორის (იხ. ამ განჩინების მე-9 პუნქტი) განმარტება, რომელმაც აღნიშნა, რომ 2013 წლის 15 იანვრის კრებაზე მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ცდილობდა მოეგვარებინა ის საკითხები, რომლებიც უკავშირდებოდა 2011 წლის 1 ივლისის საიჯარო ხელშეკრულებას და 2012 წლის 19 დეკემბრის იპოთეკის ხელშეკრულებას, რომლითაც ინმდემწარმის (მოიჯარის) ვალდებულების უზრუნველსაყოფად, სს „ბ. ქ-უს“ სასარგებლოდ, დაიტვირთა იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოსარჩელე საწარმოს კუთვნილი უძრავი ქონება; საწარმოს დირექტორის განმარტებით, მხარეებს შორის არსებობდა გარკვეული სახის კომუნიკაცია, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა საიჯარო ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა („...საჯარიმო სანქციები არ იზრდებოდა, მაგრამ იცვლებოდა ვადები“...), სადავო ხელშეკრულების მიზანს არ წარმოადგენდა იჯარის ხელშეკრულების ბათილობა და ეს შეუძლებელიც იყო, ვინაიდან უძრავი ქონება იპოთეკისგან არ იყო გათავისუფლებული (იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 05.07.2016წ. და 28.12.2016წ. სხდომის ოქმები 11.20.04-11.29.33სთ; 11.48.32სთ);

18.3.4. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა: ვინაიდან საზოგადოების წესდება, საზოგადოების სახელით უძრავი ქონების შეძენის, გასხვისების და იპოთეკით დატვირთვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებას ანიჭებდა მხოლოდ დამფუძნებლებს, ხოლო 2013 წლის 11 აპრილის სადავო შეთანხმების გაფორმებისას, ასეთი უფლებამოსილებით საზოგადოების იმჟამინდელი დირექტორი აღჭურვილი არ ყოფილა საზოგადოების 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის მიერ, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი 2013 წლის 11 აპრილს საწარმოს ყოფილ დირექტორსა და მოიჯარეს შორის გაფორმებული შეთანხმება 2011 წლის 1 ივლისის გაფორმებული №30 საიჯარო ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ.

18.4. სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა ასევე მოსარჩელეთა მოთხოვნაზე მოპასუხეებისათვის ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის – 1 500 000 აშშ დოლარის ოდენობით – ანაზღაურების თაობაზე. ამ კონტექსტში სასამართლომ დაზუსტებულ სარჩელზე მიუთითა და აღნიშნა, რომ საწარმოს ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, მოსარჩელეს, მისივე მტკიცებით, სურდა ქონების გაყიდვა, თუმცა იმის გამო, რომ უძრავი ქონება იპოთეკით იყო დატვირთული, საზოგადოების დამფუძნებელი 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი, იძულებული გახდა, მეხუთედ ფასში გაეყიდა მთლიანი წილი კ. წ-აზე (წილის შემძენზე). წილის გამსხვივებელი ვალდებულები იყო, საწარმოს ქონებაზე იპოთეკის არსებობის გამო (ქონების იპოთეკისაგან გათავისუფლებისათვის), გადაეხადა წილის შემძენისათვის 1 500 000 აშშ დოლარი. მოსარჩელის მტკიცებით, დასახელებული ხელშეკრულების რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში ვერ ხორციელდება, რადგან მოიჯარის მიერ წარდგენილია სარჩელი მეიჯარე საწარმოს წინააღმდეგ და, სასამართლოს განჩინებით, საწარმოს ქონების გასხვივება და იპოთეკით დატვირთვა აკრძალულია. სარჩელში მითითებულია, რომ „მოპასუხის უარის გამო ვალდებულების შესრულებაზე, მოსარჩელეს ადგება ზიანი 1 500 000 აშშ დოლარის ოდენობით, რომლის გადახდაც უნდა დაეკისროს მოპასუხეს“;

18.4.1. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლებზე დაყრდნობით (ნორმების დეფინიცია იხ. წინამდებარე განჩინების, შესაბამისად, 16.8.4 და 16.7.2 ქვეპუნქტებში), მოცემული კატეგორიის დავის სამართლიანი და ობიექტური გადანაცვების მიზნებისათვის, მტკიცების ტვირთის განაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მოქმედ სტანდარტზე მიუთითა, რომლის მიხედვითაც, მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს სასარჩელო მოთხოვნას, ხოლო მოპასუხემ კი ის გარემოებები, რომლებსაც შესაგებელი ეფუძნება. განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარდგენილი მასალების და მხარის არგუმენტების შეფასების შედეგად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელემ სარჩელში მითითებული გარემოებებისა და შეფასებების გათვალისწინებით, ვერ დაადასტურა მოპასუხის მიერ მისთვის ზიანის მიყენების შესახებ ფაქტობრივი გარემოება; კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებელად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა, რადგან არ დგინდებოდა, რას ემყარებოდა მოსარჩელის პრეტენზია საწარმოს პარტნიორის მიერ წილის შემცირებულ ფასად გაყიდვის, აღნიშნულზე მოპასუხის პასუხიმგებლობის არსებობისა და ამ უკანასკნელისათვის, მოსარჩელის სასარგებლოდ, 1 500 000 აშშ დოლარის დაკისრების თაობა-

ზე;

18.4.2. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 50-ე მუხლსა და 327-ე მუხლის პირველი ნაწილზე (ნორმების დეფინიცია იხ. წინამდებარე განჩინების 16.10.1 ქვეპუნქტში) და განმარტა, რომ ხელშეკრულების დადების უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს მხარეთა ნება, კერძოდ, მხარეები თავად იღებენ გადაწყვეტილებას ხელშეკრულების დადების თაობაზე და თავად განსაზღვრვენ მის პირობებს. იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილი მხარეების მიერ ნების გამოვლენა არ არის მიმართული კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისაკენ, ხელშეკრულება არ შეიძლება მიჩნეულ იქნას დადებულად;

18.4.3. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველ, მეორე და მესამე პუნქტებზე (ნორმის დეფინიცია იხ. წინამდებარე განჩინების 16.4 ქვეპუნქტი) დაყრდნობით, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც, თუ პარტნიორთა შეთანხმებით (წესდებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ასევე, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საზოგადოების წესდების მე-6 თავზე და წესდების 5.7 პუნქტზე (იხ. წინამდებარე განჩინების 16.5 ქვეპუნქტი) და დაასკვნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, საზოგადოების სახელით უძრავი ქონების შეძენის, გასხვისების და იპოთეკით დატვირთვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მხოლოდ დამფუძნებლებს;

18.4.4. დადგენილია, რომ სადავო 2013 წლის 11 აპრილის შეთანხმების (2011 წლის 1 ივლისს გაფორმებული №30 ხელშეკრულების ბათილობის თაობაზე) დადებაზე, საზოგადოების იმუამინდელ დირექტორს (იხ. წინამდებარე განჩინების მე-9 პუნქტი) არ გააჩნდა საზოგადოების 100%-იანი წილის მფლობელისა და პარტნიორის – ი. ე-ის თანხმობა; ამასთან, განსახილველი დავის ფარგლებში, წარდგენილი მასალებით და მხარეთა განმარტებებით, არ დგინდებოდა 2011 წლის 1 ივლისის №30 ხელშეკრულების ბათილობის სამართლებრივი საფუძვლის არსებობა.

18.5. სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 180-ე მუხლზე მიუთითა, რომლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს. ხელშეკრულების ბათილობა, თავისი სამართლებრივი ბუნებით, აღიარებით სარჩელს წარმოადგენს. შესაბა-

მისად, მისთვის დამახასიათებელია იურიდიული ინტერესის არსებობა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის სამართლებრივ საშუალებად აღიარებით სარჩელს ითვალისწინებს. იურიდიული ინტერესის არსებობა გულისხმობს, რომ მხარე გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს ინტერესის ობიექტს;

18.5.1. განსახილველ დავაში, მოსარჩელე, მისი მოსაზრებებიდან და შეფასებებიდან გამომდინარე, მიიჩნევს, რომ სადავო გარიგების დადებით საიჯარო ხელშეკრულების მხარე მიზნად ისახავდა იჯარის ხელშეკრულების ბათილობის გზით თავი აერიდებინა იმ ვალდებულებების შესრულებისათვის, რაც მას წარმოემობოდა მხარეთა შორის დადებული იჯარის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ამ გარიგების შეწყვეტის შემთხვევაში; აღსანიშნავია, რომ მოპასუხე მხარე პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილ შესაგებელში საერთოდ უარყოფდა საიჯარო ხელშეკრულებიდან გამომდინარე რაიმე ვალდებულების არსებობას იმ საფუძველით, რომ მხარეთა შორის 2011 წლის 1 ივლისის საიჯარო ხელშეკრულება ბათილად იქნა გამოცხადებული 2013 წლის 11 აპრილის შეთანხმებით; როგორც აღინიშნა, ხელშეკრულების მე-4 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (იხ. ამ განჩინების მე-4 პუნქტი), მხარეები შეთანხმდნენ, რომ მეიჯარის მოთხოვნიდან 45 კალენდარული დღის ვადაში, მოიჯარე დაუბრუნებდა საიჯარო ქონებას მესაკუთრეს, ყოველგვარი ყადაღისა და იპოთეკის გარეშე;

18.5.2. იჯარით აღებული ქონების დაზიანების ან ფინანსური პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში, მოიჯარეს ეკისრებოდა ვალდებულება, პასუხი ეგო თავისი ქონებით, მატერიალური აქტივებითა და საბრუნავი საშუალებებით; დაებრუნებინა მესაკუთრისათვის ქონება ან მისი სარეალიზაციო ფასი, 45 კალენდარული დღის განმავლობაში, გადაეხადა 1 კვ.მ.-ში 80 აშშ დოლარის ოდენობით;

18.5.3. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ცხადია, რომ მოსარჩელეს 2011 წლის 1 ივლისის საიჯარო ხელშეკრულებისა და, შესაბამისად, ამ გარიგებით გათვალისწინებული პირობების მიმართ გააჩნია ინტერესი;

18.6. სსკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის. სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა,

რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება;

18.6.1. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ზოგადი პრინციპის თანახმად, განსახილველი კატეგორიის დავაში, მოსარჩელეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე – მათი დამტკიცების ტვირთი. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს უნდა მიეთითებინა და დაემტკიცებინა, რომ მოპასუხის ქმედება იყო არამართლზომიერი, ამ ქმედებამ გამოიწვია მისთვის ზიანის მიყენება, მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო აღნიშნული მტკიცების ტვირთის რეალიზება; კერძოდ, სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნა არ გამომდინარეობს იჯარის ხელშეკრულების მე-4 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებიდან; საარჩელის მიხედვით მხარე მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას, თუმცა, როგორც აღინიშნა, არ დგინდება რას ემყარება მოსარჩელის პრეტენზია საწარმოს პარტნიორის მიერ წილის შემცირებულ ფასად გაყიდვის, აღნიშნულზე მოპასუხე მხარის პასუხიმგებლობის არსებობის და ამ უკანასკნელისათვის, მოსარჩელის სასარგებლოდ, 1 500 000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე.

18.7. მოსარჩელე მიუთითებს სსკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილზე და მოითხოვს მოიჯარესა და მისი ოჯახის წევრს – დედას შორის 2014 წლის 24 ოქტომბერს გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულების, ასევე, 2014 წლის 21 ოქტომბერს მოიჯარესა და მის ძმას შორის გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობას (იხ. წინამდებარე განჩინების 12-13 პუნქტები);

18.7.1. მოსარჩელის მტკიცებით, მოიჯარემ (ინდემნარემ) მოჩვენებითი გარიგებების დადების გზით განახორციელა მისი კუთვნილი უძრავი ქონების გასხვისება, ჩუქების ფორმით, ოჯახის წევრებზე – დედასა და ძმაზე. არც ერთ შემთხვევაში გაჩუქება არ ემსახურებოდა გარიგების ნამდვილობის პირობას, იგი კანონსაწინააღმდეგოა და ემსახურება კრედიტორების მიმართ არსებული ვალდებულებების შესრულებისაგან თავის არიდებას;

18.7.2. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ზემოხსენებული მოთხოვნით მოსარჩელეს სურს დაიკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნა, დავის მის სასარგებლოდ დასრულების, კერძოდ, მოპასუხისათვის ზიანის – 1 500 000 აშშ დოლარის დაკისრების შემთხვევაში, გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე (აღსრულება მიექცეს მოპასუხის ქონებაზე). იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველ დავაში, მოსარჩელის მიერ მითითებული საფუძვლით,

მოთხოვნა ზიანის ანაზაურების თაობაზე, დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები, რომელმაც მართებულად არ დააკმაყოფილა სადავო ჩუქების ხელშეკრულებების ბათილობის შესახებ მოსარჩელე მხარის მოთხოვნა.

19. მეიჯარისა და მოიჯარის საკასაციო საჩივრები

19.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მოდავე მხარეებმა (მოპასუხეთაგან საწარმოს ყოფილ დირექტორს – მ. კ-ს არ წარმოუდგენია საკასაციო საჩივარი).

19.2. მოსარჩელებმა (პირველმა კასატორმა) მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება თავიანთი სარჩელის უარყოფის ნაწილში და, ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით, საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების გზით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება;

19.2.1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 5 ნოემბრის და 7 ნოემბრის განჩინებებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების უცვლელად დატოვების ნაწილში;

19.2.2. მოსარჩელის საკასაციო პრეტენზია იმას ეხება, რომ მას არ უთქვამს, რომ საწარმოში 100%-იანი წილის გაყიდვით მიადგა ზიანი, მას ზიანი მიადგა მოიჯარის მიერ საიჯარო ხელშეკრულების მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით აღებული ვალდებულების შეუსრულებლობით, რის გამოც იგი იძულებული გახდა კ. წ-ას (საწარმოს 100%-იანი წილის შემძენი) წინაშე, მიწის ნაკვეთის სანივთოსამართლებრივი დატვირთვისაგან გათავისუფლების შეუძლებლობის შემთხვევაში, ამ უკანასკნელისათვის გადაეხადა 1 500 000 აშშ დოლარი, რაც არის ის ზიანი, რომელიც მოპასუხეებს უნდა დაეკისროთ. ამავე კონტექსტში მოსარჩელე მხარე ითხოვს მოპასუხეთა (მოიჯარე და მისი ოჯახის წევრებს) შორის მოჩვენებით დადებული ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნობას;

19.2.3. პირველი კასატორის პრეტენზიით სააპელაციო სასამართლომ საერთოდ უგულვებლყო იმის დადგენა, დაარღვია თუ არა მოპასუხე მხარემ სახელშეკრულებო ვალდებულება;

19.2.4. კასატორი აკრიტიკებს სააპელაციო სასამართლოს იმის გამოც, რომ საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 სექტემბრის მოსამზადებელი სხდომის ოქმის, იმავე წლის 1 ოქტომბრის სააღსრულებო ფურცლისა და უსწორობის გასწორების თაობაზე ამავე სასამართლოს 2015 წლის 27 ოქტომბრის განჩინების საქმეზე დართვაზე უარი ეთქვა აპელანტს. კასატორს მიაჩნია, რომ მის მიერ

სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე წარდგენილი დასახელებული მტკიცებულებები (და შემდეგ მთლიანი სამოქალაქო საქმე) ადასტურებს სანარმოს 100%-იანის წილის მფლობელი პარტნიორისათვის (წილის გამსხვიებლისათვის) მიყენებულ ზიანს. ამ კონტექსტში პირველი კასატორი ასაჩივრებს სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 21 ივნისისა და იმავე წლის 5 ივლისის განჩინებებს აპელანტის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების – კ. ნ-ასა და ტ. ე-ს შორის წარმოებული სამოქალაქო საქმის მასალების განსახილველ საქმეზე დართვაზე უარის შესახებ, ითხოვს გასაჩივრებული განჩინებების გაუქმებას და საქმეზე მტკიცებულებათა სახით ზემოხსენებული სამოქალაქო საქმის მასალების დართვას (იხ. დაზუსტებული საკასაციო საჩივარი).

19.3. მოპასუხეებმა (მეორე კასატორმა) მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მეიჯარე სანარმოსა და მისი დამფუძნებლის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და, ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით, საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების გზით, სარჩელის სრულად უარყოფა.

19.4. მეორე კასატორის საკასაციო განაცხადი ძირითადად შემდეგ პრეტენზიებს ეფუძნება:

19.4.1. ქვემოთ მოხსენიებული სასამართლოების მიერ დადგენილია, რომ 2012 წლის 19 დეკემბერს მეიჯარემ (მესაკუთრემ) იპოთეკით დატვირთა ის ქონება, რომელიც იჯარის საგანს წარმოადგენდა, ამასთან, სასამართლოს არ დაუდგენია და არც მხარეს წარუდგენია რაიმე მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ მოიჯარემ (ინდემნარემ) იპოთეკის სანაცვლოდ მიღებული 2 100 000 აშშ დოლარი სრულად აითვისა, ასევე, მოსარჩელე (მეიჯარე, იპოთეკის საგნის მესაკუთრე) სადავოდ არ ხდის იპოთეკის ხელშეკრულებას, რომლის მხარეც თვითონ არის, ამასთან, ზიანის ანაზღაურებას სწორედ ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ითხოვს; კერძოდ, მოსარჩელე იმაზე უთითებს, რომ იჯარით გაცემული ქონება ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით იყო დატვირთული, რის გამოც სანარმოს 100%-იანი წილის მფლობელს „მოუნია“ მეხუთედ ფასად გაესხვიებინა კუთვნილი მთლიანი წილი სანარმოში, რის გამოც საიჯარო საგანზე არსებული იპოთეკური შეზღუდვის გათვალისწინებით, მოსარჩელე მხარე მოპასუხეებისაგან ითხოვს ზიანის – 1 500 000 აშშ დოლარის ოდენობით – ანაზღაურებას;

19.4.2. მეორე კასატორს მიაჩნია, რომ საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება, არსადაა მტკიცებულება, რომ მეიჯარე სანარმოს 100%-იანი წილის მფლობელმა გადაუხადა წილის შემძენს (კ. ნ-ას) თანხა; სანარმოში კუთვნილი წილის გამსხვი-

სებლის გადასაწყვეტი იყო მეხუთედ თუ მეათედ ფასად გაჰყიდდა ქონებას ვინმეს, როგორც ეს თავად მენარმეს უღირდა, ისევე, როგორც მყიდველმა – კ. ნ-ამ, როგორც ბიზნესმენმა, კარგად იცოდა, რას ყიდულობდა და რა სამართლებრივი უფლებებებით იყო დატვირთული ესა თუ ის აქტივი. კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მოსარჩელეს იპოთეკის საგნის ღირებულება მიაჩნია მისთვის მიყენებულ ზიანად, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ არის იპოთეკის ხელშეკრულების მხარე და დღემდე სადავოდ არ გაუხდია აღნიშნული;

19.4.3. კასატორი იმეორებს თავის დაზუსტებელ შესაგებელში მითითებულ არგუმენტს, რომელიც წინამდებარე განჩინების 15.3 ქვეპუნქტშია მითითებული და აღნიშნავს, რომ ამ გარემოებაზე სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია;

19.4.4. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა დაადგინეს, რომ საწარმოს ყოფილმა დირექტორმა, როგორც მოპასუხემ, დაადასტურა, რომ 2013 წლის 11 აპრილის შეთანხმებაზე მისი ხელმოწერაა, რაც მოსარჩელებს სააპელაციო საჩივრით სადავოდ არ გაუხდიათ;

19.4.5. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების 3.2.1 ქვეპუნქტით დადგენილია ფაქტობრივი გარემოება: 2011 წლის 1 ივლისს, მეიჯარე საწარმოსა და ინდემნარმეს (მოიჯარეს) შორის გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება უძრავ ქონებაზე (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი), ხელშეკრულება მხარეებს არ გაუსაჩივრებიათ, მისი პირობები შეცვლილი არ არის (იხ. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებების 3.2.1 ქვეპუნქტი). კასატორის მტკიცებით იმ პირობებში, როდესაც მხარეებს არ გაუსაჩივრებიათ ეს ხელშეკრულება, მისი შეუსრულებლობიდან გამომდინარე თანხის მოპასუხეთათვის დაკისრების სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა;

19.4.6. იჯარის ხელშეკრულების მე-6 მუხლისა და მე-4 მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, მეიჯარე საწარმოს იმჟამინდელი დირექტორის მიერ 2013 წლის 11 აპრილს მოიჯარესთან გაფორმებული შეთანხმების კონტექსტში კასატორი მოიხმობს სსკ-ის 52-ე მუხლს; კასატორი ასევე ვრცლად მიმოიხილავს პარტნიორთა 2013 წლის 15 იანვრის კრების ოქმის შედეგებს და აღნიშნავს, რომ მოპასუხეთაგან – საწარმოს ყოფილ დირექტორს სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება (ამასთან, საწარმოს ყოფილი დირექტორი მოსარჩელებმა, სხვებთან ერთად, მოპასუხედ მხოლოდ დაზუსტებულ სარჩელში დაასახელეს) თუმცა, მის ნაწილში მაინც იმსჯე-

ლა სააპელაციო სასამართლომ; საწარმოს ყოფილი დირექტორი სა-
ზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პი-
რია, რომელმაც ხელი მოაწერა 2013 წლის 11 აპრილის შეთანხმე-
ბას, მისი ქმედება კანონიერია, მან წესდების ფარგლებში იმოქმე-
და.

19.4.7. მეორე კასატორი ყურადღებას ამახვილებს პირველი ინ-
სტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების 3.2.6 და 3.2.9 ქვეპუნ-
ქტებში ასახულ გარემოებებზე და უთითებს, რომ საწარმოს 100%-
იანი წილის მფლობელმა თვითონ იკისრა საწარმოში წილის დათმო-
ბის (გასხვისების) ხელშეკრულებით, რომ 30 დღეში გაათავისუფ-
ლებდა სასამართლოს მიერ გამოყენებული სანივთო უზრუნველ-
ყოფის ღონისძიებისაგან – იპოთეკისაგან მეიჯარე საწარმოს კუთ-
ვნილ უძრავ ქონებას და ასევე 100%-იანი პარტნიორის წილს. სა-
გულისხმოა, რომ წილის შემძენმა – კ. ნ-ამ უჩივლა ტ. ე-ს, ხოლო ამ
უკანასკნელმა ცნო სარჩელი. აქ დგება სსკ-ის 415-ე მუხლის (და-
ზარალებულის ბრალი ზიანის დადგომაში) გამოყენების წინაპირო-
ბა, სადაც მოპასუხე მხარე ვერაფრით იქნება პასუხისმგებელი იმ
ზიანზე, რომელიც მოსარჩელის ქმედებამ განაპირობა;

19.4.8. მეორე კასატორი იმეორებს თავის შესაგებელში მითი-
თებულ არგუმენტებს (იხ. წინამდებარე განჩინების 15.1-15.3 ქვე-
პუნქტები) და მსჯელობს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოე-
ბის განსხვავებულ სამართლებრივ შეფასებაზე საქმეში ერთ-ერ-
თი მტკიცებულების სახით წარდგენილ 2013 წლის 16 იანვრის წე-
რილზე (იხ. ამ განჩინების 16.8.3 ქვეპუნქტი) და აღნიშნავს, რომ
მოიჯარის (მოპასუხის) წარმომადგენელმა სადავო გახადა ეს წე-
რილი, უარყო ამ წერილზე მოპასუხის ხელმოწერის არსებობა, მით
უმეტეს, რომ საქმეში წარდგენილი არ ყოფილა მისი დედანი. საა-
პელაციო სასამართლომ გააბათილა პირველი ინსტანციის სასამარ-
თლოს მსჯელობა, რომელიც სსსკ-ის 135-ე მუხლს ეფუძნებოდა.
მოსარჩელის პოზიცია ზეპირ სხდომაზე და სააპელაციო საჩივარ-
ში იმას ემყარებოდა, რომ მისთვის წერილის დედანი არავის მოუთ-
ხოვია, თუმცა, წერილზე მითითებული შენიშვნა შეეხება სამომავ-
ლო სასესიო ურთიერთობის ჩამოყალიბებას და ვერ გახდება იმ
ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი, რის
დამტკიცებასაც მოსარჩელე ცდილობს;

19.4.9. მოპასუხე ყურადღებას ამახვილებს ასევე მოიჯარისად-
მი მეიჯარე საწარმოს იმჟამინდელი დირექტორის 2014 წლის 15
იანვრის წერილზე და განმარტავს, რომ ამ დროისათვის მხარეთა
(მეიჯარესა და მოიჯარეს) შორის უკვე შეწყვეტილი იყო ვალდე-
ბულებითსამართლებრივი ურთიერთობა და მისგან გამომდინარე
მოთხოვნა იურიდიულად დაუსაბუთებელია, ამასთან, ეს წერილიც

ასლის სახითაა წარდგენილი სასამართლოში, არ ირკვევა მასზე ხელმომწერი პირის ვინაობა, მოპასუხე კი უარყოფს მის არსებობას. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად არ გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და სამართლებრივი დასკვნები სარჩელის სრულად უარყოფის თაობაზე;

19.4.10. მეორე კასატორის პრეტენზიები ეხება ფაქტობრივ უსწორობებსაც, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორად დადგენილ ფაქტებს 2013 წლის 15 იანვრის პარტნიორთა კრების ოქმთან დაკავშირებით, რომელიც არ გაუსაჩივრებია საწარმოს 100%-იანი წილის მფლობელს და მისგან გამომდინარე მოთხოვნა ხანდაზმულია;

19.4.11. კასატორს მიაჩნია, რომ საწარმოს წესდების 5.7 ქვეპუნქტის მიხედვით ღირეფტორი არ საჭიროებდა პარტნიორისაგან თანხმობას.

20. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

20.1. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 15 სექტემბრის განჩინებით როგორც პირველი (მოსარჩელები: მეიჯარე საზოგადოებისა და მისი დამფუძნებლის, 100%-იანი წილის მფლობელის), ისე, მეორე კასატორის (მოპასუხეების: მოიჯარის, მისი ოჯახის წევრების – დედისა და ძმის) საკასაციო საჩივრები დასაშვებად იქნა ცნობილი არსებითად განსახილველად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრების იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის ეტაპზე შემომწების შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო განაცხადები ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

21. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად

ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება); ორივე კასატორს აქვს წარმოდგენილი ნაწილობრივ დასაბუთებული საკასაციო შედავება, რამაც განაპირობა მათი საკასაციო პრეტენზიების ნაწილობრივ გაზიარება საკასაციო სასამართლოს მიერ.

22. საკასაციო სასამართლო, უწინარესად, ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, თუ ვინ წარმოადგენს მოცემულ დავაში მოსარჩელე მხარეს. სარჩელი აღძრა მეიჯარე საწარმომ, ხოლო დაზუსტებული სარჩელით მეიჯარე საწარმომ და მისმა დამფუძნებელმა, 100%-იანი წილის მფლობელმა პარტნიორმა (იხ. სარჩელი და დაზუსტებული სარჩელი) მოითხოვეს სადავო გარიგებების ბათილად ცნობა და მოპასუხეთათვის, ზიანის ანაზღაურების სახით, 1 500 000 აშშ დოლარის დაკისრება (იხ. ამ განჩინების მე-14 პუნქტი). მოცემულ შემთხვევაში მოდავე მხარეთა საპროცესო სტატუსის გარკვევას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რათა დადგინდეს ვინ ვისგან, ვის სასარგებლოდ, რას ითხოვს და, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტების მიხედვით, სასარჩელო მოთხოვნას გააჩნია თუ არა სამართლებრივი საფუძველი.

23. განსახილველ შემთხვევაში, საწარმოს მიერ 2014 წლის 5 ნოემბერს აღძრულ სარჩელს ერთვის ამონაწერი არასამეწარმეო და სამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან (მომზადებული 2014 წლის 30 ოქტომბერს), რომლის მიხედვით საწარმოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი დირექტორი არის კ. წ-ა, ხოლო მისი 100%-იანი წილის მფლობელი მესაკუთრეა ი. ე-ი. შესაბამისად, საწარმოს ყოფილი დირექტორი – მ. კ-ი (განსახილველ დავაში ერთ-ერთი მოპასუხე), საწარმოს სახელითა და მის სასარგებლოდ სასამართლოში სარჩელის აღძვრის დროისათვის აღარ იყო დირექტორი, რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმოს ჰყავს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე სხვა პირი, რომელსაც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე ეკისრება ვალდებულება, საზოგადოების სახელით და მის სასარგებლოდ განახორციელოს ქმედებები, მათ შორის, საწარმოს სახელით აღძრას სარჩელი და გამოვიდეს მისი ინტერესების დასაცავად (მოცემულ შემთხვევაში დერივატიული სარჩელის აღძვრის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46.5 მუხლით განსაზღვრული წინაპირობა არ იკვეთება – იხ. სუსგ-ები №ას-612-571-2017, 28.07.2017წ; №ას-839-805-2016, 06.03.2017წ; №ას-341-326-2016, 21.10.2016წ.);

24. საკასაციო სასამართლო იმასაც აღნიშნავს, რომ დაზუსტებულ სარჩელში, საწარმოსთან ერთად, მისი 100%-იანი წილის

მფლობელი ი. ე-ივ მოსარჩელის სტატუსით არის წარმოდგენილი, ხოლო 2015 წლის 27 აპრილს სასამართლოში წარდგენილ დაზუსტებულ სარჩელს ერთვის ამონაწერი არასამენარმეო და სამენარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან (მომზადებული 2014 წლის 31 იანვარს), ანუ უფრო ადრე (თარიღის მიხედვით ძველი) გაცემული, ვიდრე ეს საწარმოს თავდაპირველ სარჩელს ერთვის, სადაც როგორც საწარმოს 100%-იანი წილის მმართველ პარტნიორად, ისე დირექტორად მ. კ-ია (განსახილველი დავის მოპასუხე) მითითებული. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ უნდა განიხილოს საწარმოს 100%-ის მფლობელი ტ. ე-ის სარჩელი, რადგან როგორც საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით დგინდება (იხ. წინამდებარე განჩინების 23-ე პუნქტი), საწარმოს სახელით სარჩელის აღძვრაზე უფლებამოსილი პირია დირექტორი – კ. წ-ა (იხ. დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობა) და არა ი. ე-ი.

25. იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელის აღძვრის უფლებამოსილების მქონე პირი მოცემულ დავაში მხოლოდ საწარმოა (მისი სახელით და მის სასარგებლოდ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის – დირექტორის სახით), უნდა შემოწმდეს სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

25.1. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საწარმოს სარჩელით რეალურად მოთხოვნილია იჯარის ხელშეკრულების არასწორად შეწყვეტის გამო (და არა 2013 წლის 11 აპრილის შეთანხმების ბათილად ცნობა, როგორც ამას თავად მოსარჩელე უთითებს, რაც, თავის მხრივ, არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნას), ზიანის სახით, მოპასუხეთათვის გარკვეული თანხის დაკისრება, რაც, თავისი არსით, მიკუთვნებითი მოთხოვნაა, ხოლო იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საზოგადოების ყოფილ დირექტორს მ.კ-სა და მოიჯარე ინდემწარმეს შორის ხელმოწერილი შეთანხმების არანამდვილობა, მისი ფაქტობრივი წინაპირობაა (სარჩელის სახეების შესახებ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №664-635-2016, 231-ე-232-ე პუნქტები);

25.2. საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, რომ მხარეთა შორის განუსაზღვრელი ვადით დადებული იჯარის ხელშეკრულება მისი შეწყვეტის კონკრეტულ საფუძვლებს ადგენს 6.2 მუხლით, რომელიც ხელშეკრულების შეწყვეტის რამდენიმე დამოუკიდებელ წინაპირობა-

ზე მიუთითებს: ა) მხარეთა შეთანხმებით და ბ) 4.2 მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით. მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, ერთი შეხედვით, 4.2 მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები თითქოსდა კუმულატიურ წინაპირობად არის ასახული იჯარის ხელშეკრულების 6.2 მუხლის „ბ“ პუნქტში, თითოეული დასახელებული ქვეპუნქტი ხელშეკრულების შეწყვეტის დამოუკიდებელ საფუძვლად უნდა იქნეს მიჩნეული თვითონ ქვეპუნქტების შინაარსიდან გამომდინარე; ამასვე ადასტურებს ფაქტობრივად პირველი კასატორის მიერ საკასაციო საჩივარში იმის დაკონკრეტება, რომ მხარე იჯარის ხელშეკრულების 4.2-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის (იხ. წინამდებარე განჩინების მე-5 პუნქტი) საფუძველზე ითხოვს მოპასუხეთათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებას (იხ. 19.2.2 ქვეპუნქტი). საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იჯარის ხელშეკრულების 4.2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის დარღვევის (საიჯარო ქონების დაზიანება და სხვ. – იხ. ამ განჩინების მე-4 პუნქტი) რომელიმე წინაპირობაზე სარჩელში ერთი ფაქტიც კი არ არის მითითებული, აქედან გამომდინარე, სარჩელი ეფუძნება იჯარის ხელშეკრულების 4.2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტს; ქვემდგომი ინსტანციის სასამართლო ვალდებულია გაარკვიოს, რას და ვისგან ითხოვს მოსარჩელე (აპელანტი), ანუ რა არის მისი მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი, რაც მნიშვნელოვანია სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლიანობის გამოსაკვლევად და მართლმსაჯულების განხორციელების საპროცესო ეკონომიურობის პრინციპის დასაცავად.

25.3. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმაზეც, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტში მითითებულია, რომ ბათილად იქნეს ცნობილი 2013 წლის 11 აპრილს, მეიჯარე საზოგადოების დირექტორის – მ. კ-ს და მოიჯარეს (ინდემენარმეს) შორის გაფორმებული 2013 წლის 11 აპრილის შეთანხმება, 2011 წლის 1 ივლისის №30 საიჯარო ხელშეკრულების ბათილობის თაობაზე (იხ. წინამდებარე განჩინების 18.1.1 ქვეპუნქტი). როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, მოსარჩელე საწარმოს პარტნიორთა 2013 წლის 15 იანვრის საერთო კრებამ განიხილა მოიჯარესთან 2011 წლის 1 ივლისს დადებული №30 ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი. სარჩელის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, მოსარჩელე საწარმოს მოთხოვნა იმ გარემოებას ეფუძნება, რომ ყოფილი დირექტორის მიერ 2013 წლის 11 აპრილს ხელმოწერილი შეთანხმება მოიჯარესთან იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ (მიუხედავად იმისა, რომ შეთან-

ხმების ტექსტში იჯარის ხელშეკრულების ბათილობაა მითითებული; გასაჩივრებული გადაწყვეტილების ტექსტში ხან იჯარის ხელშეკრულების ბათილობაა მითითებული, ხან შეწყვეტა, მხარის მითითების მიუხედავად, სასამართლომ მკაფიოდ უნდა განსაზღვროს მხარის მიერ მითითებული ფაქტების მიხედვით, თუ რას ითხოვს იგი) არ არის ნამდვილი, რადგან საწარმოს დირექტორს საამისო უფლებამოსილება არ გააჩნდა;

25.4. „პირველ რიგში უნდა შემოწმდეს სარჩელის ფორმალური დასაბუთებულობა, ანუ მასში მითითებული გარემოებების დადასტურებულად მიჩნევის შემთხვევაში, დადგება თუ არა ის შედეგი, რომლის მიღწევაც სურს მოსარჩელეს, მხოლოდ ამის შემდეგ ღირს მოპასუხის სტადიაზე გადასვლა. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ისიც, სასამართლომ ერთმანეთისაგან გამიჯნოს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან გამომდინარე, რომელს გააჩნია იურიდიული შედეგის მომტანი ძალა/მიესადაგება მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას (ადასტურებენ ან გამორიცხავენ მის შემადგენლობას). დასახული მიზნის მიღწევის ერთ-ერთ წესს საპროცესო კოდექსის 218-ე (372-ე) მუხლი წარმოადგენს, რომლის თანახმადაც მოსამართლეს უფლება აქვს შეკითხვები მისცეს მხარეებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან მქონე გარემოებების სრულად და ზუსტად განსაზღვრას, მათ დასადასტურებლად მტკიცებულებათა გამოვლენას და სასამართლოში წარდგენას, მათი უტყუარობის გამორკვევას“ (იხ. სუსგ №ას-122-118-2016, 03.06.2016წ.).

25.5. მოსარჩელე საწარმოს მტკიცებით, იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის ნება საწარმოს 100%-იანი წილის მფლობელ პარტნიორს არ გამოუვლენია 2013 წლის 15 იანვრის კრებაზე; საწარმოს წესდების 5.7 პუნქტის საფუძველზე, საწარმოს კუთვნილი ქონების განკარგვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მხოლოდ პარტნიორთა კრებას უნდა მიეღო. საწარმოს წესდების 5.7 ქვეპუნქტით, სახელშეკრულებო მოწესრიგების პირობებში, დირექტორს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი არ ანიჭებდა იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილებას.

25.6. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ: მეიჯარე საწარმოს პარტნიორთა კრება შედგა 2013 წლის 15 იანვარს, რომელსაც ესწრებოდა მისი 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი და კრების თავმჯდომარეც სწორედ ის იყო. პარტიორთა კრების დღის წესრიგში სულ ორი საკითხი იყო (იხ. წინამდებარე განჩინების 8-9.4 ქვეპუნქტები).

25.7. საქმის მასალებშია მეიჯარე საწარმოს წესდება, რომლის

მე-6 მუხლით განსაზღვრულია, რომ საწარმოს მმართველი ორგანოებია დამფუძნებელ პარტნიორთა კრება და საზოგადოების დირექტორი; მე-5 თავი დამფუძნებელი პარტნიორების უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს, კერძოდ, 5.7 პუნქტით დადგენილია, რომ მხოლოდ დამფუძნებლებს აქვთ უძრავი ქონების შეძენის, გასხვისებისა და დატვირთვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება; ხოლო 7.10 პუნქტით – კრების მიმდინარეობისა და გადაწყვეტილების შესახებ ოქმს ადგენს და მას ხელს აწერს კრების თავმჯდომარე. დასაშვებია ოქმზე ხელი მოაწეროს კრებაზე დამსწრე ყველა პარტნიორმა;

26. განსახილველ შემთხვევაში, საქალაქო სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს დასკვნები საწარმოს ყოფილი დირექტორის მიერ ხელმოწერილი 2013 წლის 11 აპრილის შეთანხმების შეფასების ნაწილში ერთმანეთისაგან განსხვავებულია (იხ. წინამდებარე განჩინების 16.3-16.6.1 ქვეპუნქტები და 18.3-18.4.4 ქვეპუნქტები).

26.1. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, 2013 წლის 11 აპრილს გაფორმებული სადავო შეთანხმების ხელმოწერ საწარმოს იმჟამინდელ დირექტორს (მ. კ-ს) არ ჰქონდა უფლებამოსილება, რომ ხელი მოეწერა ასეთ შეთანხმებაზე, რადგან საკითხი ესებოდა საწარმოს საკუთრებად რიცხული უძრავი ქონების განკარგვას და 2011 წლის 1 ივლისის იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტაზე დირექტორს არ ჰქონდა პარტნიორთა კრების თანხმობა. საკასაციო სასამართლო მიუთითებს ამ განჩინების 18.2.1-18.2.2 ქვეპუნქტებზე, სადაც საწარმოს წესდების შესაბამისი სახელშეკრულებო მონესრიგებაა ასახული, მოიხმობს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლს (ნორმის დეფინიცია იხ. 16.4 ქვეპუნქტში) და განმარტავს, რომ სადავო არ არის, რომ 2013 წლის 11 აპრილს, სადავო შეთანხმების დროს მოპასუხე – მ. კ-ი იყო საწარმოს დირექტორი; სადავო არ არის, რომ სწორედ მისი ხელმოწერაა 2013 წლის 11 აპრილის შეთანხმებაზე, რომლითაც ვადამდე შეწყდა მე-იჯარესა და მოიჯარეს შორის არსებული იჯარის (01.07.2011წ. ხელმოწერილი) ხელშეკრულება; ორი ინსტანციის სასამართლომ განსხვავებულად შეაფასა 2013 წლის 15 იანვრის პარტნიორთა კრების ოქმი და მისი შინაარსი, რომელსაც ხელს აწერს მეიჯარე საწარმოს 100%-იანი წილის დამფუძნებელი – ტ. ე-ი და მას ეს ხელმოწერა სადავოდ არ გაუხდია;

26.2. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ასევე განსხვავებულია ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების შეფასებები იმასთან დაკავშირებით, რომ პარტნიორთა კრების დღის წესრიგის ორივე საკითხს დაეთანხმა თუ არა საწარმოს დამფუძნებელი და

100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, კრების ოქმით ცალსახად მხოლოდ ის დასტურდება, რომ პარტნიორი დაეთანხმა სანარმოს დირექტორის პოზიციას და მისცა მას უფლება, დროულად მოეწესრიგებინა მოიჯარესთან ურთიერთობა, აღნიშნული უფრო დეტალურად კრების ოქმში სიტყვასიტყვით შემდეგნაირად არის ასახული: „№2 საკითხზე 100 პროცენტის წილის მფლობელმა ტ. ე-ი დაეთანხმა დირ. მ. კ-ს და მისცა უფლება დროულად მოახდინოს „ინდემნარმე“ ს. ყ-თან ურთიერთობის დალაგება, და დროის მოკლე მონაკვეთში აღასრულოს ზემოხსენებული საკითხების გადაწყვეტა ყოველგვარი იურიდიული ნორმებისა და ხელშეკრულების ყველა პუნქტების დაცვით“ (იხ. პარტნიორთა კრების ოქმი, ასევე – წინამდებარე განჩინების 18.3-18.3.2 ქვეპუნქტები).

26.3. საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომელიც წინამდებარე განჩინების 18.3.2 ქვეპუნქტშია ასახული და იმას ეხება, რომ პარტნიორთა კრების ოქმის შინაარსის მიხედვით, სანარმოს 100%-იანი წილის მფლობელს არ მიუნიჭებია სანარმოს დირექტორისათვის საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის (და არა ბათილად ცნობის) უფლებამოსილება 2013 წლის 1 აპრილიდან. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნის ეს ნაწილი, ბუნდოვანია, რადგან, ერთი მხრივ, სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სწორედ დღის წესრიგის მე-2 საკითხზე (რომელიც მოიჯარესთან იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტას ეხება) გამოთქვა თანხმობა სანარმოს 100%-იანი წილის მფლობელმა პარტნიორმა, თუმცა, 2013 წლის 1 აპრილიდან იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილება არ მიუციაო დირექტორისთვის (იხ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება). საქმის ხელახლა განხილვის დროს სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რას ნიშნავს კრების ოქმში მითითებული ჩანაწერი, რომ სანარმოს დირექტორს თანხმობა მისცა პარტნიორმა, რომ დროულად „დაალაგოს“ მოიჯარესთან ურთიერთობა და „დროის მოკლე მონაკვეთში აღასრულოს“ კრების ოქმში მითითებული საკითხები (დღის წესრიგით სულ ორი კონკრეტული საკითხია) იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე (მისი ყველა პუნქტისა და იურიდიული ნორმების დაცვით);

26.4. საქმის მასალებიდან და სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტებიდან გამომდინარე, ცხადია, რომ მეიჯარე საზოგადოებასა და მოიჯარე ინდემნარმეს შორის, გარდა ამ ხელშეკრულებო ურთიერთობისა, სხვა ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობს, რაზედაც თავად მოსარჩელე სანარმოსაც არ მიუთითებია. ამდენად, ბუნდოვანია სააპელაციო სა-

სამართლოს დასკვნა პარტნიორთა 2013 წლის 15 იანვრის კრების ოქმის დღის წესრიგის მე-2 საკითხთან დაკავშირებით. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დაუსაბუთებელია, თუ რა საფუძვლით გამოიციხა სასამართლომ, რომ პარტნიორთა კრებას არ მიუცია თანხმობა იმდროინდელი დირექტორისათვის მოიჯარესთან, 2013 წლის 1 აპრილიდან, შეენყვიტა ხელშეკრულება. მოსარჩელე საწარმოს ამ კონტექსტში, კრების ოქმში ასახული გარემოებების გარდა, რაიმე განსხვავებულ გარემოებაზე ან ხელშეკრულების შეწყვეტის რაიმე სხვა თარიღზე არც კი მიუთითებია;

26.5. სააპელაციო სასამართლო უთითებს, რომ საწარმოს დირექტორმა კრების ოქმის პირველი საკითხიდან გამომდინარე დააყენა საწარმოს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების სასწრაფოდ რეალიზაციის საკითხი, ხოლო მეორე საკითხი კონკრეტულად ეხება მეიჯარე საწარმოსა და ინდემწარმეს (მოიჯარეს) შორის 2011 წლის 1 ივლისს დადებული №30 საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტას და ამ საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც უცვლელად არის ზემოთ ციტირებული (იხ. 26.2 ქვეპუნქტი). სააპელაციო სასამართლომ დამატებით უნდა იმსჯელოს და შეაფასოს პარტნიორთა კრების ოქმის შინაარსი, ასევე, დაადგინოს დასახელებული კრების ოქმში მითითებული პარტნიორის თანხმობა საწარმოს დირექტორისადმი რა საკითხს ეხებოდა;

26.6. საკასაციო სასამართლო აქვე იმასაც აღნიშნავს, რომ საწარმოს ყოფილ დირექტორს – მ. კ.-ს, როგორც მოპასუხეს, არ წარუდგენია სარჩელზე შესაგებელი, რაც მხარის მიერ მის წინააღმდეგ აღძრული მოთხოვნისაგან თავდაცვის საშუალებაა; სარჩელზე პასუხის წარუდგენლობა შესაბამის პროცესუალურსამართლებრივ შედეგებს იწვევს (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №664-635-2016, 201-202 პუნქტები) და ასეთ ვითარებაში სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით (იხ. სსსკ-ის 232¹-ე მუხლის ბოლო წინადადება), შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ მოპასუხის მიერ სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საპროცესო კანონმდებლობის ზემოხსენებული დანაწესი.

27. სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი დასაბუთების ნაწილში საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, რომ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ საწარმოს პარტნიორთა კრებას იმჟამინდელი დირექტორისათვის არ მიუცია მოიჯარესთან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამო-

სიღება, მაშინ და მხოლოდ ასეთ ვითარებაში დამატებით უნდა შემონმდეს მოვლენათა განვითარების ქრონოლოგია, რათა გამოკვეთულ იქნეს მოსარჩელისათვის (სანარმოსათვის) ზიანის მიყენების სამართლებრივი საფუძვლები და ზიანის მიმყენებელ პირთა ვინაობა და მათი პასუხისმგებლობის მოცულობა გამოიკვეთოს. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ სანარმოს ყოფილ დირექტორს მ. კ.-ს ჰქონდა მინიჭებული იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილება, ცხადია, სასამართლო აღარ იმსჯელებს იჯარის ხელშეკრულების არაუფლებამოსილი პირის მიერ შეწყვეტიდან გამომდინარე ზიანის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებულობაზე, რადგან თავისთავად გამოირიცხება ზიანის მოთხოვნის ფაქტობრივი წინაპირობა.

28. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ წინამდებარე განჩინების ქვემდგომ პუნქტებში ასახული სამართლებრივი მითითებები სააპელაციო სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს იმ შემთხვევაში, თუკი მივა დასკვნამდე, რომ სანარმოს ყოფილ დირექტორს არ ჰქონდა იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილება. სანარმოს ყოფილი დირექტორის – მოპასუხე მ. კ.-ის ქმედების შეფასების ნაწილში სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიყენოს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.6 მუხლი, რომელიც დირექტორის ფიდუციურ მოვალეობებს ეხება (შდრ. სუსგ-ებს: №ას-245-230-2014, 23.10.2015წ; №ას-839-805-2016, 06.03.2017წ.)

28.1. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, იჯარის №30 ხელშეკრულება 2011 წლის 1 ივლისს გაფორმდა; ამის შემდეგ მეიჯარე სანარმომ 2012 წლის 19 დეკემბერს, მოიჯარის თხოვნით, ამ უკანასკნელის მიერ სს „ბ. ქ-თან“ არსებული 2007 წლის 21 მაისის საკრედიტო გენერალური ხელშეკრულებისა და მისგან გამომდინარე/ან მასთან დაკავშირებული ხელშეკრულებებით წარმოშობილი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, იპოთეკით დატვირთა იჯარით გაცემული ქონება. იპოთეკის საგანი განისაზღვრა 1 500 000 აშშ დოლარით (იხ. 19.12.2012წ. ხელშეკრულება; აღსანიშნავია, რომ საბოლოოდ მოსარჩელემ 1 500 000 აშშ დოლარი მოითხოვა, იხ. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება);

28.2. სასამართლო, ცხადია, ვერ გაცდება მოსარჩელის მოთხოვნის ფარგლებს და სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით უნდა შეაფასოს მხარის მოთხოვნას გააჩნია თუ არა სამართლებრივი საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში რადგან მოიჯარე, იჯარის ხელშეკრულების 4.2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ვალდებული იყო მეიჯარის (მესაკუთრის) მოთხოვნი-

დან 45 კალენდარული დღის ვადაში დაებრუნებინა იჯარის საგანი ყოველგვარი იპოთეკისა და ყადაღის გარეშე, რაც ამავე ხელშეკრულების მე-6 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების მოქმედებისა და ვადამდე შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს (იხ. იჯარის ხელშეკრულება), სააპელაციო სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს მოსარჩელის მოთხოვნის როგორც ფაქტობრივი, ისე – სამართლებრივი საფუძვლიანობა. მოსარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივ ნაწილში შესამოწმებელია, თუ როდის გაუგზავნა მეიჯარემ მოიჯარეს მოთხოვნა იჯარის საგნის დაბრუნების თაობაზე, რადგან მხოლოდ ამის შემდეგ დგება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადა – 45 კალენდარული დღე, რომლის განმავლობაში მოიჯარემ უნდა დააბრუნოს იჯარის საგანი (მინის ჩათვლით).

28.2.1. მოსარჩელე საწარმო სარჩელის მე-4 ფაქტობრივ გარემოებაში (იხ. დაზუსტებული სარჩელი) უთითებს, რომ მიუხედავად მოსარჩელის არაერთი მოთხოვნისა, მოიჯარეს შეესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, მეიჯარის ქონება დღემდე იპოთეკით არის დატვირთული. ამ ფაქტობრივი გარემოების პასუხად კი, მოიჯარე უთითებს, მოსარჩელეს არ წარუდგენია მტკიცებულება, რომ მოიჯარეს ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა წაუყენა, ხოლო 2013 წლის 11 აპრილიდან იჯარის ხელშეკრულება შეწყდა (იხ. შესაგებელი);

28.2.2. სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, როდის წაუყენა ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა მეიჯარე საწარმომ მოიჯარე ინდემწარმეს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები (იხ. წინამდებარე განჩინების 16.8.3-16.9.3 ქვეპუნქტები), რაც იმას ეფუძნება, რომ საწარმოს პარტნიორთა 2013 წლის 15 იანვრის კრების შემდეგ, მოიჯარისადმი იმავე წლის 16 იანვარს მიმართული წერილის დედანი არ არის წარდგენილი საქმეში, რაც მოპასუხემ სადავოდ გახადა, ამასთან ისიც მიუთითა, რომ წერილზე გაურკვეველი პირის და არა ინდემწარმის (მოიჯარის) მიერ იყო შესრულებული წარწერა, თუმცა, ამ წარწერის შინაარსიც სამომავლო სასესიო ურთიერთობას ეხება და არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო მეიჯარის მიერ მოიჯარისათვის მოთხოვნის წაყენებად; ასევე, შესაფასებელია მეიჯარის მიერ მოიჯარისათვის მოთხოვნის წარდგენად რამდენად შეიძლება საწარმოს 2014 წლის 5 იანვრის წერილის მიჩნევა, როდესაც არც ამ დოკუმენტის დედანია წარდგენილი (იხ. საქალაქო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები წინამდებარე განჩინების 16.8.3-16.9.3 ქვეპუნქტებში). ამ ნაწილში, სააპელაციო სასამართლოს კვლევა არ უწარმოებია, რაც მნიშვნელოვანია მოსარ-

ჩელის მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლის, რომელიც იჯარის ხელშეკრულებს 4.2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარეობს, შესაფასებლად.

29. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელში (იხ. მე-5 ფაქტობრივი გარემოება) საწარმო უთითებს, რომ საზოგადოების 100%-ის მფლობელმა პარტნიორმა ი. ე-მა მთლიანი წილი გაასხვისა კ. ნ-აზე, 1 000 000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარად და წილის გამსხვისებელმა ივალდებულა ბანკის სანივთო უზრუნველყოფისაგან – იპოთეკისაგან გაეთავისუფლებინა იჯარის ხელშეკრულების საგანი, წინააღმდეგ შემთხვევაში წილის შემძენისათვის უნდა გადაეხადა 2 100 000 (ორი მილიონ ასი ათასი) აშშ დოლარი, როგორც წილის გასხვისების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი (იხ. წინამდებარე განჩინების 11-11.2 ქვეპუნქტები). სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელე საწარმოს მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოების საფუძველზე მსჯელობა უნდა განავითაროს მოსარჩელე საწარმოს კუთვნილი ქონებისა და საზოგადოებაში პარტნიორის კუთვნილი წილის, როგორც მიმოქცევადი უფლების (იხ. „მენარმეთა შეასახებ“ საქართველოს კანონის 44.3 მუხლი: „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია წილებად. წილი არის მიმოქცევადი უფლება“), გამიჯვნაზე, ამასთან, მკაფიოდ დააადგინოს იჯარის ხელშეკრულების არამართლზომიერად შეწყვეტიდან გამომდინარე ზიანის მოთხოვნის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი, რადგან, როგორც ზემოთ უკვე განიმარტა, სარჩელის აღძვრის უფლებამოსილების მქონე პირია მხოლოდ საწარმო და არა მისი პარტნიორი;

29.1. მოსარჩელე მხარე საკასაციო პრეტენზიაში უთითებს, რომ იჯარის ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე ითხოვს, მოპასუხეებს დაეკისროთ ზიანის ანაზღაურება იჯარის ხელშეკრულების მე-4 მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების დარღვევის გამო (იხ. წინამდებარე განჩინების მე-4 პუნქტი), ამასთან, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პირველმა კასატორმა (მოსარჩელე მხარემ) მხოლოდ საკასაციო საჩივარში დააკონკრეტა, რომ მხარე ზიანს ითხოვს იჯარის ხელშეკრულების მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (იხ. ამ განჩინების 19.2.2 ქვეპუნქტი, რაც მოსარჩელეს არც სარჩელში და არც სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზეც არ მიუთითებია; ამ მიმართულებით არც სააპელაციო სასამართლოს უწარმოებია დასაბუთებული კვლევა მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე; აღსანიშნავია ისიც, აპელანტი მხოლოდ სააპელაციო საჩივარში მიჯნავს ერთმანეთისაგან ხელშეკრულების ბათილობასა

და შეწყვეტას, რაც სხვადასხვა სამართლებრივ შედეგებს იწვევს – იხ. სააპელაციო საჩივარი);

29.2. მოსარჩელე (პირველი კასატორი) თავის საკასაციო პრეტენზიაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მას საწარმოს 100%-იანი წილის გაყიდვით კი არ მიაღდა ზიანი, არამედ – მოიჯარის (ინდემნარმის) მიერ იჯარის სახელშეკრულებო პირობის, კერძოდ, მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით აღებული ვალდებულების შეუსრულებლობით. კასატორის პრეტენზიით, სააპელაციო სასამართლომ არ დაადგინა, დაარღვია თუ არა მოპასუხემ (მოიჯარემ) სახელშეკრულებო ვალდებულება (იხ. საკასაციო პრეტენზია წინამდებარე განჩინების 19.2.2-19.2.3 ქვეპუნქტები; შდრ. წინამდებარე განჩინების 14.3 ქვეპუნქტში ასახული სარჩელის ფაქტობრივი გარემოებები). მოსარჩელე ითხოვს სახელშეკრულებო პირობის დარღვევის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურებას მოპასუხეთაგან, აღნიშნული მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, მეიჯარე საწარმოსა და მოიჯარე ინდემნარმეს შორის შეწყვეტილი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სსკ-ის 992-ე, 998-ე, 408.1 და 409-ე მუხლებში უნდა იქნეს მოძიებული (იხ. სასარჩელო მოთხოვნა).

29.3. სარჩელში, წინამდებარე განჩინების 1-6 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებების გარდა, მითითებულია, რომ მოსარჩელე საწარმომ (მეიჯარემ) ინდემნარმის (მოიჯარის) თხოვნით, ამ უკანასკნელის მიერ 2007 წლის 21 მაისს სს „ბ. ქ.-უსთან“ 2 100 000 აშშ დოლარზე გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, ბანკის სასარგებლოდ, იპოთეკით დატვირთა კუთვნილი უძრავი ქონება, რომელიც იჯარის საგანს წარმოადგენდა (იხ. ამ განჩინების მე-7 პუნქტი). მოსარჩელე უთითებს, რომ მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა მოიჯარისადმი, შეესრულებინა იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი პირობები და გაეთავისუფლებინა იპოთეკისაგან ქონება, აღნიშნული ისევ იპოთეკით არის დატვირთული. მოსარჩელეს, მისი მტკიცებით, ფინანსური პრობლემები ჰქონდა და ბიზნესის გაყიდვა სურდა, მაგრამ რადგან მისი კუთვნილი უძრავი ქონება (იჯარით გაცემული) იპოთეკით იყო დატვირთული, მეიჯარე საზოგადოების დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი იძულებული გახდა მეხუთედ ფასად გაეხსვიებინა საწარმოს მთლიანი წილი კ. ნ-აზე, ამასთან, წილის გამყიდველი ვალდებულია ქონების იპოთეკისაგან გათავისუფლების გამო წილის შემძენს გადაუხადოს 1 500 000 აშშ დოლარი; საკასაციო სასამართლომ ზემოთ უკვე განმარტა, რომ მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძვლებში ერთმანეთშია აღრეული საწარმოს კუთვნილი ქონებისა და მისი მფლობელი პარტნიორის წილი, რაზედაც, როგორც უკვე აღინიშნა, არც გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაშია შე-

საბამისი კვლევა და მსჯელობა ასახული და ამ მიმართებით დამატებით უნდა შემოწმდეს მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი (იხ. 28.1 ქვეპუნქტი).

29.4. იჯარის ხელშეკრულების 4.2-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევის გამო მიყენებული ზიანის გაანგარიშებას, მოსარჩელე სანარმო უკავშირებს იმ ვალდებულებას, რომელიც მას შესასრულებელი აქვს სანარმოში 100%-იანის წილის შემძენი პირის – კ.ნ-ას წინაშე და ეხება იჯარის ხელშეკრულების საგნის იპოთეკისაგან გათავისუფლებას, რაც წილის გამსხვიებელმა ივალდებულა წილის შემძენის წინაშე. ამ შემთხვევაშიც, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს დამატებით შესამოწმებელი ფაქტობრივი გარემოებები, რადგან გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა და დასკვნები ეხება როგორც სანარმოს, ისე მისი პარტნიორის სასარგებლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილებულ მოთხოვნას (იხ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი). თავის მხრივ, მეიჯარის (სანარმოს) უძრავი ქონება 2012 წლის 19 დეკემბრის ხელშეკრულებით სს „ბ. ქ-უს“ სასარგებლოდაა დატვირთული, ამ უკანასკნელსა და მოიჯარეს (ინდემნარმეს) შორის 2007 წლის 12 მაისს გაფორმებული გენერალური ხელშეკრულებისა და მის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მოიჯარის ყველა ვალდებულების უზრუნველსაყოფად (იხ. წინამდებარე განჩინების 7-7.1 ქვეპუნქტები). საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პირველ კასატორს (მეიჯარე სანარმოს) ამ ნაწილში დამაჯერებლად არ აქვს დასაბუთებული მის მიერ მოთხოვნილი ზიანის გაანგარიშება, რაზედაც მოპასუხეებს (მეორე კასატორს) ვრცელი შედაგება აქვთ წარდგენილი, როგორც შესაგებელში, ისე საკასაციო საჩივარში. ამდენად, თუკი მოსარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველია მოიჯარის მიერ იჯარის სახელშეკრულებო პირობის შეუსრულებლობა, ასეთი უნდა დადასტურდეს სარწმუნო და სამართლებრივად ვარგისი მტკიცებულებებით და მხოლოდ ამის შემდეგ შემოწმდეს პირველი კასატორის მოთხოვნის დასაბუთებულობა ზიანის მოცულობასთან (ოდნობასთან) დაკავშირებით. ამავე კონტექსტში საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, რომ უნდა დადგინდეს: ა) იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის მართლობიერება; ბ) თუკი იჯარის ხელშეკრულება არამართლობიერად შეწყდა ყოფილი დირექტორის მიერ, მაშინ უნდა შემოწმდეს მოთხოვნა „მენარმეთა შესახებ“ კანონის 9.6 მუხლის ნორმების საფუძველზე და ამის მიხედვით განისაზღვროს, მოპასუხეთაგან ვის შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა (მოიჯარისა და მისი ოჯახის წევრების პასუხისმგებლობა გამოირიცხება სანარმოს დირექ-

ტორის არამართლზომიერი ქმედების გამო; გ) თუ იჯარის ხელშეკრულება შეწყდა მოიჯარის მიერ სახელშეკრულებო პირობის დარღვევის გამო, ეს სრულიად განსხვავებული ფაქტობრივი საფუძველია, სახელშეკრულებო მოთხოვნიდან გამომდინარეობს, თუმცა, ვინაიდან ხელშეკრულება შეწყვეტილია და მოსარჩელე მოპასუხეებისათვის (ყოფილი დირექტორის, მოიჯარისა და მისი ოჯახის წევრებისათვის) მოითხოვს პასუხისმგებლობის დაკისრებას, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი სსკ-ის 992-ე, 998-ე, 408.1, 409-ე მუხლებს უნდა დაეფუძნოს და დასახელებულ ნორმათა წინაპირობები უნდა იქნეს გამოკვლეული. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში შეუძლებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ეფუძნებოდეს როგორც საწარმოს ყოფილი დირექტორის შესაძლო არაკანონიერ ქმედებას, ისე ხელშეკრულების მონაწილე მხარის მიერ სახელშეკრულებო პირობის დარღვევას, ამ მიმართებით სააპელაციო სასამართლოს მიერ დამატებითი კვლევაა განსახორციელებელი.

29.5. ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების გამიჯვნისა და დადგენის, შესაძლო ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის გამოვლენის შემდეგ, დასადგენია, თუ რას ეფუძნება სარჩელის მიხედვით, ზიანის გაანგარიშება – საწარმოში პარტნიორის წილის გასხვისებიდან გამომდინარე მესამე პირის (წილის შემძენის) წინაშე წილის ნასყიდობის სახელშეკრულებო პირობის შეუსრულებლობას, რაშიც მოსარჩელის მტკიცებით მოიჯარეს მიუძღვის ბრალი თუ სხვა გარემოებას.

30. მოსარჩელე მხარის ერთი-ერთი მოთხოვნაა მოიჯარის მიერ საკუთარი ოჯახის წევრებთან დადებული ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, რადგან მოსარჩელის მტკიცებით, მოიჯარე (ინდემნარმე) ცდილობს მოჩვენებითი გარიგებებით (თავისი ოჯახის წევრებთან – დედასთან და ძმასთან გაფორმებული უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულებებით – იხ. ამ განჩინების 12-13 პუნქტები) თავი აარიდოს მოსარჩელის მოთხოვნებს, ეს გარიგებები არ არის ნამდვილი, რის გამოც ისინი ბათილად უნდა იქნეს მიჩნეული (იხ. დაზუსტებული სარჩელი). საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველთან (იჯარის ხელშეკრულების 4.2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ზიანის ანაზღაურების მოიჯარესთან ერთად, სოლიდარულად, მისი ოჯახის წევრებისათვის დაკისრება) მოიჯარის ოჯახის წევრების კავშირი არ იკვეთება, რადგან ეს უკანასკნელნი არ ყოფილან მეიჯარესთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში, ამასთან, მოიჯარის მიერ საკუთარი ოჯახის წევრებთან დადებული ჩუქების ხელშეკრულებების ბათი-

ლად ცნობის მიმართ მოსარჩელის იურიდიული ინტერესი არაა გამოკვეთილი (სსსკ-ის 180-ე მუხლი; იხ. ქვემოთ წინამდებარე განჩინების 34-ე პუნქტი).

31. საკასაციო სასამართლომ ზემოთ უკვე მიუთითა მოსარჩელის მოთხოვნის შემონგების ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებზე. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ სადავო ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნობის ნაწილში სსკ-ის 56.1 მუხლის წინაპირობები განხორციელებული არ არის (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა და დასკვნები, 4.13 ქვეპუნქტი), რასაც საკასაციო სასამართლო იზიარებს და ამ ნაწილში დამატებითი კვლევა აღარ უნდა განხორციელოს სააპელაციო სასამართლომ.

32. საკასაციო სასამართლომ, ასევე, არ დააკმაყოფილა პირველი კასატორის საკასაციო პრეტენზია სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული საოქმო განჩინებების გაუქმების შესახებ, რადგან პროცესუალურსამართლებრივად დასაბუთებულად და კანონიერად მიაჩნია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა 2016 წლის 21 ივნისისა (იხ. სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი 17:04:30-დან) და იმავე წლის 5 ივლისის (იხ. სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი 17:02:39-დან) განჩინებები.

32.1. მოსარჩელე მხარის (აპელანტის) მიერ წარდგენილი საქმის მასალები სხვა სამოქალაქო დავას ეხება და საკასაციო სასამართლოს შეფასებით, გარდა იმისა, რომ ისინი წერილობითი ფორმით არ იქნა წარდგენილი მხარის მიერ, ამ მტკიცებულებებით შეუძლებელია მოსარჩელისათვის მოპასუხეთა მიერ მიყენებული ზიანის დამტკიცება. მხარეთა დისპოზიციურობის, შეჯიბრებითობისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპები ფუნდამენტურია და ფასდება მოსარჩელის მიერ წარდგენილი სარჩელისა და მისგან თავდასაცავად მოპასუხის მიერ წარდგენილი შესაგებლის ფარგლებში, მხარეთა მიერ სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე, მთავარი სხდომის გახსნამდე, წარდგენილი განმარტებებითა და მტკიცებულებებით; მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მართებულად იხელმძღვანელა სსსკ-ის 215-ე, 380-ე, 382-ე მუხლებით და არ არსებობს დასახელებული საოქმო განჩინებების გაუქმების პროცესუალურსამართლებრივი საფუძველი.

32.2. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, რომ სარჩელის პასუხად წერილობითი შესაგებელი წარადგინეს მოიჯარემ და მისი ოჯახის წევრებმა – დედამ და ძმამ, ხოლო მეიჯარე სანარმოს ყოფილ დირექტორს შესაგებელი არ წარუდგენია, მან პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე მხოლოდ ის განმარტა, რომ ძმებ ყ-ებს არაერთხელ სთხოვა იპოთეკით დატ-

ვირთული ქონების გათავისუფლება (იხ. წინამდებარე განჩინების 15.4 ქვეპუნქტი); ასევე, განმარტა, რომ 2013 წლის 11 აპრილის შეთანხმებაზე (იხ. ამ განჩინების მე-10 პუნქტი) მისი ხელმოწერა იყო და არსებული იჯარის ხელშეკრულება უნდა გაუქმებულიყო და ახალი ხელშეკრულება დადებულიყო (იხ. ზემოთ 26.1 ქვეპუნქტი);

32.3. მოიჯარემ და მისი ოჯახის წევრებმა (დედამ და ძმამ) წერილობით წარდგენილი შესაგებლით არ ცნეს მათ წინააღმდეგ აღძრული სარჩელი და განმარტეს, რომ მეიჯარე საწარმოსთან 2011 წლის 1 ივლისს გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, თუმცა, მხარეთა (მეიჯარისა და მოიჯარის) 2013 წლის 11 აპრილის შეთანხმებით შეწყდა და სწორედ ამ საფუძვლით არ აქვს კავშირი დავასთან მოსარჩელის მიერ მითითებულ სხვა ფაქტობრივ გარემოებებს. მოპასუხეებმა სადავო გახადეს სარჩელში მითითებული მე-3 ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ სს „ბ. ქ-უმ“ 2 100 000 აშშ დოლარი მისცა მოპასუხეს, ამ უკანასკნელის თხოვნით მეიჯარის მიერ იჯარის საგნის იპოთეკით დატვირთვის სანაცვლოდ. მოპასუხეებმა შესაგებელში მიუთითეს, რომ მოსარჩელეს არ წარუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მოიჯარემ მართლაც მიიღო ბანკისაგან დასახელებული თანხა. მოპასუხეებმა სადავო ისიც გახადეს, რომ მოსარჩელე არათანმიმდევრული იყო საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბების დროს, რადგან გაუგებარია, რას ითხოვდა – თუ საიჯარო ქონების იპოთეკისაგან გათავისუფლებას, საამისო მტკიცებულება არ წარუდგენია. რეალურად მხარეთა (მეიჯარე საწარმოსა და მოიჯარე ინდემნარმეს შორის) შეთანხმებით იჯარის ხელშეკრულება შეწყვეტილია;

32.4. მოპასუხეებმა სადავო გახადეს მეიჯარე საწარმოსათვის ზიანის მიყენების ფაქტი, ასევე ის, თუ ვინ მიაყენა საწარმოს ზიანი ან რით დასტურდება ზიანის ფაქტი, რადგან შესაბამისი მტკიცებულება სარჩელს არ ერთვის. შესაგებელში მითითებულია, რომ მოიჯარის მიერ საკუთარი ოჯახის წევრებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს უძრავი ქონების გასხვისების თაობაზე არავითარი კავშირი არ აქვს დავის საგანთან, რადგან მოსარჩელე ვერ ამტკიცებს მისთვის ზიანის მიყენების ფაქტს. მოპასუხეები არ დაეთანხმნენ სარჩელში მითითებულ არც იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მეიჯარე საწარმოს 100%-იანი წილის მფლობელი იძულებული გახდა, მეხუთედ ფასად გაესხვისებინა საწარმოს მთლიანი წილი, რადგან მოპასუხეთა მტკიცებით, არც საწარმოს პარტნიორის ამგვარი იძულება დასტურდება და არც ის, თუ რა ღირს 100%-იანი წილი საწარმოში. საწარმოს 100%-იანი წილის გამსხვისებელსა და წილის შემძენს შორის არსებული კერძოსამართლებრივი ხასიათის ურთიერთობა არ ეხებათ მოპასუხეებს (იხ. შესაგებელი);

32.5. მოპასუხეებმა დაზუსტებულ შესაგებელში დამატებით მიუთითეს, რომ დაზუსტებულ სარჩელში მხარის მითითება იმაზე, რომ №30 საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტა მხოლოდ საწარმოს პარტნიორთა კრების და მისი წერილობითი თანხმობით იყო შესაძლებელი, ხანდაზმულ მოთხოვნას წარმოადგენს, რადგან მოპასუხეებმა ჯერ კიდევ 2014 წლის 20 ნოემბერს წარადგინეს პირველად შესაგებელი, რომელსაც ერთვოდა 2013 წლის 11 აპრილის შეთანხმება იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე (იხ. ამ განჩინების 15.3 ქვეპუნქტი). 2013 წლის 11 აპრილს არა მარტო გაფორმდა შეთანხმება საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, არამედ ფაქტობრივად დასრულდა მხარეთა შორის ეს კონკრეტული ურთიერთობა, რაც ასახულია შეთანხმებაში (იხ. შესაგებელი დაზუსტებულ სარჩელზე).

33. მეორე კასატორის (მოპასუხეთა) ზემოხსენებულ პრეტენზიასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი ადგენს ხანდაზმულობასა და გასაჩივრების ვადებს, კერძოდ, მე-2 ნაწილით განსაზღვრულია: „დაუშვებელია პარტნიორთა კრების, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრება შესაბამისი ოქმის შედგენიდან 2 თვის გასვლის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კრება (სხდომა) მოწვეულ იქნა ან ჩატარდა კანონის ან წესდების ნორმათა უხეში დარღვევით; ამ შემთხვევაში გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა ერთი წელია“. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარეს სადავოდ არ გაუხდია პარტნიორთა კრების მოწვევა, არც კრების ოქმი გაუსაჩივრებია, არც მასზე ხელმოწერა გაუხდია სადავოდ. სააპელაციო სასამართლოს დასკვნას პარტნიორთა კრების ოქმის შინაარსის შეფასებასთან დაკავშირებით არ ეთანხმება მეორე კასატორი (მოპასუხე) და მიეჯარე საწარმოს მიერ 2014 წლის 5 ნოემბერს წარდგენილი სარჩელის პასუხად იმავე წლის 20 ნოემბერს შეტანილ შესაგებელზე თანდართულ 2013 წლის 11 აპრილის შეთანხმებაზე უთითებს და დაზუსტებული სარჩელის მე-8 ფაქტობრივი გარემოების (01.07.2011წ. №30 საიჯარო ხელშეკრულება თავისი შინაარსით მოსარჩელის უძრავი ქონების ფლობისა და განკარგვის საკითხებს ეხება და მისი ბათილად ცნობა მხოლოდ შპს-ის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებითა და წერილობითი თანხმობით იყო შესაძლებელი – იხ. დაზუსტებული სარჩელი) პასუხად წარდგენილ დაზუსტებულ შესაგებელში განმარტავს, რომ იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე 11.04.2013წ. შეთანხმების არსებობა მოსარჩელემ, ჯერ კიდევ, მოპასუხის მიერ პირველი შესაგებლის შეტანის ეტაპზე – 2014 წლის 20 ნოემბერს შეიტყო, ხოლო დაზუსტებული სარჩელი

მხარემ 2015 წლის აპრილში წარადგინა, შესაბამისად, მოპასუხის მტკიცებით დასტურდება, რომ სასარჩელო მოთხოვნა ამ ნაწილში ხანდაზმულია;

33.1. ზემოხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დამატებით უნდა იმსჯელოს და დაადგინოს, იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა წარმოშობილია, ვის წინააღმდეგ (საწარმოს ყოფილი დირექტორის თუ მოიჯარე ინდემნარმის) არის იგი მიმართული და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიკვლიოს, რა ნაწილში მიაჩნია მოპასუხეს სარჩელის მოთხოვნა ხანდაზმული და დაასაბუთოს განხორციელებადა თუ არა სარჩელი. ასეთ ვითარებაში დასადგენი იქნება ხანდაზმულობის შესაგებლის შინაარსი, კერძოდ, რაზე უთითებს მოპასუხე: ა) 2013 წლის 15 იანვრის კრების ოქმი „მენარმეთა შესახებ“ კანონით დადგენილი წესით არ გაუსაჩივრებია საზოგადოების პარტნიორს, მან მისცა თანხმობა ყოფილ დირექტორს საწარმოს ქონების განკარგვაზე და, შესაბამისად, კრების ოქმის შედეგები ძალაშია; ბ) იმ დაშვებითაც, რომ საწარმოს პარტნიორს არ მიუცია თანხმობა დირექტორისათვის საზოგადოების კუთვნილ უძრავ ქონებაზე არსებული საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, კრების ოქმის გაუსაჩივრებლობის გამო, მისი შედეგები მაინც ძალაშია და დირექტორის მიერ 2013 წლის 11 აპრილს დადებული შეთანხმება მოიჯარესთან საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტაზე ნამდვილია;

33.2. სააპელაციო სასამართლო ვალდებულია მოსარჩელისა და მოპასუხის მიერ მითითებული ფაქტებისა და წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, მხარეთათვის დამაზუსტებელი შეკითხვების დასმის გზით, გამოარკვიოს რას გულისხმობს მხარე კონკრეტული ფაქტობრივი გარემოების მითითებისას და გამყარებულია თუ არა იგი შესაბამისი მტკიცებულებით, რაც განაპირობებს მტკიცების ტვირთის სამართლიანად და სწორად განაწილებას მხარეებს შორის.

33.3. პარტნიორთა კრების ოქმის შინაარსისა და მოთხოვნის განხორციელებადაობის საკითხის შემონმების შემდეგ, ანუ თუკი სარჩელის კონკრეტული მოთხოვნა არ არის ხანდაზმული, ასევე მნიშვნელოვანია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაადგინოს, საბოლოოდ თუკი პარტნიორთა კრებამ თანხმობა მისცა დირექტორს მოიჯარესთან საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტაზე, 2013 წლის 11 აპრილის შეთანხმება წარმოადგენს თუ არა ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს (სწორედ ამ მიმართებით არის მეორე კასატორის /მოპასუხეების/ ძირითადი პრეტენზია წამოყენებული, რაც ცხადია, მითითებული იყო შესაგებელში /მ.შ. დაზუსტებულში/, წინააღმდეგ შემთხვევაში საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე

სასამართლო ამაზე ვეღარ იმსჯელებდა), შესაბამისად, თუ სააპელაციო სასამართლო დაადგენს, რომ 2013 წლის 11 აპრილის შეთანხმებით მხარეთა შორის იმავე წლის 1 აპრილიდან შეწყდა საიჯარო ურთიერთობა, მაშინ, ცხადია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა არარსებულ ხელშეკრულებას ვერ დაეფუძნება.

34. საკასაციო სასამართლოს წინააღმდეგობრივად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა და დასკვნები, კერძოდ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიხედვით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი მეიჯარე საზოგადოების დირექტორსა და მოიჯარეს (ინდემნარმეს) შორის 2013 წლის 11 აპრილს გაფორმებული შეთანხმება 2011 წლის 1 ივლისის №30 საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, ხოლო დანარჩენ ნაწილში (ზიანის ანაზღაურებისა და გარიგებების ბათილად ცნობის) სარჩელის უარყოფის შესახებ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

34.1. სააპელაციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ მოსარჩელემ, სარჩელში მითითებული გარემოებებისა და შეფასებების გათვალისწინებით, ვერ დაადასტურა მოპასუხის მიერ მისთვის ზიანის მიყენების ფაქტობრივი გარემოება (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილება), შესაბამისად, მხარეთა შორის 2013 წლის 11 აპრილს დადებული შეთანხმების ბათილად ცნობა (იმ პირობებში, როდესაც არა ბათილად ცნობის, არამედ ხელშეკრულების შეწყვეტაზე სანარმოს ყოფილი დირექტორის უფლებამოსილების ნამდვილობის საკითხი დამატებით გამოსაკვლევიან, რა ნაწილშიც ახალი გადაწყვეტილება მიიღო სააპელაციო სასამართლომ), გაუგებარია სამართლებრივად როგორ აუმჯობესებს მოსარჩელის მდგომარეობას, თუ იგი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ვერ დაიკმაყოფილებს; ზემოხსენებული შეთანხმების ბათილად ცნობა იმას ნიშნავს, რომ მხარეებს შორის კვლავ არსებობს იჯარის ხელშეკრულება? ხომ არ იქნება ეს იძულებითი კონტრაპირება? ასეთ ვითარებაშიც კი, მოსარჩელე მაინც ვერ იუმჯობესებს სამართლებრივად თავის მდგომარეობას, რადგან თუკი იჯარის სახელშეკრულებო ურთიერთობა არსებობს, ამასთან, მოსარჩელე მოთხოვნის (ზიანის ანაზღაურების მოპასუხეთათვის დაკისრებას) დაკმაყოფილებას მაინც ვერ შეძლებს, მაშინ სასამართლოს გადაწყვეტილებით რას ღებულობს, იბრუნებს თუ ინაზღაურებს მოსარჩელე?

35. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაცია ნაწილობრივ წინააღმდეგობრივი და სამართლებრივად დაუსაბუთებელია, ერ-

თი მხრივ, სააპელაციო სასამართლო უთითებს, რომ „განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა არ გამომდინარეობს იჯარის ხელშეკრულების მე-4 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებიდან; სარჩელის მიხედვით მხარე მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას, თუმცა, როგორც აღინიშნა, არ დგინდება რას ემყარება მოსარჩელის პრეტენზია სანარმოს პარტნიორის მიერ ნილის შემცირებულ ფასად გაყიდვის, აღნიშნულზე მოპასუხის პასუხისმგებლობის არსებობის და მისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ 1 500 000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე“ (იხ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება), ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლო ბათილად ცნობს მხარეთა შეთანხმებას იმ ხელშეკრულების შეწყვეტაზე, რომელსაც, როგორც სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, მოსარჩელის მოთხოვნა არ ემყარება, ამასთან, არაა დასაბუთებული მხარის ნამდვილი იურიდიული ინტერესის არსებობა შეთანხმების ბათილად ცნობის ნაწილში.

36. საკასაციო სასამართლოს დიდმა პალატამ (საქმე №664-635-2016. 02.03.2017წ; 231-234 პუნქტები) განმარტა: „დიდი პალატა ყურადღებას გაამახვილებს მოსარჩელეთა მოთხოვნაზე, რომელიც ეხება სადავო გარიგებების ბათილობას და განმარტავს, რომ სსსკ-ის 180-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს ალიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელი შემდეგი კრიტერიუმები: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) ალიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, ალიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა (იხ. სუსგ №ას-838-802-2014, 19.03.2015წ.). დიდი პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ალიარებითი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი ალიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს, მაგალითად, მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიკუთვნება, არამედ უფლების სადავოობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ ვარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, წარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდებენ. მიკუთვნე-

ბითი სარჩელებისგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათის მატარებელია და იურიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა (იხ. სუსგ, 10.11.2015, საქმეზე №ას-937-887-2015); (იხ. სუსგ-ები №ას-17-14-2015, 01.07.2015წ.; №ას-1069-1008-2015, 16.12.2015წ.; №ას-869-819-2015, 11.12.2015წ.; №ას-773-730-2015, 08.09.2015წ.; №ას-181-174-2016, 06.05.2016წ.; №ას-1025-967-2015, 23.12.2015წ.; №ას-323-308-2016, 03.06.2016წ.; №ას-407-390-2016, 10.6.2016წ.; №ას-375-359-2016, 17.06.2016წ.). მოთხოვნის საფუძვლების დადგენისა და შემონმების შემდეგ, გარიგებების ბათილობა ფაქტობრივ წინაპირობად უნდა იქნეს მიჩნეული და არა დამოუკიდებელ მოთხოვნად. შესაბამისად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სწორედ აღსრულებითი სარჩელის განხილვის შედეგი და არა კონკრეტულ გარიგებათა ბათილად ცნობა მიეთითება, რადგან თავისთავად გარიგების ბათილად ცნობა არ იწვევს რაიმე იურიდიულ შედეგს, თუკი წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით აღიარებითი სარჩელი არ იხილება (იხ. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 17 მარტის განჩინების დასკვნები 55-56-ე პუნქტებში, საქმე №ას-121-117-2016). როგორც არაერთხელ აღინიშნა, მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის შემონმება სასამართლოს პრეროგატივაა, შესაბამისად, სასამართლოს მიერ კანონის ნორმის მოძიება, რომელიც განსაზღვრული შემადგენლობის ნიშნების არსებობისას ერთ მხარეს ანიჭებს უფლებას, მეორე მხარისაგან მოითხოვოს შესრულება, მოქმედება ან თავის შეკავება, არ საჭიროებს ამ მოთხოვნის იურიდიული შედეგის მიღწევის თვალსაზრისით, კონკრეტული გარიგების თუ აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნის დამოუკიდებლად დაყენებას“. (შდრ. საქმე №1221-1146-2015, 20.05.2016წ. 30-ე პუნქტი – „საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გარიგებების ბათილობა მიკუთვნებითი ხასიათის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი ფაქტობრივი წინაპირობაა და არა დამოუკიდებელი მოთხოვნა, რადგანაც ამ გზით მოსარჩელის მიზანი ვერ მიიღწევა, რომელიც მოსარჩელეს სურს“).

37. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს უნდა გაითვალისწინოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგი, როგორც კონკრეტულ მხარეთა სასარგებლოდ თუ საწინააღმდეგოდ მიღებული დასკვნა, რომელიც უნდა იყოს აღსრულებადი.

38. სამართალწარმოების მიზანი პირის დარღვეული უფლების დაცვა და აღდგენაა, რაც მოიცავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების პროცესს. გადაწყვეტილება აღსრულებადი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილებითაც კი ვერ დაკმაყოფილდება მისი სამართლებრივი ინტერესი (იხ. სუსგ №ას-595-554-2017, 15.12.2017წ.).

39. სსსკ-ის 394-ე მუხლი ადგენს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებს, რომელთაგან მოცემულ შემთხვევაში გამოვლენილია „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა: „გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული“, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება. ზემოხსენებული მოტივაციითა და სავალდებულო სამართლებრივი შეფასების ფარგლებში, სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საქმე ხელახლა განსახილველად უბრუნდება იმავე სასამართლოს საკასაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ნაწილში დამატებითი შემონიშნებისა და გამოკვლევის მიზნით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. შპს „თ-ის“ და ი. ე-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. ი/მ ს. ყ-ის, ნ. ყ-ისა და ვ. ქ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ნარდობა

საზღაურის გადახდა შესრულებული სამუშაოსთვის

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფოს

№ას-537-537-2018

15 თებერვალი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ა.ს.ს-ოსა“ (შემდეგში: მოსარჩელე, მენარდემ ან მიმწოდებელი) და შპს „ს.გ.ტ.“ კომპანიას (შემდეგში: მოპასუხე, კასატორი, შემკვეთი ან შემსყიდველი) შორის დაიდო ხუთი ხელშეკრულება:

1.1. 30.08.2016 წლის №301.06.16 ხელშეკრულება – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ... გაზიფიცირებისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების შესრულების თაობაზე. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ჯამი განისაზღვრა 299 900 ლარით, შესრულებული სამუშაოები – 279 518.66 ლარით, მენარდემ სამუშაოები შეასრულა 44 დღის ვადაგადაცილებით, მენარდემ დაერიცხა პირგასამტეხლო – 26 608.18 ლარი, შემკვეთმა შესრულებული სამუშაოს ღირებულებაში გაქვითა პირგასამტეხლო და მენარდემ გადაუხადა 252 910.50 (279 518.66-26 608.18) ლარი;

1.2. 30.08.2016 წლის №302.06.16 ხელშეკრულება – გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ... გაზიფიცირებისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების შესრულების თაობაზე. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ჯამი განისაზღვრა 647 671.82 ლარით, შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 277 915.07 ლარი, მენარდემ სამუშაოები შეასრულა 57 დღის ვადაგადაცილებით, მენარდემ დაერიცხა პირგასამტეხლო – 75 300.76 ლარი, შემკვეთმა შესრულებული სამუშაოს ღირებულებაში გაქვითა პირგასამტეხლო და მენარდემ გადაუხადა 202 614.31 (277 915.07-75 300.76) ლარი;

1.3. 09.09.2016 წლის №321.06.16 ხელშეკრულება – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფლების: ... და ... გაზიფიცირებისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების შესრულების თაობაზე. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ჯამი განისაზღვრა 997 240.43 ლარით, შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 929 799.92 ლარი, მენარდემ სამუშაოები შეასრულა 146 დღის ვადაგადაცილებით, მენარდეს დაერიცხა პირგასამტეხლო – 37 997.05 ლარი, შემკვეთმა შესრულებული სამუშაოს ღირებულებაში გაქვითა პირგასამტეხლო და მენარდეს გადაუხადა 891 802.92 (929 799.92-75 300.76) ლარი;

1.4. 26.09.2016 წლის №347.06.16 ხელშეკრულება – გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ... გაზიფიცირებისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების შესრულების თაობაზე. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ჯამი განისაზღვრა 859 634.44 ლარით, შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 829 080.26 ლარი, მენარდემ სამუშაოები შეასრულა 58 დღის ვადაგადაცილებით, მენარდეს დაერიცხა პირგასამტეხლო – 30 597.11 ლარი, შემკვეთმა შესრულებული სამუშაოს ღირებულებაში გაქვითა პირგასამტეხლო და მენარდეს გადაუხადა 798 483.15 (829 080.26-30 597.11) ლარი;

1.5. 21.11.2016 წლის №409.06.16 ხელშეკრულება – ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ... და დაბა ... გაზიფიცირებისათვის საჭირო მკვებავი გაზსადენის სამშენებლო სამუშაოების შესრულების თაობაზე. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ჯამი განისაზღვრა 1 097 836.00 ლარით, შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 781 893.85 ლარი, მენარდემ სამუშაოები შეასრულა 80 დღის ვადაგადაცილებით, მენარდეს დაერიცხა პირგასამტეხლო – 625 515.08 ლარი. შემკვეთმა შესრულებული სამუშაოს ღირებულებაში გაქვითა პირგასამტეხლო (625 515.08 ლარი), ასევე, იმ მასალის ღირებულება, რომელიც მენარდემ სამუშაოების შესასრულებლად მიიღო შემკვეთისაგან და უკან აღარ დააბრუნა (17 917.99 ლარი) და მენარდეს გადაუხადა 138 460.78 (781 893.85-643 433.62) ლარი.

2. ყველა ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო პირგასამტეხლო შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

3. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის წინააღმდეგ თანხის დაკისრების მოთხოვნით.

3.1. მოსარჩელის განმარტებით, მასა და მოპასუხეს შორის დაიდო ხუთი ხელშეკრულება, რომელთა მიხედვითაც, ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა შეესრულებინა შე-

საბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ. მოსარჩელემ შეასრულა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოები, თუმცა მოპასუხემ მას შეთანხმებული ანაზღაურების მხოლოდ ნაწილი გადაუხადა, კერძოდ: 30.08.2016 წლის №301.06.16 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მენარდემ შეასრულა 279 518.66 ლარის სამუშაო, შემკვეთმა შესრულებული სამუშაოს ღირებულებაში გაუქვითა პირგასამტეხლო 26 608.18 ლარი და, საბოლოოდ, მენარდეს გადაუხადა 252910.50 ლარი; 30.08.2016 წლის №302.06.16 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მენარდემ შეასრულა 277 915.07 ლარის სამუშაო, შემკვეთმა შესრულებული სამუშაოს ღირებულებაში გაუქვითა პირგასამტეხლო 75 300.76 ლარი და, საბოლოოდ, მენარდეს გადაუხადა 202 614.31 ლარი; 09.09.2016 წლის №321.06.16 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მენარდემ შეასრულა 929 799.92 ლარის სამუშაო, შემკვეთმა შესრულებული სამუშაოს ღირებულებაში გაუქვითა პირგასამტეხლო 37 997.05 ლარი და, საბოლოოდ, მენარდეს გადაუხადა 891 802.92 ლარი; 26.09.2016 წლის №347.06.16 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მენარდემ შეასრულა 829 080.26 ლარის სამუშაო, შემკვეთმა შესრულებული სამუშაოს ღირებულებაში გაუქვითა პირგასამტეხლო 30 597.11 ლარი და, საბოლოოდ, მენარდეს გადაუხადა 798 483.15 ლარი; 21.11.2016 წლის №409.06.16 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მენარდემ შეასრულა 781 893.85 ლარის სამუშაო, შემკვეთმა შესრულებული სამუშაოს ღირებულებაში გაუქვითა პირგასამტეხლო 643 433.62 ლარი და მენარდეს 138 460.78 ლარი გადაუხადა.

3.2. მოსარჩელის განმარტებით, მას ზემოხსენებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადები არ დაურღვევია, კერძოდ, მართალია, ფორსმაჟორული გარემოებების გამო, მან დროულად ვერ დაასრულა სამუშაოები, მაგრამ შემკვეთთან შეთანხმებით ხუთივე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადები გაგრძელდა. მენარდემ გაგრძელებულ ვადებში დაასრულა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოები. აქედან გამომდინარე, რაკი მას შეთანხმებული ვადები არ დაურღვევია, შემკვეთი არ იყო უფლებამოსილი, დაერიცხა პირგასამტეხლო და შესრულებული სამუშაოების ღირებულებაში გაექვითა. გარდა ამისა, მოსარჩელის განმარტებით, დარიცხული პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალიც იყო.

3.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა მის მიერ შესრულებულ სამუშაოთა ღირებულების იმ ნაწილის ანაზღაურება, რომელიც მოპასუხემ არასწორად გაუქვითა დარიცხულ პირგასამტეხლოში, კერძოდ, მოსარჩელემ მოითხოვა, მოპასუხეს დაჰკისრებოდა 813 936.72 ლარის გადახდა მოსარჩელის სა-

სარგებლოდ. გარდა ამისა, მოსარჩელემ მოითხოვა 198 064.35 ლარის გადახდის დაკისრება მოპასუხისათვის, რაც, მისი მოსაზრებით, შემკვეთის მიერ უსასყიდლოდ გადაცემული მასალის ღირებულება იყო.

4. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო, წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი და განმარტა შემდეგი: მენარდის მიერთებული ფორსმაჟორული გარემოებები არ არსებობდა, შესაბამისად, მენარდემ დაარღვია ხუთივე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადები, კერძოდ, 30.08.2016 წლის №301.06.16 ხელშეკრულების შესრულების ვადას მენარდემ 44 დღით გადააცილა, 30.08.2016 წლის №302.06.16 ხელშეკრულების ვადას – 57 დღით, 09.09.2016 წლის №321.06.16 ხელშეკრულების ვადას – 146 დღით, 26.09.2016 წლის №347.06.16 ხელშეკრულების ვადას – 58 დღით, ხოლო 21.11.2016 წლის №409.06.16 ხელშეკრულების ვადას – 80 დღით. აქედან გამომდინარე, მენარდეს დაერიცხა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო და ხელშეკრულებითვე გათვალისწინებული წესით გაექვითა შესრულებული სამუშაოების ღირებულებაში. მოპასუხის განმარტებით, მენარდე არასწორად მიიჩნევდა, რომ მას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადები შემკვეთთან შეთანხმებით გაუგრძელდა, კერძოდ, ვადების გაგრძელების თაობაზე მართლაც შეთანხმდნენ, მაგრამ ამით გაგრძელდა ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ცვლილება არ შესულა ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების ვადებში, ამასთან, ხელშეკრულებათა მოქმედების ვადები გაგრძელდა სამუშაოთა შესრულების თავდაპირველად შეთანხმებული ვადების გასვლიდან ერთი თვის შემდეგ, რა დროსაც მენარდეს უკვე დარიცხული ჰქონდა შესაბამისი პირგასამტეხლო.

5. მოპასუხის შესაგებელს მოსარჩელემ წერილობით უპასუხა და მიუთითა შემდეგი: შემკვეთი არასწორად განმარტავს ვადის გაგრძელების თაობაზე შეთანხმებას, კერძოდ, მოპასუხის მოსაზრებით, ხელშეკრულებაში იგულისხმეს ვადის გაგრძელება შესაბამისი საბუთების წარდგენისათვის და არა სამშენებლო სამუშაოების დასრულებისათვის. ეს მოსაზრება მცდარია. ჯერ ერთი, ვადის გაგრძელების თაობაზე გაფორმებულ ყველა შეთანხმებაში პირდაპირაა მითითებული, რომ მიმწოდებელი (მენარდე) ვალდებულია, შეთანხმებაში აღნიშნული ვადის გასვლამდე დაასრულოს სამშენებლო სამუშაოები და წარუდგინოს შემსყიდველს (შემკვეთს) ხელშეკრულებაში მითითებული საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა. აქედან გამომდინარე კი, ცხადია, რომ გაგრძელებული ვადა არ ეხებოდა მხოლოდ საბუთების წარდგენას და მოსარჩე-

ლეს სწორედ სამუშაოების დასასრულებლად გაუგრძელდა. შეთანხმებული ვადის დაცვით მენარდემ ყველა სამუშაო შეასრულა, შესაბამისად, მას ვალდებულების შესრულების ვადები არ დაურღვევია და პირგასამტეხლოც არ უნდა დარიცხვოდა.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით:

6.1. სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს დაეკისრა 651 148.94 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ;

6.2. არ დაკმაყოფილდა სარჩელი 198 064.35 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე.

7. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მას ვალდებულება არ დაურღვევია, დაადგინა წინამდებარე გადაწყვეტილების 1-2 პუნქტებში მითითებული გარემოებები და მიიჩნია, რომ, რაკი მენარდემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება დაარღვია (გადააცილა სამუშაოების შესრულების ვადას), შემკვეთს შეეძლო, მენარდისათვის პირგასამტეხლო დაერიცხა, ხოლო ხელშეკრულების შესაბამისი პირობისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 442-ე და 444-ე მუხლების საფუძველზე, დარიცხული პირგასამტეხლო გაექვითა მენარდისათვის ასანაზღაურებელ თანხაში. ამასთან, სსკ-ის 420-ე მუხლზე დაყრდნობით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მენარდისათვის დარიცხული პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალი იყო და გონივრულ ოდენობამდე, კერძოდ, 813 936.72 ლარიდან 162 787.34 ლარამდე უნდა შემცირებულიყო, შესაბამისად, ამ ნაწილში სასამართლომ სარჩელი მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა. რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას მოპასუხისათვის 198 064.35 ლარის დაკისრების თაობაზე, სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია და არ დააკმაყოფილა.

8. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოპასუხემ და ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 6 მარტის განჩინებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

10. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასება და, რაკი დაუსაბუთებლად მიიჩნია აპელანტის პრეტენზია პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე, გა-

საჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.

11. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა მოპასუხემ და გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა შემდეგი საფუძვლებით:

11.1. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა ვერ დაასაბუთეს პირგასამტეხლოს შემცირების აუცილებლობა;

11.2. არცერთი ინსტანციის სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელმოწერით მენარდემ აღიარა და დაადასტურა დარიცხული პირგასამტეხლოს მოცულობა.

11.3. სასამართლომ არასწორად დაიანგარიშა, 21.11.2016 წლის №409.06.16 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს გაქვითვის შედეგად დარჩენილი ასანაზღაურებელი თანხა.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 3 მაისის განჩინებით, წარმოებაში იქნა მიღებული მოპასუხის საკასაციო საჩივარი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ-ის) 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო ამავე სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის განჩინებით, სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

13. საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

14. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. განსახილველ შემთხვევაში, კასატორმა ნაწილობრივ დასაშვები და დასაბუთე-

ბული პრეტენზია (შედავება) წარმოადგინა 21.11.2016 წლის №409.06.16 ხელშეკრულებიდან გამომდინარე მენარდისათვის ასანაზღაურებელი თანხის არასწორად დაანგარიშების თაობაზე.

15. მოსარჩელის მოთხოვნა მის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების თაობაზე ეფუძნება სსკ-ის 629.1 მუხლს (ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შეკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური). მითითებული ნორმის მიხედვით, მენარდე უფლებამოსილია, შემკვეთისაგან მოითხოვოს ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება. სსკ-ის 629.1 მუხლით გათვალისწინებული ამ სამართლებრივი შედეგის მისაღებად შესრულებული უნდა იყოს შემდეგი წინაპირობები: ა) მხარეთა შორის დადებული უნდა იყოს ნარდობის ხელშეკრულება; ბ) მენარდეს შესრულებული უნდა ჰქონდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო; გ) შემკვეთს არ უნდა ჰქონდეს ანაზღაურებული შესრულებული სამუშაო.

16. განსახილველ შემთხვევაში, სადავო არაა, რომ მენარდემ შეასრულა ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული 3 098 208.17 ლარის სამუშაო, შემკვეთმა კი გადაიხადა 2 284 272.00 ლარი, ანუ – 813 936.17 ლარით ნაკლები. სწორედ ამ თანხის გადახდას მოითხოვს მენარდე შემკვეთისაგან. შემკვეთის შესაგებელი მითითებული თანხის გადაუხდელობის თაობაზე ეფუძნება იმ გარემოებას, რომ მენარდემ დაარღვია ხუთივე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულების ვადები, რის გამოც მას დაეკისრა პირგასამტეხლო 796 018.18 ლარი. ეს თანხა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის თანახმად, შემკვეთმა გაქვითა მენარდისათვის ასანაზღაურებელ თანხაში. გარდა ამისა, სამუშაოების შესასრულებლად შემკვეთმა მენარდეს გადასცა 3 602.17 მეტრი სიგრძის მილი, რომლის გაუხარჯავი ნაწილი (17 917.99 ლარის) მენარდემ შემკვეთს არ დაუბრუნა, ამიტომ შემკვეთმა ეს თანხაც გაუქვითა მენარდეს ნარდობის საზღაურში. აქედან გამომდინარე, შემკვეთმა სულ გაქვითა 813 936.17 ლარი (3 098 208.17-2 284 272) და დარჩენილი თანხა – 2 284 272.00 ლარი გადაუხადა მენარდეს.

17. მენარდე შემკვეთს ედავება იმაში, რომ მას ვალდებულება არ დაურღვევია, პირგასამტეხლო კი, შეუსაბამოდ მაღალია. მენარდის მიერ ვალდებულების დარღვევა დადგენილია გასაჩივრებული განჩინებით, ამასთან, რაკი მოსარჩელეს, სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია, საკასაციო სასამართლო მასზე ველარ იმსჯელებს. ამასთან, საკასა-

ციო პალატა იზიარებს მოსარჩელის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია და შემცირებას ექვემდებარება.

18. გასაჩივრებული გადანყვეტილებით, სსკ-ის 420-ე მუხლზე დაყრდნობით, სასამართლომ ხუთჯერ შეამცირა მენარდისათვის დარიცხული პირგასამტეხლო. მისი ოდენობის განსაზღვრისას, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ვალდებულების დარღვევის ხასიათზე, მოვალის ბრალეულობასა და დარღვევის შედეგად მიყენებულ ზიანზე, კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ ვადის გადაცილება ნაწილობრივ უამინდობამ განაპირობა, რის თაობაზეც შემკვეთი ინფორმირებული იყო, გარდა ამისა, შემკვეთისათვის ზიანის მიყენების ფაქტი არ დასტურდებოდა. კასატორის ერთ-ერთი პრეტენზია ისაა, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა დაუსაბუთებლად შეამცირეს პირგასამტეხლო, ვინაიდან, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გამო, პროექტის დროულად დამთავრებით განსაკუთრებულად იყვნენ დაინტერესებული, შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო გონივრულია, ამასთან, საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ პროექტის განხორციელებას ხელი ავდარმა შეუშალა.

19. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, სსკ-ის 417-ე მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. ამდენად, პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა ვალდებულების დარღვევისას. მართალია, ვალდებულების დარღვევა პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველია, მაგრამ სსკ-ის 420-ე მუხლი სასამართლოს ანიჭებს უფლებას, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა შესრულებულიყო დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. ამასთან, პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას, მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებითი ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას ზიანის ანაზღაურება; ე) ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობას.

20. განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პირგასამტეხლო (ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 1%, რაც თვეში 30%-ს, ხოლო წელიწადში 360%-ს შეადგენს), საკასაციო პალატის მოსაზრებით, შეუსაბამოდ მაღალია და არ შეესაბამება დადგენილ პრაქტიკას. ამასთან, შემკვეთის მიერ დარიცხული პირგასამტეხლო – 796 018.18 ლარი შეუსაბამოდ მაღალია შესრულების საგანთან მიმართებითაც. გარდა ამისა, საკასაციო პალატა ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს, კერძოდ, საქმის მასალებით ირკვევა, რომ მენარდე სამუშაოების შესრულებისას გარკვეულ წინააღმდეგობებს წააწყდა, რის გამოც სამუშაოების შესრულების ვადის გაგრძელება მოითხოვა. შემკვეთმა მისი თხოვნა დააკმაყოფილა და მენარდეს ვადა გაუგრძელა. უდავოა, რომ გაგრძელებულ ვადებში მენარდემ ყველა სამუშაო შეასრულა, ამასთან – შემკვეთმა მენარდეს პირგასამტეხლო დააკისრა არა მარტო ვალდებულების დარღვევიდან ვადის გაგრძელებამდე (რაც ყველა ხელშეკრულების შემთხვევაში – 150 დღეს შეადგენს), არამედ ვადის გაგრძელების თაობაზე შეთანხმების შემდეგაც (რაც ჯამში 235 დღეა). აქედანაც ნათლად იკვეთება დარიცხული პირგასამტეხლოს შეუსაბამობა როგორც დარღვევის სიმძიმესა და მოცულობასთან, ასევე – ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხთან. მართალია, კასატორი განმარტავს, რომ პროექტის დროულად დასრულების განსაკუთრებული ინტერესი ჰქონდა, მაგრამ იგი ვერ უთითებს, სამუშაოთა შესრულების ვადაგადაცილებით, კონკრეტულად რა საფრთხე წარმოექმნა კრედიტორს და როგორია ამ საფრთხის ხარისხი.

21. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სწორად შეამცირეს მენარდისათვის დარიცხული პირგასამტეხლო, რაც ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.2%-ს, თვეში 6%-ს, ხოლო წელიწადში 76%-ს შეადგენს და მეტიც არის სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე, თუმცა საკასაციო პალატა მასზე ვერ იმსჯელებს, ვინაიდან მოსარჩელე გადაწყვეტილებას არ ასაჩივრებს.

22. კასატორის პრეტენზია ისიცაა, რომ სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელმოწერით მენარდემ აღიარა და დაადასტურა დარიცხული პირგასამტეხლოს მოცულობა. მართალია, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებს მოპასუხის ამ პრეტენზიაზე არ უმსჯელიათ, მაგრამ ეს გარემოება გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება, ვინაიდან მითითებული პრეტენზია დაუსაბუ-

თებელია. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოხსენებული მიღება-ჩაბარების აქტი არ წარმოადგენს ვალის არსებობის აღიარებას (არც აბსტრაქტულს და არც კაუზალურს), ვინაიდან ასეთი აღიარების აუცილებელი ელემენტია ვალდებულების შესრულების დაპირება, რაც, თავის მხრივ, ნათლად და მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული აღიარების დოკუმენტში. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი არცერთი მიღება-ჩაბარების აქტი არ შეიცავს დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდის დაპირებას. ამ აქტებით, მენარდემ მხოლოდ ის ფაქტი დაადასტურა, რომ შემკვეთმა მას კონკრეტული ოდენობის პირგასამტეხლო დაარიცხა, თუმცა მისი გადახდის ვალდებულება არ უკისრია. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ განმარტა, რომ პირგასამტეხლოს შემცირება დაუშვებელია, თუ მოვალემ ნებაყოფლობით გადაიხადა პირგასამტეხლო (იხ. სუსგ, №ას-1527-2018, 31.01.2019). მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მენარდეს შემკვეთისათვის პირგასამტეხლო არ გადაუხდია, შესაბამისად, მას არც იმის უფლება არ დაუკარგავს, რომ პირგასამტეხლოს შემცირება მოითხოვოს სსკ-ის 420-ე მუხლის საფუძველზე.

23. კასატორის შემდეგი პრეტენზია ისაა, რომ სასამართლომ არასწორად დაიანგარიშა, 21.11.2016 წლის №409.06.16 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს გაქვითვის შედეგად დარჩენილი ასანაზღაურებელი თანხა, კერძოდ, კასატორის განმარტებით, ზემოხსენებული ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულების ვადის გადაცილებისათვის მენარდეს დაერიცხა პირგასამტეხლო 625 515.08 ლარი, სასამართლომ კი, არასწორად მიიჩნია, რომ დარიცხული პირგასამტეხლო 643 433.07 ლარს შეადგენდა. ამ ფაქტის არასწორად დადგენა იმან განაპირობა, რომ დარიცხულ პირგასამტეხლოს – 625 515.08 ლარს სასამართლომ შეცდომით დაუმატა შემკვეთისათვის დასაბრუნებელი მასალის ღირებულება 17 917.99 ლარი და მიღებული ჯამური თანხა, მათ შორის, მასალის ღირებულებაც ხუთჯერ შეამცირა. ეს კი, არასწორია, ვინაიდან 17 917.99 ლარი იყო მასალის ღირებულება და არა პირგასამტეხლო, შესაბამისად, ნარდობის საზღაურში სრულად გაქვითვას ექვემდებარებოდა.

24. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ პრეტენზიას და ყურადღებას მიაქცევს საქმის მასალებით დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მოსარჩელე უთითებდა, რომ 21.11.2016 წლის №409.06.16 ხელშეკრულების შესაბამისად, მან შეასრულა 781 893.85 ლარის სამუშაო, საიდანაც შემკვეთმა 138 460.78 ლარი აუნაზღაურა, ხოლო 643 433.62 ლარის ანაზღაურებაზე უარი უთხრა, ვინაიდან ეს თანხა, როგორც დარიცხული პირ-

გასამტეხლო, ნარდობის საზღაურში გაუქვითა. მოპასუხემ თავის შესაგებელში დააზუსტა, რომ ზემოხსენებული ხელშეკრულების მიხედვით დარიცხული პირგასამტეხლო 625515.08 ლარს შეადგენდა, ხოლო 17 917.99 ლარი კი – იმ მასალის ღირებულება იყო, რომელიც მენარდემ სამუშაოების შესასრულებლად მიიღო შემკვეთისაგან და უკან აღარ დააბრუნა, შესაბამისად, პირგასამტეხლოსთან ერთად, ეს თანხაც ექვემდებარებოდა გაქვითვას. მოპასუხის ამ განმარტებას ადასტურებს 13.04.2017 წლის მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის მიხედვით, 21.11.2016 წლის №409.06.16 ხელშეკრულების შესაბამისად, მენარდეს 625 515.08 ლარის პირგასამტეხლო დაერიცხა, 17 917.99 ლარი კი, იმ მასალის ღირებულება იყო, რომელიც მენარდეს უკან უნდა დაებრუნებინა და არ დააბრუნა. პირველი ინსტანციის სასამართლომ, მართალია, დაადგინა, რომ შემკვეთმა სწორად გაქვითა ნარდობის საზღაურში ზემოაღნიშნული მასალის ღირებულება, თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს თანხა, იმავდროულად, დარიცხულ პირგასამტეხლოს – 625 515.08 ლარს, დაუმატა (625 515.08+17 917.99) და მიღებული თანხა – 643 433.62 ლარი, ხუთჯერ შეამცირა. მოპასუხე სააპელაციო საჩივარშიც აპელირებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაშვებულ ზემოაღნიშნულ შეცდომაზე, თუმცა სააპელაციო სასამართლოს მასზე არ უმსჯელია.

25. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დასაბუთებულია კასატორის პრეტენზია 21.11.2016 წლის №409.06.16 ხელშეკრულებიდან გამომდინარე მენარდისათვის ასანაზღაურებელი თანხის არასწორად დაანგარიშების თაობაზე, კერძოდ, რაკი დადგენილია, რომ მენარდემ სამუშაოების შესასრულებლად შემკვეთისაგან მიღებული 17 917.99 ლარის ღირებულების მასალა არ დააბრუნა, სსკ-ის 646.2 მუხლის (მენარდე მოვალეა, წარუდგინოს შემკვეთს მასალის ხარჯვის ანგარიში და დაუბრუნოს მას დარჩენილი მასალა) მიხედვით, შემკვეთს შეეძლო, მასალის დაბრუნება მოეთხოვა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მასალის დაბრუნება შეუძლებელი აღმოჩნდებოდა, სსკ-ის 394.1, 408.1 და 409-ე მუხლების საფუძველზე, შემკვეთს მასალის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ექნებოდა. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, სსკ-ის 442.1 მუხლის საფუძველზე (ორ პირს შორის არსებული ურთიერთმოთხოვნა შეიძლება გაქვითვით შეწყდეს, თუ დამდგარია ამ მოთხოვნათა შესრულების ვადა) სასამართლომ კანონიერად მიიჩნია მასალის ღირებულების ნარდობის საზღაურში გაქვითვა, თუმცა, ფაქტობრივად, გამოქვითა არა მასალის სრული ღირებულება – 17 917.99 ლარი, არამედ მისი $1/5 - 3 583.59$ ლარი, ანუ $14 334.40$ ლარით ნაკლები, რაც, ცხადია, შეცდო-

მაა, ვინაიდან ზემოხსენებული თანხა მასალის ღირებულებაა და არა პირგასამტეხლო, შესაბამისად, მისი შემცირება, სსკ-ის 420-ე მუხლზე დაყრდნობით, დაუშვებელია.

26. ზემოხსენებული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად დაუსაბუთებელია, რაც ამ განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების კანონით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს, მოპასუხეს 636 814.54 ლარის გადახდა დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ.

27. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის იმ მოთხოვნათა პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას, ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

28. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელემ სარჩელზე გადაიხდა 5000 ლარი, მოპასუხემ კი, სააპელაციო საჩივარზე – 7000 ლარი, საკასაციო საჩივარ-

ზე კი – 8000 ლარი, სულ – 15 000 ლარი. პირველი ინსტანციის სასამართლოში დავის საგანი იყო 1 012 000 ლარი, საიდანაც მოსარჩელემ მოიგო 636 814.54 ლარი (62.92%), შესაბამისად, მოპასუხეს უნდა დაეკისროს 3 146 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად. სააპელაციო და საკასაციო სასამართლებში დავის საგანი იყო 651 148.94 ლარი, საიდანაც მოპასუხემ მოიგო 14 334.40 ლარი (2.2%), შესაბამისად, მოსარჩელეს უნდა დაეკისროს 330 ლარის გადახდა მოპასუხის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 53-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ს.გ.ტ.“ კომპანიის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 6 მარტის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება (სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში) და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება:

3. შპს „ა.ს.ს-ოს“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

4. შპს „ს.გ.ტ.“ კომპანიას დაეკისროს 636 814.54 (ექვსას ოცდათექვსმეტი ათას რვაას ოთხმეტი ლარისა და ორმოცდათოთხმეტი თეთრი) ლარის გადახდა შპს „ა.ს.ს-ოს“ სასარგებლოდ;

5. შპს „ს.გ.ტ.“ კომპანიას დაეკისროს 3 146 (სამი ათას ასორმოცდაექვსი) ლარის გადახდა შპს „ა.ს.ს-ოს“ სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;

6. შპს „ა.ს.ს-ოს“ დაეკისროს 330 (სამას ოცდაათი) ლარის გადახდა შპს „ს.გ.ტ.“ კომპანიის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საზღაურის გადახდა შესრულებული სამუშაოსთვის

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-1166-2019

6 აპრილი 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეცი,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: სამუშაოს შესრულების სანაცვლოდ თანხის ანაზღაურება (თავდაპირველი სარჩელი), სამუშაოს შესასარულებლად გადახდილი ავანსის თანხის დაბრუნება (შეგებებული სარჩელი)

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „კ.-ს. ...-ის“-მა (შემდეგში – მენარდე ან მოსარჩელე ან კასატორი) სარჩელი აღძრა შპს „...P“-ის (შემდეგში – შემკვეთი ან მოპასუხე ან მოწინააღმდეგე მხარე) მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხისთვის ხელშეკრულების საფასურის გადაუხდელი ნაწილის 11 450 ლარის დაკისრება.

2. სარჩელში მითითებულია, რომ მხარეებს შორის 2016 წლიდან არსებული ზეპირი ფორმით დადებული ნარდობის ხელშეკრულებით, მოსარჩელემ იკისრა მოპასუხის საკუთრებაში არსებული კოტეჯებისთვის ელექტროფიკაციის ქსელის პროექტის შექმნის ვალდებულება, რისთვისაც შემკვეთს უნდა გადაეხადა 16 250 ლარი. შემკვეთმა მენარდის საბანკო ანგარიშზე წინასწარ გადარიცხა ხელშეკრულების ღირებულებიდან (16 250 ლარი) 4800 ლარი. 2016 წლის აპრილში მენარდემ ვალდებულება შეასრულა, თუმცა, შემკვეთმა დარჩენილი საფასური არ გადაიხადა. მენარდის არაერთი შეტყობინების მიუხედავად შემკვეთმა თანხის დარჩენილი ნაწილის გადახდის ვალდებულება არ შეასრულა. მენარდემ სარჩელი დააფუძნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 629.1 ნაწილს.

3. მოპასუხემ თავდაცვის საპროცესო საშუალებად გამოიყენა, როგორც შესაგებელი ისე, შეგებებული სარჩელი. წარმოდგენილ შესაგებელში მოპასუხემ დაასტურა მენარდისათვის ავანსის – 4800 ლარის გადახდა. იმავდროულად, მოპასუხემ უარყო სამუშაოს არათუ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, არამედ სასამართლოში დავის წარმოების დროისათვისაც კი, შესრულების ფაქტი. აქვე მო-

პასუხემ განმარტა, რომ არც მოსარჩელე მიუთითებდა კონკრეტულ მტკიცებულებაზე, რომლითაც დასტურდებოდა მენარდის მხრიდან სამუშაოს შესრულება და შემკვეთისათვის მიღების შეთავაზება; მხოლოდ მოსარჩელის მითითება 2016 წლის 17 აპრილს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნილ შეტყობინებაზე, ვერ ჩაითვლებოდა რელევანტულ მტკიცებულებად, რადგან, მასში მენარდე მხოლოდ ატყობინებდა შემკვეთს სამუშაოს დასრულების სამომავლო თარიღის შესახებ.

4. შეგებებული სარჩელით მოპასუხემ მოითხოვა ავანსის სახით გადახდილი 4800 ლარის უკან დაბრუნება. შეგებებული სარჩელის მოთხოვნას კი, მოპასუხე იმით ასაბუთებდა, რომ მოსარჩელეს ვალდებულება უნდა შეესრულებინა არაუგვიანეს 2016 წლის 1 მაისისა. ვინაიდან, მოსარჩელემ დადგინდა ვადაში ვალდებულება არ შეასრულა, მოპასუხე იძულებული შეიქნა მსგავსი ხელშეკრულება სხვა პირთან დაედო, რომლის შექმნილი პროექტით დამონტაჟდა ელექტრო გაყვანილობა.

5. შეგებებული სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული.

6. თელავის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 11 450 ლარი. არ დაკმაყოფილდა შეგებებული სარჩელი.

7. თელავის რაიონულმა სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ 2016 წლის იანვრიდან მხარეთა შორის არსებობდა ზეპირი ფორმით დადებული ნარდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მენარდემ იკისრა ვალდებულება, მოპასუხის საკუთრებაში არსებული კოტეჯებისათვის შეექმნა ელექტროფიკაციის ქსელის პროექტი, რისთვისაც დამკვეთს უნდა გადაეხადა მომსახურების საფასური – 16 250 ლარი. ასევე, მხარეები შეთანხმდნენ შესასრულებელი სამუშაოების დასრულების ვადაზე, კერძოდ მოპასუხეს, მოსარჩელისათვის სამუშაოები უნდა ჩაეხარებინა არაუგვიანეს 2016 წლის 01 მაისისა.

8. 2016 წლის 1 თებერვალს შემკვეთმა მენარდეს ჩაურიცხა თანხის ნაწილი – 4 800 ლარი.

9. 2016 წლის 17 აპრილს მენარდემ ელექტრონული ფოსტის საშუალებით აცნობა შემკვეთს, რომ იმავე წლის 24 აპრილს ნაკისრი სამუშაოები უკვე შესრულებული იქნებოდა, პროექტი – დამზადებული და შეახსენა მათ მომსახურების საფასურის დარჩენილი ნაწილის – 11450 ლარის გადახდის შესახებ.

10. 2016 წლის აპრილის თვიდან მენარდის მიერ განხორციელებული არაერთი შეხსენების მიუხედავად, შემკვეთმა დარჩენილი თანხა არ გადაიხადა.

11. მენარდემ ხელშეკრულებით ნაკისრი სამუშაო – კოტეჯების ელექტროფიკაციის ქსელების პროექტი – დაასრულა 2016 წლის 24 აპრილს. შესაბამისად, უარყოფილი იქნა შემკვეთის პოზიცია იგივე სამუშაოს სხვა კომპანიისათვის დაკვეთის აუცილებლობის შესახებ.

12. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის უარყოფის მოთხოვნით მოპასუხემ წარადგინა სააპელაციო საჩივარი.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 02 აპრილის გადაწყვეტილებით გაუქმდა თელავის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება და სარჩელი 11 450 ლარის დაკისრების შესახებ, არ დაკმაყოფილდა, ხოლო შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა. შესაბამისად, თავდაპირველ მოსარჩელეს შეგებებული სარჩელის ავტორის სასარგებლოდ დაეკისრა 4800 ლარის გადახდა.

14. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაეფუძნა შემდეგ გარემოებებსა და მოსაზრებებს:

15. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ამ განჩინების პპ: 7, 8, 9-ში მითითებული და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები.

16. სააპელაციო სასამართლომ დამტკიცებულად მიიჩნია, რომ მენარდის მიერ სამუშაოს მხარეთა შეთანხმებულ ვადაში შესრულება წარმოადგენდა შემკვეთის განსაკუთრებულ ინტერესს, რამდენადაც შემკვეთი მიუთითებდა, რომ იგი სოფ. ...-ში ახორციელებს მრავალმილიონიანი კომპლექსის მშენებლობას და ვინაიდან, მენარდემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დადგენილ ვადაში არ შეასრულა, შემკვეთი იძულებული შეიქნა მსგავსი ხელშეკრულება სხვა პირთან დაედო, რომლის შექმნილი პროექტით დამონტაჟდა ელექტრო გაყვანილობა (იხ., სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების პ.4.2; ასევე, ამ განჩინების პ.4.)

17. ასეთ შემთხვევაში, სამუშაოს დროული შესრულების მტკიცების ტვირთი დაეკისრა მენარდეს, რომელმაც მოცემულ შემთხვევაში, ვერ დაადასტურა მითითებული ფაქტობრივი გარემოება. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ელ.ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი წერილის შინაარსზე, სადაც მოსარჩელე მოპასუხეს ატყობინებს, რომ პროექტი დათქმული დროისთვის მზად ექნება და დამკვეთმა უნდა გადარიცხოს პროექტის ღირებულების დარჩენილი ნაწილი. სააპელაციო სასამართლოს თქმით, წერილის შინაარსში მითითებულია ინფორმაცია არა ვალდებულების შესრულებაზე, როგორც უკვე დამდგარ შედეგზე, არამედ, სამომავლოდ შესასრულებელ ვალდებულებაზე. აღნიშნული

კი, ვერ გახდება ვალდებულების დროული შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება. ვალდებულების დროულად შესრულების ფაქტის დამადასტურებელ რელევანტურ მტკიცებულებად არც მოსარჩელის მიერ 2016 წლის 06 ივლისს გაგზავნილი წერილი – რომლითაც მენარდე დამკვეთს ატყობინებს, რომ პროექტი გამზადებულია და ითხოვს დავალიანების დაფარვას – იქნა მიჩნეული. რამდენადაც პროექტის შემკვეთისათვის 01 მაისამდე ჩაბარების დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება არ იქნა წარმოდგენილი.

18. დამატებით, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ იმ პირობებშიც კი, თუ გაზიარებული იქნება მოსარჩელის პოზიცია, რომ პროექტის მომზადების თარიღი ნამდვილად 2016 წლის 24 აპრილია, რადგან ის დატანილია მომზადებული პროექტის ელექტრონულ დისკზე, მაინც დაუდასტურებელ გარემოებად რჩება შემსრულებლის მიერ პროექტის დამკვეთისათვის გადაცემა, გაგზავნა, ჩაბარება ან მომზადება, რადგან აღნიშნულს შემკვეთი უარყოფს, ხოლო მენარდეს არ გააჩნია რაიმე მტკიცებულება, როგორცაა მიღება-ჩაბარების აქტი, შემკვეთის ინფორმირება ელ.ფოსტის მეშვეობით და სხვა იმგვარი მტკიცებულება, რაც შესაძლებელს გახდიდა სასამართლო დარწმუნებულიყო სადავო გარემოების არსებობაში.

19. სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავა გადაწყვიტა სსკ-ის 352.1, 399-ე და 405.2 მუხლების საფუძველზე.

20. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულების არსებით პირობას ვალდებულების დადგენილ ვადაში – არაუგვიანეს 2016 წლის 1 მაისისა – შესრულება წარმოადგენდა (სსკ-ის 327-ე მუხლი). ამ გარემოებას ამყარებდა ასევე, ავანსის წინასწარ გადახდის ფაქტიც, რომელიც უდავოა. უდავო იყო განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობა და აუცილებლობა, აგრეთვე ის, რომ პროექტის ვადაში განუხორციელებლობა აფერხებდა შემკვეთის მიერ წარმოებულ სამშენებლო პროცესს.

21. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან, შემკვეთისთვის მნიშვნელოვანი იყო ვალდებულების შესრულების დადგენილ ვადაში მიღება, ამიტომ განხორციელებულად მიიჩნევა სსკ-ის 405.2 „ბ“ მუხლით განსაზღვრული წინაპირობა, რაც თავის მხრივ, შემკვეთს წარმოუშობდა ამავე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ხელშეკრულებიდან ცალმხრივად გასვლის უფლებით სარგებლობას. ამ უფლებით სარგებლობის სამართლებრივ შედეგს კი, ხელშეკრულების დადებაამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა წარმოადგენს, რაც ავანსის სახით, მე-

ნარდისტვის გადახდილი თანხის – 4800 ლარის შემკვეთისათვის დაბრუნება წარმოადგენს.

22. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხემ სააპელაციო შესაგებლით და ასევე, შეგებებული სარჩელით, დაასაბუთა მოთხოვნების მართლზომიერება, შესაბამისად, მოსარჩელემ ნამდვილად დაარღვია ხელშეკრულების ძირითად პირობად არსებული შესრულების ვადა, რაც მოპასუხეს წარმოუქმნის შესაძლებლობას ისარგებლოს ხელშეკრულებიდან გასვლით და მოითხოვოს ავანსის სახით გადახდილი თანხის უკუქცევა.

23. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმებისა და თელავის რაიონული სასამართლოს 15 თებერვლის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ მოთხოვნით საკაცო საჩივარი წარადგინა მოსარჩელემ.

24. საკასაციო საჩივარი აგებულია შემდეგ მოსაზრებებსა და სავარაუდო დარღვევებზე:

25. კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება დააფუძნა მხოლოდ 2016 წლის 17 აპრილის წერილზე, რომლის მიხედვით, მენარდეს პროექტი მზად ექნებოდა 24 აპრილისთვის.

26. კასატორის მოსაზრებით, აუცილებელი იყო სასამართლოს გამოეკვლია დისკზე არსებული ფაილების დათარიღებები, მით უმეტეს მაშინ, როდესაც თარიღები არ ცდება 24 აპრილს, რის გამოც, აღნიშნული დისკით ცალსახად დასტურდება ვალდებულების დროული შესრულება, რაც სააპელაციო სასამართლომ უყურადღებოდ დატოვა.

27. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შეფასებისას დაუშვა ფაქტობრივი შეცდომა, არ გამოიკვლია რა შემკვეთის მტკიცება სხვა კომპანიასთან ახალი ხელშეკრულების დადების შესახებ, კერძოდ, მოპასუხე მიუთითებდა, რომ მან ახალ კომპანიასთან გააფორმა იმავე სახის ხელშეკრულება, თუმცა ამის დამადასტურებელი რელევანტური მტკიცებულებები არ იქნა წარმოდგენილი, გარდა ერთი წერილისა, სადაც არ ჩანს რა პირობებით დაიდო ხელშეკრულება.

28. კასატორი სადავოდ ხდის ასევე სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის ფარგლების დარღვევას, კერძოდ, მიაჩნია, რომ სსკ-ის 405-ე მუხლის მეორე ნაწილით მოწინააღმდეგე მხარის ხელშეკრულებიდან გასვლის მართლზომიერებაზე მსჯელობა, რაც შესაბამისად გამოიწვევდა ორმხრივ რესტიტუციას, არ წარმოადგენდა აპელანტის პოზიციას. შემკვეთი საერთოდ არ აღიარებდა ხელშეკრულებაში შესვლის ფაქტს. ასევე სასამართლომ განავითარა მსჯე-

ლობა მოვალისთვის ვადის მიცემის შეუძლებლობაზე, რადგან მოპასუხემ დაკარგა შესრულებისადმი ინტერესი დროის გადაცილების გამო, თუმცა, მხარემ ვერ შეძლო დაემტკიცებინა თავისი საქმიანობის განხორციელებისას, რომელიც რამოდენიმე თვე მიმდინარეობდა, თუნდაც, რამდენიმე დღით დაგვიანებული შესრულება რატომ უნდა ჩათვლილიყო მისთვის ინტერესის დაკარგვად, ასევე, უგულებელყოფილია სსკ-ის 355-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც მხარის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმისას აუცილებელია მეორე მხარისთვის აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის გაგზავნის ვალდებულება.

29. კასატორის მოსაზრებით, 2016 წლის 24 აპრილს კასატორს უკვე ჰქონდა შესრულებული საკუთარი ვალდებულება, რაც დასტურდება არსებული პროექტის ელექტრონული ფაილებით, თუმცა, აღნიშნული სიღრმისეულად არ გამოკვლეულა. მენარდემ რამდენიმე კვირა ცდილობდა დაკავშირებოდა შემკვეთს რომ გადაეცა მისთვის შესრულებული სამუშაო, თუმცა, შემკვეთი შესრულებას არ იღებდა და არც საპასუხო ინფორმაციას აწვდიდა შემკვეთს. 2016 წლის 7 ივლისს ოფიციალურად მიწერილი წერილიტ მენარდემ მოითხოვა შესრულებული ვალდებულების ჩაბარება და ხელშეკრულების დარჩენილი ფასის გადახდა, თუმცა, აღნიშნული წერილიტ დარჩა უპასუხოდ. მოცემული ფაქტობრივი გარემოებები კასატორს აფიქრებინებს, რომ შემკვეთს აღარ სურდა შესრულებული სამუშაოს მიღება. აქვე შემსრულებელი აცხადებს, რომ შემხვედრი ვალდებულების შესრულება აღმოჩნდებოდა რისკის ქვეშ თუ კი შემსრულებელი დროულად შეასრულებდა ვალდებულებას, მაგრამ დააყოვნებდა მის გადაცემას, ამიტომ შესრულებული სამუშაოს დროული გადაცემის ინტერესიტ დიდი ჰქონდა შემსრულებელს, რადგან ასევე დროულად მიეღო საპასუხო შესრულება.

30. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, შემკვეთს არ მიუღია შესრულება, რასაც კასატორიტ ადასტურებს, თუმცა აღნიშნავს, რომ შემკვეთმა არა თუ მენარდის ბრალეული ქმედების გამო, ვერ მიიღო შესრულება, არამედ, თავად შემკვეთმა განაცხადა უარი შესრულების მიღებაზე. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ შემსრულებელი ცდილობდა გადაეცა შესრულება შემკვეთისთვის.

31. კასატორი ასევე მიუთითებს ავანსის მოთხოვნის საკითხზეც და აღნიშნავს, რომ შემკვეთმა მხოლოდ შეგებებული სარჩელიტ მოითხოვა ავანსის დაბრუნება. თუ მენარდემ დაუგვიანა პროექტის ვადაში დასრულება და ამის გამო, მან ინტერესი დაკარგა, საინტერესოა თუ რატომ არ მოითხოვა შემკვეთმა ავანსის დაბრუნება უფრო ადრე.

სარეზოლუციო ნაწილი:

32. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით კასატორის – შპს „კ.-ს. ...-ის“ -ის უფლებამონაცვლედ ცნობილი იქნა შპს „კ.“ (სსსკ-ის 92.1 მუხლი) (შემდეგი – კასატორი) და წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2019 წლის 13 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

33. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, ასევე, მტკიცებულებების შეჯერებისა და გაანალიზების, საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

34. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება).

35. მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილადაა ცნობილი დავის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები (იხ., ამ გადანყვეტილების პპ. 7,8,9,15):

36. 2016 წლის იანვრიდან მხარეთა შორის არსებობდა ზეპირი ფორმით დადებული ნარდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მენარდემ იკისრა ვალდებულება, მოპასუხის საკუთრებაში არსებული კოტეჯებისათვის შეექმნა ელექტროფიკაციის ქსელის პროექტი, რისთვისაც დამკვეთს უნდა გადაეხადა მომსახურების საფასური – 16 250 ლარი. ასევე, მხარეები შეთანხმდნენ შესასრულებელი სამუშაოების დასრულების ვადაზე, კერძოდ მოპასუხეს, მოსარჩელისათვის სამუშაოები უნდა ჩაებარებინა არაუგვიანეს 2016 წლის 01 მაისისა.

37. 2016 წლის 1 თებერვალს შემკვეთმა მენარდეს ჩაურიცხა თანხის ნაწილი – 4 800 ლარი. 2016 წლის 17 აპრილს მენარდემ ელექტრონული ფოსტის საშუალებით აცნობა შემკვეთს, რომ იმავე წლის 24 აპრილს ნაკისრი სამუშაოები უკვე შესრულებული იქნებოდა, პროექტი – დამზადებული და შეახსენა მათ მომსახურების საფასურის დარჩენილი ნაწილის – 11450 ლარის გადახდის შესახებ.

38. მხარეებს შორის სადავოა ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება დადგენილ ვადაში.

39. დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლომ დადგენი-

ლად მიიჩნია მენარდის მიერ ვალდებულების იმგვარი დარღვევა, რაც სსკ-ის 405.2. „ბ“ მუხლის მიხედვით შემკვეთს წარმოუშობდა ამავე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ხელშეკრულებიდან ცალმხრივად გასვლის უფლებას და მამასადამე, სარჩელის უარყოფას და პირიქით, შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებას.

40. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით სადავო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და კასატორის პრეტენზია იმაში მდგომარეობს, რომ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება დააფუძნა მხოლოდ 2016 წლის 17 აპრილის წერილზე, რომლის მიხედვით, მენარდეს პროექტი მზად ექნებოდა 24 აპრილისთვის. თუმცა, საფუძლიანად არ გამოიკვლია ის გარემოებები, რომლითაც დასტურდება, რომ მენარდემ ხელშეკრულებით ნაკისრი სამუშაო – კოტეჯების ელექტროფიკაციის ქსელების პროექტი – დაასრულა 2016 წლის 24 აპრილს. კასატორი აღნიშნავს, რომ შემკვეთმა არა თუ მენარდის ბრალეული ქმედების გამო, ვერ მიიღო შესრულება, არამედ, თავად შემკვეთმა განაცხადა უარი შესრულების მიღებაზე. შესაბამისად, შემკვეთის პოზიცია იგივე სამუშაოს სხვა კომპანიისათვის დაკვეთის აუცილებლობის შესახებ, არ არსებობდა. აღნიშნული კი, კასატორის მოსაზრებით, გამორიცხავდა ხელშეკრულებიდან ცალმხრივად გასვლის მიზანშეწონილობას.

41. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონშებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო პალატის შეფასების საგანი იქნება კასატორის შედავებების საფუძვლიანობა, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი მატერიალური და პროცესუალური ნორმების დარღვევით.

42. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; არასწორად განმარტა კანონი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

43. ვიდრე დადგენილი გარემოებების სამართლის ნორმებთან

სუბსუმირებას შეუდგებოდეს, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპებზე: მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით რეგლამენტირებულია პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე წარმართვა და დადგენილია, რომ მხარეებს აქვთ მტკიცებულებათა წარდგენის გზით საკუთარი პოზიციის დადასტურების შესაძლებლობა, გარდა ამისა, დემოკრატიულ საზოგადოებაში ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა თანასწორობის დაცვას (სსსკ-ის მე-5 მუხლი), რაც იმას ნიშნავს, რომ საქმის განხილვის თითოეულ ეტაპზე სასამართლო ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს და მოსამართლეს მიუკერძოებლად, მხოლოდ მტკიცებულებათა ობიექტური შეფასების გზით უყალიბდება შინაგანი რწმენა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ ფაქტის არსებობის თაობაზე. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ განსაზღვრავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს როლს საერთო სასამართლოების სიტემაში და ადგენს, რომ უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში. კანონის მითითებული დანაწესიდან გამომდინარეობს მათ შორის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის დებულება, რომელიც ადგენს უზენაესი სასამართლოს მხრიდან დავის ფაქტობრივი ნაწილის შეფასების ფარგლებს, კერძოდ, საკასაციო სასამართლო მსჯელობს საპროცესო წესების დაცვით მოპოვებული მტკიცებულებებისა და მხარეთა მიერ მიცემული ახსნა-განმარტებების შეფასების კანონიერებაზე იმგვარად, რომ თავად ვერც ახალ ფაქტებს დაადგენს და ვერც ახალ განმარტებებს მიიღებს მხარეებისგან.

44. განსახილველი დავის ფარგლებში საკასაციო სასამართლოს მიერ შეფასების საგანს წარმოადგენს კასატორისათვის გასამრჯელოს მოთხოვნის წინაპირობების არსებობა. ამ ტიპის სარჩელის წარმატებულობა, ბუნებრივია, უნდა შემოწმდეს მისი დამფუძნებელი ნორმის/ნორმების წინაპირობებთან მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ უპირველესად, სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძველი – კანონის ნორმა, გამოარკვიოს სარჩელში მითითებული ფაქტების შესაბამისობა დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებთან (ფორმალური გამართულობა), დადებითი პასუხის შემთხვევაში, სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმული პოზიციების ურთიერთშეჯერებით გამოარკვიოს სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები (მტკიცების საგანი) და გაანალიზოს მხარეთა

შორის მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურების ტვირთი (მტკიცების ტვირთი).

45. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი ნანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

46. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი სამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

47. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო სამართალში, ზოგადად არის სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძველზე თან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს. (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდები).

დიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 38.) კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დანიშნულებაა ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების უფლებების განსაზღვრა და მათი განხორციელების უზრუნველყოფა. მოთხოვნა უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობაა. მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებებია და სასურველია მათი აღრევა თავიდან იქნეს აცილებული. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება, მოსარჩელის უფლებამოსილებაა, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაა (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 42.).

48. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირზე მიმართული უფლებაა, რომელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯნება. მოთხოვნა ძირითადად მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. მოთხოვნა საპროცესო-სამართლებრივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადაწყვეტილების დადგომისაკენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგიც გათვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილებაა. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.

49. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მო-

პასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი, სასამართლოს ვალდებულებაა. სადავო ურთიერთობის შეფასებისას, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო არაა შებოჭილი ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებებით, შესაბამისად, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გამოარკვევს, რომ ქვემდგომი სასამართლოს სამართლებრივი შეფასება არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან, იგი ვალდებულია, ეს გარემოებები თავად შეაფასოს სამართლებრივად სწორად და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

50. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (შდრ., სუსგ №ას-1338-2018, 25 იანვარი, 2019 წელი, პ-17; №ას-1470-2018, 15 თებერვალი, 2019 წელი, პ-41). თავის მხრივ, მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ სარჩელის მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან, ზიანის მიყენებიდან (დელიქტი), უსაფუძვლო გამდიდრებიდან თუ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან.

51. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსაზღვრული სამართლებრივი მიზნის შესაძლო მიღწევისას, როდესაც ერთი მოთხოვნა განსხვავებული სამართლებრივი საფუძველით წარმოიშობა, არსებობს მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია. მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის დროს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი მოცემულია კანონის იმ ნორმებში, რომელთა თანახმად ერთ პირს მეორისაგან შეუძლია განსაზღვრული მოქმედების შესრულება ან ასეთი მოქმედებისაგან თავის შეკავება, ერთი და იგივე მოთხოვნის განხორციელება სხვადასხვა სამართლებრივი საშუალებით არის შესაძლებელი. ამ დროს უფლებამოსილ პირს ეკუთ-

ვნის თეორიულად ერთმანეთის თანაბარი, ერთი და იგივე ინტერესის დაცვისათვის გამიზნული ალტერნატიული სამართლებრივი საშუალებების ერთობლიობა. მოთხოვნათა კონკურენციისაგან განსხვავებით, სადაც მოსარჩელის უფლებამოსილებაა მოთხოვნათა შორის არჩევა, მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის დროს, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთაგან ერთ-ერთის გამოყენება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაა. (იხ. დამატებით: ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 132; ბიოლინგი ჰ.,/ლუტრინგჰაუსი პ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი, თბილისი-ბრემენი, 2004-2009, 14; ქოჩაშვილი ქ., მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისას, თბ. 2012, 280; ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში, თბ., 2011, 39; ჰენშელი ს., სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდოლოგია, თბ., 2009, 84).

52. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ამ განჩინების პ.1-2 კასატორის მიერ სარჩელში მითითებულ გარემოებებზე და მიაჩნია, რომ მოპასუხის მიმართ მოსარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივი შემადგენლობა (აღწერილობა) განაპირობებს მის სამართლებრივ მონესრიგებას სსკ-ის 629 I და 648-ე მუხლების საფუძველზე.

53. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებს სამუშაოს შესრულების ტიპის ისეთ ხელშეკრულებას, როგორცაა ნარდობა. ნარდობის ხელშეკრულება, ნასყიდობის ხელშეკრულების მსგავსად, ერთ-ერთი ყველაზე უფრო მეტად გავრცელებული ხელშეკრულებაა სასაქონლო-ფულად ფასეულობათა ბრუნვის სფეროში. ნარდობის ხელშეკრულება აწესრიგებს უშუალოდ წარმოების პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებს, რადგან იგი დაკავშირებულია მენარდის ვალდებულებასთან – შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო და გადასცეს შემკვეთს შეთანხმებული საზღაურის მიღების პირობით შესრულებული სამუშაოს შედეგი.

54. ნარდობის ხელშეკრულების ცნება მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის I ნაწილში, კერძოდ, „ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური“. აღნიშნული ცნებიდან გამომდინარე, ნარდობა, როგორც სამუშაოს შესრულების ტიპის ხელშეკრულება, არის კონსენსუალური, ორმხრივი და სასყიდლიანი ხელშეკრულება.

55. მენარდისათვის გადასახდელი საზღაური, როგორც წესი, განისაზღვრება ფულადი სახით, თუმცა მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ სხვა რამეზეც (მაგალითად, მენარდისათვის რაიმე ნივთის ნატურით გადაცემა). შესაძლებელია კომბინირებული მეთოდიც (მაგალითად, საზღაურის ნაწილი გადახდილი იქნეს ფულადი სახით, ნაწილი – ნივთის სახით).

56. ნარდობის ხელშეკრულების შინაარსს შეადგენს მისი პირობების ერთობლიობა. ნარდობის ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც მასზეა დამოკიდებული ხელშეკრულების მხარეთა უფლებამოვალეობების წარმოშობის თავისებურებები, ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება და სხვა.

57. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ფორმა ნების გამოვლენის განცხადების საშუალებაა. სამოქალაქო კოდექსის 68-ე მუხლის თანახმად, გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუ ასეთი ფორმა არ არის დაწესებული, მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი. სსკ-ის 69-ე მუხლი კი განსაზღვრავს, რომ გარიგება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობითი ფორმით. გარიგების ფორმასთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილით დადგენილი წესები ხელშეკრულების ფორმაზეც ვრცელდება.

58. როგორც წესი, ხელშეკრულების ნამდვილობისათვის რაიმე განსაკუთრებული ფორმის დაცვა საჭირო არაა. ხელშეკრულება ძალაში მას შემდეგ შედის, როდესაც მხარეები ყველა არსებით პირობებზე თუნდაც ზეპირი მოლაპარაკებების გზით შეთანხმდებიან. ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებით ზოგადად მოქმედებს სახელშეკრულებო ფორმის თავისუფლების პრინციპი. თუმცა, აღნიშნული პრინციპი შეუზღუდავი არ არის. ცალკეულ შემთხვევებში კანონი ადგენს ფორმას, რომლის დაცვაც კონკრეტული ტიპის ხელშეკრულებების ნამდვილობისათვის აუცილებელია. მხარეებსაც შეუძლიათ გაითვალისწინონ ხელშეკრულების რაიმე ფორმა, როგორც მისი ძალაში შესვლის აუცილებელი წინაპირობა. მაშასადამე, ხელშეკრულების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუ ასეთი ფორმა არ არის დაწესებული, მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი.

59. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს რაიმე სპეციალურ ნორმას ნარდობის ხელშეკრულების ფორმის თაობაზე. ასეთ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს ის ნორმები, რომლებიც ზოგადად ხელშეკრულების ნამდვილობისთვისაა საჭირო, ანუ ნარდობის ხელშეკრულება მიეკუთვნება ფორმათავისუფალ ხელშეკრულებათა რიცხვს. ეს ნიშნავს იმას, რომ ნარდობის ხელ-

შეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირად, ისე წერილობითი ფორმით.

60. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ყველა სამართლებრივ სისტემაში ვალდებულების შესრულება წარმოადგენს ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს. ისევე, როგორც კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნებში, საქართველოს შემთხვევაშიც ვალდებულების შესრულების მომწესრიგებელ ნორმებს ძირითადად დისპოზიციური ხასიათი აქვთ. ქართული სამოქალაქო კოდექსი შესრულებაზე ორიენტირებული აქტია. მისი როგორც ზოგადი, ისე კერძო ნაწილი შესრულების მექანიზმებზეა აგებული. მთავარია შესრულება და არა პასუხისმგებლობა.

61. ვალდებულების შესრულება დამოკიდებულია კონკრეტული სახის ვალდებულების შინაარსზე. ვალდებულების შესრულება ხორციელდება ვალდებულების მხარეების ნებელობითი მოქმედების შედეგად: მოვალე სთავაზობს შესრულებას, კრედიტორი ღებულობს შესრულებას. უარყოფითი შინაარსის მქონე ვალდებულებების არსებობა გამოიხატება გარკვეული მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავებაში (მაგალითად, სამეზობლო თმენის ვალდებულებები; და ა.შ.). ასეთი უმოქმედობაც ხორციელდება მოვალის ძალისხმევით. ამიტომაც იურიდიულ ლიტერატურაში ვალდებულების შესრულების აღმნიშვნელ ტერმინად ძირითადად გამოიყენება ტერმინი – ქმედება.

62. ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა უფლებები, თავისი სამართლებრივი ბუნებით მიეკუთვნება რელატიურ (შეფარდებით) უფლებათა რიცხვს. რელატიური უფლება არის განსაზღვრული პირის მიმართ შესრულების მოთხოვნის უფლებამოსილება. იგი მიმართულია არა ნებისმიერი, არამედ მხოლოდ განსაზღვრული პირის მიმართ კონკრეტული ვალდებულების შესასრულებლად. რელატიური უფლება წარმოიშობა ნამდვილი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე.

63. ნარდობის ხელშეკრულებით მენარდის ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო 361-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. კერძოდ, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

64. ნარდობის ხელშეკრულებით მენარდის ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს შეთანხმებული სამუშაოს დროულად შესრულება.

65. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადად, სამოქალაქო უფლებების განხორციელება და დაცვა მჭიდროდ არის დაკავ-

შირებული დროის ფაქტორთან. ვადა აწესრიგებს სამოქალაქო ბრუნვას, განაპირობებს ხელშეკრულებათა ჯეროვან შესრულებას. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა, მისთვის დამახასიათებელი დინამიკურობითა და დროის დეფიციტით, წარმოუდგენელია ვადებთან დაკავშირებული საკითხების სრულყოფილი და სწორი სამართლებრივი მონესრიგების გარეშე. სამოქალაქო კანონმდებლობა დროის ფაქტორს უკავშირებს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლასა და შეწყვეტას, ასევე იმ მოქმედებათა შესრულებას, რომელიც გათვალისწინებულია კანონით ან ხელშეკრულებით. ვალდებულების დროულად შესრულება ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს. ვალდებულების შესრულების დროდ ითვლება იმ მომენტის დადგომა, როდესაც ვალდებულება შესრულებულ უნდა იქნეს.

66. ყველაზე მეტად გავრცელებულია ვალდებულების შესრულების გარიგებით (ხელშეკრულებით) განსაზღვრული ვადები. ამ შემთხვევაში შესრულების დროის შეთანხმება შეიძლება აშკარად გამოხატული ან დუმილით ნაგულისხმევი იყოს. ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულების დრო შეიძლება იყოს როგორც აბსოლუტური, ისე რელატიური ბუნების. აბსოლუტურია ვადა, როდესაც ვადის გადაცილების შემდეგ შესრულება კარგავს ყოველგვარ ინტერესს.

67. არ არის გამორიცხული ისეთი შემთხვევა, როდესაც სამუშაოს შესრულების ვადას განსაზღვრავს შემკვეთი. ასეთ შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილია მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ვადა უნდა განისაზღვროს სამართლიანობის საფუძველზე. ამდენად, ნარდობის ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ სამუშაოს შესრულებისათვის დაწესებული ვადა მეორე მხარის ინტერესებსაც უნდა შეესაბამებოდეს. დავის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო.

68. ნარდობის ხელშეკრულებით მხარეებმა შეიძლება განსაზღვრონ არა მხოლოდ სამუშაოთა დასრულების ვადები, არამედ სამუშაოთა დაწყებისა და შუალედური ვადებიც. იმ შემთხვევაში, როდესაც შესრულების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, მაშინ ნარდობის ხელშეკრულებით, შესრულების დრო განისაზღვრება, როგორც ხელშეკრულების ერთ-ერთი არსებითი პირობა – *time is of the essence*. თუ ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის სამუშაოს შესრულების ვადა, მაშინ ვადა უნდა განისაზღვროს გონივრულად. „გონივრული ვადა“ წარმოადგენს შეფასებით კატეგორიას. ყველა შემთხვევაში მისი ფარგლები მოიაზრება შესრულების თავისებურებებით.

69. თუ ნარდობის ხელშეკრულებით განსაზღვრულია შესრუ-

ლების დრო, მაშინ საექვოობისას ივარაუდება, რომ შემკვეთს არ შეუძლია შესრულების მოთხოვნა ამ ვადამდე, ხოლო მენარდეს შეუძლია ვალდებულების შესრულება ვადაზე ადრე. საექვოობა გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, როდესაც განსაზღვრული ვადის დაცვა ეჭვის ქვეშ დგება მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე. ასეთ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება მოვალის ინტერესების დაცვას.

70. ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის ერთ-ერთ გავრცელებულ შემთხვევას წარმოადგენს ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება. მენარდის მხრიდან ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებად ითვლება, თუ: ა) შესრულებისათვის დადგენილ დროში ვალდებულება არ შესრულდა; ბ) შესრულების ვადის დადგომიდან შემკვეთის მიერ გაფრთხილების შემდეგაც იგი არ ასრულებს ვალდებულებას. მენარდის მიერ ვადის გადაცილება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დროულ შეუსრულებლობას უკავშირდება. შესრულების დროულობა კი ნარდობის ხელშეკრულებიდან ან კანონიდან შეიძლება გამომდინარეობდეს.

71. მნიშვნელოვანია, რომ შემკვეთმა ვადამოსულობის შემდეგ იმგვარი მოქმედება განახორციელოს, რომელიც მენარდეს შესრულების ვალდებულებას შეახსენებს და მის შესრულებას ვადაგადაცილებულად აქცევს. კანონით გათვალისწინებულ ასეთ მოქმედებას მენარდის გაფრთხილება წარმოადგენს. (მე-400 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი). გაფრთხილების შედეგად ფაქტობრივად ვადის გადაცილება (დაყოვნება) სამართლებრივ ვადის გადაცილებად იქცევა.

72. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გაფრთხილება ვალდებულების შესრულების უპირობო და არაორაზროვან მოთხოვნას წარმოადგენს. გაფრთხილება იმგვარად უნდა იყოს ფორმულირებული, რომ გამორიცხავდეს ყოველგვარ ეჭვს კრედიტორის ინტერესში მიიღოს დროული შესრულება. კრედიტორი არ არის ვალდებული განუმარტოს მოვალეს, რომ შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი მოთხოვნის დაკმაყოფილების მეორად საშუალებებს მიმართავს. თუ ეს ვალდებულების ხასიათს არ ეწინააღმდეგება, კრედიტორს შეუძლია შესრულების მოთხოვნა და გაფრთხილება ერთდროულად, ერთი აქტის მეშვეობით განახორციელოს. თუმცა ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე გაკეთებულ გაფრთხილებას სამართლებრივი ძალა არა აქვს (მე-400 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), მაშინაც კი თუ იგი უპირატესად ვადის დაზუსტებას ისახავს მიზნად. გაფრთხილება არ გულისხმობს გარკვეული ვადის დადგენას. თუმცა კრედიტორს შეუძლია დაადგინოს დამატებითი ვადა (394-ე მუხლის II ნაწილი), რომლის ამონაწერამდეც ვადა არ

ჩაითვლება გადაცილებულად. ეს ვადა უნდა იყოს გონივრული, რომლის განმავლობაშიც კრედიტორი მეორადი მოთხოვნის დაყენების უფლებაში იზღუდება. კრედიტორს ასევე უფლება აქვს, დამატებითი ვადა ვალდებულების დროულად შესრულების პირობით დაანესოს, რა შემთხვევაშიც, თუ მოვალე ვალდებულებას დამატებითი ვადის განმავლობაში არ შეასრულებს, ვადა გადაცილებულად ჩაითვლება გაფრთხილების მომენტიდან (ex tunc).

73. ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, როცა შესრულების დაყოვნება თავად შემკვეთის ბრალითაა გამონეული ან მან არ განახორციელა ის ქმედება, რომელიც მას ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უნდა შეესრულებინა (სსკ-ის 369-ე, 633-ე | მუხლები).

74. დამატებითი ვადის დაწესების აუცილებლობა არ არსებობს ე.წ. „აბსოლუტურად ფიქსირებული“ (absolutes Fixgeschäft) ვალდებულების შემთხვევაში, როდესაც ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დროულად შეუსრულებლობა, როგორც წესი, შესრულების შეუძლებლობას იწვევს (მაგალითად, საქორწინლო კაბის შეკერვა ქორწილის შემდეგ; საკონდიტრო ნაწარმის დამზადება დაბადების დღის შემდეგ და ა.შ.) ასეთ შემთხვევაში, შემკვეთს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე (405-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი).

75. საკასაციომ პალატა აღნიშნავს, რომ ნარდობა დაკავშირებულია მენარდის ვალდებულებასთან – შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო და გადასცეს შემკვეთს შეთანხმებული საზღაურის მიღების პირობით შესრულებული სამუშაოს შედეგი. შემკვეთი სსკ-ის 648-ე მუხლის თანახმად, მოვალეა გადაუხადოს მენარდეს საზღაური სამუშაოს შესრულების შემდეგ.

76. ნარდობის ხელშეკრულებით შესაძლებელია გათვალისწინებული იქნეს მენარდისათვის ავანსის ან ბეს გადახდა. ავანსის ცნება მართალია კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, თუმცა ამ სამართლებრივ ინსტიტუტს ფართო გამოყენება აქვს პრაქტიკაში. ავანსი არის ფულადი თანხის გადახდა, რომელიც ხორციელდება უკვე დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად, მაშინ როდესაც ბე ადასტურებს ხელშეკრულების დადებას. ავანსი არ ატარებს აგრეთვე იმ უზრუნველყოფის საშუალების ფუნქციას, რომელიც დამახასიათებელია ბესთვის. (იხ. დამატებით: ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, გვ. 252.). ავანსი ძირითადად ემსახურება მენარდის ინტერესებს, მაშინ როდესაც ბე უზრუნველყოფს, როგორც მენარდის, ისე შემკვეთის ინტერესებს (Sdr. Busche, in MuKo.BGB, Band 4., 5. Aufl. §632 a, Rn. 2).

77. ნარდობის ხელშეკრულებით, შემკვეთის ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს მიიღოს შესრულებული სამუშაო და გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. სსკ-ის 649-ე მუხლის მიხედვით, თუ ხელშეკრულების თანახმად ან შესრულებული სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, საჭიროა მისი გადაცემა, მაშინ შემკვეთი მოვალეა მიიღოს შესრულებული სამუშაო. მიღებისთანავე შემკვეთი ვალდებულია გადაიხადოს საზღაური. სამუშაო მიღებულად ჩაითვლება, თუ შემკვეთი არ მიიღებს შესრულებულ სამუშაოს მენარდის მიერ დადგენილ ვადაში.

78. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსხვავებით სსკ-ის 648-ე მუხლისაგან, რომელიც განსაზღვრავს საზღაურის მოთხოვნის უფლების წარმოშობის მომენტს, სსკ-ის 649-ე მუხლი არ არის იმპერატიული და არ გამოიციხავს შესაძლებლობას, რომ მხარეთა შეთანხმებით საზღაური გადახდილ იქნეს სამუშაოს შესრულების შემდეგ, მაგრამ მის გადაცემამდე. თუ შემკვეთი არ ღებულობს მენარდის მიერ შესრულებულ სამუშაოს, ასეთ შემთხვევაში მოქმედებს შესრულების მიღების პრეზუმფცია.

79. შესრულებული სამუშაოს მიღებაში ერთმანეთისაგან არის გამიჯნული ორი ეტაპი: მენარდის მიერ სამუშაოს გადაცემა და შემკვეთის მიერ შესრულებული სამუშაოს მიღება. სამუშაოს გადაცემა, ერთის მხრივ წარმოშობს შემკვეთის ვალდებულებას, მიიღოს მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგი, ხოლო მეორეს მხრივ – მენარდის უფლებას, მოითხოვოს შემკვეთისაგან შეთანხმებული საზღაური.

80. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შესრულებული სამუშაოს მიღება წარმოშობს შემდეგ სამართლებრივ შედეგებს: ა)ინცება შესრულების ნაკლის გამო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა; ბ)შემკვეთმა უნდა გადაუხადოს მენარდეს საზღაური; გ)თუ შემკვეთი გადააცილებს საზღაურის გადახდის ვადას, მას შეიძლება დაეკისროს დამატებითი პასუხისმგებლობა (ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო და ა.შ.); დ)შემკვეთზე გადადის შესრულებული სამუშაოს შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი; ე)თუ შემკვეთი დროულად არ მიიღებს შესრულებულ სამუშაოს, მენარდეს წარმოეშვება სსკ-ის 633-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

81. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილია დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

82. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, რაც მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძ-

ველია, თუ გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული, ხოლო სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. შესაბამისად, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება და სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, შეგებებულ სარჩელს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე შემდეგი დასაბუთებით:

83. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებებს იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემულ შემთხვევაში, გამართლებული იყო ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა და რესტიტუციის ფარგლებში შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზოგადად, კერძო ხასიათის ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების პროცესში კონკრეტული სამართლის ნორმების საფუძველზე ამ ურთიერთობის მონაწილეების აღჭურვა განსაზღვრული სუბიექტური უფლებებითა და მოვალეობებით, განაპირობებს შემდგომში მათ ქცევას არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში. სამართლის ნორმა (ნორმები) პირს უნდა ანიჭებდეს უფლებას, მოსთხოვოს ვალდებულ პირს შეასრულოს სამართლებრივად განპირობებული აუცილებელი მოქმედება ან თავი შეიკავოს მისგან. აქედან გამომდინარე, მოთხოვნა ყოველთვის წარუმატებელი იქნება, თუ არ არსებობს კანონის ნორმა, საიდანაც გამომდინარეობს ის სამართლებრივი შედეგი, რომლის მიღწევაც მხარეს სურს ან თუკი ვერ იქნება დადასტურებული ნორმით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ფაქტობრივი გარემოებები.

84. საკასაციო პალატამ არაერთი სახელშეკრულებო დავის გადაწყვეტის დროს აღნიშნა, რომ ხელშეკრულების დადების მომენტიდან, მხარეები ვალდებულნი არიან შეუდგნენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. მათ არ შეუძლიათ ცალმხრივად თქვან უარი ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. მაგრამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან და უარი თქვას ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. (ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების საკითხზე შეადრ: სუსგ №ას-459-438-2015, 07 ოქტომბერი, 2015 წელი; №ას-38-38-2018, 08 ივნისი, 2018 წელი; სუსგ საქმე №ას-1747-2019).

85. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილის შესაძლებლობას კანონით გათვალისწინებულ

შემთხვევებში, უარი თქვას ხელშეკრულების გაგრძელებაზე, ხელშეკრულებიდან გასვლა ეწოდება. ნორმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გერმანიის სამოქალაქო კოდექსიდანაა გადმოღებული და ბევრად ეხმაურება ევროგაერთიანების სამართალს. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება აღმჭურველი უფლებაა. სამოქალაქო კოდექსი და სხვა კერძოსამართლებრივი კანონმდებლობა შეიცავს აგრეთვე ისეთ ნორმებს, რომლებიც გამოიყენება მოთხოვნის საფუძველით გათვალისწინებული წინაპირობების შემოწმებისას და ამდენად, ასრულებს დამხმარე ფუნქციას. დამხმარე ხასიათის ნორმებს განეკუთვნება ასევე უშუალოდ სამართლებრივი შედეგის დამფუძნებელი უფლების მომწესრიგებელი ნორმები, ისინი პირს სამართლებრივი შედეგის მოდიფიცირების უფლებას ანიჭებს ხელშეკრულების მეორე მხარის თანხმობის არსებობის მიუხედავად. დამფუძნებელია უშუალო სამართლებრივი შედეგის წარმომშობი უფლება, რომელიც პირს ანიჭებს უფლებამოსილებას, ცალმხრივი ნების გამოვლენით წარმოშვას, შეცვალოს ან გააუქმოს სამართლებრივი შედეგი. დამფუძნებელი უფლების მარეგულირებელი ნორმების ძირითადი თავისებურება ისაა, რომ უფლებამოსილი პირის მიერ უფლება ხორციელდება ნამდვილი, მიღებასავალდებულო ნების გამოვლენით. ასეთ დამფუძნებელ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება ხელშეკრულებიდან გასვლა, რომელიც სსკ-ის 355-ე მუხლის თანახმად, ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებით. დამფუძნებელი უფლება განხორციელებულია ანუ, შესაბამისი ნების გამოვლენა ნამდვილია იმ მომენტიდან, როდესაც იგი ხელშეკრულების მეორე მხარეს მიუვა, კერძოდ, მოხდება მიმღების ძალაუფლების სფეროში და ამ უკანასკნელს ექნება მისი შინაარსის რეალურად განხორციელების შესაძლებლობა. ამ უფლებათა განსხვავებული სტატუსი, ცხადია, არ გამოირიცხავს მათ განხორციელებას სასამართლოსათვის მიმართვის გზით.

86. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მოთხოვნა მხარეების მხრიდან პირველადი მოთხოვნის ხასიათს ატარებს, რომლის შეუსრულებლობაც იწვევს მეორადი მოთხოვნის უფლების წარმოშობას. ამ უკანასკნელს კი, მიეკუთვნება ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნა. ხელშეკრულებიდან გასვლა გამოიყენება მხოლოდ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ამიტომ კანონი ამომწურავად განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლებსა და წესს, კერძოდ, იმას, თუ როდის შეუძლია ხელშეკრულების მხარეს მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა (სსკ-ის 405-ე, 352-ე-359-ე მუხლები). თუმცა, ეს

არ გამორიცხავს, რომ მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულებიდან გასვლის დამატებით პირობებზე. თუ მხარეები ამ უფლებით არ ისარგებლებენ, გამოიყენება კანონის დისპოზიციური ნორმები. ხელშეკრულებიდან გასვლის, როგორც მეორადი მოთხოვნის უფლების საფუძვლები შეიძლება დაიყოს მატერიალურ და ფორმალურ ნაწილებად. მატერიალურში შეიძლება ვიგულისხმოთ სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობა, ხოლო ფორმალურში – დამატებითი ვადის დაწესება და ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინება. ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის კანონისმიერი წინაპირობებია: ა) ხელშეკრულების ნამდვილობა (უნდა აკმაყოფილებდეს გარიგების ნამდვილობის ზოგად პირობებს); ბ) ზოგადი წესის მიხედვით, მოვალის მხრიდან ხელშეკრულების მნიშვნელოვანი (არსებითი) დარღვევა (დარღვევა არსებითი ხასიათისაა, თუ მოვალის მხრიდან ძირითადი ვალდებულების დარღვევის გამო, ფაქტობრივი შესრულების დანიშნულებისამებრ გამოიყენება შეუძლებელი ხდება ან იკარგება მომავალში მისი შესრულების იმედი ანდა კრედიტორს ეკარგება შესრულებისადმი ინტერესი); გ) ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ განცხადების გაკეთებით მონაწილე მთლიანად ვადის ხელშეკრულებიდან, რადგანაც კანონით დაუშვებელია ხელშეკრულებიდან ნაწილობრივი გასვლა; დ) მიუხედავად ვალდებულების მნიშვნელოვანი დარღვევისა, მოვალეს არ შეუძლია კრედიტორს მოსთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება; ე) ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორი მთლიანად ან უმთავრესად არ არის პასუხისმგებელი; ვ) მოთხოვნას არ უპირისპირდება შესაგებელი, რომელიც უკვე წარმოდგენილია – ან წარდგენილი იქნება დაუყოვნებლივ მოვალის მიერ, თუკი კრედიტორი უარს იტყვის ხელშეკრულებაზე (მაგალითად, შესაგებელი ვალდებულების გაქვითვაზე); ზ) სახეზეა კრედიტორის მიერ შესაგებელი იურიდიული მოქმედება – ხელშეკრულებიდან გასვლისათვის მოცემული გონივრული ვადა, თუ ხელშეკრულებით ასეთი ვადა არ ყოფილა დადგენილი – ანდა, თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა – გაფრთხილება.

87. საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობა თავისთავად არ აფუძნებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას. შეუსრულებლობა გარკვეული ობიექტური მასშტაბით უნდა გაიზომოს. ზოგადად, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება წარმოიშობა, მიუხედავად იმისა, თუ რა ტიპის ვალდებულება დაირღვა. ვალდებულება, რომლის დარღვევაც ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველს წარმოადგენს, უნდა იყოს ნამდვილი, ვადამოსული და უპრეტენზიო. ხელ-

შეკრულებიდან გასვლის პირობა ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულებაა. თუ მოვალემ ვალდებულება შეასრულა ან კრედიტორმა შეთანხმებულის ნაცვლად სხვა შესრულება მიიღო, კრედიტორი ხელშეკრულებიდან ვერ გავა. კრედიტორს ასევე ეზღუდება ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, თუ მოვალემ წარადგინა ან დაუყოვნებლივ წარმოადგენს პრეტენზიას (შესაგებელს). ანალოგიური წესი გამოიყენება მაშინაც, როდესაც მოვალეს შეუძლია ვალდებულების გაქვითვა და იგი ამ უფლებას კრედიტორის მხრიდან ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის დაყენებისთანავე გამოიყენებს.

88. სსკ-ის 405-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები განამტკიცებენ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის უფლებას უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ მეორე მხარე არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, კრედიტორს შეუძლია მოვალეს დაუნესოს დამატებითი ვადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესასრულებლად. რაც განამტკიცებს ფაქტს, რომ მისთვის მთავარია ვალდებულების შესრულება და არა პასუხისმგებლობა შეუსრულებლობისათვის.

89. ხელშეკრულებიდან გასვლა, რომელიც იწვევს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის ანულირებას, არ შეიძლება განხორციელდეს მოვალისათვის ვალდებულების შესასრულებლად ხელმეორე შესაძლებლობის მიცემის გარეშე, რათა ამით თავიდან იქნეს აცილებული ხელშეკრულების ანულირება. სწორედ ამიტომ, კანონი ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც ვალდებულების შესასრულებლად მოვალეს მიეცემა დამატებითი ვადა, ამ დროს კრედიტორი სარგებლობს შეზღუდული უფლებით გავიდეს ხელშეკრულებიდან, ხოლო მოვალის ინტერესები კი გარკვეულწილად დაცულია (ანალოგიურადაა საკითხი გადაწყვეტილი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 323-ე პარაგრაფით). ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ დამატებითი ვადის განსაზღვრას გაუთანაბრდეს გაფრთხილება, რომლითაც კრედიტორი ავალდებულებს მოვალეს შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. გაფრთხილება ერთგვარი შეხსენებაა ვადა მოსული ვალდებულების შესასრულებლად. სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს გამოწვევის შემთხვევებს, როდესაც არ არის საჭირო ვალდებულებით პირისათვის არც დამატებითი ვადის დაწესება და არც გაფრთხილება. სახელშეკრულებო ურთიერთობებში ხელშეკრულებიდან გასვლის ფორმის განსაზღვრა მნიშვნელოვანია მხარეთა შემდგომი სამართლებრივი ურთიერთობებისათვის და განსაზღვრავს ამ უფლების განხორციელების სამართლებრივ

მართებულებას. სსკ-ის მიხედვით, ხელშეკრულებიდან გასვლა ხორციელდება მეორე მხარისათვის შეტყობინების გზით. ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ შეტყობინება ძალაშია მას შემდეგ, რაც განსაზღვრული წინაპირობები იქნება დაკმაყოფილებული. სსკ-ის 405-ე მუხლი დეტალურად აწესრიგებს ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის უფლების წარმოშობის წინაპირობებსა და გამონაკლისებს, ისევე, როგორც აღნიშნული უფლების წარმოშობის დამაბრკოლებელ გარემოებებს (ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლებზე საკასაციო პალატის ზემოაღნიშნული მსჯელობა მოცემულია საქმეში №ას-1003-924-2017, 01 დეკემბერი, 2017 წელი).

90. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მენარდემ იკისრა ვალდებულება, მოპასუხის საკუთრებაში არსებული კოტეჯებისათვის შეექმნა ელექტროფიკაციის ქსელის პროექტი და სამუშაოები დაესრულებინა არაუგვიანეს 2016 წლის 01 მაისისა.

91. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მენარდემ დათქმულ ვადაში სამუშაოები ვერ დაასრულა და ამ გარემოების დასტურად არ გაიზიარა, მენარდის მიერ წარმოდგენილი წერილი, რამდენადაც, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, წერილის შინაარსში მითითებულია ინფორმაცია არა ვალდებულების შესრულებაზე, როგორც უკვე დამდგარ შედეგზე, არამედ, სამომავლოდ შესასრულებელ ვალდებულებაზე; არც მოსარჩელის მიერ 2016 წლის 06 ივლისს გაგზავნილი წერილი, რომლითაც მენარდე დამკვეთს ატყობინებს, რომ პროექტი გამზადებულია და ითხოვს დავალიანების დაფარვას, არ იქნა მიჩნეული, რელევანტურ მტკიცებულებად. ხოლო ვინაიდან, მენარდემ დაარღვია სამუშაოს დროული შესრულების ვალდებულება, შემკვეთი უფლებამოსილი იყო ცალმხრივად შეენწყვიტა ხელშეკრულება.

92. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის წინაპირობების მტკიცების ტვირთი, შემკვეთს ეკისრება.

93. ამ თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს სამოქალაქო სამართალწარმოებაში მოქმედ მხარეთა დისპოზიციურობისა (სსსკ-ის მე-3 მუხლი) და შეჯიბრებითობის (სსსკ-ის მე-4 მუხლი) პრინციპებზე.

94. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დისპოზიციურობის პრინციპი სამოქალაქო საპროცესო სამართალში ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას, განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. ამ პრინციპზეა აგებული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა. უფლების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვა თვით დაინტერესებული პირის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. მისი ნების გარეშე არავის აქვს უფლება, მიმართოს სა-

სამართლოს. მხარეები თვითონ წარუდგენენ სასამართლოს მტკიცებულებებს. ისინი თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები, ამასთან, ეს მტკიცებულებები საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით უნდა იქნეს სასამართლოსათვის

95. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

96. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მონშეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. დასახელებული ნორმების თანახმად, სამოქალაქო პროცესში მხარეები ვალდებული არიან, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურონ მათი პოზიციის გასამყარებლად მითითებული გარემოებების არსებობა.

97. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, რომელიც ადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციფიკურ წესს, მოსარჩელეს ევალება სასარჩელო განცხადებაში ასახული ფაქტების მტკიცება, ხოლო მოპასუხე მოვალეა, სარჩელისაგან თავდაცვის მიზნით, ქმედითად უარყოს მოსარჩელის არგუმენტები, წარადგინოს იმგვარი მტკიცებულებები, რომლებიც გააქარწყლებს მოსარჩელის მიერ დასახელებულ ფაქტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ მოპასუხის ზეპირი განმარტება მოსარჩელის პოზიციას ვერ გადასწონის და მხარისათვის არახელსაყრელ მატერიალურ-სამართლებრივ შედეგს გამოიწვევს.

98. მაშასადამე, სსსკ-ის მე-3, მე-4 და 102-ე მუხლის ძალით, გარემოებათა სათანადოდ დაუდასტურებლობის მატერიალურსამართლებრივი შედეგის მატარებელი ხდება ის მხარე, რომელსაც ამ გარემოების დადასტურების ვალდებულება ეკისრებოდა.

99. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის (შეგებებული სარჩელის

ავტორი) არგუმენტი, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის მართლზომიერებასთან მიმართებით (დამატებითი ვადის მიცემის ან გაფრთხილების გარეშე), საკასაციო პალატის მოსაზრებით დაუსაბუთებელია.

100. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმასთან მიმართებით, რომ შემკვეთი, სოფ. ჯუღანში ახორციელებს კომპლექსის მშენებლობას და ვინაიდან მენარდემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დადგენილ ვადაში არ შეასრულა, შემკვეთი იძულებული შეიქნა მსგავსი ხელშეკრულება სხვა პირთან დაედო, რომლის შექმნილი პროექტით დამონტაჟდა ელექტრო გაყვანილობა (იხ., სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების პ.4.2; ასევე, ამ განჩინების პ.4.), გაუმართლებელს ხდის ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტას სსკ-ის 405-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების (დამატებითი ვადა, გაფრთხილება და ა.შ) დაუცველად.

101. გარდა ამისა, იმ პირობებში, როდესაც დადგენილია, რომ სამუშაოს დასრულების და შემკვეთისათვის ჩაბარების თარიღი იყო არაუგვიანეს 2016 წლის 01 მაისისა, პროექტი რეალურად მომზადდა და 2016 წლის 06 ივლისს მოსარჩელემ გაუგზავნა წერილი და დამკვეთს შეატყობინა, რომ პროექტი გამზადებულია, სასამართლო ვერ გაიზიარებს შეგებებულ სარჩელში მოსარჩელე მხარის მოსაზრებას რომ ვინაიდან, მოსარჩელეს არ ჰქონდა დათქმულ ვადაში შესრულებული პროექტი, რის გამოც, მოპასუხემ პროექტის შესრულება სხვა კომპანიას დაუკვეთა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ რაიმე ინფორმაცია, რომ მენარდე არ აპირებდა ვალდებულების შესრულებას, მოპასუხეს არ ჰქონდა. პირიქით, 2016 წლის 17 აპრილის წერილით მოსარჩელე აცყობინებს შემკვეთს, რომ 2016 წლის 24 აპრილს უკვე შესრულებული ექნება პროექტი. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ შემკვეთმა ვერ დაადასტურა, რომ ობიექტურად აუცილებელი იყო დადგენილ ვადაში ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, სსკ-ის 405-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ხელშეკრულებიდან ცალმხრივად გასვლის უფლების გამოყენება.

102. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მენარდის მოთხოვნის უფლება სსკ-ის 629.1 და 648-ე მუხლების საფუძველზე შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაზე წარმოშობილია, ნამდვილია და განხორციელებადია.

103. ვინაიდან დადგენილია, რომ შემკვეთს არ გააჩნდა სსკ-ის 405-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ხელშეკრულებიდან ცალმხრივად გასვლის უფლება, ავანსის სახით, მენარდისთვის გადახდილი თანხის – 4800 ლარის უკუქცევას, შემკვეთი ვერ მოით-

ხოვს.

104. საპროცესო ხარჯი:

105. ვინაიდან სარჩელი დაკმაყოფილდა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებას ეთქვა უარი, კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი პირველი და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, უნდა დაეკისროს მონინალმდეგე მხარეს.

106. პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელსა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე გადახდილია 493.50 ლარი, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოში ადვოკატის მომსახურებაზე გადახდილი თანხის 4% შეადგენს 458.00 ლარს კასატორის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილია 812.5 (572.5+240) ლარი. ამდენად, კასატორს უნდა აუნაზღაურდეს სსსკ-ის 53-ე მუხლის საფუძველზე საპროცესო ხარჯი 1764 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე და 53-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „კ.“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება;
3. შპს „კ.“ სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. შპს „...P.“-ს (ს/კ: ...) შპს „კ.“ (ს/კ: ...) სასარგებლოდ დაეკისროს 11 450 ლარი;
5. ძალაში დარჩეს თელავის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 15 სექტემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც ყადაღა დაედო შპს „...“-ის საბანკო ანგარიშს №G..., 11 450 ლარის მოცულობით სს „თ. ბ.“;
6. შპს „... P.“-ის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
7. შპს „...P.“-ს (ს/კ:...) შპს „კ.“ (ს/კ:...) სასარგებლოდ დაეკისროს განუხლები საპროცესო ხარჯის ანაზღაურება 1764 ლარის ოდენობით;
8. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. გადაზიდვა-გადაყვანა

გადაზიდველის პასუხისმგებლობა

გადაწყვეტილება საქართველოს სსრ-ში

№ას-569-544-2016

23 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ- ვლები:

1.1. დ. ფ-ემ (შემდგომში – მოსარჩელე, მონინალმდეგე მხარე ან გამგზავნი) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ს-ს“ (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტი, კასატორი ან გადამზიდველი) მიმართ ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის – 5 200 აშშ დოლარისა და გადაზიდვის ხარჯის – 349,90 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2015 წლის 2 მარტს მხარეთა შორის დაიდო გადაზიდვის ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც მოპასუხემ იკისრა ვალდებულება, ტვირთი მიენოღებინა აფრიკის კონტინენტზე, ნ-ის სახელმწიფოს ქ. ლ-ში (მისამართზე: კ. ა. რდ აპაპა №..., მ. ა-ი), ხოლო გამგზავნი ვალდებული იყო, გადაეხადა მომსახურებისა და ტვირთის დაზღვევის საფასური – 350 ლარი, რაც ამ უკანასკნელმა ჯეროვნად შეასრულა. ხელშეკრულების თანახმად, ტვირთის ფასი შეადგენდა 5 200 აშშ დოლარს. გაგზავნიდან მეორე სამუშაოს დღეს – 2015 წლის 4 მარტს ტვირთის დაბრუნების – გაგზავნის შეჩერების მოთხოვნით მოსარჩელემ მიმართა გადამზიდველს, რაც მას არ განუხორციელებია, თუმცა, მიმართვას მოჰყვა რეაგირება – 2015 წლის 6 მარტს გადამზიდველმა წერილობით აცნობა ნ-ის ფოსტას გზავნილის შეჩერების თაობაზე, კორესპოდენციის ადრესატამდე მისვლის შესახებ დასტური გადამზიდველმა მიიღო 2015 წლის 10 მარტს, ამის შემდგომ მოპასუხემ კვლავ მიწერა ნ-ის ფოსტას ტვირთის დაბრუნების მოთხოვნით, თუმცა ამას შესაბამისი შედეგი არ მოჰყოლია,

რადგანაც ტვირთი ჩააბარეს გზავნილში ადრესატად მითითებულ პირს. აღნიშნულით გადამზიდველმა დაარღვია ნაკისრი ვალდებულება, არ შეასრულა გამგზავნის მითითება, რის შედეგადაც დაზარალდა მოსარჩელე, ხოლო ზიანმა შეადგინა 5 200 აშშ დოლარი (ტვირთის ღირებულება), რომლის ანაზღაურებაზეც დაუსაბუთებლად აცხადებს უარს გადამზიდველი.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლით მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ გადამზიდველმა გამგზავნის 2015 წლის 5 მარტის განცხადებაზე მოახდინა მყისიერი რეაგირება. მოსარჩელის მიერ განცხადებით მიმართვის დროისათვის ტვირთი იმყოფებოდა ნ-ის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ნ-ის ფოსტის საქონლის მიღება-გაცვლის ოფისში, შესაბამისად, გადამზიდველი მოკლებული იყო შესაძლებლობას, თავად შეესრულებინა გამგზავნის მითითება გადაზიდვის შეჩერებისა და ტვირთის დაბრუნების თაობაზე, რის გამოც, ამ მოთხოვნით მან ორჯერ მიმართა ნ-ის ფოსტას, რაც მოპასუხის კეთილსინდისიერებაზე მეტყველებს, ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე უსაფუძვლოა, ვინაიდან არ არსებობს ანაზღაურების მავალდებულებელი წინაპირობები.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 5 200 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და 349,9 ლარის ანაზღაურება.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გადამზიდველმა, რომელმაც მისი გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმებისა და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გადამზიდველის ქმედების მართლზომიერება, აგრეთვე იმის შემოწმება, არსებობს თუ არა მისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობები.

1.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე ნორმის მე-2 ნაწილი გვთავაზობს იმ გარემოებათა ჩამონათვალს, თუ რა მიიჩნევა მატერიალური სამართლის ნორმის დარღვევად, კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; არასწორად განმარტა კანონი. საკასაციო საჩივრის ავტორი პრეტენზიას სწორედ იმ საფუძვლით აცხადებს, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა გადამზიდველის მიერ ვალდებულებათა არაჯეროვანი შესრულების შედეგად ზიანის ანაზღაურების დაკისრების მარეგულირებელი ნორმები. იმის გასარკვევად, თუ რამდენად დასაშვები/დასაბუთებული შედეგება იქნა წარმოდგენილი კასატორის მხრიდან, პალატა ყურადღებას გაამახვილებს ქვემდგომი სასამართლოების მიერ დადგენილ, წინამდებარე დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ გარემოებებზე:

1.2.1. 2015 წლის 2 მარტს მხარეთა შორის დაიდო ტვირთის გაგზავნის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოსარჩელემ ტვირთი გაგზავნა ნ-ის რესპუბლიკაში გზავნილის მიმღებ მ. ა-თან;

1.2.2. გადაზიდვის მომსახურებაში გამგზავნმა გადაიხადა 349,9 ლარი. გზავნილი წარმოადგენდა 5 200 აშშ დოლარად ღირებულ ვიდეოკამერას;

1.2.3. 2015 წლის 4 მარტს გამგზავნმა განცხადებით მიმართა გადამზიდველს და მოითხოვა 2015 წლის 2 მარტს ნ-აში მ. ა-სთვის გაგზავნილი გზავნილის შეჩერება და ტვირთის უკან დაბრუნება, ამ დროისათვის ტვირთი ნ-ის რესპუბლიკაში იმყოფებოდა;

1.2.4. 2015 წლის 6 მარტს გადამზიდველმა ნ-ის საფოსტო განყოფილების ადმინისტრაციაში გააგზავნა მიმართვა ტვირთის დაუყოვნებლივ უკან დაბრუნების შესახებ. 2015 წლის 10 მარტს მიღებულ იქნა დასტური ინფორმაციის დანიშნულების ქვეყნის შესაბამის სამსახურებზე გადაცემის შესახებ. იმავე დღეს კასატორმა განმეორებით გააგზავნა მოთხოვნა ტვირთის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით და 2015 წლის 16 მარტს მიიღო შეტყობინება ნ-ის ფოსტიდან, რომ ამანათი არ იყო შესული დანიშნულების ქვეყანაში. მიუხედავად ამანათის დაბრუნების შესახებ გადამზიდველის მოთხოვნისა, ის ადრესატს ჩაბარდა 2015 წლის 13 მარტს.

1.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო პალატის მიერ დადგენილად მიჩნეულ ზემოაღნიშნულ გარემოებებს საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილებისათვის სავალდებულო ძალა გააჩნია, რამდენადაც კასატორს ამ გარემოებათა თაობაზე დასაბუთებულ შედეგება არ წარმოუდგენია.

1.4. საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას იმის თაობაზე, რომ მხარეთა შორის დაიდო გადაზიდვის ხელშეკრულება და სამოქალაქო კოდექსის 668-ე მუხლის თანახმად, გადამზიდველს წარმოეშვა ვალდებულება, შეთანხმებული საზღაურის გადახდის სანაცვლოდ, გადაეტანა ტვირთი დანიშნულების ადგილზე. გადაზიდვის სახელშეკრულებო ურთიერთობის მომწესრიგებელი ეს ზოგადი ნორმა, ბუნებრივია, არ არის ამომწურავი და ამავე კოდექსის 672-ე მუხლის შესაბამისად, ამ ურთიერთობის მიმართ სრულად ვრცელდება გადაზიდვის ხელშეკრულების მომწესრიგებელი კანონისმიერი დანაწესები (სკ-ის 669-ე-708-ე მუხლები).

1.5. იმისათვის, რომ სწორად გადაწყდეს მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობა, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ხელშემკვრელ მხარეთა უფლება-მოვალეობები:

1.5.1. სამოქალაქო კოდექსის 680-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, გამგზავნი უფლებამოსილია განკარგოს ტვირთი, მოითხოვოს გადაზიდვის შეწყვეტა და მისი ეს უფლება ქარწყლდება მაშინვე, როცა ზედნადების მეორე პირი გადაეცემა ტვირთის მიმღებს. შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად გამგზავნის ფაქტობრივი ბატონობიდან ნივთის გასვლისა, იგი კვლავ მის არაპირდაპირ მფლობელად გვევლინება და შესაბამისად, გადაზიდვის ობიექტის ბედი კვლავ გამგზავნის ნების არეალშია მანამ, ვიდრე ნივთზე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი – ზედნადები მიმღებს არ გადაეცემა. საფოსტო ამანათზე გამგზავნის ანალოგიურ უფლებას ადგენს მსოფლიო საფოსტო კონვენცი-

ის (ძალაშია 18.11.1999 წლიდან) მე-2 მუხლი. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის სადავო არაა ის გარემოება, რომ გამგზავნმა გადამზიდველს გადაზიდვის შეწყვეტისა და ტვირთის დაბრუნების მითითება 2015 წლის 4 მარტს მისცა, როდესაც ტვირთი ნ-ის საფოსტო განყოფილებაში ამანათების მიღება-გაცვლის ოფისში იმყოფებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაზიდვის შეწყვეტის მოთხოვნის ზემოხსენებული უფლება მოსარჩელეს ჯერ კიდევ გააჩნდა.

1.5.2. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს გადამზიდველის არგუმენტს იმასთან დაკავშირებით, რომ მან ყოველი ღონე იხმარა გამგზავნის მითითების კეთილსინდისიერად შესასრულებლად, რაც მისი მხრიდან ნ-ის საფოსტო დაწესებულებისათვის ორჯერ წერილობით მიმართვაში გამოიხატა, კერძოდ, პირველად მან ნ-ის საფოსტო განყოფილებას მიმართა 2015 წლის 6 მარტს, ხოლო მეორედ – ამავე წლის 10 მარტს, ამასთანავე, რადგანაც ტვირთი იმყოფებოდა სწორედ ნ-ის საფოსტო განყოფილებაში, კასატორი მოკლებული იყო შესაძლებლობას, უშუალოდ შეესრულებინა გამგზავნის მითითება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გადამზიდველის ხსენებული არგუმენტი მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის წინაპირობა ვერ გახდება, რამდენადაც გადამზიდველის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებას კანონი უკავშირებს ობიექტური ფაქტორისა და მითითების მიმცემის ამ გარემოების შესახებ დაუყოვნებლივ ინფორმირების ფაქტის კუმულაციურად არსებობას, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 680-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, თუ მითითების შესრულება შეუძლებელია იმ მომენტში, როდესაც იგი მითითების შემსრულებელს მიუვა (სკ-ის 680.5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი) და ამ საფუძვლით არ შეუძლია მას მითითების შესრულება, ამის შესახებ გადამზიდველმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მითითების გამცემს, ხოლო, ამავე ნორმის მე-7 ნაწილის ძალით, გადამზიდველი, რომელიც არ ასრულებს ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით გაცემულ მითითებებს, ან ასრულებს მათ ზედნადების პირველი პირის მოთხოვნის გარეშე, პასუხს აგებს უფლებამოსილი პირის წინაშე აქედან წარმოშობილი ზიანისათვის.

1.5.3. განსახილველ შემთხვევაში, არც კასატორს განუცხადებია და არც ქვემდგომ სასამართლოებს დაუდგენიათ ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მითითების მიღებისთანავე მოპასუხემ დაუყოვნებლივ განახორციელა მისი შესრულების ადეკვატური ღონისძიებები და შესრულების შეუძლებლობის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობა გამგზავნს. ამ შემთხვევაში, სასამართლოს შინაგანი რწმენა ემყარება იმას, რომ ტვირ-

თი 2015 წლის 2 მარტს გაიგზავნა დაჩქარებული წესით (EMS) და ნ-ის ფოსტაში იმყოფებოდა 2015 წლის 4 მარტს, ხოლო გამგზავნის 4 მარტის მოთხოვნის პასუხად გადამზიდველმა ნ-ის ფოსტას წერილობით 2015 წლის 6 მარტს მიმართა, რომელიც ადრესატს მხოლოდ 10 მარტს ჩაჰბარდა. სარჩელზე დართული მოპასუხის წერილით კი, ირკვევა, რომ გამგზავნის განკარგულების შესრულების შეუძლებლობის თაობაზე წერილი გადამზიდველმა 2015 წლის 30 მარტს მოამზადა. ამ ფაქტის შეფასების მიზნით, პალატა მიუთითებს „მსოფლიო საფოსტო კონვენციის“ 57-ე მუხლზე (MYP სამსახური-საერთაშორისო დაჩქარებული ფოსტა), რომლის პირველი და მე-3 პუნქტების თანახმადაც, საერთაშორისო დაჩქარებული ფოსტის სამსახური, ფიზიკურად საფოსტო სამსახურებიდან ყველაზე სწრაფია. იგი მოიცავს კორესპოდენციის, დოკუმენტების ან საქონლის ძალიან მოკლე დროში აკრებას, გადაცემას და მიწოდებას. ეს სამსახური განისაზღვრება ლოგოტიპით, რომლის ნიშნით მოყვანილია ქვემოთ და რომელიც შედგება ელემენტებისაგან: ფართის ფორმა სტაფილოს ფერის; EMS ასოები ლურჯი ფერის; სტაფილოსფერი სამი ჰორიზონტალური ზოლი. ლოგოტიპი შეიძლება შევსებული იყოს ნაციონალურ სამსახურში გამოყენებული დასახელებით. ნ-ის ფოსტასთან გამგზავნის მიუთითების შესრულების მიზნით, ზემოხსენებული სტანდარტის დაცვით კომუნიკაციის დამყარების ფაქტი საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება.

1.5.4. წინა პუნქტებში განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხის მხრიდან გამგზავნის კანონიერი მოთხოვნის შესრულების წესის დარღვევის გამო, ზიანის ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე ქვემდგომი სასამართლოების დასკვნა საფუძვლიანია და ამ ნაწილში არ არსებობს კასატორის პრეტენზიათა გაზიარების საფუძველი.

1.6. რაც შეეხება ზიანის ოდენობის განსაზღვრის საკითხს, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხარეთა შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა სახელშეკრულებო ურთიერთობაა და მისი ყოვლისმომცველი მოწესრიგება მხოლოდ კონკრეტული ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამოქალაქო კოდექსის კერძო ნაწილის ნორმებით არ შემოიფარგლება, შესაბამისად, მის მიმართ მოქმედებს ვალდებულებითი სამართლის ყველა, მათ შორის მეორადი მოთხოვნების მარეგულირებელი ის ნორმები, რომლებიც სპეციალურ მოწესრიგებას არ ეწინააღმდეგებიან. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, გონივრული ბალანსი იქნას დაცული ზიანის მიმყენებლისა და დაზარალებულის ინტერესებს შორის. ვალდებულე-

ბის დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების პროპორციულობას ადგენს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, ამავე კოდექსის 409-ე მუხლის თანახმად კი, თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ კრედიტორის მითითების მიუხედავად, ნივთის (ტვირთის) დაბრუნება ვერ უზრუნველყო გადამზიდველმა, შესაბამისად, გამართლებულია მოპასუხისათვის ნივთის ღირებულების დაკისრება, რომლის ოდენობაც მხარეთა შორის სადავო არაა, ამდენად, 5 200 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ლარის დაკისრების თაობაზე ქვემდგომი სასამართლოების დასკვნები კანონიერია და ამ ნაწილში არსებობს გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები, გადაზიდვის საზღაურის – 394,9 ლარის კასატორისათვის დაკისრების თაობაზე კი, ქვემდგომი სასამართლოს განჩინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის დარღვევითაა მიღებული, კერძოდ: იმ უდავო გარემოების გათვალისწინებით, რომ გადაზიდვის საზღაური სამოქალაქო კოდექსის 668-ე მუხლის ფარგლებშია გადახდილი, რომელიც გადამზიდველს არც გამგზავნის მითითების და არც გადაზიდვის ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში (სკ-ის 684-ე მუხლის შესაბამისად, გადამზიდავს გამგზავნის მითითების შესრულების შემთხვევაში წარმოეშობოდა დამატებითი შესრულების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მოსარჩელის მიმართ) არ წარმოეშობოდა, ეს თანხა არ შეიძლება მიჩნეულ იქნას კრედიტორისათვის მიყენებულ ზიანად და შესაბამისად, მისი ანაზღაურება არ შეიძლება დაეკისროს კასატორს.

1.7. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. მოცემულ შემთხვევაში, რადგანაც მტკიცებულებათა შეფასების, ასევე, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დამატებით დადგენისა თუ საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის დაბრუნების სხვა წინაპირობები არ იკვეთება, პალატა მიიჩნევს, რომ უფლებამოსილია, თავად გადაწყვიტოს დავა: ამ გადაწყვეტილებით

ბის სამოტივაციო ნაწილის 1.6. პუნქტში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ გამგზავნის სარჩელი გადაზიდვის საზღაურის – 394,9 ლარის გადამზიდველისათვის დაკისრების ნაწილში უსაფუძვლოა და უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

2. სასამართლო ხარჯები:

2.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით მოწესრიგებულია საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების მხარეთა შორის განაწილების წესი და ნორმით დადგენილია, რომ იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიხილეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

2.2. განსახილველი დავის საგნის ღირებულება შეადგენს 12 569,9 ლარს (სსსკ-ის 40.2 მუხლი და 41.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, ასევე, სარჩელის წარდგენის დროისათვის არსებული ვალუტის კურსი www.nbg.gov.ge). მოსარჩელის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილია 369 ლარი, ხოლო მოპასუხემ სააპელაციო და საკასაციო საჩივრების გამო გადაიხადა 511,41 და 626,83, სულ – 1138,24 ლარი. საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილებით დადგენილი მართლწესრიგის გათვალისწინებით, პალატა თვლის, რომ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი ბაჟის 97%-ის, ხოლო მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ – სააპელაციო და საკასაციო საჩივრების გამო განეული ხარჯის 3%-ის ანაზღაურება, საბოლოოდ, მოთხოვნათა ურთიერთგაქეთვის გზით შპს „ს-ას“ დ. ფ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 305,93 ლარის ანაზღაურება. რაც შეეხება საკასაციო საჩივარზე გადახდილ ბაჟს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, იგი დატოვებულ უნდა იქნას სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ს-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 აპრილის განჩინება საფოსტო მომსახურების, ასევე, სასამართლო ხარჯის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

3. დ. ფ-ის სარჩელი შპს „ს-ის“ მიმართ 349,9 ლარის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

4. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად.

5. შპს „ს-ას“ (ს/კ №...) დ. ფ-ის (პ/№...) სასარგებლოდ სასამართლო ხარჯის სახით დაეკისროს 305,93 ლარის ანაზღაურება.

6. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. დავალაშის ხელშეკრულება

საადვოკატო მომსახურების ღირებულების ანაზღაურება

გადანყვებითლება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1301-1221-2017

27 მარტი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ც. მ-ასა (შემდეგში: მოსარჩელე, რწმუნებული, ადვოკატი, მეორე აპელანტი ან კასატორი) და ზ. ჯ-ას (შემდეგში: მოპასუხე, მარწმუნებელი, კლიენტი ან პირველი აპელანტი) შორის, 2012 წლის 10 სექტემბერს, იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება (შემდეგში: ხელშეკრულება) გაფორმდა, რომლითაც მოსარჩელეს მოპასუხისთვის იურიდიული/სამართლებრივი მომსახურება შესაბამისი ღირებულების გადახდის სანაცვლოდ უნდა გაენია (იხ. ხელშეკრულება).

2. ხელშეკრულების საგანი იყო ... რაიონულ სასამართლოში განსახილველ საქმეზე (მოსარჩელე – ე. ვ-ნი, მოსამართლე – მ. კ) მარწმუნებლის ინტერესების დაცვა და საქმის სრულყოფილი განხილვის მიზნით წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობაში. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 7 500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში. ვალდებულების შესრულება უნდა განხორციელებულიყო უნაღდო ანგარიშსწორებით, რწმუნებულის საბანკო ანგარიშზე თანხის შეტანის გზით. 4 500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში გადახდილი უნდა ყოფილიყო არა უგვიანეს 14.09.2012 წელს, ხოლო დარჩენილი თანხა 3 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში – ... რაიონულ სასამართლოში დავის დასრულებიდან არა უგვიანეს 5 საბანკო დღის ვადაში. გადახდის ვადის გადაცილებისთვის გათვალისწინებული იყო პირგასამტეხლოს დარიცხვა – ვადაგადაცი-

ლებული თანხის 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

3. მოსარჩელის გაანგარიშებით შეთანხმებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა აღემატება 6 974 აშშ დოლარს, თუმცა, ის თავად მოსარჩელის მიერ 500 აშშ დოლარამდე შემცირდა.

4. მარნმუნებლის წინააღმდეგ მიმდინარე სამოქალაქო საქმეზე (მოსარჩელე – ე. ვ-ნი), რომელზეც შეთანხმებული იყო წარმომადგენლობა, დავის საგნის ღირებულება აღემატებოდა 700 000 აშშ დოლარს. საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში დასრულდა 29.03.2013წ. რწმუნებულმა შეასრულა შეთანხმებული მომსახურება. თავდაპირველი განხილვისას დავა არ გადაწყვეტილა მოპასუხის სასარგებლოდ. გადაწყვეტილება გასაჩივრდა. საჩივრის შეტანის შემდეგ საქმეში, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, ჩაერთო სხვა წარმომადგენელიც. გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება, საქმე ამავე სასამართლოს დაბრუნდა ხელახალი განხილვისთვის.

5. რწმუნებულს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოებისას არ დაუყენებია შუამდგომლობა მოწინააღმდეგე მხარისათვის მარნმუნებლის მიერ გაღებული ხარჯების დაკისრების თაობაზე. აღნიშნულის შემდგომ კი, მოსარჩელის მითითებით, ის ველარ დაუკავშირდა თავის მარნმუნებულს.

6. მოპასუხემ მოსარჩელეს 2 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი (კურსით 1 აშშ დოლარი – 1.65 ლარი) ეროვნულ ვალუტაში გადაუხადა (იხ. ქვეთარი).

7. სარჩელის საფუძვლები

7.1. მოსარჩელემ (რწმუნებულმა) 2015 წლის 1 დეკემბერს სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხის (მარნმუნებლის) წინააღმდეგ და მისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ დავალიანების – 7 500 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს 500 აშშ დოლარის დაკისრება მოითხოვა.

7.2. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა, რის გამოც სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს და მოპასუხეს დავალიანების გადახდა უნდა დაეკისროს.

8. მოპასუხის შესაგებელი

8.1. მოპასუხემ (მარნმუნებელმა) წერილობით წარდგენილი შესაგებელით სარჩელი არ ცნო და სასარჩელო მოთხოვნის ნაწილის ხანდაზმულობაზე მიუთითა.

9. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება

9.1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით ადვოკატის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მის სასარგებლოდ ყოფილ კლიენტს (მოპასუხეს) 1 500 აშშ

დოლარის გადახდა დაეკისრა.

9.2. საქალაქო სასამართლომ 4 500 აშშ დოლარის ნაწილში სარჩელი ხანდაზმულად მიიჩნია, დარჩენილ თანხას კი მოპასუხის მიერ გადახდილი 2 000 აშშ დოლარი გამოაკლო.

10. სააპელაციო საჩივრები

10.1. მოპასუხემ (მარწმუნებელმა) სააპელაციო საჩივრით ნაწილობრივ გაასაჩივრა რაიონული სასამართლოს 2017 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

10.2. მოსარჩელემ (რწმუნებულმა) სააპელაციო საჩივრით ნაწილობრივ გაასაჩივრა რაიონული სასამართლოს 2017 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

11. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

11.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილებით პირველი აპელანტის (კლიენტის) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, მეორე აპელანტის (ადვოკატის) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და რწმუნებულის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

11.2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ამ გადაწყვეტილების 1-6 ქვეპუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები და განმარტა, რომ სამოქალაქო სამართლით განმტკიცებულია მხარეთა ნების ავტონომიურობისა და თავისუფლების პრინციპები, რომლებიც, რა თქმა უნდა, ასევე ვრცელდება იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაზე. თუმცა სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რეალურად ამ ტიპის სარჩელის დაკმაყოფილება დიდწილად დაამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად კვალიფიციურად და პირნათლად იქნა შესრულებული წარმომადგენლის მიერ ის ვალდებულებები, რასაც მას იურიდიული დახმარების შესახებ ხელშეკრულება ავალდებულებდა. ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის რეალური მოლოდინები და ბოჭვა, რომლებსაც სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ერთი მხარის მიერ განეული ხარჯების მეორე მხარისათვის გადახდევინების შემთხვევისათვის აწესებს.

11.3. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომი: სსსკ) 53-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული პროცენტული ცენზი წარმოადგენს იმ მაქსიმალურ საკანონმდებლო ზღვარს, რაც შეიძლება საადვოკატო მომსახურების სახით განისაზღვროს. ამასთან, თა-

ვად თანხის ოდენობა უნდა იყოს გონივრული, რომლის დადგენაც სასამართლოს პრეროგატივაა. ნორმის დისპოზიცია იმგვარად არის ფორმულირებული, რომ არ ადგენს ერთი მხარის მიერ განეული ხარჯის სანაცვლო ანაზღაურების ერთმნიშვნელოვან ოდენობას, არამედ ამ ოდენობის გონივრულად განსაზღვრის უფლებას უტოვებს სასამართლოებს. კანონმდებლის ამგვარი მიდგომა განპირობებულია იმ მოსაზრებით, რომ ადვოკატის მომსახურებაში გადახდილი ხარჯების სანაცვლო ანაზღაურებამ დაუსაბუთებლად არ უნდა შეზღუდოს, ხელყოს პროცესის მონაწილე მხარის უფლება და არ უნდა შექმნას წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის ხელოვნურად გაზრდის პროცესუალური საფუძველი; ნორმის ამგვარი შინაარსის მიზანია პროცესის მონაწილე მეორე მხარის უფლებების დაუსაბუთებელი ხელყოფის, შეზღუდვის თავიდან აცილება. გონივრულობის კრიტერიუმად კი, კანონმდებელი მიიჩნევს დავის საგნის ღირებულების არა უმეტეს 4%-ს. ნიშანდობლივია, რომ დავის საგნის ღირებულების 4% წარმოადგენს ზედა ზღვარს (კანონით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას), რომლის ფარგლებშიც ხდება ხარჯების ოდენობის სასამართლოს მიერ განსაზღვრა და ამ თვალსაზრისით, მხედველობაში მიიღება კონკრეტულად რა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ქმედებები ექნა განხორციელებული ადვოკატის მიერ, რა სახის ადამიანური რესურსი დაიხარჯა, საქმის წარმოების რომელ ეტაპზე პროცესის მონაწილე რომელმაც მხარემ გასწია იგი და სხვა.

11.4. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ იმ სამოქალაქო დავაში, სადაც ადვოკატი იურიდიულ მომსახურებას უწევდა კლიენტს (მოპასუხეს) (საქმეზე ვ-ის წინააღმდეგ), რწმუნებულს არ დაუყენებია მისი მარწმუნებლის მიერ განეული ხარჯის ანაზღაურების საკითხი.

11.5. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, დავის გადანყევტისას მხარის მიერ განეული სასამართლო და სასამართლოსგარეშე ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმა მხარეს ართმევს უფლებას აღძრას დამოუკიდებელი სარჩელი სხვა დავაზე განეულ ხარჯებთან დაკავშირებით. რწმუნებულს არ დაუყენებია საკითხი (ამგვარი რამ დადასტურებულია საქმის მასალებით) მარწმუნებლის მიერ განეული სასამართლო ხარჯების მეორე მხარისათვის დაკისრების მოთხოვნით, რაც უზენაესი სასამართლოს განმარტებიდან გამომდინარე იმას ნიშნავს, რომ მხარეს, მოპასუხეს წაერთვა უფლება და საშუალება სხვა პროცესით, სხვა სამართალწარმოებაში იდავოს მის მიერ განეულ ხარჯებთან დაკავშირებით.

11.6. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელემ (ადვოკატმა) განახორციელა მოპასუხის (კლიენტის) ინტერე-

სების დაცვა ...-ის რაიონულ სასამართლოში, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში კი, მასთან ერთად, მარწმუნებლის ინტერესებს სხვა ადვოკატიც იცავდა. ...-ის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს, აღნიშნულის შემდეგ კლიენტისათვის იურიდიული მომსახურება ადვოკატს აღარ განუხორციელებია, ანუ დადგენილია, რომ კლიენტის (მოპასუხის) ინტერესების დაცვა, დავის ხელახალი განხილვისას პირველი ინსტანციის სასამართლოდან მოყოლებული განახორციელა სხვა წარმომადგენელმა.

11.7. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სასამართლომ მხარეს ხარჯების ანაზღაურება უნდა დააკისროს მხოლოდ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ისინი რეალურად და საქიროებისამებრ იქნა გაღებული იმ მიზნით, რომ აღკვეთილიყო სამოქალაქო უფლების დარღვევა (იხ. „ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ“).

11.8. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მარწმუნებელს რწმუნებულისათვის იურიდიული მომსახურებისთვის გადახდილი აქვს თანხა 2 000 აშშ დოლარის ოდენობით, რაც სასამართლოს შეფასებით, იმ ვითარებაში, რა სახის მომსახურებაც გასწია მოსარჩელემ (ადვოკატმა) – გონივრულია.

12. მეორე აპელანტის (რწმუნებულის) საკასაციო საჩივრის საფუძვლები

12.1. მეორე აპელანტმა (რწმუნებულმა) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა. კასატორმა სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 28 ივლისის საოქმო განჩინებაც გაასაჩივრა, რომლითაც ძალაში დარჩა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 29 ივნისის საოქმო განჩინება, ...-ის რაიონული პოლიციიდან შესაბამისი სისხლის სამართლის მასალების გამოთხოვაზე უარის თქმის შესახებ.

12.2. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლო პირველი აპელანტის სააპელაციო საჩივრის ფარგლებს გასცდა, ვინაიდან მოპასუხე ...-ის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას მხოლოდ პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში ასაჩივრებდა, რაზეც სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ოდენობაც (150 ლარი) მიუთითებს;

12.3. კასატორის განმარტებით, წინამდებარე შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია არა მხოლოდ ისეთი გარემოება, რაც ობიექტურად ეწინააღმდეგება არსებულ ვითარებას, არამედ მისი სამართლებრივი შეფასების საგნად იქცა ის

ფაქტობრივი მოცემულობა, რაც არ არსებულა დღიდან ამ დავის დაწყებისა. თავის მხრივ, კი სასამართლო შეზღუდულია იმ ფაქტებითა და გარემოებებით, რომლებიც ქვემდგომი სასამართლოს მიერ იქნა დადგენილი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია არაა წამოყენებული. სააპელაციო საჩივარში კი ასეთი პრეტენზია არ იყო ასახული;

12.4. სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა ის გარემოებაც, რომ ადვოკატს კლიენტის ინტერესები სააპელაციო სასამართლოს მიღმა არ დაუცავს, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ადვოკატი კლიენტის ინტერესებს საკასაციო სასამართლოშიც კი იცავდა. აღნიშნულს სადავოდ არ ხდიდა თავად კლიენტი (მოპასუხე), შესაბამისად ეს სააპელაციო სასამართლოს შეფასების საგანი არ უნდა გამხდარიყო.

12.5. კასატორი მიიჩნევს, რომ განსახილველ საქმეში დავის საგანია საადვოკატო მომსახურებიდან გამომდინარე სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება, როგორც კრედიტორის პირველადი ფუძემდებლური მოთხოვნა. აქედან გამომდინარე, ევროპის პრეცედენტულ სამართალზე მითითება სამართლებრივად მიზანშეუწონელია, რადგან დავა ორ კერძო პირს შორის არსებული სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას შეეხება.

13. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

13.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ნოემბრის განჩინებით რწმუნებულის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

13.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 28 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად, მიიჩნევს, რომ მოსარჩელის (ადვოკატის) საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ დასაბუთებულია და იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

14. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკა-

საციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს შეფასებით, რწმუნებულს ნაწილობრივ დასაბუთებული საკასაციო შედავება აქვს წარმოდგენილი.

15. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, №7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

16. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში უპირველესად მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის ტიპი უნდა განისაზღვროს და ამის შემდეგ შეფასდეს მხარეთა უფლება-მოვალეობები.

17. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია სამართლებრივად შეფასდეს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსი, რაც განსხვავებულად განიმარტა და შესაბამისად, მხარეთათვის განსხვავებული სამართლებრივი შედეგი დადგა პირველი და მეორე ინსტანციების სასამართლოებში საქმისწარმოების ეტაპზე.

18. საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა: „სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონემაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტუ-

ლი აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტორივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტორივი წანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამოიციხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას“ (იხ. სუსგ №ას-15-29-1443-2012, №ას-973-1208-04; №ას-664-635-2016).

19. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, კერძოდ, საადვოკატო მომსახურების ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 709-ე (დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე) და 710.1 (მარწმუნებული ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო მხოლოდ ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში) მუხლები.

20. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს, ამ გადაწყვეტილების 11.3, 11.4, 11.5 და 11.8 ქვეპუნქტებში ასახულ, სამართლებრივ შეფასებას და განმარტავს, რომ რწმუნებულსა და მარწმუნებელს შორის გაფორმებული დავალების ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება და შედეგები საქმეში მოდავე მხარეთა შორის იურიდიული მომსახურების ხარჯების განაწილებისაგან განსხვავდება. ამ უკანასკნელს სსსკ-ის 53-ე მუხლი აწესრიგებს, ხოლო დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობა სსკ-ის 709-ე-723-ე მუხლებითაა მონესრიგებული. საქმის განხილვისას იურიდიული მომსახურების საფასურის პროცესუალურად მონინააღმდეგე მხარისათვის დაკისრებას და მის ოდენობას სასამართლო წყვეტს, ხოლო დავალების ხელშეკრულების მიმართ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი მოქმედებს (სსკ-ის 319.1 მუხლი, 327-ე მუხლი). დავის დასრულების შემდეგ იურიდიული მომსახურების ხარჯების მოთხოვნის აკრძალვაც, სწორედ სასამართლოს პრეროგატივაში შემავალ ხარჯებს ეხება და არა დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხას, რაც ცალკე, დამოუკიდებელი სამართალურთიერთობაა.

21. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორი (რწმუნებული) მის მიერ წარდგენილი სარჩელით მოპასუხისათვის (მარწმუნებლისათვის) 8 000 აშშ დოლარის დაკისრებას ითხოვდა, 7 500

აშშ დოლარი – დავალიანება და 500 აშშ დოლარი – პირგასამტეხლო. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად კლიენტს (მოპასუხეს) ადვოკატისათვის (მოსარჩელისათვის) 4 500 აშშ დოლარი 2012 წლის 14 სექტემბრამდე უნდა გადაეხადა, ხოლო დარჩენილი – 3 000 აშშ დოლარი რაიონული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 საბანკო დღის ვადაში (სამოქალაქო საქმეზე მოსარჩელე – ე. ვ-ნი). კლიენტმა ადვოკატს 2 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი 2012 წლის 18 ოქტომბერს გადაუხადა. აღნიშნული თანხა, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, პირველი ეტაპის საადვოკატო მომსახურების საფასურის – 4 500 აშშ დოლარის ანგარიშში უნდა ჩაითვალოს, რაც მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი), რადგან 2012 წლის 18 ოქტომბერს რაიონულ სასამართლოს მოსარჩელე ვ-ის საქმეზე, სადაც მოპასუხე ადვოკატის კლიენტი იყო, გადაწყვეტილება მიღებული არ ჰქონდა. რაც შეეხება, პირველი ეტაპის დარჩენილ 2 500 აშშ დოლარს (4 000 აშშ დოლარი – 2 000 აშშ დოლარი), როგორც მოპასუხემ მის მიერ წერილობით წარდგენილ შესაგებებელში აღნიშნა, ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია, რადგან მოთხოვნის უფლება მოსარჩელეს 2012 წლის 15 სექტემბრიდან წარმოეშვა, სარჩელი კი 3-წლიანი ხანდაზმულობის გასვლის შემდეგ – 2015 წლის 1 დეკემბერსაა შეტანილი (სსკ-ის 129-ე მუხლი).

22. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მეორე ეტაპის – 3 000 აშშ დოლარის ადვოკატისათვის (მოსარჩელისათვის) გადახდის ვალდებულება მოპასუხეს (კლიენტს) რაიონული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან – 2013 წლის 29 მარტიდან (პარასკევი) 5 საბანკო დღეში, ანუ 2013 წლის 5 აპრილამდე უნდა შეესრულებინა. ამ ვადიდან აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნა და პირგასამტეხლოს შესახებ მოთხოვნა ხანდაზმული არ არის, რაც 3 500 აშშ დოლარის მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის დაკისრების საფუძველია.

23. რაც შეეხება, კასატორის (ადვოკატის) პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს მხრიდან პირველი აპელანტის მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივრის ფარგლების გაცდენას, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრების ფარგლები არ დაურღვევია. მოპასუხე (მარწმუნებელი) რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას მისთვის დაკისრებული 1 500 აშშ დოლარის ნაწილში ასაჩივრებდა. სსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად კი მოპასუხეს სააპელაციო საჩივარზე 1 500 აშშ დოლარის 4% – 60 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი უნდა გადაეხადა, პირველმა აპელან-

ტმა სახელმწიფო ბაჟი – 150 ლარი გადაიხადა (სსსკ-ის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი).

24. კასატორი სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 28 ივლისის საოქმო განჩინებას ასაჩივრებს, რომლითაც უცვლელად დარჩა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 29 ივნისის საოქმო განჩინება, თუმცა არ უთითებს გასაჩივრების საფუძვლებს.

25. ზემოხსენებული მოტივაციით, რწმუნებულის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, რწმუნებულის სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანება – 3 000 აშშ დოლარი და პირგასამტეხლო 500 აშშ დოლარი უნდა დაეკისროს. დანარჩენ ნაწილში კი რწმუნებულის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს (სსსკ-ის 411-ე მუხლი).

26. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ მისთვის დაკისრებული თანხის პროპორციული სახელმწიფო ბაჟის გადახდა უნდა დაეკისროს (იხ. სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტი).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 399-ე, 372-ე, 264.3, 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ე შ ი ტ ა :

1. ც. მ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება და

საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ც. მ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. ც. მ-ას სასარგებლოდ ზ. ჯ-ას დაეკისროს 3500 (სამი ათას ხუთასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა;

5. დანარჩენ ნაწილში ც. მ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

6. ც. მ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 28 ივლისის საოქმო განჩინების გასაჩივრების ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა ...-ის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 29 ივნისის საოქმო განჩინება

7. ც. მ-ას სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების ნაწილში, ზ. ჯ-ას დაეკისროს 420 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება;

8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. დაზღვევა

სადაზღვევო შეითხვევის დადგომის შეტყობინების ვალდებულება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-409-382-2017

19 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება (სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება)

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2011 წლის 17 დეკემბრის №2011-175, 2011 წლის 19 დეკემბრის №2011-178 და №2011-179 საკრედიტო ხელშეკრულებების საფუძველზე, შპს „ე-მა“ (შემდგომში – „მოსარჩელე“ ან „დამზღვევი“) მსესხებელზე – გ. ა-ეზე (შემდგომში – „მსესხებელი“) სესხის გაცემის ვალდებულება იკისრა, ჯამში 33 000 აშშ დოლარის ოდენობით. სანაცვლოდ, მოვალის მხრიდან უნდა მომხდარიყო სამი ავტომობილის (L-...) დალომბარდება.

2. მოსარჩელესა და მსესხებელს შორის გაფორმებული ზემოაღნიშნული სასესხო ხელშეკრულებები უზრუნველყოფილ იქნა მოსარჩელესა და სს „ა-ას“ (შპს „ს-ის“ უფლებამონაცვლე, შემდგომში – „მოპასუხე“, „კასატორი“, „მზღვეველი“ ან „სადაზღვევო კომპანია“) შორის დადებული საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევის შესახებ გენერალური ხელშეკრულებით №CII/12-0001.

3. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2011 წლის 18 იანვარს დაიდო „ლომბარდული სესხის ფინანსური რისკის დაზღვევის შესახებ“ გენერალური ხელშეკრულება, 2011 წლის 10 ოქტომბერს – „საკრედიტო ვალდებულების დაზღვევის შესახებ“ გენერალური ხელშეკრულება №11-0001 და 2012 წლის 11 აპრილს – „საკრედიტო ვალდებულების დაზღვევის შესახებ“ გენერალური ხელშეკრულება №12-0001. აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე დამზღვევის, როგორც სესხის გამცემი ორგანიზაციის, საკრედი-

ტო რისკების დაზღვევა განხორციელდა.

4. 2012 წლის 17 მარტს მოსარჩელემ №C-... სადაზღვევო ხელშეკრულების ვადის სამი თვით გაგრძელების მოთხოვნით მიმართა მოპასუხეს, რაც დაკმაყოფილდა და სადაზღვევო კომპანიის მიერ გაიცა სადაზღვევო პოლისი №-..., 2012 წლის 17 მარტიდან 2012 წლის 17 ივნისის ჩათვლით.

5. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმებული „საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევის შესახებ“ გენერალური ხელშეკრულება №CII/12-0001 2012 წლის 11 სექტემბერს შეწყდა.

6. 2015 წლის 17 მარტს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის – 33 000 აშშ დოლარის დაკისრება.

7. მოსარჩელის განმარტებით:

7.1. მოსარჩელე კომპანია ფიზიკურ პირებზე გასცემდა კრედიტებს და ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მოვალე ფიზიკურ პირთა ავტომანქანები რეგისტრირდებოდა მოსარჩელე კომპანიის სახელზე, თუმცა ავტომანქანის მფლობელი (მოვალე) იტოვებდა ავტომანქანით სარგებლობის უფლებას. მოსარჩელის საკუთრებაში ავტომანქანები რეგისტრირებული რჩებოდა იქამდე, ვიდრე მოვალე კრედიტს სრულად არ დაფარავდა;

7.2. 2012 წლის 11 აპრილს მხარეთა შორის დადებული გენერალური ხელშეკრულება უზრუნველყოფდა მოსარჩელის მიმართ მოვალე ფიზიკური პირების საკრედიტო ვალდებულებების დაზღვევას;

7.3. მოსარჩელე კომპანიამ მსესხებელზე გასცა სამი კრედიტი: 2011 წლის 19 დეკემბერს – 11 000 აშშ დოლარი (ხელშეკრულება №2011-178) და 7 000 აშშ დოლარი (ხელშეკრულება №2011-179), ხოლო 2011 წლის 17 დეკემბერს – 15 000 აშშ დოლარი (ხელშეკრულება №2011-175). სანაცვლოდ, მსესხებელმა სამი ავტომანქანა: L-... დაალომბარდა. ავტომანქანები დროებით დარეგისტრირდა მოსარჩელის სახელზე, მაგრამ დარჩა მსესხებლის მფლობელობაში;

7.4. მსესხებელმა არ შეასრულა სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და არც ავტომანქანები დაუბრუნა მესაკუთრეს, ამასთან, იგი საერთოდ გაუჩინარდა, რის გამოც მოსარჩელემ მიმართა ძველი თბილისის სამმართველოს;

7.5. აღნიშნული ფაქტის გამო, მოსარჩელემ ვერ დაიკმაყოფილა თავისი მოთხოვნა ავტომანქანების რეალიზაციის გზით, რის შედეგად მას მიადგა მატერიალური ზიანი და დადგა „საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევის შესახებ“ ხელშეკრულებით მოპასუხის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების ყველა პირობა (სა-

დაზღვევო შემთხვევა);

7.6. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისა და ავტომანქანების გაუჩინარებით გამოწვეული პრობლემის წარმოშობისთანავე, მოსარჩელემ კომუნიკაცია დაიწყო მოპასუხესთან სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის, ელექტრონული მიმონერითა და სატელეფონო საუბრებით. თავდაპირველად მოპასუხემ მზაობა გამოხატა ზიანის ანაზღაურებაზე, თუმცა მოგვიანებით უარი განაცხადა ვალდებულების შესრულებაზე.

8. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ:

8.1. მართალია, მხარეთა შორის გაფორმებული გენერალური დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხის მიერ მოსარჩელის სასარგებლოდ გაიცა სადაზღვევო პოლისები: №... შეთანხმებული რისკების შეთანხმებული პირობებით დაზღვევის მიზნით, მაგრამ არა ნებისმიერ რისკზე და უპირობოდ. ამავ დროს, დაზღვევას გააჩნდა ლიმიტები;

8.2. 2012 წლის 27 და 30 იანვარს მოსარჩელემ მიმართა სადაზღვევო კომპანიას, რომ იანვრის თვეში მსესხებელმა სამივე სესხთან დაკავშირებით დაარღვია სესხის ყოველთვიური სარგებლის გადახდის ვალდებულება, რაც სადაზღვევო კომპანიამ მოსარჩელეს შეთანხმებულ 2-დღიან ვადაში აუნაზღაურა;

8.3. ამის შემდეგ, სადავო პოლისებით განსაზღვრულ სადაზღვევო ვადაში მოსარჩელეს არ მიუმართავს სადაზღვევო კომპანიისთვის სესხის უზრუნველმყოფი ავტომანქანების გაუჩინარების ან მსესხებლის მიერ სასესხო ვალდებულების მორიგი დარღვევის თაობაზე. პირიქით, 2012 წლის 17 მარტს მოსარჩელემ ითხოვა სამიდან ერთ-ერთი სასესხო ხელშეკრულების დაზღვევის ვადის გაგრძელება სამი თვით, რის საფუძველზეც გაიცა პოლისი №-..., 2012 წლის 17 მარტიდან 2012 წლის 17 ივნისის ვადით, ხოლო სხვა პოლისების მოქმედების ვადა არ გაგრძელებულა;

8.4. მოსარჩელის მიერ ვადაში არ დაფიქსირებულა სადაზღვევო შემთხვევა – ავტომანქანების გაუჩინარება, მეტიც, გენერალური სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო ლიმიტი, რომ კალენდარული წლის განმავლობაში ანაზღაურებას შეიძლება დაქვემდებარებოდა ავტომობილის გატაცების ან განადგურების მხოლოდ ერთი შემთხვევა (2.4 პუნქტი), ისიც მაქსიმუმ სალიკვიდაციო ღირებულების 50%-ის ოდენობით (2.3.4.1. პუნქტი);

8.5. მოსარჩელის მიერ მსესხებელზე გაცემული თანხების მოცულობა შეადგენს 17360,07 აშშ დოლარს;

8.6. მოსარჩელემ სამი წლის ვადის გასვლის შემდეგ მიმართა სადაზღვევო კომპანიას და მოითხოვა თანხის დაკისრება, მიუხედავად იმისა, რომ უკვე დაკარგულია ყველა მოთხოვნის უფლება

მსესხებლის მიმართ თანხის დაკისრებასთან დაკავშირებით.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების სახით გადასახდელად დაეკისრა 33 000 აშშ დოლარი.

10. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხემ გაააჩივრა სააპელაციო წესით.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა 17 360 აშშ დოლარი.

12. სააპელაციო პალატამ დადგინილად მიიჩნია წინამდებარე გადაწყვეტილების 1-5 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და ასევე, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დაადგინა, რომ მოსარჩელესა და მსესხებელს შორის 2011 წლის 17 დეკემბერს (№2011-175) და 2011 წლის 19 დეკემბერს (№2011-178 და №2011-179) გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებების საფუძველზე, მსესხებელზე სესხის სახით გაცემული თანხა 17 360 აშშ დოლარს შეადგენდა.

13. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელემ მსესხებელზე 2011 წლის 19 დეკემბერს – 11 000 აშშ დოლარი და 7000 აშშ დოლარი (ხელშეკრულებები №2011-178 და №2011-179), ხოლო 2011 წლის 17 დეკემბერს – 15 000 აშშ დოლარი (ხელშეკრულება №2011-175) გასცა. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მითითებული გარემოების საპირისპიროდ, საქმეში წარდგენილი იყო ამონაწერი მოსარჩელის საბანკო ანგარიშიდან, რომლითაც დგინდებოდა, რომ მოსარჩელის მიერ 2011 წლის 19 დეკემბერს მსესხებლის სასარგებლოდ გაცემული იყო შემდეგი ოდენობის თანხები: №1816311 – 6 150 ლარი, №1816310 – 9600 ლარი და №1816304 – 13000 ლარი.

14. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სესხის ხელშეკრულების წერილობითი ფორმით არსებობა თავისთავად არ ადასტურებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის მსესხებელზე გადაცემის ფაქტს და სესხის ხელშეკრულების რეალური ბუნებიდან გამომდინარე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის მსესხებელზე გადაცემა სათანადო მტკიცებულებებით/

კონკლუდენტური მოქმედებით უნდა დადასტურებულიყო. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მოსარჩელე სადავოდ ხდიდა მოსარჩელის მიერ მსესხებელზე №2011-178, №2011-179 და №2011-175 ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანხების, ჯამში – 33000 აშშ დოლარის გადაცემის ფაქტს, მოპასუხის პროცესუალური ტვირთი იყო ისეთი მტკიცებულებების წარმოდგენა, რაც აღნიშნულ გარემოებას დაადასტურებდა, თუმცა, მოსარჩელემ ასეთი მტკიცებულებები სასამართლოს ვერ წარუდგინა.

15. სააპელაციო პალატამ მოსარჩელის საბანკო ანგარიშიდან ამონაწერის საფუძველზე დადასტურებულად მიიჩნია მსესხებელზე მხოლოდ 28750 (6150+9600+13000) ლარის გადაცემის ფაქტი. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი 2011 წლის 20 დეკემბრის ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის (1 USD = 1,6561 GEL) გათვალისწინებით, აღნიშნული თანხა 17 360 აშშ დოლარს შეადგენდა. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სსკ-ის 799-ე მუხლის პირველ ნაწილზე დაყრდნობით მოპასუხეს მოსარჩელის მიმართ „საკრედიტო ვალდებულების დაზღვევის შესახებ“ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება სწორედ აღნიშნულ ფარგლებში წარმოეშვა.

16. სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელე კომპანიის დირექტორის მიერ სადაზღვევო კომპანიის გენერალური დირექტორის სახელზე 2012 წლის 27 იანვარსა და 2012 წლის 30 იანვარს გაგზავნილი წერილებით დადასტურებულად მიიჩნია მოსარჩელის მიერ მოპასუხისთვის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის თაობაზე შეტყობინების ფაქტი.

17. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 812-ე მუხლით და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 10 ოქტომბრის №ას-657-624-2014 განჩინების საფუძველზე განმარტა, რომ აღნიშნული ნორმა მზღვეველის მოვალეობისაგან გათავისუფლების საფუძველად მოიაზრებს მხოლოდ იმგვარი გარემოების მიმართ შეტყობინების ვალდებულების დარღვევას (არასწორი ინფორმაციის მიწოდებას), რომელმაც გავლენა მოახდინა სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე. ამ შემთხვევაში საუბარია არა 808-ე მუხლით გათვალისწინებულ ნებისმიერ არსებით გარემოებებზე, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ დაზღვევის ხელშეკრულების დადებაზე ან მის შინაარსზე, არამედ მხოლოდ იმ სახის გარემოებაზე, რომელმაც გავლენა მოახდინა თავად სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე.

18. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ 2012 წლის 27 იანვრისა და 2012 წლის 30 იანვრის წერილები განმარტებული იქ-

ნებოდა იმგვარად, რომ ისინი არ შეიცავენ ავტომანქანების გაუჩინარების თაობაზე ინფორმაციას, აღნიშნული გარემოება ვერ გახდებოდა სადავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობისაგან მზღვეველის გათავისუფლების წინაპირობა, ვინაიდან გარემოებას, რომლის შესახებაც დარღვეული იქნა შეტყობინების მოვალეობა, გავლენა არ მოუხდენია სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე და მზღვეველის მოვალეობის შესრულებაზე.

19. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოპასუხემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

20. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

20.1. არ არის სწორი სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ თითქოსდა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ შეტყობინების განხორციელების ფაქტი მოსარჩელე კომპანიის დირექტორის მიერ სადაზღვევო კომპანიის გენერალური დირექტორის სახელზე 2012 წლის 27 იანვარსა და 2012 წლის 30 იანვარს გაგზავნილი წერილებით დასტურდება. აღნიშნული წერილები სასამართლომ არასწორად მიიჩნია ავტომანქანათა გაუჩინარების შესახებ შეტყობინებებად;

20.2. ზემოაღნიშნული წერილებით მოსარჩელემ მოპასუხეს პოლისების მოქმედების ვადებში ნამდვილად აცნობა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ, თუმცა მათი ტექსტი არ შეიცავს მითითებას ავტომანქანათა გაუჩინარების/დაკარგვის შესახებ, რაც იმას ნიშნავს, რომ შეტყობინებების მიხედვით სადაზღვევო შემთხვევად მოიაზრება სადაზღვევო შემთხვევის დროს მოქმედი „საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევის შესახებ“ 2011 წლის 10 ოქტომბრის №CII/11–0001 გენერალური ხელშეკრულების 5.1-5.1.4 პუნქტებით განსაზღვრული მხოლოდ პირველი ტრანშის მოთხოვნისა და ანაზღაურების მიღების უფლება, რაშიც იმავე ხელშეკრულების 5.1.1., 5.1.3 პუნქტების მიხედვით შედის მხოლოდ ყოველთვიურად გადასახდელი და გადახდის 5 კალენდარულ დღეზე მეტად ვადაგადაცილებული „სესხის საპროცენტო ან/და ძირითადი თანხა“;

20.3. შესაბამისად, აღნიშნული შინაარსის შეტყობინებების მიხედვით, სადაზღვევო შემთხვევამ მოიცვა არა მთლიანი სესხისა და სესხის პროცენტის თანხა, არამედ – მხოლოდ პირველ ტრანშად განსაზღვრული და ანაზღაურებას დაქვემდებარებული ნაწილი, რომელიც ხელშეკრულების 5.1.3 პუნქტით დადგენილ 2-დღი-

ან ვადაში 2012 წლის 1 თებერვლის №1280 საგადასახადო დავალე-
ბით თანხაზე 1835.90 ლარი, 2012 წლის 1 თებერვლის №1281 საგა-
დასახადო დავალებით თანხაზე 1168.30 ლარი, 2012 წლის 3 თე-
ბერვლის №1419 საგადასახადო დავალებით თანხაზე 2503.50 ლა-
რი, მზღვეველისგან ჩაერიცხა დამზღვევს. გადარიცხვების დანიშ-
ნულებაში მითითებულია: „სადაზღვევო ანაზღაურება პოლისი NC-
..., აქტი №CII/3-11-0001-0178(1.1) გ. ა-ე“, „სადაზღვევო ანაზღაუ-
რება პოლისი №CII/11-0001-0179, აქტი №CII/3-11-0001-0179(1.1)
გ. ა-ე“, „სადაზღვევო ანაზღაურება პოლისი №C-..., აქტი №CII/3-
11-0001-0178(1.1) გ. ა-ე“;

20.4. ზემოაღნიშნული გადახდები სადავო არ არის, რაც იმას
ნიშნავს, რომ 2012 წლის 27 იანვრისა და 30 იანვრის შეტყობინებე-
ბის ტექსტში ასახული სადაზღვევო შემთხვევის საფუძველზე შე-
საბამისი პროპორციის თანხის მიღებას (2012 წლის 1-3 თებერვა-
ლი) დაეთანხმა რა მოსარჩელე, მას, როგორც დამზღვევს, ხელ-
შეკრულების 5.2.1., 5.3.1., 5.4.1. პუნქტების პირობათა შესაბამი-
სად, ყოველი მომდევნო ტრანშის ანაზღაურების მოთხოვნაზე სხვა
სახის შეტყობინება სხვა დროს, როგორც შეიძლება ყოფილიყო
მომდევნო კალენდარული თვეების მე-2, მე-3, მე-4 ტრანშის სა-
დაზღვევო ანაზღაურებაზე განაცხადით მიმართვა, შეტყობინება
მზღვეველისთვის არ გაუგზავნია;

20.5. ხელშეკრულების აღნიშნულ პირობათა მიხედვით კი, რაც
არსებითი ხასიათის შეთანხმებაა, მზღვეველი სადაზღვევო შემ-
თხვევას ანაზღაურებს არა თავისი ინიციატივით, არამედ მხოლოდ
დამზღვევის მხრიდან ხელშეკრულების 5.1.1., 5.2.1., 5.3.1., 5.4.1.
პირობათა შესრულების შემთხვევაში;

20.6. ცხადია, თუ დამზღვევი 2012 წლის 27 იანვრისა და 30 იან-
ვრის შეტყობინებებში მოიაზრებდა ავტომატქანების გაუჩინარე-
ბა/დაკარგვის შედეგად დამდგარ სადაზღვევო შემთხვევას და
სრულად ითხოვდა შესაბამის ანაზღაურებას, იმის გათვალისწინე-
ბით, რომ მას 2012 წლის 1-3 თებერვალს ჩაერიცხა მხოლოდ პირ-
ველი ტრანშის სადაზღვევო ანაზღაურება, ის ამ ჩარიცხვით არ
დაკმაყოფილდებოდა და მოითხოვდა სადაზღვევო შემთხვევის
სრულად დაფარვას, რასაც 2012 წლის 1-3 თებერვლიდან (ანაზღა-
ურებიდან) 2015 წლის 17 მარტამდე, სარჩელის შეტანამდე და სამ-
წლიანი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე, ადგილი
არ ჰქონია. ასეთ შემთხვევაში სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის
ათვლა დაიწყება 2012 წლის 1-3 თებერვლის შემდგომი პერიოდი-
დან, რაც იმას ნიშნავს, რომ გასულია რა ხანდაზმულობის ვადა, ეს
გარემოება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვე-
ლია;

20.7. აღნიშნული გარემოებაც მიუთითებს იმაზე, რომ დამზღვევის შეტყობინებებში ადგილი აქვს ზუსტად იმ სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების მოთხოვნას, რაც სიტყვა-სიტყვით ასახულია შეტყობინებების ტექსტში, კერძოდ, დამზღვევმა მოითხოვა „სესხის გრაფიკის დარღვევაზე“ სადაზღვევო ანაზღაურება, რაც პირველი ტრანშით განსაზღვრული თანხაა და, რასაც სააპელაციო სასამართლოს განმარტება არ სჭირდება, ვინაიდან შეტყობინებაში მოთხოვნის შინაარსი სრულიად მკაფიოდ და არაბუნდოვნად აქვს გადმოცემული თვითონ შეტყობინების ავტორს – მოსარჩელეს;

20.8. არ არის სწორი სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ თითქოსდა 2012 წლის 27 იანვრისა და 30 იანვრის შეტყობინებებში ავტომანქანების გაუჩინარების თაობაზე ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაშიც, აღნიშნული გარემოება ვერ გახდებოდა მზღვეველის გათავისუფლების წინაპირობა, ვინაიდან „გარემოებას, რომლის შესახებაც დარღვეულ იქნა შეტყობინების მოვალეობა, გავლენა არ მოუხდენია სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე და მზღვეველის მოვალეობის შესრულებაზე“;

20.9. მართალია, სასამართლო თავის ამ დასკვნას აფუძნებს სამოქალაქო კოდექსის 812-ე მუხლის დათქმაზე, მაგრამ მას მხედველობის მიღმა რჩება, რომ აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს მზღვეველის პასუხისმგებლობას მხოლოდ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ მზღვეველის მიერ ხელშეკრულების მოშლის შემთხვევისათვის. მოცემულ შემთხვევაში კი ხელშეკრულების მოშლის თარიღია 2012 წლის 11 სექტემბერი, ხოლო, თუ როდის მოხდა მანქანების გაუჩინარება/დაკარგვა და დადგა სადაზღვევო შემთხვევა ან როდის გახდა ეს გარემოება დამზღვევისთვის ცნობილი, რომლის დადგენასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო კოდექსის 812-ე მუხლის მიზნებისათვის, ეს თარიღი დამზღვევს მზღვეველისთვის ხელშეკრულების პირობის შესაბამისად შეტყობინების გაგზავნით არ უცნობებია და ეს ფაქტობრივი გარემოება არც სასამართლოს მხრიდან არის გამოკვლეული და დადგენილი, რის გამოც სამოქალაქო კოდექსის 812-ე მუხლზე მითითება ამ შემთხვევაში სრულიად უადგილოა, მით უფრო, როცა სასამართლოს დასკვნა ეხება იმ საკითხის შეფასებას, შეტყობინების გაგზავნა/გაუგზავნელობამ გავლენა მოახდინა თუ არა სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე და მზღვეველის მოვალეობის შესრულებაზე;

20.10. ცხადია, თუ დამზღვევი მზღვეველს ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით არ შეატყობინებს სადაზღვევო შემთხვე-

ვის დადგომას, რაც მოცემულ შემთხვევაში შეიძლება ყოფილიყო მანქანის დაკარგვა, მზღვეველი ვერ შეასრულებს ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს, ვინაიდან ხელშეკრულების პირობათა მიხედვით, მზღვეველის მხრიდან მოვალეობების შესრულება დამოკიდებულია ასევე მისთვის მინიჭებული უფლებების განხორციელებაზე, რაშიც მოიაზრება წარდგენილი სადაზღვევო შემთხვევისა და მოთხოვნის დაზუსტება-გადამოწმების უფლება, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს გარემოება გავლენას ახდენს მზღვეველის მოვალეობის შესრულებაზე;

20.11. აღნიშნულის გარდა, სასამართლოს მხრიდან ყურადღების მიღმა დატოვებული, რომ 2012 წლის 27 იანვრისა და 30 იანვრის შეტყობინებების გაგზავნის პერიოდში მოქმედი „საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევის შესახებ“ 2011 წლის 10 ოქტომბრის №CII/11-0001 გენერალური ხელშეკრულება (10.10.2011წ-11.04.2012წ) არ ითვალისწინებდა ავტომანქანის დაკარგვის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურებას და ასეთი პირობა მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებით შეთანხმებული საერთოდ არ არის;

20.12. მართალია, ამ ხელშეკრულების შემდგომ ამოქმედებული „საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევის შესახებ“ 2012 წლის 12 აპრილის ხელშეკრულების 2.4. პუნქტით გათვალისწინებული იქნა უზრუნველყოფის ღონისძიების სახით დატვირთული მოძრავი ნივთის დაკარგვის შემთხვევაში ანაზღაურების წესი, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ, ჯერ ერთი: ასეთი წესი მხარეთა მიერ შეთანხმებულ იქნა 2012 წლის 11 აპრილიდან მოქმედი ხელშეკრულებით, რაც 2012 წლის 27 იანვრისა და 30 იანვრის შეტყობინებების დროს არ მოქმედებდა; მეორე, 2012 წლის 12 აპრილის ხელშეკრულების 2.4. პუნქტით განსაზღვრულია ავტომანქანის დაკარგვისას მხოლოდ ერთი ასეთი შემთხვევის ანაზღაურება სესხის ძირითადი თანხის მოცულობით, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ სასამართლო დამზღვევის შეტყობინებებს და დაზღვევის ხელშეკრულების პირობებს მიიჩნევდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად, ასეთ შემთხვევაში მზღვეველის პასუხისმგებლობა შეიძლებოდა განსაზღვრულიყო მხოლოდ ერთ ავტომანქანაზე სესხის ძირითადი თანხის დაკისრებით;

20.13. სააპელაციო სასამართლომ მხედველობის გარეშე დატოვა, რომ ავტომანქანათა გაუჩინარების შესახებ შეტყობინებების გაგზავნა დამზღვევის მიერ პოლისების მოქმედების ვადებში, კერძოდ, 2011 წლის 19 დეკემბრიდან 2012 წლის 19 მარტამდე №C-... და №C-... პოლისების, ხოლო 2011 წლის 19 დეკემბრიდან 2012 წლის 17 ივნისამდე №C-... პოლისის მოქმედების ვადაში არ განხორციელებულა. უფრო მეტიც, მართალია, „საკრედიტო ვალდებულებათა

დაზღვევის შესახებ“ 2012 წლის 11 აპრილის ბოლო ხელშეკრულება შეწყდა 2012 წლის 11 სექტემბერს, მაგრამ არც ამ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ ჰქონია ადგილი დამზღვევის მხრიდან ხელშეკრულების პირობათა შესაბამისად მზღვეველისათვის შეტყობინებების გაგზავნას ავტომანქანათა გაუჩინარების შესახებ. ასეთი ინფორმაცია მზღვეველისთვის მიწოდებულ იქნა მხოლოდ სარჩელის შეტანის შემდგომ სარჩელში ასახული ფაქტობრივი გარემოებისა და სარჩელზე დართული მასალების მეშვეობით;

20.14. პირველი ინფორმაცია ავტომანქანათა შესახებ ასახულია სარჩელზე დართულ ვინმე ლ. ჯ-ის განცხადებაში ძველი თბილისის სამმართველოს უფროსისადმი, რომელიც, როგორც შპს „ა“-ს დამფუძნებელი, აცხადებს, რომ გ. ა-ეზე 2011 წლის 8 დეკემბერს გაიცა სესხი 13 000 აშშ დოლარის ოდენობით, რის უზრუნველსაყოფადაც დალომბარდებულ იქნა მ-ის მარკის ავტომობილი, მსესხებელი კი უარს აცხადებს სესხისა და მანქანის დაბრუნებაზე, მაგრამ ამ განცხადებაში ასახულ ინფორმაციას და შსს ძველი თბილისის სამმართველოს 2012 წლის 22 ოქტომბრის №1409136 პასუხს შემხებლობა არ აქვს მხარეთა შორის დადებულ დაზღვევის ხელშეკრულებებთან, ვინაიდან ამ განცხადებაში ასახულ პერიოდში (08.12.2011წ) სესხის თანხა გაცემული არ იყო მსესხებელზე, მასზე სესხი გაიცა 2011 წლის 17-19 დეკემბერს; ამასთან, უზრუნველყოფის საგანია არა მ-ის მარკის ავტომანქანა, არამედ „ლ.“-სა და „კ.“-ს მარკის ავტომანქანები. სხვა საკითხია, რომ ჯ-ის განცხადების შეტანის დროს დაზღვევის პოლისის ვადა გასული იყო (17.06.2012წ), ხოლო მესამე პირის მიერ შსს ორგანოში შეტანილი განცხადება არ არის სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეული სადაზღვევო თანხის გაცემის საფუძველი;

20.15. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებულია დამზღვევის მხრიდან მზღვეველზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ შეტყობინებისა და ზიანის განაცხადის მიმართვის აუცილებლობა და აღნიშნული მხარეთა შეთანხმების არსებით პირობას წარმოადგენს, ვინაიდან ხელშეკრულებათა მიხედვით, მზღვეველი უპირობოდ კი არ ასრულებს სადაზღვევო თანხის გაცემის ვალდებულებას, არამედ მას გააჩნია განაცხადში ასახული მოთხოვნის ნამდვილობის შემოწმების, დაზუსტების, დამზღვევის მხრიდან აღებულ ვალდებულებების შესრულების ხარისხის მიხედვით ანაზღაურების გაცემისა და შეჩერების უფლებები. ასეთი წესის გათვალისწინება გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 814-ე მუხლის დანაწესიდან.

20.16. სააპელაციო სასამართლომ დავის გადასაწყვეტად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლი, მაგრამ მას მხედვე-

ლობიდან გამორჩა ამ ნორმის შინაარსი, რომლის მიხედვითაც, მხარეთა უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელ ძირითად დოკუმენტად აღიარებულია რა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება, სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურება დამოკიდებულია ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მხარეს გააჩნია უფლება უარი თქვას მოთხოვნის შესრულებაზე. მოცემულ შემთხვევაში ვინაიდან დამზღვევის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად სადაზღვევო პოლისების მოქმედების ვადებში არ იქნა გაგზავნილი შეტყობინებები სადაზღვევო შემთხვევის დადგომისა და ანაზღაურების შესახებ, დამზღვევს უფლება ჰქონდა უარი ეთქვა შესრულებაზე;

20.17. სააპელაციო სასამართლომ დავის გადასაწყვეტად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 812-ე მუხლი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ამასთან, არასწორად განმარტა ეს ნორმა, არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 814-ე მუხლი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა ამავე კოდექსის 799-ე მუხლი.

21. კასატორმა საკასაციო საჩივარში წარმოადგინა შუამდგომლობა შპს „ს-ის“ სამართალმემკვიდრედ სს „ა-ის“ ცნობის თაობაზე.

22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 აპრილის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 11 სექტემბრის განჩინებით კასატორის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და შპს „ს-ის“ უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაბმულ იქნა სს „ა-ა“.

24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 15 თებერვლის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

25. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც

სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და აღნიშნულ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებების მიღებით სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

26. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები.

27. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედაგება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

28. საკასაციო სასამართლოს შემონმების საგანია მზღვეველისთვის სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის 17360 აშშ დოლარის დაკისრების კანონიერება.

29. კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დაარღვია სამართლის ნორმები, არასწორად განმარტა სსკ-ის 799-ე მუხლი [სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი], გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა [სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი] და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა [სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი].

30. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს მიერ სსკ-ის 799-ე მუხლის [დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად] არასწორი განმარტების თაობაზე და განმარტავს, რომ მზღვეველის ვალდებულება სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე განისაზღვრება მხარეთა შორის დადებული დაზღვევის ხელშეკრულებით და მასში ჩამოყალიბებული პირობების შესაბამისად. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მზღვეველისთვის სადაზღვევო შემთხვევით გა-

მონვეული ზიანის ანაზღაურების დაკისრება არ შეესაბამება მხარეთა შორის დადებული დაზღვევის ხელშეკრულების პირობებს.

31. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და კასატორიც ადასტურებს, რომ დამზღვევმა მზღვეველს 2012 წლის 27 იანვრისა და 2012 წლის 30 იანვრის წერილებით შეატყობინა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის თაობაზე.

32. 2012 წლის 27 იანვრის წერილიდან ირკვევა, რომ მოსარჩელე კომპანიის დირექტორი სადაზღვევო კომპანიის გენერალურ დირექტორს კომპანიებს შორის 2011 წლის 18 იანვარს გაფორმებული „ლომბარდული სესხის ფინანსური რისკის დაზღვევის შესახებ“ №FIN-LL/11-0001 გენერალური ხელშეკრულების 5.1. პუნქტის თანახმად, ატყობინებს, რომ დადგა სადაზღვევო შემთხვევა №C-... პოლისთან (გაცემის თარიღი: 17.12.2011წ) დაკავშირებით და წერილში აღნიშნავს შემდეგს: „ვადასტურებთ, რომ ჩვენ დავეკონტაქტეთ მსესხებელს და მივუთითეთ სესხის გრაფიკის დარღვევაზე. მსესხებლისგან მიღებული განმარტებით, ვერ ხერხდება კლიენტთან დაკავშირება, არც სახლში არ იციან სად არის არც მისმა მეგობარმა არ იცის არაფერი. გთხოვთ, აგვინაზღაუროთ მიყენებული ზიანი ხელშეკრულების მიხედვით, ხოლო ჩვენი მხრივ შემჭიდროებულ ვადებში განვახორციელებთ ხელშეკრულებით ნაკისრ ფუნქცია-მოვალეობებს მსესხებლისგან დავალიანების ამოღების მიზნით“.

33. 2012 წლის 30 იანვრის წერილებიდან ირკვევა, რომ მოსარჩელე კომპანიის დირექტორი სადაზღვევო კომპანიის გენერალურ დირექტორს კომპანიებს შორის 2011 წლის 18 იანვარს გაფორმებული „ლომბარდული სესხის ფინანსური რისკის დაზღვევის შესახებ“ №FIN-LL/11-0001 გენერალური ხელშეკრულების 5.1. პუნქტის თანახმად, ატყობინებს, რომ დადგა სადაზღვევო შემთხვევა №C-... პოლისთან (გაცემის თარიღი: 19.12.2011წ) და №C-... პოლისთან (გაცემის თარიღი: 19.12.2011წ) დაკავშირებით და წერილებში აღნიშნავს შემდეგს: „ვადასტურებთ, რომ ჩვენ დავეკონტაქტეთ მსესხებელს და მივუთითეთ სესხის გრაფიკის დარღვევაზე. მსესხებლისგან მიღებული განმარტებით, ვერ ხერხდება კლიენტთან დაკავშირება და ვერ მოძებნა, დაწყებულია ამოღების პროცედურები. გთხოვთ, აგვინაზღაუროთ მიყენებული ზიანი ხელშეკრულების მიხედვით, ხოლო ჩვენი მხრივ შემჭიდროებულ ვადებში განვახორციელებთ ხელშეკრულებით ნაკისრ ფუნქცია-მოვალეობებს მსესხებლისგან დავალიანების ამოღების მიზნით“.

34. ზემოაღნიშნული წერილების შინაარსობრივი შესწავლა ცხადყოფს, რომ 2012 წლის 27 იანვრისა და 2012 წლის 30 იანვრის წერილებით დამზღვევი მზღვეველს ატყობინებს მსესხებლის მი-

ერ სესხის გრაფიკის დარღვევის თაობაზე. აღნიშნულ პერიოდში მხარეთა შორის მოქმედებდა „საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევის შესახებ“ 2011 წლის 10 ოქტომბრის №CII/11-0001 გენერალური ხელშეკრულება (შემდგომში – „დაზღვევის ხელშეკრულება“).

35. დაზღვევის ხელშეკრულების თანახმად, თუ მსესხებელი სესხის საპროცენტო ან/და ძირითადი თანხ(ებ)ის გადახდის ვადას 5 კალენდარულ დღეზე მეტით გადააცილებს, დამზღვევი უფლებამოსილია, ზიანის განაცხადით მიმართოს მზღვეველს და მოითხოვოს სადაზღვევო ანაზღაურების I ტრანში (5.1.1. ქვეპუნქტი); განაცხადში სულ მცირე უნდა აღინიშნოს, ამ 5-დღიან ვადაში: (ა) რა ფორმით მოხდა მსესხებელთან დაკავშირება. მსესხებლის მხრიდან ვადაგადაცილების რა მიზეზი დასახელდა და დარღვევის აღმოფხვრის რა თარიღი შეთანხმდა ან (ბ) რომ მსესხებელთან დაკავშირება ვერ მოხერხდა დამზღვევისაგან დამოუკიდებელი მიზეზით (5.1.2. ქვეპუნქტი).

36. ამდენად, 2012 წლის 27 იანვრისა და ამავე წლის 30 იანვრის წერილებით დამზღვევმა, დაზღვევის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მზღვეველს შეატყობინა მსესხებლის მიერ სესხის გრაფიკის დარღვევის თაობაზე, დამატებით მიუთითა ვადაგადაცილების მიზეზზე (ვერ ხერხდებოდა კლიენტთან დაკავშირება), მოითხოვა ხელშეკრულების მიხედვით მიყენებული ზიანის ანაზღაურება და აღნიშნა, რომ შემჭიდროებულ ვადებში განახორციელებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ფუნქცია-მოვალეობებს მსესხებლისგან დავალიანების ამოღების მიზნით, რაც მზღვეველმა მართებულად მიიჩნია სადაზღვევო ანაზღაურების I ტრანშის მოთხოვნად.

37. საქმის მასალებით დასტურდება და აღნიშნული არც მოსარჩელეს გაუხდია სადავოდ, რომ ზემოაღნიშნული წერილების მიღებიდან რამდენიმე დღეში, 2012 წლის 1 თებერვალს სადაზღვევო კომპანიამ დამზღვევს №1281 საგადახდო დავალებით ჩაურიცხა 1168,30 ლარი (გადახდის დანიშნულება: სადაზღვევო ანაზღაურება (პოლისი №C-...)(აქტი №CII/3-11-0001-0179 (1.1) გ. ა-ე) და №1280 საგადახდო დავალებით – 1835,90 ლარი (გადახდის დანიშნულება: სადაზღვევო ანაზღაურება (პოლისი №C-... 1.1) გ. ა-ე), ხოლო 2012 წლის 3 თებერვალს №1419 საგადახდო დავალებით – 2503,50 ლარი (გადახდის დანიშნულება: სადაზღვევო ანაზღაურება (პოლისი №C-...)(აქტი №CII/3-11-0001-0175 (1.1) გ. ა-ე).

38. მაშასადამე, 2012 წლის 27 იანვრისა და ამავე წლის 30 იანვრის წერილების საფუძველზე სადაზღვევო კომპანიამ 2012 წლის 1-3 თებერვალს ზემოაღნიშნული თანხების გადარიცხვის გზით, შე-

ასრულა დაზღვევის ხელშეკრულების 5.1.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება, რომლის თანახმად, ზიანის განაცხადის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მზღვეველი დამზღვევეზე გაცემს სადაზღვევო ანაზღაურებას სესხის საპროცენტო თანხის ოდენობით (I ტრანში).

39. საკასაციო პალატა ეთანხმება კასატორის პოზიციას, რომ 2012 წლის 27 იანვრისა და ამავე წლის 30 იანვრის შეტყობინებების საფუძველზე I ტრანშით გათვალისწინებული თანხების მიღების შემდეგ, მოსარჩელეს, როგორც დამზღვევეს, ხელშეკრულების 5.2.1., 5.3.1. და 5.4.1. ქვეპუნქტების პირობათა შესაბამისად, წარმოეშობოდა ყოველი მომდევნო ტრანშის ანაზღაურების მოთხოვნა.

40. ხელშეკრულების 5.1.4. ქვეპუნქტის თანახმად, I ტრანშის მიღების შემდეგ დამზღვევი ვალდებულია, მსესხებელს გაუგზავნოს გაფრთხილება, რომ მას გააჩნია დავალიანება, რომლის არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში დაუფარაობის შემთხვევაში მოხდება ქონების ამოღება და რეალიზაცია. ხელშეკრულების 5.2.1. ქვეპუნქტის თანახმად, თუ გაფრთხილება (5.1.4. ქვეპუნქტი) უშედეგო აღმოჩნდა და დგება მე-2 კალენდარული თვის სადაზღვევო ანაზღაურების თარიღი, დამზღვევი უფლებამოსილია ზიანის განაცხადით მიმართოს მზღვეველს და მოითხოვოს II ტრანში. განაცხადში უნდა აღინიშნოს, რომ 5.1.4. ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება დამზღვევმა: (ა) უზრუნველყო; ან (ბ) მისგან დამოუკიდებელი ან სხვა ობიექტური მიზეზით/გათვლით ვერ უზრუნველყო, ამ მიზეზის დასახელებით (5.2.2. ქვეპუნქტი). მზღვეველი მე-2 კალენდარული თვის სადაზღვევო ანაზღაურების თარიღის მიხედვით დამზღვევეზე გაცემს სადაზღვევო ანაზღაურებას სესხის საპროცენტო თანხის ოდენობით (II ტრანში) (5.2.3. ქვეპუნქტი).

41. ხელშეკრულების 5.2.4. ქვეპუნქტის თანახმად, თუ არ არსებობს მისგან დამოუკიდებელი ობიექტური მიზეზი, II ტრანშის მიღების შემდეგ დამზღვევი ვალდებულია: (ა) მოიპოვოს გირავნობის მონობა (მექანიკური სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში) ან სააღსრულებო ფურცელი (უძრავი ნივთის შემთხვევაში) და წარუდგინოს ის აღსრულების ეროვნულ ბიუროს; ან (ბ) თუ მექანიკური სატრანსპორტო საშუალება გადაფორმებულია დამზღვევის ან მასთან დაკავშირებული პირის სახელზე – უზრუნველყოს მსესხებლისგან ქონების ჩამორთმევა. ხელშეკრულების 5.3.1. ქვეპუნქტის თანახმად, თუ დგება მე-3 კალენდარული თვის სადაზღვევო ანაზღაურების თარიღი და მსესხებლის დავალიანება დაფარული არაა (მათ შორის, ქონების რეალიზაციის შემდეგობით),

დამზღვევეი უფლებამოსილია, ზიანის განაცხადით მიმართოს მზღვეველს და მოითხოვოს III ტრანში. განაცხადში უნდა აღინიშნოს, რომ 5.2.4. ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება დამზღვევემა: (ა) უზრუნველყო; ან (ბ) მისგან დამოუკიდებელი ან სხვა ობიექტური მიზეზით/გათვლით ვერ უზრუნველყო, ამ მიზეზის დასახელებით (5.3.2. ქვეპუნქტი). მზღვეველი მე-3 კალენდარული თვის სადაზღვევო ანაზღაურების თარიღის მიხედვით დამზღვევეზე გაცემს სადაზღვევო ანაზღაურებას სესხის საპროცენტო თანხის ოდენობით (III ტრანში) (5.3.3. ქვეპუნქტი).

42. ხელშეკრულების 5.3.4. ქვეპუნქტის თანახმად, თუ არ არსებობს მისგან დამოუკიდებელი ობიექტური მიზეზი, დამზღვევეი ვალდებულია: 5.3.4.1. უზრუნველყოს ქონების რეალიზაცია არანაკლებ იმ თანხით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს როგორც მისი, ისე მზღვეველის ზიანის დაფარვა ამ უკანასკნელის მიერ გაცემული ტრანშების ჯამის ოდენობით; ან 5.3.4.2. შეასრულოს 5.2.4. ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება, რომლის შესრულება მისგან დამოუკიდებელი ობიექტური მიზეზით ვერ უზრუნველყო II ტრანშის მიღების შემდეგ. ხელშეკრულების 5.4.1. ქვეპუნქტის თანახმად, თუ დგება მე-4 კალენდარული თვის სადაზღვევო ანაზღაურების თარიღი და მსესხებლის დავალიანება დაფარული არაა (მათ შორის, ქონების რეალიზაციის მეშვეობით), დამზღვევეი უფლებამოსილია, ზიანის განაცხადით მიმართოს მზღვეველს და მოითხოვოს IV ტრანში. განაცხადში უნდა აღინიშნოს, რომ 5.3.4. ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება დამზღვევემა: (ა) უზრუნველყო; ან (ბ) მისგან დამოუკიდებელი ან სხვა ობიექტური მიზეზით/გათვლით ვერ უზრუნველყო, ამ მიზეზის დასახელებით (5.4.2. ქვეპუნქტი). მზღვეველი მე-4 კალენდარული თვის სადაზღვევო ანაზღაურების თარიღის მიხედვით დამზღვევეზე გაცემს სადაზღვევო ანაზღაურებას სესხის ძირითადი თანხის ან ქონების რეალიზაციის თანხასა და ძირითად თანხას შორის სხვაობის ოდენობით (IV ტრანში), თუ მზღვეველი და დამზღვევეი სხვა რამეზე არ შეთანხმდნენ (5.4.3. ქვეპუნქტი). თუ არ არსებობს მისგან დამოუკიდებელი ობიექტური მიზეზი, IV ტრანშის მიღების შემდეგ დამზღვევეი ვალდებულია უზრუნველყოს ქონების რეალიზაცია არანაკლებ იმ თანხით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მზღვეველის ზიანის დაფარვა ამ უკანასკნელის მიერ გაცემული ტრანშების ჯამის ოდენობით (5.4.4. ქვეპუნქტი).

43. ამდენად, ხელშეკრულების 5.2.1., 5.3.1. და 5.4.1. ქვეპუნქტების თანახმად, დამზღვევეს უფლება ჰქონდა ზიანის განაცხადში იმაზე მითითებით, რომ ამავე ხელშეკრულების 5.1.4., 5.2.4. და 5.3.4. ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება უზ-

რუნველყო ან მისგან დამოუკიდებელი ან სხვა ობიექტური მიზეზით/გათვლით ვერ უზრუნველყო, ამ მიზეზის დასახელებით, მიემართა მზღვეველისთვის ყოველი მომდევნო, II, III და IV ტრანშის მიღების მოთხოვნით. აღსანიშნავია, რომ მხარეთა შორის დადებული დაზღვევის ხელშეკრულების 6.1.2. ქვეპუნქტის თანახმად, მზღვეველი უფლებამოსილია ნებისმიერ ეტაპზე შეაჩეროს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა, თუ დამზღვევი არ ასრულებს 5.1.4., 5.2.4., 5.3.4., 5.4.4. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ფუნქციას – მის მიერ სათანადო ნაბიჯების გადადგმამდე, ხოლო მზღვეველის მხრიდან სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულება ნებისმიერ ეტაპზე უქმდება, თუ დამზღვევი ფაქტობრივად უარს ამბობს 5.1.4., 5.2.4., 5.3.4., 5.4.4. ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფუნქციის შესრულებაზე (6.2.2. ქვეპუნქტი).

44. საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ დამზღვევემა I ტრანშის მიღების შემდეგ მიმართა მზღვეველს მომდევნო ტრანშის მიღების მოთხოვნით. საქმის მასალებით არც ის ფაქტი დასტურდება, რომ დამზღვევემა მზღვეველს შეატყობინა სესხის ხელშეკრულების უზრუნველმყოფი ავტომანქანების დაკარგვის თაობაზე და მოითხოვა მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურება. აღნიშნულ ინფორმაციას არ შეიცავს დამზღვევის მიერ მზღვეველისთვის გაგზავნილი 2012 წლის 27 იანვრისა და ამავე წლის 30 იანვრის შეტყობინებები. გამომდინარე აქედან, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ 2012 წლის 27 იანვრისა და ამავე წლის 30 იანვრის წერილების საფუძველზე არასწორად, სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევით, დაადგინა მოსარჩელის მიერ მოპასუხისთვის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის (ავტომანქანების დაკარგვის) თაობაზე შეტყობინების ფაქტი.

45. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის მიერ მოპასუხისთვის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის თაობაზე შეტყობინების ფაქტი დაადგინა 2012 წლის 27 იანვრისა და ამავე წლის 30 იანვრის წერილების საფუძველზე. მოსარჩელეს არ გაუხაჩივრებია სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება. შესაბამისად, საკასაციო პრეტენზია, რომ სადავო ფაქტი დგინდება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით, წარმოდგენილი არ არის. მოპასუხე უთითებს მხოლოდ იმას, რომ დასახელებული წერილებით არ დასტურდება სადავო გარემოება, რაც საკასაციო პალატამ გაიზიარა.

46. მიუხედავად ამისა, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს სარჩელზე თანდართულ ორ დოკუმენტს. კერძოდ, საქმეშია დაუთარილებელი წერილისა [მოსარჩელე კომპანიის დირექტორი ატყობინებს სადაზღვევო კომპანიის გენერალურ დირექ-

ტორს, რომ დადგა სადაზღვევო შემთხვევა №C-..., №C-... და №C-01 პოლისებთან დაკავშირებით და აწვდის შემდეგი სახის ინფორმაციას: „ვადასტურებთ, რომ ჩვენ დავეკონტაქტეთ მსესხებელს და მივუთითეთ სესხის გრაფიკის დარღვევაზე. მსესხებლისგან მიღებული განმარტებით, ავტომანქანები გადაყვანილია აფხაზეთში და შესაბამისად ჩვენს ხელთ არსებულ ძალებს აღემატება აღნიშნული ავტომანქანების ამოღება, შესაბამისად, გთხოვთ, უახლოეს ვადაში ჩვენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე აგვინაზღაუროთ სრული ზარალი, რაც მიადგა ჩვენს კომპანიას აღნიშნული ფაქტით, ჩვენს მიერ საქმე აღძრულია კრიმინალურ პოლიციაში და ველოდებით რეაგირებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი კომპანია მიმართავს სამართლებრივ გზას ზიანის ასანაზღაურებად“ და 2012 წლის 14 აგვისტოს წერილის [აღნიშნული წერილით დამზღვევი ითხოვს ზარალის ანაზღაურებას, მათ შორის, 2011 წლის 17-19 დეკემბერს მსესხებელზე გაცემულ სესხებზე და ასევე აღნიშნავს, რომ ავტომანქანები გადაყვანილია აფხაზეთში, საქმე შეტანილია კრიმინალურ პოლიციაში და მიმდინარეობს გამოძიება] ასლები, რომელთა თანახმად, დამზღვევი მზღვეველს ატყობინებს ავტომანქანების დაკარგვის ფაქტს. თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს აღნიშნული წერილების მოპასუხისთვის გაგზავნისა და მისთვის ჩაბარების გარემოებას და, ამავდროს, მოპასუხე უარყოფს სარჩელის გაცნობამდე ავტომანქანათა გაუჩინარების თაობაზე ინფორმაციის მიღების ფაქტს, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული წერილები მართებულად არ იქნა შეფასებული სააპელაციო სასამართლოს მიერ სადავო ფაქტის დამადასტურებელ მტკიცებულებებად.

47. სსსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. შესაბამისად, დამზღვევის მტკიცების ტვირთი იყო იმის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა, რომ მან მზღვეველს მიმართა სადაზღვევო შემთხვევის დადგომით (ავტომანქანების დაკარგვით) მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურების თაობაზე, რაც მან ვერ განახორციელა.

48. საკასაციო პალატა იმსჯელებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნაზე, რომლის თანახმად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ 2012 წლის 27 იანვრისა და 2012 წლის 30 იანვრის წერილები განმარტებული იქნება იმგვარად, რომ ისინი არ შეიცავენ ავტომანქანების გაუჩინარების თაობაზე ინფორმაციას, აღნიშნული გარემოება ვერ გახდება სადავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობისაგან მზღვეველის გათავისუფლების წინაპირობა, ვინაიდან გარე-

მოებას, რომლის შესახებაც დარღვეული იქნა შეტყობინების მოვალეობა, გავლენა არ მოუხდენია სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე და მზღვეველის მოვალეობის შესრულებაზე.

49. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული დასკვნა ემყარება სსკ-ის 812-ე მუხლის [თუ მზღვეველი ხელშეკრულებას მოშლის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ, მაშინ იგი არ თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისაგან, თუკი იმ გარემოებას, რომლის შესახებაც დარღვეული იქნა შეტყობინების მოვალეობა, გავლენა არ მოუხდენია სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე და მზღვეველის მოვალეობის შესრულებაზე] არასწორ განმარტებას. სსკ-ის 812-ე მუხლი სისტემურ კავშირშია სსკ-ის 808-ე მუხლთან, რომელიც ადგენს დამზღვევის ვალდებულებას ხელშეკრულების დადებისას მზღვეველს შეატყობინოს ყველა მისთვის ცნობილი გარემოება, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საფრთხის ან დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისათვის. არსებითია ის გარემოებები, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მზღვეველის გადაწყვეტილებაზე, უარი თქვას ხელშეკრულებაზე ან დადოს იგი შეცვლილი შინაარსით. სსკ-ის 812-ე მუხლით კანონმდებელი იცავს დამზღვევის ინტერესებს და არ ათავისუფლებს მზღვეველს თავისი მოვალეობის შესრულებისაგან იმ შემთხვევაშიც, როდესაც დამზღვევის მიერ 808-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის შეტყობინების ვალდებულების დარღვევა არ არის მიზეზობრივ კავშირში სადაზღვევო შემთხვევის დადგომასა და მზღვეველის მოვალეობის შესრულებასთან.

50. ამდენად, სსკ-ის 812-ე მუხლით მოწესრიგებულია ისეთი შემთხვევა, როდესაც დამზღვევი მზღვეველს არ შეატყობინებს ინფორმაციას დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას. სწორედ ზემოაღნიშნულ შინაარსს შეიცავს სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 ოქტომბრის №ას-657-624-2014 განჩინებაც, რომელშიც სსკ-ის 812-ე მუხლი განმარტებულია სსკ-ის 808-ე მუხლთან კავშირში [სამოქალაქო კოდექსის 812-ე მუხლი მზღვეველის მოვალეობისაგან გათავისუფლების საფუძვლად მოიაზრებს მხოლოდ იმგვარი გარემოების მიმართ შეტყობინების ვალდებულების დარღვევას (არასწორი ინფორმაციის მიწოდებას), რომელმაც გავლენა მოახდინა სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ამ შემთხვევაში საუბარია არა 808-ე მუხლით გათვალისწინებულ ნებისმიერ არსებით გარემოებებზე, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ დაზღვევის ხელშეკრულების დადებაზე ან მის შინაარსზე, არამედ მხო-

ლოდ იმ სახის გარემოებაზე, რომელმაც გავლენა მოახდინა თავად სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე]. სააპელაციო სასამართლოს მიერ დასახელებულ საქმეში სადაზღვევო კომპანია უარს აცხადებდა სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე იმ დასაბუთებით, რომ დამზღვევმა დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე მზღვეველს არასწორი ინფორმაცია მიაწოდა ხელშეკრულების გაფორმებამდე მისი ბრალით გამოწვეული ავტოსაგზაო შემთხვევის არსებობის შესახებ.

51. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ მოხმობილი ზემოაღნიშნული განჩინებაც და სსკ-ის 812-ე მუხლიც არარელევანტურია მოცემულ დავასთან მიმართებით, რადგან აღნიშნული მუხლით არ არის მოწესრიგებული ის შემთხვევა, რაც განსახილველ საქმეშია დავის საგანი – სადაზღვევო შემთხვევის დადგომის (ავტომანქანების გაუჩინარების) თაობაზე ინფორმაციის შეტყობინების ვალდებულების დარღვევა.

52. გამომდინარე იქედან, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, არც 2012 წლის 27 იანვრისა და 30 იანვრის წერილებით და არც საქმის მასალებით დასტურდება სადაზღვევო შემთხვევის (ავტომანქანათა დაკარგვის) შესახებ შეტყობინებისა და დამზღვევის მიერ სადაზღვევო თანხის სრულად ანაზღაურების მოთხოვნის ფაქტობრივი გარემოება, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 814-ე მუხლი [814.1 მუხლი: სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გაგებისთანავე დამზღვევი მოვალეა აცნობოს ამის შესახებ მზღვეველს]. აღნიშნული მუხლი ავალდებულებს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გაგებისთანავე შეატყობინოს ამის შესახებ მზღვეველს. თუმცა, დამზღვევის მხრიდან შეტყობინების მოვალეობის შეუსრულებლობა ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან მაინც არ ათავისუფლებს მზღვეველს (თუნდაც ეს პირობა მხარეთა შორის ხელშეკრულებით შეთანხმებული იყოს), გარდა იმ შემთხვევისა, როცა შეუტყობინებლობით მზღვეველის ინტერესები არსებითად ირღვევა [814.3 მუხლი: მზღვეველს არ შეუძლია დაეყრდნოს შეთანხმებას, რომლითაც იგი თავისუფლდება თავისი მოვალეობისაგან, თუ დამზღვევი არ შეასრულებს შეტყობინების მოვალეობას, მაგრამ ამით მზღვეველის ინტერესები არსებითად არ დაირღვევა].

53. მაშასადამე, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია, დამზღვევის მიერ მზღვეველისთვის სადაზღვევო შემთხვევის (ავტომანქანების გაუჩინარების) შეუტყობინებლობით არსებითად დაირღვა თუ არა მზღვეველის ინტერესი.

54. მზღვეველი შესაგებელში უთითებს, რომ მოსარჩელემ სამი წლის ვადის გასვლის შემდეგ მიმართა სადაზღვევო კომპანიას და

მოითხოვა თანხის დაკისრება, მიუხედავად იმისა, რომ უკვე დაკარგულია ყველა მოთხოვნის უფლება მსესხებლის მიმართ თანხის დაკისრებასთან დაკავშირებით.

55. დამზღვევის ხელშეკრულების 5.11 პუნქტის თანახმად, თუ დამზღვევი მხოლოდ ნაწილობრივ უზრუნველყოფს მსესხებლისაგან დავალიანების ამოღებას, მათ შორის, ქონების რეალიზაციის გზით (მაგ., 5.10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში), ან სესხის ძირითადი თანხის ტრანშის გაცემიდან გააა 4 თვე და დამზღვევი საერთოდ ვერ უზრუნველყოფს ამას (მაგ.: ქონების სრული განადგურება, მისი ვერმოძებნა და ა.შ.), დამზღვევი ვალდებულია მზღვეველს გადასცეს მოთხოვნის (რეგრესის) უფლება მსესხებლის მიმართ. ეს ვადა ავტომატურად გრძელდება, თუ ქონების რეალიზაცია ვერ ხერხდება იმ მიზეზით, რომ კომპეტენტური ორგანოს მიერ ქონება მიჩნეულია ნივთიერ მტკიცებულებად და დალუქულია/დაყადაღებულია ან მზღვეველისათვის მისაღები სხვა ობიექტური მიზეზით. ამასთან, დამზღვევი ვალდებულია ყველა კანონიერი გზით დაიცვას თავისი უფლებები მოცემულ ქონებასთან მიმართებით. ხელშეკრულების 5.13. პუნქტის თანახმად, ამ ხელშეკრულების პრინციპების გათვალისწინებით (მათ შორის, ქონების სალიკვიდაციო ღირებულების დაკლების გამო), სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ მზღვეველმა შეიძლება ტრანშების რიგითობის დაუცველად, ვადამდე აანაზღაუროს სესხის ძირითადი თანხის ზიანი და, ამგვარად, დამზღვევისაგან მიიღოს მოთხოვნისა (რეგრესის) და, შესაბამისად, ქონების რეალიზაციის უფლება.

56. ამდენად, მზღვეველს დამზღვევის მიერ ავტომატურად დაკარგვის თაობაზე შეტყობინების დროულად განხორციელების შემთხვევაში, შეეძლო ტრანშების რიგითობის დაუცველად ვადამდე ანაზღაურებინა სესხის ძირითადი თანხის ზიანი და დამზღვევისაგან მიეღო მოთხოვნის უფლება. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი ვერ უზრუნველყოფდა მსესხებლისგან დავალიანების ამოღებას, დამზღვევი ვალდებული იყო მზღვეველისთვის გადაეცა მოთხოვნის უფლება მსესხებლის მიმართ.

57. დამზღვევის მიერ მზღვეველისთვის მოთხოვნის დათმობა იურიდიულ დოქტრინაში ცნობილია სუბროგაციის სახელით [სსკ-ის 832.1 პუნქტის თანახმად, თუ დამზღვევეს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუკი ის უნაზღაურებს დამზღვევეს ზიანს]. მოთხოვნის დათმობის სამართლებრივი შედეგია ის, რომ მოთხოვნა გადადის ახალ კრედიტორზე, რითაც ეს უკანასკნელი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობაში იკა-

ვებს თავდაპირველი კრედიტორის ადგილს. მოთხოვნის დათმობით არ ხდება არსებული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის შეცვლა, არ იცვლება არც მოთხოვნა, რომელიც შესაბამისი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარეობს. მოთხოვნა ისეთივე მდგომარეობაში გადადის ახალ კრედიტორზე, როგორც იყო თავდაპირველი კრედიტორის ხელში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალ კრედიტორს შეუძლია, თავდაპირველი კრედიტორის კუთვნილი მოთხოვნა წაუყენოს მოვალეს, ხოლო, მოვალე უფლებამოსილია ახალ კრედიტორს წაუყენოს ყველა ის შესაგებელი, რაც მას გააჩნდა თავდაპირველი კრედიტორის მიმართ. აღნიშნული ეხება ასევე მოვალის შესაგებელს კრედიტორის მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, კერძოდ, ვალდებულებაში კრედიტორის ან მოვალის შეცვლის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს შეუძლია მოითხოვოს ხანდაზმულობის ვადის გამოყენება ვალდებულებაში პირთა შეცვლის მიუხედავად. ამასთან, პირთა შეცვლა ვალდებულებაში არ იწვევს ხანდაზმულობის ვადისა და მისი გამოთვლის წესის შეცვლას. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ ვალდებულებაში კრედიტორის შეცვლის შემთხვევაში, ახალი კრედიტორის მიმართ მოქმედებს ხანდაზმულობის ის ვადა და მისი გამოთვლის ის წესი, რაც თავდაპირველი (ჩანაცვლებული) კრედიტორის მიმართ მოქმედებდა, ამიტომ, თუ ამ უკანასკნელის მოთხოვნა ხანდაზმულია, მაშინ ხანდაზმული იქნება ასევე ახალი კრედიტორის მოთხოვნაც. განსახილველ შემთხვევაშიც, თუ აღმოჩნდება, რომ დამზღვევის მოთხოვნა ზიანის მიმყენებლის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე ხანდაზმულია, მაშინ ხანდაზმული იქნება მზღვეველის მოთხოვნაც, ვინაიდან ეს მოთხოვნა მასზე გადავიდა ისეთივე მდგომარეობაში, როგორც იყო დამზღვევის ხელში (იხ. სუსგ №ას-581-549-2011, 2012 წლის 5 სექტემბერი).

58. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი უნდა გადაწყდეს იმ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებით, რომლებიც არეგულირებენ დამზღვევსა და ზიანის მიმყენებელს შორის არსებულ ურთიერთობას, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, სუბროგაციის დროს ახალი ვალდებულება კი არ წარმოიშობა, არამედ დამზღვევსა და ზიანის მიმყენებელს შორის არსებული ძირითადი ვალდებულება აგრძელებს არსებობას, რომელშიც ხდება დამზღვევის (კრედიტორის) ჩანაცვლება მზღვეველით (იხ. სუსგ №ას-581-549-2011, 2012 წლის 5 სექტემბერი).

59. 2012 წლის 27 იანვრისა და 30 იანვრის წერილებით დასტურ-

დება, რომ დამზღვევისთვის ამ პერიოდში უკვე ცნობილი იყო მსესხებლის მიერ სესხის გადახდის გრაფიკის დარღვევის თაობაზე. მოსარჩელე უთითებს და მხარეთა შორისაც სადავო არ არის ის გარემოება, რომ ამ დროისათვის დამზღვევმა შეიტყო მსესხებლის მფლობელობაში არსებული ავტომანქანებისა და მსესხებლის გაუჩინარების შესახებ (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 7.4-7.5 ქვეპუნქტები), რაც სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად [სსკ-ის 130-ე მუხლი: ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეცყო უფლების დარღვევის შესახებ] მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ითვლება. სსკ-ის 129-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. გამომდინარე აქედან, 2015 წლის 27-30 იანვარს გავიდა მსესხებლისადმი დამზღვევის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. დამზღვევმა ზიანის ანაზღაურების სარჩელით სასამართლოს მიმართა 2015 წლის 17 მარტს, რომელიც მოპასუხეს ჩაბარდა 2015 წლის 7 აპრილს.

60. ამდენად, დამზღვევმა მსესხებელთან დადებული სასესხო ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ შეატყობინა მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის (ავტომანქანების დაკარგვის) თაობაზე, რის გამოც მზღვეველის უფლება სუბროგაციის წესით მოთხოვნა წაუყენოს მსესხებელს განუხორციელებელი დარჩა და, შესაბამისად, დამზღვევის მიერ მზღვეველისთვის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის (ავტომანქანების დაკარგვის) თაობაზე შეუტყობინებლობით არსებითად შეილახა მზღვეველის ინტერესები.

61. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სახეზეა 814-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მზღვეველის ინტერესების არსებითი დარღვევა, რაც დამზღვევის მიერ სადაზღვევო შემთხვევის შეტყობინების მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში ათავისუფლებს მას სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაგან.

62. აღნიშნულის გამო, საკასაციო პალატა აღარ იმსჯელებს კასატორის პრეტენზიებზე სააპელაციო სასამართლოს მხრიდან 2011 წლის 10 ოქტომბრისა და 2012 წლის 11 აპრილის ხელშეკრულებების შინაარსის არასათანადოდ გამოკვეევასთან დაკავშირებით იმის დასადგენად ითვალისწინებდა თუ არა ისინი და რა პირობებით ავტომანქანების დაკარგვის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურების გაცემას.

63. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე

მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოყენებინა.

64. სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

65. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ამგვარი საფუძვლები, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

66. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

67. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

68. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია იმსჯელოს სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე.

69. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან დაკმაყოფილდა მოპასუხის საკასაციო საჩივარი, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მოწინააღმდეგე მხარეს (მოსარჩელეს) კასატორის (მოპასუხის) სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო საჩივარსა და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბა-

ჟის – 5216 ლარისა (3036 ლარს + 2180, 42 ლარი) და 42 თეთრის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სს „ა-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და აღნიშნულ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „ე-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. შპს „ე-ს“ (ს/კ: 4-...) სს „ა-ის“ (ს/კ 4-...) სასარგებლოდ დაექისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 5216 (ხუთი ათას ორას თექვსმეტი) ლარისა და 42 თეთრის გადახდა;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

არასათანადო მოსარჩელე

**გადანყვიტილება
საქართველოს სახელით**

№ას-725-2019

10 დეკემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: სადაზღვევო თანხის დაბრუნება და ვალდებულების შეწყვეტა

აღწერილობითი ნაწილი:

1. პ. ქ-ქეს (შემდგეში ტექსტში მოხსენიებული, როგორც კრე-

დითის ამლები, მსესხებელი, მოვალე, გარდაცვლილი ან მამკვიდრებული), რომლის უფლებამონაცვლევც თ. ქ-ძე (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხარე, კასატორი ან მსესხებლის უფლებამონაცვლე) გახდა და სააქციო საზოგადოება „თ. ბ-ს“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეორე მოპასუხე, კრედიტორი ან ბანკი) შორის 2015 წლის 25 სექტემბერს დაიდო წერილობითი შეთანხმება, რომლის საფუძველზეც, ბანკმა მსესხებელს საკუთრებაში გადასცა – 6 000 ლარი; სესხის დაბრუნების ვადა 24 თვეს ხოლო წლიური საპროცენტო სარგებელი 32%-ს შეადგენდა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 867-ე, 868-ე და 623-ე მუხლები).

2. კრედიტის მოქმედების პერიოდში მსესხებლის სიცოცხლე დაზღვეული იყო; მას გადაეცა სადაზღვევო პოლისი, რომლის პირობებით: მზღვეველია – სს „სადაზღვევო კომპანია ჯ. ჰ.“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც პირველი მოპასუხე, აპელანტი, კასატორი ან მზღვეველი), დამზღვევი – მსესხებელი (პ. ქ-ძე), მოსარგებლე ანუ ბენეფიციარი – მეორე მოპასუხე (ბანკი). სადაზღვევო რისკს – დაზღვეულის ნებისმიერი მიზეზით, მათ შორის – უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალება წარმოადგენდა, გარდა დაზღვევამდე არსებული მძიმე დაავადებისა, რომელიც გარდაცვალების უშუალო მიზეზი იქნებოდა (იხ. ხელშეკრულება).

3. მსესხებელი 2015 წლის 27 სექტემბერს გარდაიცვალა (იხ. გარდაცვალების მოწმობა).

4. გარდაცვლილის ქონებრივი უფლებები და მოვალეობები (სამკვიდრო აქტივი და პასივი) 2016 წლის 5 მაისს გაცემული სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე, შვილებმა – თ. (მოსარჩელემ) და ნ. ქ-მა მიიღეს.

4.1. სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება სამკვიდრო მასაში არ შედიოდა (სსკ-ის 1328-ე მუხლი).

5. სარჩელის აღძვრის დროისათვის სადაზღვევო საზღაური – 6142.02 ლარი (ძირითადი თანხა – 6 000 ლარი, სარგებელი – 142,02 ლარი) იყო.

6. 2016 წლის 11 ოქტომბერს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხეების (კრედიტორისა და მზღვეველის) მიმართ სადაზღვევო თანხის დაბრუნებისა და ვალდებულების შეწყვეტის მოთხოვნით. მისი მტკიცებით, მოვალე მანამდე არსებული და/ან ქრონიკული დაავადებით არ გარდაცვლილა. შესაბამისად, მზღვეველი მის წინაშე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად სადაზღვევო თანხის ანაზღაურებაზე ვალდებული პირი იყო.

7. პირველმა მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებ-

ლით სარჩელი არ ცნო; ის ამტკიცებდა, რომ სადაზღვევო შემთხვევა არ დამდგარა, ვინაიდან სამედიცინო დანესებულების მიერ გაცემული ცნობებით უტყუარად დასტურდებოდა, რომ დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზი ქრონიკული (გულის იშემიური) დაავადება იყო.

8. მეორე მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით, სარჩელი არ ცნო და მისი უარყოფა მოითხოვა.

9. თელავის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა; პირველ მოპასუხეს ან გარდაცვლილ მოვალის მიმართ საბანკო კრედიტისა და სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარდაცვალებასთან დაკავშირებით დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის, საზღაურის – 6 000 ლარის ანაზღაურება დაეკისრა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად სსკ-ის 316-ე, 317-ე, 799-ე, 802-ე, 805-ე, 808-ე და 844-ე მუხლები გამოიყენა.

10. სადაზღვევო კომპანიამ სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 26 დეკემბრის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი უარყოფილ იქნა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

11.1. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და დამატებით აღნიშნა, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე არ არსებობდა დაზღვევამდე არსებული მძიმე ავადმყოფობის შედეგად მსესხებლის გარდაცვალების ფაქტის მიჩნევის საფუძველი, მით უფრო იმ პირობებში, რომ სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ მიერ გაცემულ ცნობით, გარდაცვალების მიზეზი უცნობია.

11.2. სააპელაციო სასამართლომ აპელანტის პრეტენზია, მოსარჩელის არასათანადოობასთან მიმართებით უარყო და იმის გათვალისწინებით, რომ ბანკს სადაზღვევო თანხის მოთხოვნით მზღვეველისათვის არ მიუმართავს, ამასთან, მას, როგორც კრედიტორს, უფლება ჰქონდა ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა მსესხებლის მემკვიდრისთვის წარედგინა, დადასტურებულად, მიიჩნია, რომ სწორედ ამ დავის ფარგლებში მიიღწეოდა ის შედეგი (ბანკის დაკმაყოფილება), რაზედაც მხარეები დაზღვევის ხელშეკრულებითა და დაზღვევის პოლისით შეთანხმდნენ.

11.3. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულება, კრე-

დიტორისათვის გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის გადახდის შემდეგ, ჩაითვლებოდა შეწყვეტილად.

12. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა პირველმა მოპასუხემ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის უარყოფა.

12.1. კასატორის მითითებით, აღნიშნული საქმე თელავის რაიონული სასამართლო განსჯადი არ იყო, რადგან, როგორც ბანკის – ასევე მზღვეველის იურიდიული მისამართი და ხელშეკრულების შესრულების ადგილია თბილისი.

12.2. კასატორის მტკიცებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ არასწორად უარყო ის გარემოება, რომ მოვალის მემკვიდრე არასათანადო მოსარჩელეა, რადგან დაზღვევის პოლისის მიხედვით, სადაზღვევო მომსახურების მოსარგებლე და შესაბამისად, ამ დავაზე სათანადო მოსარჩელე, მეორე მოპასუხე ანუ ბანკია.

12.3. გარდა ამისა, კასატორის მტკიცებით, სადაზღვევო შემთხვევა არ იკვეთება, ვინაიდან, სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობებით უტყუარად დასტურდება, რომ დამზღვევი ქრონიკული (გულის იშემიური) დაავადებით გარდაიცვალა.

12.4. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით დააკისრა საპროცესო ხარჯების ანაზღაურებაც.

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 15 ივლისის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელი უარყოფილ უნდა იქნეს.

14. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წა-

მოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. განსახილველ შემთხვევაში, მეორე მოპასუხემ ნაწილობრივ დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია წარმოადგინა.

14.1. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყოველ სარჩელს პროცესუალურ-სამართლებრივი და მატერიალურ-სამართლებრივი მხარე გააჩნია. დარღვეული უფლების დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვა წარმოადგენს სარჩელის პროცესუალურ-სამართლებრივ გამოვლინებას, ხოლო მოპასუხისადმი მოსარჩელის მოთხოვნა სარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მხარეა. ეს იმას გულისხმობს, რომ სარჩელს პროცესუალური თვალსაზრისით არ ექნება წარმატება, თუ მატერიალურ-სამართლებრივი კუთხით მოთხოვნა ნამდვილი, ან განხორციელებადი არ იქნება. სსკ-ის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის განვრცობით, და არა სიტყვა-სიტყვით, განმარტების მიხედვით, მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის უფლება წარმოადგენს ერთი ან რამდენიმე პირის ან პირების (კრედიტორი/ები) უფლებას ხელშეკრულებიდან ან კანონიდან გამომდინარე ვალდებულების ძალით, მეორე პირისგან ან პირებისგან (მოვალე/ები) მოითხოვოს გარკვეული ქმედების (მოქმედება ან უმოქმედობა – მოქმედებისაგან თავის შეკავება) განხორციელება. აქედან გამომდინარე, მოსარჩელეს მატერიალურ-სამართლებრივი გაგებით უნდა გააჩნდეს მოთხოვნის უფლება, ანუ კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ნორმიდან/ნორმებიდან უნდა გამომდინარეობდეს სწორედ ის შედეგი, რომლის მიღწევაც მას სურს. ამ შემთხვევაში სარჩელის უარყოფას, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 11.1 (მოსარგებლე არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც დაზღვევის ხელშეკრულების ან დაზღვევის შესახებ კანონმდებლობის თანახმად იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას) მუხლისა და სსკ-ის 844-ე (სიცოცხლის დაზღვევა შეიძლება ეხებოდეს დამზღვევს ან სხვა პირს) და 847.2 (მესამე პირს, რომელსაც აქვს სარგებლის მიღების უფლება, მისი განხორციელება შეუძლია მხოლოდ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, თუ დამზღვევს სხვა მითითება არ გაუცია) მუხლებით გათვალისწინებული შედეგის განმაპირობებელი სამართლებრივი წინაპირობების განუხორციელებლობა განაპირობებს.

14.2. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ დაზღვევის ხელშეკრულებისა და სადაზღვევო პოლისის

მიხედვით, სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ ბანკს შეეძლო და აქედან გამომდინარე მოსარჩელე არ იყო უფლებამოსილი აღეძრა სარჩელი.

14.3. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 1336-ე მუხლის შესაბამისად, მართალია, მოსარჩელე დაზღვეულის პირველი რიგის მემკვიდრეა, მაგრამ იმავე კოდექსის 1328-ე მუხლის მიხედვით, სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივ უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტიდან. ამდენად, დაზღვევის მემკვიდრის მიერ მზღვეველის მიმართ მოთხოვნის უფლების რეალიზაციისათვის უნდა დასტურდებოდეს, რომ ეს უფლება სამკვიდროში შედის.

14.4. განსახილველ შემთხვევაში, დაზღვევის ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ სადაზღვევო პოლისით მოსარგებლე (ბენეფიციარი) იქნებოდა მხოლოდ ბანკი, შესაბამისად, სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაც მას ჰქონდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მზღვეველის მიმართ მოთხოვნის უფლება არ შედიოდა სამკვიდრო მასაში, შესაბამისად, დაზღვეულის მემკვიდრის მიერ მზღვეველისადმი მოთხოვნის წარდგენის წინაპირობაც არ იკვეთება.

15. კასატორის ერთ-ერთი პრეტენზია დავის განსჯადობას შეეხება. საკასაციო სასამართლო მზღვეველის ამ პრეტენზიას არ იზიარებს და განმარტავს, რომ ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, სარჩელი იურიდიული პირის (მეორე მოპასუხის) საქმიანობიდან გამომდინარეობდა, სარჩელიც ფილიალის ადგილმდებარეობის მიხედვით სწორად იქნა აღძრული (სსსკ-ის 16.3 მუხლი).

16. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, №7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

17. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებ-

მა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამდენად, პირველი მოპასუხის სასარგებლოდ მოსარჩელეს უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 540 (ხუთასორმოცი) ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. სს „სადაზღვევო კომპანია ჯ. ჰ-ს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 დეკემბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც ძალაში დარჩა თელავის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილების 1.1. პუნქტი და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. თ. ქ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. თ. ქ-ძეს დაეკისროს სს „სადაზღვევო კომპანია ჯ. ჰ-ს“ სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 540 (ხუთასორმოცი) ლარის გადახდა;
5. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა)

შემოსავლების განაწილებისა და ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის წესი

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1054-994-2015

22 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაქუერი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის/შეგებებულ სარჩელის ავტორის მოთხოვნა:

1.1. რ. ს-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. ს-ის მიმართ 16 389 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით. სარჩელის თანახმად, მხარეები 2011 წელს ზეპირად შეთანხმდნენ ერთობლივ საქმიანობაზე და ამ მიზნით მოსარჩელემ გერმანიიდან ჩამოიყვანა სამ-გზავრო ავტობუსი, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 101 230 აშშ დოლარი, ერთობლივი საქმიანობის განხორციელების მიზნით მოპასუხის სახელზე აღებულ იქნა სესხი ბანკიდან, რომლის უზრუნველსაყოფადაც იპოთეკით დაიტვირთა, მათ შორის, რ. ს-ის ქონება. ავტობუსზე ზედამხედველობას ახორციელებდა გ. ს-ე და მისი ექსპლუატაციით მიღებული თანხით იფარებოდა აღებული სესხი. საქმიანობის გაფართოების მიზნით მხარეებმა გადაწყვიტეს მეორე ავტობუსის ჩამოყვანაც და ამ მიზნით მოპასუხის სახელზე კვლავ აღებულ იქნა მიზნობრივი სესხი. ამ სესხის ნაწილით გადაიფარა მანამდე ბანკის წინაშე არსებული ვალდებულება, ხოლო დარჩენილი ნაწილი მოსარჩელეს გაეგზავნა გერმანიაში. მოპასუხემ მოითხოვა თანხის უკან დაბრუნება იმ მიზეზით, რომ აღარ სურდა ავტობუსის ჩამოყვანა. მხარეები შეთანხმდნენ ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტაზე, რის გამოც მოსარჩელემ, გადარიცხული ფულიდან დაიტოვა კუთვნილი 27 000 ევრო, ხოლო 8 000 ევრო დაუბრუნა მოპასუხეს.

1.2. გ. ს-ემ შეგებებულ სარჩელით მიმართა სასამართლოს რ. ს-ის მიმართ და მოითხოვა მეორე ავტობუსის შესაძენად გადარიც-

ხული თანხის – 35 255 (48 000 აშშ დოლარი) ევროს, დავალების შესასრულებლად გადახდილი გასამრჯელოს – 7 300 აშშ დოლარის, ამ თანხის დაუბრუნებლობის გამო პროცენტის (ბანკის მიერ დადგენილი 15%), მიუღებელი შემოსავლის – 24 000 აშშ დოლარისა (2013 წლის 28 სექტემბრიდან 2014 წლის მარტის ჩათვლით) და პირველი ავტობუსის ჩამოყვანისას ზედმეტად გადაცემული 2 800 ევროს მოპასუხისათვის დაკისრება. შეგებებული სარჩელის ავტობუსის განმარტებით, მას საკუთრებაში გააჩნია სამგზავრო ავტობუსი, რომლითაც ახორციელებს საერთაშორისო რეისებს. ბიზნესის გაფართოების მიზნით გადაწყვიტა მეორე ავტობუსის შეძენა და ბანკიდან აიღო სესხი. აღებული თანხის ნაწილით გადაფარა წინა ავტობუსის ჩამოყვანისთვის სესხად აღებული თანხა, ხოლო თანხის ნაწილი გერმანიაში გადაურიცხა რ. ს-ეს, რომელიც წასული იყო გ. ს-ისთვის ავტობუსის შესაძენად. დავალების შესასრულებლად მოპასუხეს წინასწარ გადასცა 7 300 აშშ დოლარი. ავტობუსის შესაძენად კი, ჯამში გადაურიცხა 35 525 ევრო. რ. ს-ემ გერმანიიდან ავტობუსის ნაცვლად ჩამოიყვანა 2 მსუბუქი ავტომანქანა, გ. ს-ეს კი დაჰპირდა, რომ დაუბრუნებდა 25 000 აშშ დოლარს, დანარჩენ თანხას გადასცემდა მოგვიანებით. რ. ს-ეს დანაპირები არ შეუსრულებია, რის გამოც შეგებებული სარჩელის ავტობუსს ადგება ზიანი. სესხის თანხის დასაფარად ყოველთვიურად ბანკში უწევს 2 750 აშშ დოლარის შეტანა.

2. მოპასუხეების პოზიცია:

2.1. გ. ს-ემ კვალიფიციური შედავებით სარჩელი არ ცნო, განმარტა, რომ მხარეები ერთობლივ საქმიანობაზე არ შეთანხმებულან, რ. ს-ე მოქმედებდა დავალების ფარგლებში, რომელიც მან ჯეროვნად არ შეასრულა. რაიმე ვალდებულება მოსარჩელის წინაშე მოპასუხეს არ აქვს.

2.2. მარტივი შედავების წარდგენით რ. ს-ემაც არ ცნო შეგებებული სარჩელის მოთხოვნა, მიიჩნია ის უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით რ. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გ. ს-ის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, რ. ს-ეს გ. ს-ის სასარგებლოდ დაეკისრა 19 300 აშშ დოლარის გადახდა.

4. აპელანტების მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა, გ. ს-ემ მისი ნაწილობრივ გაუქმება და შეგებებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ასევე, იმ საოქმო

განჩინების გაუქმება მოითხოვა, რომლითაც დასაშვებად იქნა მიჩნეული და საქმეს დაერთო რ. ს-ის მიერ წარდგენილი დისკი, ასევე, ექსპერტიზის დასკვნა, ხოლო რ. ს-ემ მოითხოვა ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით რ. ს-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გ. ს-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც რ. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გ. ს-ის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რ. ს-ეს გ. ს-ის სასარგებლოდ დაეკისრა 55 300 აშშ დოლარის გადახდა.

5.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

5.1.1. სასამართლოს დასკვნით, გ. ს-ის მიერ გერმანიიდან მეორე ავტობუსის შეძენასთან დაკავშირებული ურთიერთობა მხარეებს შორის უნდა დარეგულირდეს დავალების შესახებ ხელშეკრულების და არა ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების ნორმებით, შესაბამისად, დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ს-ემ გადაწყვიტა მეორე ავტობუსის შეძენა, რაზედაც გასცა დავალების შესახებ მინდობილობა რ. ს-ის სახელზე. ამ მიზნით, 2013 წლის 27 აგვისტოს სს „ლიდან“ სესხად აიღო 100 000 აშშ დოლარი. სესხი უზრუნველყოფილ იქნა უძრავი ქონებით.

5.1.2. 2013 წლის 27 აგვისტოს სს „პ-იდან“ აღებული სესხიდან გ. ს-ის მიერ ავტობუსის შესაძენად გერმანიაში 2013 წლის 24 სექტემბერს გადაგზავნილი იქნა 20 000 ევრო, ხოლო 2013 წლის 28 სექტემბერს – 10 000 ევრო და 5 255 ევრო. გადაგზავნილი თანხის ოდენობამ ჯამში შეადგინა 35 255 ევრო (იმ დროისათვის არსებული კურსით 48 000 აშშ დოლარი).

5.1.3. რ. ს-ეს გ. ს-ისათვის გერმანიიდან მეორე ავტობუსი არ ჩამოუყვანია. მან ჩამოიყვანა ორი მსუბუქი ავტომანქანა, რომლებიც გ. ს-ეს არ გადასცემია. გადარიცხული ფული რ. ს-ემ თვითონ დაიტოვა.

5.1.4. გ. ს-ის შედავებისა და რ. ს-ის მიერ შესაბამისი მტკიცებულებების წარუდგენლობის გამო ქვემდგომმა სასამართლომ სწორად არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება, იმის თაობაზე, რომ გ. ს-ემ მას სთხოვა გერმანიაში 2013 წლის 24 და 28 სექტემბერს გადარიცხული თანხების უკან წამოღება.

5.1.5. სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის, 319-ე მუხლის პირ-

ველი ნაწილის, 327-ე მუხლის პირველი ნაწილის, 709-ე, 712-ე მუხლების თანახმად, პალატამ აღნიშნა, რომ გ. ს-ის მიერ რ. ს-ისათვის გერმანიაში გაგზავნილი 48 000 აშშ დოლარი და წინასწარ, დავალების შესასრულებლად გადარიცხული 7300 აშშ დოლარი მხარეთა შორის დავალების ურთიერთობაზე მიუთითებდა, ამ ურთიერთობის თაობაზე გ. ს-ემ წარადგინა წერილობითი ხელშეკრულება. სამოქალაქო კოდექსის 713-ე მუხლისა და 715-ე მუხლის პირველი ნაწილის წინააღმდეგ, რ. ს-ე აცხადებდა, რომ მან ავტობუსის ნაცვლად გერმანიიდან ორი ავტომანქანა ჩამოიყვანა, თავად დაიტოვა და გ. ს-ისათვის არც თანხა და არც ავტომანქანები არ გადაუცია. საკუთარ განმარტებას, რომლის თანახმადაც, გ. ს-ემ მას შეუწყვიტა ურთიერთობა და მოსთხოვა თანხის დაბრუნება, რადგანაც აღარ სურდა მეორე ავტობუსის შეძენა, რ. ს-ე რაიმე მტკიცებულებით, გარდა საკუთარი განმარტებისა, ვერ ადასტურებდა. აღნიშნული კი, როგორც მტკიცებულება, საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტით, ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლებით, არ იყო საკმარისი. შეგებებული სარჩელის ავტორმა მის მიერ მითითებული გარემოებების დამტკიცების ტვირთი დაძლია, რის გამოც, მეორე ავტობუსის დავალების ფარგლებში ჩამოყვანაზე შეთანხმება და რ. ს-ის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობა პალატამ დადგენილად მიიჩნია.

5.1.6. სამოქალაქო კოდექსის 316-ე და 317-ე მუხლების პირველი ნაწილების, ასევე, 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არსებობდა გ. ს-ის სააპელაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი, კერძოდ, რ. ს-ეს გ. ს-ის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მეორე ავტობუსის შეძენისათვის წინასწარ გადარიცხული 7 300 აშშ დოლარისა და შემდგომ 35 255 ევროს ანუ 48 000 აშშ დოლარის, სულ – 55 300 აშშ დოლარის გადახდა.

5.1.7. სასამართლოს დასკვნით, გ. ს-ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა სარგებლის, მიყენებული ზიანისა და მიუღებელი შემოსავლის დაკისრების თაობაზე, იყო უსაფუძვლო. სასამართლოს განმარტებით, ზიანი შეიძლება წარმოიშვას ერთ-ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით. „სახელშეკრულებო“ ზიანი შეიძლება მიყენებულ იქნეს ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების, კანონის ან ადმინისტრაციული აქტის შეუსრულებლობით. პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები: ზიანი; მართლსაწინააღმდეგო მოქმედება; მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებლის ბრალი. ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე,

ზიანის მიმყენებელი მიიჩნევა ბრალეულად, თუ არ დაამტკიცებს მისი ბრალის არარსებობის ფაქტს. ამის შესაბამისადვე ხდება მტკიცების ტვირთის განაწილება დაზარალებულსა და ზიანის მიმყენებელს შორის. ეს გარემოებები საქმის მასალებით არ დასტურდებოდა. სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმის მასალებით არ დადასტურდა რ. ს-ის მიერ რაიმე მართლსაწინააღმდეგო, განზრახი და ბრალეული მოქმედება და ამ მოქმედებიდან გამომდინარე გ. ს-ეზე ზიანის მიყენების ფაქტი. შესაბამისად, არც ამავე კოდექსის 412-ე მუხლის შემადგენლობა იყო სახეზე.

5.1.8. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, რ. ს-ის სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლო იყო. მოგების მიღების შესახებ მისი მოთხოვნა ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების ნორმებიდან გამომდინარეობდა. ამ თვალსაზრისით სასამართლომ დადგენილად ცნო ის გარემოება, რომ 2011 წლის ზაფხულში რ. და გ. ს-ებმა, ზეპირი შეთანხმებით, ერთობლივი საქმიანობის განხორციელების მიზნით, გადაწყვიტეს სამგზავრო ავტობუსის შექმნა. მიზნის განხორციელებისათვის გ. ს-ემ სს „პ-თან“ 2011 წლის 28 ივნისს გააფორმა სესხის ხელშეკრულება საკრედიტო ლიმიტით 75 000 აშშ დოლარი. სესხი უზრუნველყოფილი იყო სხვადასხვა პირის, მათ შორის, რ. ს-ის უძრავი ქონებით.

5.1.9. 2011 წლის 15 ივნისს გ. ს-ემ მინდობილობით რ. ს-ეს მიანიჭა ავტომანქანის ყიდვისა და საქართველოში ჩამოყვანის უფლებამოსილება. ამის შემდეგ რ. ს-ის მიერ გერმანიიდან ჩამოყვანილ იქნა სამგზავრო ავტობუსი, რომელიც დარეგისტრირდა გ. ს-ის სახელზე. ავტობუსის ღირებულება შეადგენდა 50 700 ევროს. ავტობუსის განბაჟების, შეკეთების, ნაწილების გამოცვლის ხარჯები გაღებული იქნა, როგორც რ. ს-ის, ისე გ. ს-ის მიერ. გაღებული ხარჯების ოდენობა მხარეთა შორის სადავოა. ავტობუსი ასრულებდა საერთაშორისო რეისებს. შემოსული თანხით 2011 წლის 28 ივნისს სს „პ-იდან“ აღებული სესხი იფარებოდა. ავტობუსს რამდენჯერმე დასჭირდა სარემონტო სამუშაოების ჩატარება, რასაც უზრუნველყოფდა რ. ს-ე. მხარეთა შორის ერთობლივი საქმიანობა 2013 წლის სექტემბრის ბოლოს შეწყდა. შეწყვეტის ინიციატორი იყო რ. ს-ე, ვინაიდან, მან გერმანიიდან მეორე ავტობუსი არ ჩამოიყვანა და გადარიცხული ფული, როგორც ერთობლივ საქმიანობაში მის მიერ განხორციელებული შენატანისა და მოგების საფასური, დაიტოვა. რ. ს-ის შენატანი ერთობლივ საქმიანობაში 28 700 აშშ დოლარია. მან ამხანაგობაში შენატანი განახორციელა, როგორც მომსახურების განევით (ავტობუსზე სარემონტო სამუშაოების ჩატარება), ასევე, ფულადი სახით.

5.1.10. საქმის მასალებით ერთობლივი საქმიანობის დროს მიღებული მოგების არსებობა და მისი ოდენობა არ დგინდებოდა, არამედ ირკვეოდა, რომ პირველი ავტობუსის მუშაობის შედეგად მიღებული თანხით იფარებოდა ამ ავტობუსის შექმნისათვის ბანკიდან აღებული ვალი, რომელიც საბოლოოდ გადაიფარა სს „ლიდან“ აღებული სესხით, ასევე ის, რომ გ. ს-ის საკუთრებაში დარჩა 2011 წლის ზაფხულში გერმანიიდან ჩამოყვანილი ავტობუსი.

5.1.11. სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლისა და 931-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეები იყვნენ ამხანაგობის წევრები. მათ ამხანაგობა დააფუძნეს ზეპირი გარიგებით და რადგან მათ შორის არსებული ერთობლივი ამხანაგობის ზეპირი ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებდა, შენატანები წარმოადგენდა მონაწილეთა საერთო საკუთრებას (სკ-ის 932.3 მუხლი). სამოქალაქო კოდექსის 932-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, რ. ს-ის შენატანი ამხანაგობაში განხორციელდა, როგორც ფულადი სახით, ასევე, მომსახურების განევით. ფულადი შენატანი 28 700 აშშ დოლარს შეადგენდა.

5.1.12. ერთობლივი საქმიანობიდან შემოსული თანხებიდან, სამოქალაქო კოდექსის 935-ე მუხლის თანახმად, იფარებოდა ამ საქმიანობის განხორციელებისათვის აღებული ვალები. პალატამ ასევე მიუთითა ამავე კოდექსის 938-ე მუხლის მე-3 ნაწილსა და 940-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ 2011 წლის ივნისში აღებული ვალი დაფარული იყო. შექმნილი ავტობუსი გ. ს-ის საკუთრებას წარმოადგენდა. რ. ს-ის შენატანი ერთობლივ საქმიანობაში 28 700 აშშ დოლარს შეადგენდა, როგორც ქვემდგომმა სასამართლომ განმარტა, რადგანაც მოგება არ დგინდებოდა, რ. ს-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. პალატამ დამატებით აღნიშნა ისიც, რომ 2013 წელის სექტემბრის ბოლოს, როცა შეწყდა ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება, მხარეთა მიერ არ მომხდარა საინვენტარიზაციო ნუსხის შედგენა, ხარჯების, შემოსავლის, მოგების დაანგარიშება (თუკი იყო ასეთი), დარჩენილი ქონება მონაწილეებს შორის მათი წილის შესაბამისად არ განაწილებულა, არ დაფარულა ერთობლივი საქმიანობის დროს წარმოშობილი ვალები (თუკი იყო ასეთი), არ დადგენილა, დასრულდა თუ არა მიმდინარე გარიგებები. ამდენად, არ არსებობდა რ. ს-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

6. კასატორების მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა რ. ს-ემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის მხოლოდ 14 500 აშშ დოლარის ნაწილში დაკმაყოფილება, ხოლო შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე

უარის თქმა. საკასაციო სასამართლოს შეგებებული საკასაციო საჩივრით მომართა გ. ს-ემ, რომლითაც მოითხოვა ვიდეორჩანანერისა და ექსპერტიზის დასკვნის დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევაზე უარის თქმის შესახებ საოქმო განჩინებისა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, ასევე, ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენის (სადავო ურთიერთობის ამხანაგობად და არა დავალებად დაკვალიფიცირების) ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, კერძოდ, რ. ს-ისათვის 35 522 (48 000 აშშ დოლარის) ევროს, 7 300 აშშ დოლარის (სულ 55 300 აშშ დოლარის), სს „ლ-ის“ მიერ დადგენილი 15%-ის (2013 წლის 28 სექტემბრიდან ერთი წლის განმავლობაში, სულ 8 293 აშშ დოლარის), ასევე, პირველი ავტობუსის ჩამოყვანისას ზედმეტად გადარიცხული 2 700 ევროს დაკისრება.

6.1. საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

6.1.1. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, 105-ე, 131-ე, 132-ე მუხლების მოთხოვნები, არასრულყოფილად გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები და არასწორად შეაფასა ისინი, შესაბამისად, სახეზეა ამავე კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები. საქმის მასალებით დადგენილია 2011 წლის ზაფხულში მხარეთა ზეპირი შეთანხმება ერთობლივ საქმიანობაზე, ამ მიზნით გ. ს-ის მიერ ვალის აღება და 2011 წლის 15 ივნისს, რ. ს-ისათვის მინდობილობის მინიჭების შემდეგ, გერმანიიდან ავტობუსის ჩამოყვანა, რომლის ღირებულებაც 50 700 ევროს, ხოლო განბაჟებისა და სხვა ხარჯების გათვალისწინებით – 101 230 აშშ დოლარს შეადგენდა. პალატამ დადგენილად მიიჩნია ისიც, რომ პირველი ავტობუსის ჩამოყვანის გამო, ერთობლივ საქმიანობაში რ. ს-ის შენატანი 28 700 აშშ დოლარს შეადგენდა, რაც დასტურდება გ. ს-ის ხელწერილით, აუდიორჩანანერით, მხარეთა ახსნა-განმარტებითა და სხვა მტკიცებულებებით. ამ ხელწერილების ავთენტურობა მოპასუხეს პირველი ინსტანციის სასამართლოში სადავო არ გაუხდია, მან მხოლოდ იმაზე მიუთითა, რომ ხელწერილებით რ. ს-ის ვალის არსებობა დასტურდებოდა, რომელიც გ. ს-ეს უკვე გადახდილი ჰქონდა. სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, მხარის მითითებული განმარტება არ შეიძლება იქნას გაზიარებული. ამ გარემოებების მხედველობაში მიღებით, გაურკვეველია, რის საფუძველზე ასკვნის სააპელაციო პალატა, რომ რ. ს-ე მეორე ავტობუსის ჩამოსაყვანად სწორედ გ. ს-ის დავალებით იყო გერმანიაში. 2011 წლის 15 ივნისის მინდობილობით კასატორს მხოლოდ ერთხელ

მიენიჭა გ. ს-ის მიერ უფლება, ჩამოეყვანა ავტობუსი და ეს ვალდებულება პირნათლად შესრულდა. მინდობილობას ვადა 2012 წლის 15 ივნისს ამოეწურა. რაც შეეხება მეორე მინდობილობას, აღნიშნულით კასატორს მიენიჭა უფლება, უკვე ჩამოყვანილი ავტობუსის საზღვარგარეთ გაყვანის, მართვისა და სარგებლობის, მასში ავტობუსის სრული რეკვიზიტებია მითითებული, სხვა მტკიცებულება კი, საქმეში არ მოიპოვება.

6.1.2. ასევე გაურკვეველია სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ მეორე ავტობუსის ჩამოსაყვანად გ. ს-ემ რ. ს-ეს ხელზე გადასცა 7 300 აშშ დოლარი. ამ შემთხვევაში სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ გ. ს-ის განმარტებას, რაც, როგორც სამოქალაქო კოდექსის 624-ე, ისე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 105-ე მუხლების მოთხოვნებს ეწინააღმდეგება.

6.1.3. საინტერესოა სააპელაციო სასამართლოს განმარტება იმის შესახებ, რომ მეორე ავტობუსის ჩამოყვანასთან დაკავშირებული ურთიერთობები დავალების ხელშეკრულების ნორმებით უნდა დარეგულირდეს. ამ თვალსაზრისით სასამართლოს დასკვნები დაუსაბუთებელია, არ ემყარება საქმეში არსებული მინდობილობების სწორ შეფასებას. საქმეში არ მოიპოვება მეორე ავტობუსის ჩამოყვანის დროისათვის – 2013 წლის აგვისტოში გაცემული მინდობილობა, შესაბამისად, სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნები. საქმეში არსებული მტკიცებულებების: გ. ს-ის მიერ გაცემული მინდობილობების, მხარეთა ახსნა-განმარტებების, საქმეში არსებული აუდიოჩანაწერისა და მანამდე არსებული საქმიანი ურთიერთობის შეფასებით დგინდება მხარეთა ზეპირი შეთანხმება ერთობლივ საქმიანობაზე. ერთობლივ საქმიანობაზე მიუთითებს ასევე ბანკიდან აღებული სესხის ხარჯვის, მისი დაფარვისა და მხარეთა შენატანების საკითხი, კერძოდ, 2011 წლის 28 ივნისს სს „პ-თან“ გაფორმებული სესხი (70 000 აშშ დოლარი) უზრუნველყოფილი იყო სხვადასხვა პირის, მათ შორის, კასატორის უძრავი ქონებით. ავტობუსი შეძენილ იქნა 50 700 ევროდ და საბოლოო ღირებულება განისაზღვრა 101 230 აშშ დოლარით. კასატორმა მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 930-ე, 931-ე და 932-ე მუხლების დისპოზიციაზე და განმარტა, რომ გ. ს-ემ შესაგებელსა და შეგებებულ სარჩელში მოყვანილი გაანგარიშებით მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებით (რომელსაც კასატორიც დაეთანხმა), სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3, მე-4, მე-5, 131-ე, 132-ე, 133-ე მუხლების თანახმად, აღიარა ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე მოგება, მას ეს გარემოება არ უარუყვია, რაც სასამართლომ არ გაიზიარა, უფრო მეტიც, სააპელაციო პალატას არ დაუსაბუთებია აღიარების უარყოფა.

6.1.4. სამოქალაქო კოდექსის 932-ე მუხლის შესაბამისად, მხარეთა ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, მხარეთა შესატანი თანაბარი იყო, გასაჩივრებული გადანყვეტილებით კი, დადგენილია, რომ კასატორის შენატანი მხოლოდ 28 700 აშშ დოლარი და მომსახურების განევა იყო. გ. ს-ემ ამხანაგობაში არა საკუთარი, არამედ, ბანკიდან აღებული კრედიტი შეიტანა, რომლის უზრუნველსაყოფადაც რ. ს-ის ქონებაც იყო დატვირთული. ერთობლივი საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმებიდან გამომდინარე, მხარეთა შესატანების გათანაბრებისათვის რ. ს-ეს ამხანაგობაში უნდა შეეტანა 98 700 აშშ დოლარის ნახევარი – 49 350 აშშ დოლარი, საიდანაც მას გადახდილი ჰქონდა 28 700 აშშ დოლარი, ასეთ ვითარებაში, კუთვნილი წილის შესავსებად მას დამატებით 20 600 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა, რომელიც მოწინააღმდეგე მხარის მიერ აღებული სესხით შეივსო. შესაბამისად, კასატორს უნდა გადაეხადა ბანკიდან აღებული სესხის ძირის ნაწილი – 20 600 აშშ დოლარი და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი, ხოლო მოწინააღმდეგე მხარეს – 49 300 აშშ დოლარი და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი. შექმნილი ავტობუსის ღირებულების გათვალისწინებით, შესატანი მოგვიანებით გ. ს-ის პირადი სახსრებით შეივსო, საიდანაც ნახევარი კასატორის მიერაა გადახდილი. ეს გარემოება მხარეთა ახსნა-განმარტებით, გ. ს-ის ხელწერილითა და აუდიო-ჩანაწერით დგინდება. სამოქალაქო კოდექსის 935-ე და 932-ე მუხლებიდან გამომდინარე, მოგება მხარეთა შორის თანაბრად უნდა განაწილდეს. მოპასუხის მიერ აღიარებული მოგების ოდენობის გათვალისწინებით, 2011 წლის აგვისტოდან 25 თვის განმავლობაში შემოსავალმა 62 500 აშშ დოლარი შეადგინა, რაც კასატორს არ მიუღია. ვინაიდან გ. ს-ე არასწორ მონაცემებს აწვდიდა კასატორს მოგების თაობაზე, გადამონმების მიზნით ის რამდენიმე რეისს გაჰყვა, ამან გამოიწვია უკმაყოფილება და სამოქალაქო კოდექსის 937-ე და 938-ე მუხლების შესაბამისად, რ. ს-ე ზეპირად გავიდა ხელშეკრულებიდან და ითხოვს წილის კომპენსაციას, რაც, მოცემულ შემთხვევაში, ხარჯების გაქვითვით 60 523 აშშ დოლარია. ვინაიდან გ. ს-ეს არ შეეძლო წილის გამოსყიდვა და ვერც სხვა პირი მოიძია (გ. ლ-ის ჩვენება), გადანყდა ბანკიდან ახალი კრედიტის აღება და მეორე ავტობუსის შექმნა. კასატორი, სხვა ალტერნატივის არარსებობის გამო, ვალდებული იყო, დათანხმებოდა შეთავაზებას. ახალი სესხის აღება კვლავ გ. ს-ემ აიღო, რომლიდანაც დაიფარა სს „პ-ის“ ვალი, ხოლო 35 255 ევრო (48 000 აშშ დოლარი) ბანკმა გადარიცხა გერმანიაში ავტობუსის შესაძენად. ამ ვითარებაში კი, გაურკვეველია სასამართლოს დასკვნა, რომლის თანახმადაც, მეორე ავტობუსი კასატორს დავალების ფარგლებში უნდა ჩამოეყვა-

ნა გერმანიიდან. ავტომობილის შეძენისას გ. ს-ემ აცნობა, რომ აღარ სურდა მისი შეძენა და ითხოვდა თანხის დაბრუნებას სხვა საქმიანობის წამოსაწყებად, რამაც კიდევ უფრო დაძაბა მხარეთა ურთიერთობა. კასატორმა გადაწყვიტა ხელშეკრულებიდან გასვლა, თუმცა, რადგანაც გადარიცხული თანხა არ იყო საკმარისი გამართული ავტომობილის შესაძენად, მან გადაწყვიტა, დაეტოვებინა ერთობლივი საქმიანობიდან მისი კუთვნილი თანხის მხოლოდ ნაწილი – 48 000 აშშ დოლარი, ხოლო სხვაობა – 8 000 აშშ დოლარი დაუბრუნა მონინალმდეგე მხარეს, რაც სასამართლომ, მონმის ჩვენებაზე დაყრდნობით, არ გაიზიარა. მხარეთა უსიამოვნება არაერთხელ გახდა მსჯელობის საგანი, რომლის სატელეფონო ჩანწერაც განახორციელა კასატორმა, ამ ჩანწერით დგინდება მონინალმდეგე მხარის რეალური მიზნები. ფარული ჩანწერის დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევაზე, მართალია, არ დაკმაყოფილდა გ. ს-ის შუამდგომლობა, თუმცა სასამართლოებს ეს მტკიცებულება არასწორად არ შეუფასებიათ.

6.2. შეგებებული საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

6.2.1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რა გარემოებებს დაემყარა სასამართლო ზიანის ანაზღაურებაზე შორის თქმისას, ასევე, გაურკვეველია, როგორ დაადგინა მხარეთა შორის ერთობლივი საქმიანობის არსებობა. სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა კანონით და არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები.

6.2.2. სასამართლომ არასწორად არ დააკმაყოფილა გ. ს-ის შუამდგომლობა აუდიოჩანწერისა და ექსპერტიზის დასკვნის დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევის თაობაზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის უგულებელყოფით, არასწორად განაწილა მხარეთა შორის მტკიცებების ტვირთი და ამავე კოდექსის 105-ე მუხლის დარღვევით შეაფასა მტკიცებულებები ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში. შეფასების გარეშე დატოვა საქმეში წარმოდგენილი დავალების ხელშეკრულება (მინდობილობა) პირველი ავტობუსის ჩამოყვანასთან დაკავშირებით. ამ მტკიცებულების სწორად შეფასების შემთხვევაში, სასამართლო მივიდოდა დასკვნამდე, რომ პირველი ავტობუსი დავალების ფარგლებში იყო ჩამოყვანილი. ამ თვალსაზრისით არ შეფასებულა ასევე მინდობილობები, რომლებიც მძღოლების სახელზეა გაცემული, მძღოლების დაზღვევის მონაწილეობა, იჯარის ხელშეკრულება, ანგარიშვაქტურები და სხვა. გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს მსჯელობას, თუ რატომ არ იზიარებს სასამართლო შეგებებული საჩივლის ავტორის მსჯელობას ზიანის ანაზღაურებისა და ზედმეტად

გადახდილი თანხის დაბრუნების თაობაზე.

6.2.3. პირველი ავტობუსის ჩამოყვანაზე მსჯელობისას, მიუხედავად რ. ს-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა, სასამართლომ, გადანყვეტილების დასაბუთებისას არასწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 930-ე, 931-ე, 932-ე, 935-ე, 938-ე და 940-ე მუხლებით, მაშინ, როდესაც სარჩელის ამ ნაწილზე მსჯელობისასაც პალატას უნდა ეხელმძღვანელა 709-ე, 712-ე, 713-ე და 715-ე მუხლებით. ძირითადი სარჩელით მხარე აპელირებდა ერთობლივ საქმიანობაზე, მაშინ, როდესაც შესაგებლითა და შეგებებული სარჩელით, მონმეთა ჩვენებებსა და საქმეში წარმოდგენილ მინდობილობებზე დაყრდნობით მოპასუხე ასაბუთებდა დავალეზის ხელშეკრულების არსებობას. გასაჩივრებული გადანყვეტილებით კი, არ არის განმარტებული, თუ რატომ არ შეაფასა სასამართლომ მხარეთა ურთიერთობა დავალეზად და რა მტკიცებულებაზე დაყრდნობით უარყო რ. ს-ის სახელზე გაცემული მინდობილობა.

6.2.4. სასამართლომ არასწორად არ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 412-ე, 414-ე, 776-ე და 991-ე მუხლებით. ყოველგვარი დასაბუთების გარეშე სასამართლომ უარი განუცხადა გ. ს-ეს პირველი ავტობუსის ჩამოყვანისას ზედმეტად გადახდილი 2 700 ევროს დაბრუნებაზე მაშინ, როდესაც საქმეში არსებული №27 ანგარიშფაქტურით დგინდება, რომ რ. ს-ემ ავტობუსი 50 700 ევროდ შეიძინა, ხოლო გ. ს-ემ მას 53 700 ევრო გადაურიცხა, მოწინააღმდეგე მხარის მიერ უსაფუძვლოდ მითვისებული თანხის ნაწილში სასამართლოს არ უმსჯელია.

6.2.5. კასატორმა ამავე საფუძვლებით სადავო გახადა სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათ შორის, ამხანაგობაში რ. ს-ის მიერ 27 700 აშშ დოლარის ოდენობით შესატანის შეტანის ფაქტი, კასატორის განმარტებით, აღნიშნული დასკვნა რას ემყარება გაურკვეველია, რადგანაც საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება პირველი ავტობუსის გ. ს-ის მიერ გადარიცხული თანხით შეძენა, ასევე, გ. ს-ის მიერ დამატებით აღებული სესხით დაიფარა ამ ავტობუსის განბაჟების თანხაც. რაც შეეხება მოწინააღმდეგე მხარის მიერ მითითებულ თანხას, მას ამ თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი არ წარმოდგენია, ამასთანავე, მისი ერთი წარმომადგენლის განმარტებით, თანხა დაიხარჯა სარემონტო სამუშაოებზე, ხოლო, მეორე წარმომადგენლის თქმით – ეს თანხა რ. ს-ის კუთვნილი ტრაქტორის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა იყო. სააპელაციო პალატამ, მიუხედავად შედავებისა, ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ზე-

მოაღნიშნული სადავო გარემოება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო/შეგებებული საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ ისინი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მხარეთა შორის არსებობდა როგორც ერთობლივი საქმიანობის, ისე დავალების სახელშეკრულებო ურთიერთობა და სადავო ფაქტობრივი გარემოებები პალატამ ძირითადი სარჩელის შემთხვევაში, ერთობლივი საქმიანობის, ხოლო, შეგებებული სარჩელის შემთხვევაში – დავალების მარეგულირებელი ნორმებით მოაწესრიგა. კასატორები არ ეთანხმებიან სააპელაციო სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს, როგორც გადაწყვეტილების ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი ის, თუ რამდენად სწორად განსაზღვრეს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა მტკიცების საგანი და რამდენად სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია მისცეს სარჩელის საფუძვლად მითითებულ გარემოებებს.

1.2. საკასაციო პრეტენზიათა დასაბუთებულობის შემონმების მიზნით, პალატა, უპირველესად, ყურადღებას სარჩელის/შეგებებული სარჩელის ფორმალურ საფუძვლიანობაზე, მოპასუხის შედავების არსებობასა და სადავო გარემოებების დამტკიცება-დასაბუთების საკითხზე გაამახვილებს, კერძოდ, რ. ს-ის სარჩელის თანახმად, მხარეთა შორის ზეპირი ფორმით შედგა შეთანხმება ერთობლივ საქმიანობაზე, რომლის ფარგლებშიც მხარეებს უნდა შეეძინათ სამგზავრო ავტობუსი, ეწარმოებინათ მგზავრთა გადაყვანა და მიეღოთ მოგება. ამ მიზნით გ. ს-ის სახელზე ბანკიდან აღებული იქნა კრედიტი 70 000 აშშ დოლარი, რომლის უზრუნველსაყოფადაც სხვა პირებთან ერთად დაიტვირთა ასევე რ. ს-ის უძრავი ქონება. მოსარჩელის მიერ განხორციელებული შესატანი 27 000 აშშ დოლარი იყო, ხოლო, დარჩენილი თანხის დაფარვა უნდა მომხდარიყო ავტობუსის ექსპლუატაციით მიღებული მოგებიდან (21 600 აშშ დოლარი). მხარეთა შეთანხმებით გადაწყდა ასევე მეორე ავტობუსის შეძენა, რის გამოც კვლავ გ. ს-ის სახელზე აღებულ იქნა მიზნობრივი სესხი 100 000 აშშ დოლარი. ამ სესხის ნაწილით გადაიფარა მანამდე ბანკის წინაშე არსებული ვალდებულება, ხო-

ლო 35 255 ევრო გადაირიცხა გერმანიაში ავტობუსის შესაძენად. მოგვიანებით მხარეთა შორის წარმოიშვა უთანხმოება, რის გამოც მოსარჩელემ გადაწყვიტა საქმიანობიდან გასვლა, გერმანიაში გადაირიცხული თანხიდან დაიტოვა 27 000 ევრო, ხოლო 8 000 ევრო დაუბრუნა გ. ს-ეს. მოსარჩელის განმარტებით, ურთიერთობიდან გასვლამდე ერთობლივი საქმიანობის შედეგად არსებობდა მოგება, რომელიც მას არ მიუღია. ეს მოგება, გაცილებით მეტია, თუმცა მან მხოლოდ 16 389 აშშ დოლარის მოპასუხისათვის დაკისრება მოითხოვა. საქმეში წარმოდგენილი შესაგებლით მოპასუხემ კვალიფიციური (მოთხოვნის გამომრიცხავი) შედავება წარადგინა, განმარტა, რომ მხარეთა შორის არა ერთობლივი საქმიანობის, არამედ, დავალების ხელშეკრულება არსებობდა. რ. ს-ე ეწეოდა საზღვარგარეთიდან ავტომობილების იმპორტს და მისივე შეთავაზებით გ. ს-ემ გადაწყვიტა ავტობუსის შექენა. ამ მიზნით ბანკიდან აიღო კრედიტი, რომლის უზრუნველსაყოფადაც დაიტვირთა სხვადასხვა პირების ქონება, მათ შორის, მოსარჩელის, რომელსაც გასამრჯელოს მიღების ინტერესი ჰქონდა. სარჩელში მითითებული თანხები კი, მას არ გადაუხდია. შესაგებლის თანახმად, რ. ს-ეს გასამრჯელოს სახით გადაეცა 8 600 აშშ დოლარი, ხოლო ავტობუსი შექენილია მოპასუხის მიერ გადაირიცხული თანხებით, მოპასუხის მიერ აღებული კრედიტით მოხდა ავტობუსის განბაჟება. გ. ს-ეს სურდა მეორე ავოტომობილის ჩამოყვანაც და ამ მიზნით მან კვლავ აიღო კრედიტი – 100 000 აშშ დოლარი, რომლის ნაწილითაც გადაიფარა მანამდე არსებული სასესხო ვალდებულების დარჩენილი ნაწილი, ხოლო 35 000 ევრო, რ. ს-ის მითითებით, გადაირიცხა გერმანიაში კონკრეტულ ანგარიშებზე. რ. ს-ემ დავალება არ შეასრულა და მიითვისა გადაირიცხული თანხა. ამავე საფუძვლებზე მითითებით გ. ს-ემ შეგებებული სარჩელი აღძრა რ. ს-ის მიმართ და დამატებით აღნიშნა, რომ რ. ს-ეს თანხა არ დაუბრუნებია. შეგებებული სარჩელის თანახმად, მინდობილი პირის მოქმედებით გ. ს-ეს მიადგა ზიანი, კერძოდ, არ დაბრუნებია თანხა და ამ თანხის გამო ბანკს უხდის სარგებელს, ასევე, მეორე ავტობუსის შემთხვევაში, იგი მიიღებდა შემოსავალს თვეში საშუალოდ 5 000 აშშ დოლარის ოდენობით. პირველი ავტობუსის შექენისას რ. ს-ემ შეგებებული სარჩელის ავტორს არ გადასცა ზედნადები, სატრანსპორტო საშუალების განბაჟებისათვის საჭირო გახდა ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 160 ლარი და ეს ხარჯიც გ. ს-ემ განია. ანგარიშფაქტურების გაცნობის შემდგომ მხარისათვის ცნობილი გახდა, რომ პირველი ავტობუსი შექენილ იქნა არა 53 500, არამედ, 50 700 ევროდ. ამ გარემოებების გათვალისწინებით შეგებებული სარჩელით მოთხოვნილია მოპასუხისათვის მეორე ავტო-

ბუსის შესაძენად გადაცემული თანხის – 35 255 ევროს, გასამრჯელოს – 7 300 ევროს, წარმომადგენლის მიერ საკუთარი მიზნებისათვის დავალების ფარგლებში გადაცემული თანხის გამოყენების გამო, ამ თანხაზე სარგებლის (ბანკის მიერ სესხისათვის განსაზღვრული 15%-ის), მიუღებელი შემოსავლის – 24 000 აშშ დოლარისა და პირველი ავტობუსის შეძენისას ზედმეტად გადახდილი 2 800 ევროს დაკისრება. შეგებებული სარჩელის წინააღმდეგ მოპასუხემ წარადგინა მარტივი (აბსტრაქტული) შესაგებელი, რომლითაც იგი არ ეთანხმება გ. ს-ის მიერ მითითებულ ფაქტებს. მოპასუხე დაეთანხმა მხოლოდ მიუღებელი შემოსავლის ოდენობას.

1.3. ძირითადი და შეგებებული სარჩელების ზემოთ მითითებული საფუძვლებიდან გამომდინარე, პირველ რიგში უნდა შემოწმდეს ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით დავის გადასაწყვეტად რა ნორმები უნდა იქნას გამოყენებული. ერთი რამ ცხადია, რომ თითოეული მხარე თავის მოთხოვნას სახელშეკრულებო ურთიერთობას, ერთ შემთხვევაში – ერთობლივ საქმიანობას, ხოლო, მეორე შემთხვევაში – დავალებას უკავშირებს. ამასთან, შეგებებულ მოსარჩელეს პირველ მოთხოვნასთან ერთად დაყენებული აქვს ე.წ. მეორადი მოთხოვნა (ზიანის ანაზღაურება), შესაბამისად, მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება მტკიცების საგნის ზუსტად განსაზღვრა, რასაც სასამართლო სწორად დაადგენს მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებს. ვინაიდან მოსარჩელე მოითხოვს იმ მოგების მოპასუხისათვის დაკისრებას, რომელიც მან ვერ მიიღო და უნდა მიეღო ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტამდე, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად შეიძლება განვიხილოთ სამოქალაქო კოდექსის 935-ე მუხლის პირველი ნაწილი, ამასთან, თუ ძირითადი სარჩელის საფუძვლებს გავიგებთ ისე, რომ მოსარჩელე ითხოვს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის სამართლებრივი შედეგებიდან გამომდინარე დარჩენილი ქონების წილის პროპორციულად მიკუთვნებას, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სამოქალაქო კოდექსის 940-ე მუხლის პირველი ნაწილი. რაც შეეხება შეგებებული მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებს, ასეთად შეიძლება განვიხილოთ სამოქალაქო კოდექსის 709-ე და 715-ე მუხლები, ასევე, 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი. ვინაიდან საკასაციო განხილვის საგანს შეგებებულ სარჩელთან მიმართებით აღარ წარმოადგენს მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის შესაბამისად, პალატა აღარ შეჩერდება ამ ნაწილში სარჩელის საფუძვლიანობაზე.

1.4. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1.4.1. რ. ს-ემ და გ. ს-ემ 2011 წლის ზაფხულში, ზეპირი შეთან-

ხმებით, ერთობლივი საქმიანობის ფარგლებში გადაწყვიტეს სამ-გზავრო ავტობუსის შეძენა. ამ მიზნით, გ. ს-ემ სს „პ-თან“ 2011 წლის 28 ივნისს გააფორმა სესხის ხელშეკრულება. სესხი უზრუნველყოფილი იყო სხვადასხვა პირის, მათ შორის, რ. ს-ის უძრავი ქონებით;

1.4.2. რ. ს-ის შესატანი ერთობლივ საქმიანობაში 28 700 აშშ დოლარს შეადგენდა. მან ამხანაგობაში შესატანი განახორციელა, როგორც მომსახურების განევით, ასევე, ფულადი სახით;

1.4.3. 2011 წლის 15 ივნისის მინდობილობით (დავალების ხელშეკრულება) გ. ს-ემ რ. ს-ეს მიანიჭა ავტომანქანის ყიდვისა და საქართველოში ჩამოყვანის უფლებამოსილება. ამის შემდეგ, რ. ს-ის მიერ გერმანიიდან ჩამოყვანილ იქნა სამგზავრო ავტობუსი, რომელიც დარეგისტრირდა გ. ს-ის სახელზე. ავტობუსის ღირებულება შეადგენდა 50 700 ევროს. მისი განბაჟების, შეკეთების, ნაწილების გამოცვლის ხარჯები გაღებული იქნა ორივე მხარის მიერ (სამგზავრო ავტობუსს რამდენჯერმე დასჭირდა სარემონტო სამუშაოების ჩატარება, რასაც უზრუნველყოფდა რ. ს-ე), ამასთან, გაღებული ხარჯების ოდენობა სადავოა;

1.4.4. ავტობუსით სრულდებოდა საერთაშორისო რეისები;

1.4.5. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდება ერთობლივი საქმიანობის დროს მიღებული მოგების არსებობა და მისი ოდენობა, არამედ, დგინდება ის, რომ პირველი ავტობუსის მუშაობის შედეგად მიღებული თანხით იფარებოდა ამ ავტობუსის შექენისათვის ბანკიდან აღებული ვალი, რომელიც საბოლოოდ გადაიფარა სს „ლ-იდან“ აღებული სესხით.

1.4.6. მხარეთა შორის ერთობლივი საქმიანობა შეწყდა 2013 წლის სექტემბრის ბოლოს. შეწყვეტის ინიციატორი იყო რ. ს-ე. სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის შემდგომ გ. ს-ის საკუთრებაში დარჩა 2011 წლის ზაფხულში გერმანიიდან ჩამოყვანილი ავტობუსი;

1.4.7. გ. ს-ემ გადაწყვიტა მეორე ავტობუსის შეძენა, რის გამოც, რ. ს-ის სახელზე გასცა მინდობილობა. ამ მიზნით, სს „ლ-იდან“ 2013 წლის 27 აგვისტოს გ. ს-ემ აიღო სესხი, რომლის მოცულობაც განისაზღვრა 100 000 აშშ დოლარით. ამ თანხიდან ავტობუსის შესაძენად გ. ს-ემ 2013 წლის 24 სექტემბერს გერმანიაში გადარიცხა 20 000 ევრო, ხოლო 2013 წლის 28 სექტემბერს – 10 000 ევრო და 5 255 ევრო, სულ – 35 255 ევრო;

1.4.8. რ. ს-ეს გ. ს-ისათვის გერმანიიდან მეორე ავტობუსი არ ჩამოუყვანია. მან ჩამოიყვანა ორი მსუბუქი ავტომანქანა, რომელთაგან არცერთი გ. ს-ეს არ გადასცემია. რ. ს-ემ გადარიცხული თანხა, როგორც ერთობლივ საქმიანობაში მის მიერ განხორციელებული შესატანის და მოგების საფასური, თვითონ დაიტოვა.

1.5. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორთა პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო საპროცესო ნორმების დარღვევის თაობაზე და მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ერთი მხრივ, სახეზეა მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების არასრულად დადგენა, ხოლო, მეორე მხრივ, საქმის გარემოებების საპროცესო ნორმების დარღვევით დადგენა, რაც მტკიცებულებების არასრულ გამოკვლევაში გამოიხატა და რასაც შედეგად არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვა, ამდენად, სახეზეა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლები.

1.6. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი ადგენს სასამართლოს მხრიდან მტკიცებულებათა კვლევის სტანდარტს და მათი განხილვა-შეფასება ხდება როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლიობაში, სწორედ ამგვარი ყოველმხრივი, სრული და ობიექტური შესწავლის შედეგად უნდა გამოიტანოს სასამართლომ მოტივირებული და განჭვრეტადი დასკვნა სადავო გარემოების არსებობა-არარსებობის თაობაზე. მართალია, კანონი მტკიცებულებათაგან არც ერთს არ ანიჭებს უპირატესობას და მათი შეფასება სასამართლოს შინაგან რწმენაზეა დამოკიდებული, თუმცა, ეს პროცესი არ არის შეუქცევადი და სასამართლოს უპირველესი ვალი მტკიცებულებათა იურიდიული სანდოობის, მათი სათანადო ძალის დადგენაში ვლინდება. განხილვის ეს პროცესი კი, ნათლად უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში, რომელიც, ერთი მხრივ, დასაბუთებული მსჯელობის განვითარების, ხოლო, მეორე მხრივ, უფლების ნამდვილობაში მხარის დარწმუნების მიზანს ემსახურება. საკასაციო სასამართლოს ამ მსჯელობის საფუძველს, მოცემულ შემთხვევაში, წარმოადგენს საქმეში არსებული 2011 წლის 15 ივნისის მინდობილობა, რომლის შინაარსითაც ცალსახად იკვეთება გ. ს-ის მიერ რ. ს-ისათვის ავტომანქანის შეძენის დავალების ნების გამოვლენა. საქმეში წარმოდგენილი სს „პ-თან“ დადებული ხელშეკრულების მხარეს (მოვალეს) წარმოადგენს გ. ს-ე და დასტურდება ისიც, რომ ავტობუსის შესაძენი თანხა სწორედ გ. ს-ის მიერაა გადარიცხული. ამ გარემოებათა ერთობლივად შეფასება კი, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, იძლევა სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლის შემადგენლობის პრეზუმფციას. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ, პირველი ავტობუსის ჩამოყვანასთან მიმართებით დაადგინა ერთობლივ საქმიანობაზე მხარეთა შეთანხმება, თუმცა, საკმარისად არ დაუსაბუთებია, თუ რას ემყარება ამ ნაწილში გადაწყვეტილება.

1.7. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლით განსაზღვრულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის ფარგლები და დადგენილია, რომ ზემდგომმა სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი სისწორე სააპელაციო საჩივრის ფარგლებში უნდა გამოარკვიოს. აპელანტი გ. ს-ე სადავოდ ხდიდა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებას მხარეთა ერთობლივ საქმიანობაზე შეთანხმების თაობაზე იმ მოტივით, რომ თავდაპირველი მოსარჩელის ინიციატივით დაკითხულმა მოწმეებმა დაადასტურეს რ. ს-ის მიერ გადმოცემული ფაქტები და არა უმუალოდ მათ მიერ აღქმული რეალობა, ამ კუთხით კი, სააპელაციო სასამართლოს მოტივირებული მსჯელობა არ აუსახავს გადაწყვეტილებაში. უფრო მეტიც, კასატორი გ. ს-ე სადავოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს დასკვნას რ. ს-ის მიერ განხორციელებული შესატანის თაობაზე იმ საფუძველით, რომ საქმეში ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება არ მოიპოვება. მითითებულ პრეტენზიას იზიარებს საკასაციო სასამართლოც და აღნიშნავს, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების შესაბამისად, როგორც ერთობლივ საქმიანობაზე მხარეთა შეთანხმების, ისე კონკრეტული შესატანის განხორციელების მტკიცების ტვირთი რ. ს-ეს ეკისრებოდა. ეს უკანასკნელი, მართალია, აღნიშნავს, რომ გარიგება ზეპირი ფორმით დაიდო, რაც არ ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 931-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებს, უფრო მეტიც, ზეპირი შეთანხმების მტკიცებისათვის მოწმის ჩვენება, შესაძლოა, განკუთვნად მტკიცებულებადაც კი მივიჩნიოთ, თუმცა იგი, მსგავსად მტკიცებულებათა შეფასების ზემოხსენებული წესისა, სხვა მტკიცებულებებთან ერთობლივად უნდა გაანალიზდეს და სასამართლომ არგუმენტირებულად უნდა გადაჭრას საკითხი იმის შესახებ, მოწმეთა ჩვენება აბათილებდა თუ არა გ. ს-ის მიერ სანოტარო წესით გაფორმებული მინდობილობის შინაარსს ისეთ ვითარებაში, როდესაც მხარეებს მისი ნამდვილობა სადავო არც კი გაუხდიათ. ამასთანავე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ რ. ს-ის მითითება ქონების იპოთეკით დატვირთვის თაობაზე, როგორც ირიბი გარემოება, ასევე, არ შეიძლება განხილულ იქნეს ერთობლივ საქმიანობაზე მხარეთა უპირობო შეთანხმებად და მათ მიერ ამ მიზნით სესხის ერთობლივად აღებად, რომელიც, რეალურად, გ. ს-ის სახელზეა გაცემული და თავად სესხის ხელშეკრულებებსა და გადახდის ქვითრებში რ. ს-ე არც კი არის მოხსენიებული. ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული გარემოებაც მხარეთა ნათესაური კავშირის შესახებ, ასევე ის, რომ შესაგებელ-

სა და შეგებებულ სარჩელში გ. ს-ე აღნიშნავს, რომ რ. ს-ე დაკავებულია ავტომობილების საზღვარგარეთიდან იმპორტითა და საქართველოში მათი რეალიზაციით, რაც რ. ს-ეს სადავოდ არ გაუზღია, მან დაზუსტებულ სარჩელში თავადაც მიუთითა ამ გარემოებაზე, ხოლო რ. ს-ის მტკიცების საწინააღმდეგოდ, რომ მხარეები ერთობლივ საქმიანობას აწარმოებდნენ, საქმეში წარმოდგენილია ავტობუსის იჯარით გაცემის, მოიჯარესა და რ. ს-ეს შორის მგზავრთა გადაყვანის თაობაზე დადებული ხელშეკრულებისა და თავდაპირველი მოსარჩელისათვის ამ გადაყვანის საზღაურის (ხელფასის) გაცემის უწყისის ასლები. ამ მტკიცებულებების გაზიარების ან უარყოფის თაობაზე ქვემდგომი სასამართლოს დასკვნა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არ არის ასახული. გადაწყვეტილების კვლევითი ნაწილი ასევე არ შეიცავს რაიმე დასკვნას რემონტსა თუ სხვა ხარჯებზე რ. ს-ის მიერ შესატანის განხორციელების ფაქტი რა მტკიცებულებებით დაადასტურა ამ უკანასკნელმა ისეთ ვითარებაში, როდესაც მოპასუხე (გ. ს-ე) ამ ხარჯის განების ფაქტს სადავოდ ხდის. საკასაციო პალატა განმარტავს იმასაც, რომ თუკი მხარეთა შორის უტყუარი მტკიცებულებით არ დადასტურდება ერთობლივი საქმიანობის წარმოების ფაქტი, არამედ დადგინდება, რომ მოსარჩელემ სამგზავრო ავტობუსი სწორედ დავალების ხელშეკრულების ფარგლებში შეიძინა მარნმუნებელ გ. ს-ის სახელითა და ხარჯზე, დადასტურების შემთხვევაში, თუნდაც ავტობუსის შეკეთებაზე განეული ხარჯები უნდა შეფასდეს შპს „ბ-თან“ დადებულ ხელშეკრულებასთან ერთობლიობაში. საგულისხმოა ასევე, რომ რ. ს-ის მიერ ფულადი შესატანის განხორციელების ფაქტი საქალაქო სასამართლომ ძირითადად გ. ს-ის ხელწერილზე დაამყარა, რომელიც სააპელაციო საჩივრით სადავოდ გახადა გ. ს-ემ, კერძოდ, აპელანტი განმარტავდა, რომ ხელწერილის შინაარსს არ ეთანხმებოდა, რადგანაც თავად რ. ს-ის აღიარებით ჩანაწერი მის მიერ იყო შესრულებული. ამ კუთხით გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს დასაბუთებას, ხოლო, თუ რა გარემოებას დაეყრდნო სააპელაციო სასამართლო მითითებული ფაქტის დადგენისას, გაურკვეველია. ამასთანავე, ხელწერილის, როგორც წერილობითი მტკიცებულების ნამდვილობა სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლით დადგინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში უნდა შეამოწმოს.

1.8. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს რ. ს-ის საკასაციო პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ სასამართლომ მეორე ავტობუსის ჩამოყვანა არასწორად მიიჩნია დავალების ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობად. მართალია, ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლო მიუთითებს გარკვეული მინდობილობის

წერილობით გაფორმების ფაქტზე, თუმცა ამგვარი მტკიცებულება საქმეში არ არის წარმოდგენილი და ამ გარემოებას არც გ. ს-ე უარყოფს საკასაციო შესაგებლითა და შეგებებული საკასაციო საჩივრით. მიუხედავად აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეფასებას მეორე ავტობუსის ჩამოყვანაზე მხარეთა შეთანხმების დავალებად მიჩნევის თაობაზე და აღნიშნავს, რომ ამ კუთხით კასატორს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია. ასეთ ვითარებაში საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ და მხარეთა მიერ შეუდავებელ გარემოებას იმის თაობაზე, რომ რ. ს-ეს დავალება არ შეუსრულებია, მას გ. ს-ისათვის არ შეუძენია მეორე სამგზავრო ავტობუსი და არც თანხა დაუბრუნებია, რწმუნებულმა საკუთარი მიზნებისათვის განკარგა იგი.

1.9. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 715-ე მუხლი არეგულირებს დავალების შესასრულებლად გადაცემულის უკან დაბრუნების მოვალეობას და ნორმის პირველი ნაწილით დადგენილია რწმუნებულის ვალდებულება, დაუბრუნოს მარწმუნებელს ყველაფერი, რაც მან მიიღო მინდობილი მოქმედების შესასრულებლად და არ გამოიყენა ამისათვის. მონდობილი რეგულაცია შეეხება ისეთ გარემოებებს, როდესაც დავალების მიმღები პირი (რწმუნებული) შეასრულებს მინდობილ მოქმედებას და ამის შემდეგ რჩება გარკვეული მატერიალური ფასეულობის ქონება. კანონის ძალით, მას ეკისრება ამ ქონების მარწმუნებლისათვის დაბრუნების ვალდებულება, რაც თავად ხელშეკრულების არსიდან გამომდინარეობს, რამეთუ, 709-ე მუხლის თანახმად, მარწმუნებელი მოქმედებს დავალების მიმცემის სახელითა და მის ხარჯზე. გ. ს-ე პრეტენზიას აცხადებდა პირველი ავტობუსის უფრო ნაკლებ ფასად შეძენის ფაქტზე, ვიდრე მან რ. ს-ეს გადასცა ამ მოქმედების შესრულებისათვის, თავის მხრივ, სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო ნივთის 50 700 ევროდ შეძენის ფაქტი, თუმცა, არ უმსჯელია შეგებებული სარჩელის ავტორის იმ პრეტენზიაზე, რომელიც ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნებას შეეხებოდა. ამდენად, ამ ნაწილში გადაწყვეტილება არათუ იურიდიულად დაუსაბუთებელია, არამედ, სასარჩელო მოთხოვნა შეფასებულიც კი არ არის. გარდა აღნიშნულისა, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორ გ. ს-ის არგუმენტს იმის შესახებ, რომ სასამართლოს არც მეორე ავტობუსის შესაძენად გადარიცხულ თანხაზე პროცენტის ნაწილში შეუფასებია შეგებებული სარჩელის საფუძვლიანობა. სამოქალაქო კოდექსის 715-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს ქცევის შემდეგ წესს: თუ რწმუნებული თავისთვის იყენებს ფულს,

რომელიც მას უნდა დაებრუნებინა მარწმუნებლისათვის ან გამოეყენებინა მის სასარგებლოდ, რწმუნებული ვალდებულია, დააბრუნოს ფული პროცენტთან ერთად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკასაციო განხილვის ეტაპზე შედაგებული არ არის ის ფაქტები, რომ მეორე ავტობუსის შესაძენად გადაცემული თანხა რწმუნებულმა საკუთარი მიზნებისათვის და არა დავალების ფარგლების გათვალისწინებით განკარგა, რაც შესაძლოა სწორედ ზემოხსენებული ნორმის შემადგენლობას ქმნიდეს, თუმცა ქვემდგომ სასამართლოს არ შეუფასებია გ. ს-ის მითითების საფუძვლიანობა ამავე ნორმით გათვალისწინებული პროცენტის სს „ლ-იდან“ მის მიერ აღებული სესხის ყოველთვიური სარგებლის ოდენობით განსაზღვრის შესახებ, ამ კუთხით საჭიროა მტკიცებულებათა გამოკვლევა და ამ გზით მოთხოვნის საფუძვლიანობის დადგენა.

1.10. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს რ. ს-ის პრეტენზიას 7 300 აშშ დოლარის გადაცემის ნაწილში გასაჩივრებული გადანყვეტილების დაუსაბუთებლობის თაობაზე. უპირველესად საკასაციო სასამართლო აღნიშნავს იმას, რომ გასამრჯელოს დაბრუნების მოთხოვნის საფუძვლიანობა შესრულების კონდიციასთან (სკ-ის 976.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი) მიმართებით უნდა შემოწმდეს. მოცემულ შემთხვევაში, გ. ს-ეს სურს, დაადასტუროს მხარეთა შორის სასყიდლიანი დავალების ხელშეკრულების არსებობის ფაქტი. იმ გარემოებათა მტკიცების ტვირთი, სასყიდლიანი იყო თუ არა დავალება და გადასცა თუ არა რწმუნებულმა მარწმუნებელს გასამრჯელო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, გ. ს-ეს ეკისრება. საკასაციო შესაგებლითა და შეგებებული საკასაციო საჩივრით გ. ს-ეს არ უარუყვია რ. ს-ის ის პრეტენზია, რომ 7 300 აშშ დოლარის გასამრჯელოს სახით გადაცემა წერილობითი მტკიცებულებით არ არის დადასტურებული. თუნდაც დავალების მხოლოდ გასამრჯელოს სანაცვლოდ შესრულების ფაქტის გაზიარების შემთხვევაშიც კი, საკასაციო პალატის მოსაზრებით, კვლავ გ. ს-ეს ეკისრება სამოქალაქო კოდექსის 710-ე მუხლში მითითებული გარემოებების დამტკიცების ვალდებულება (გასამრჯელოზე შეთანხმება და მისი გადახდის ფაქტი). ამ თვალსაზრისით მხოლოდ ერთი მხარის განმარტება, თუ მას არ ეთანხმება მეორე, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სადავო გარემოების დადგენას.

1.11. რ. ს-ის სარჩელთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო სააპელაციო პალატის ყურადღებას მიაქცევს დაზუსტებული სარჩელის იმ განმარტებაზე, რომლის თანახმადაც მოგების მიღების ფაქტსა და მოგების ოდენობას მოსარჩელე უკავშირებს გ. ს-ის მითითებას მიუღებელი შემოსავლის ოდენობის განსაზღვრის თაო-

ბაზე. ამ კუთხით კასატორი პრეტენზიას აცხადებს სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე-133-ე მუხლების დარღვევაზე და მიიჩნევს, რომ შეგებებული სარჩელის ავტორის განმარტება პალატას საპროცესო აღიარებად უნდა შეეფასებინა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საპროცესო სამართლის თეორიაში აღიარების განსაკუთრებული მნიშვნელობა განმარტებულია იმგვარად, რომ ფაქტს, რომელსაც უნდა ადასტურებდეს დავის სუბიექტი, ადასტურებს მისი მონინალმდეგე მხარე. ფაქტის აღიარების დროს მხარე ცნობს დავის კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებას, რაც სასამართლომ შეიძლება საკმარის საფუძვლად მიიჩნიოს გადაწყვეტილების გამოტანისას და დაეყრდნოს ამ აღიარებას. მოცემულ შემთხვევაში, შეგებებული სარჩელის ავტორი კონკრეტულ თანხაზე მითითებით ცდილობს დაასაბუთოს ის გარემოება, რომ თუკი რ. ს-ე შეასრულებდა ვალდებულებას და ჩამოიყვანდა მეორე სამგზავრო ავტობუსს, სამოქალაქო ბრუნვის შეუფერხებლად განვითარების შემთხვევაში მისი ექსპლუატაციის შედეგად გ. ს-ე სავარაუდოდ მიიღებდა კონკრეტული ოდენობის მოგებას. შეგებებული სარჩელის შესწავლით არ იკვეთება გ. ს-ის მხრიდან დადასტურება იმისა, რომ პირველი ავტობუსი სადავო პერიოდში ახორციელებდა ყველა რეისს და მან მოგების სახით თვეში 5 000 აშშ დოლარი მიიღო.

1.12. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. 394-ე მუხლის „ე¹“ ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას წინამდებარე განჩინებაში მითითებული დასაბუთების მიხედვით, მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად უნდა დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები (მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები) და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტოს უფლების საკითხი.

2. შეგებებული საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ განუხილველად დატოვების დასაბუთება:

2.1. შეგებებული საკასაციო საჩივრით გ. ს-ე ასაჩივრებს ასევე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ამ კუთხით მოითხოვს დადგენილი ფაქტების ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმებას.

2.2. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის პირველი ნაწილი, ლოგიკური განმარტების საფუძველზე, სამართალწარმოების იმ მხარეს მოიაზრებს, ვისაც მართლმსაჯულების აქტის აღსრულებაუნარიანი ნაწილით დაუდგინდა გარკვეული ვალდებულება ან უარი ეთქვა უფლების იმგვარ რეალიზაციაზე, ვიდრე მას მიაჩნია. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოდის, რომ მხარე სადავოდ სწორედ მის სასარგებლოდ გამოტანილ გადაწყვეტილებას ხდის. დამკვიდრებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, „გადაწყვეტილების მხოლოდ აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების გასაჩივრება დაუშვებელია, რადგან მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხარის მიერ სააპელაციო/საკასაციო წესით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის ან მისი რომელიმე პუნქტის გასაჩივრების შესაძლებლობას“. საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე და 266-ე მუხლების ანალიზის საფუძველზე განმარტა გადაწყვეტილების ფორმალური და მატერიალური კანონიერი ძალა, რომელიც პირველ შემთხვევაში გულისხმობს მიმდინარე პროცესში დავის განხილვის დამთავრებას, ხოლო მატერიალური კანონიერი ძალა უზრუნველყოფს გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათსა და სავალდებულობას არა მარტო კონკრეტული პროცესისათვის, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. გადაწყვეტილების კანონიერ ძალას გააჩნია კანონით განსაზღვრული სუბიექტური და ობიექტური ფარგლები, რომელიც აზუსტებს გადაწყვეტილების მოქმედების საზღვრებს. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება საქმის განხილვაში მონაწილე პირთა წრეზე (სუბიექტური ფარგლები) და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე (ობიექტური ფარგლები). შესაბამისად, გასაჩივრებას ექვემდებარება გადაწყვეტილება, თუ სადავოა მისი სარეზოლუციო ნაწილით და არა აღწერილობითი ან სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტი (იხ. სუსგ-ები: №ას-710-1011-09, 7 სექტემბერი, 2009 წელი; №ას-797-750-2012, 4 ივნისი, 2012 წელი). საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს იმასაც, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გასაჩივრებისას, ბუნებრივია, მხარეს უფლება აქვს, პრეტენზია განაცხადოს დადგენილი ფაქტების

სისწორეზეც, რასაც ზემდგომი სასამართლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის კონტექსტში შეაფასებს, თუმცა, გადწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტის გაუქმების მოთხოვნის შესაძლებლობას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე მუხლებისა და 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ ნაწილში გ. ს-ის შეგვებულ საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

3. კასატორის შუამდგომლობა:

3.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა. მოცემულ შემთხვევაში, გ. ს-ე სადავოდ ხდის მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი ფარული აუდოჩანანერისა და ამ ჩანანერის გაშიფრვის შესახებ ექსპერტის დასკვნის, როგორც მტკიცებულების, დაშვებასა და საქმისათვის დართვას.

3.2. საკასაციო პალატა იზიარებს მხარის არგუმენტებს და ყურადღებას გაამახვილებს ამ საკითხის თაობაზე საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ერთგვაროვან პრაქტიკაზე: სასამართლოს განმარტებით, კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას არ აქვს იურიდიული ძალა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად. საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცულია სამართლებრივი სიკეთე – კომუნიკაციის თავისუფლება, რაც გულისხმობს კომუნიკაციის დაცვას გარეშე პირთა არასასურველი მონაწილეობისაგან. კომუნიკაციის თავისუფლება ინდივიდს აძლევს შესაძლებლობას, თავად განსაზღვროს კომუნიკაციის შინაარსი და პარტნიორი, რაც უზრუნველყოფს ადამიანის იმგვარ თავისუფალ თვითგამოსახვას, რომელიც თავისუფალია გარეშე წამკითხველისა და მარეგისტრირებული სუბიექტის ჩარევით განპირობებული თავშეკავებისაგან (H.Kruger, M.Pagenkopf, Art.10, in: M. Sachs (Hrsg.), Grundgesetz: Kommentar, München 2003, Rn.13 უშუალო წყარო: ი. კობახიძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მეორე თავი, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, გვ. 181). აზრის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულია არა მხოლოდ აზრის გამოხატვა, არამედ მისი ადრესატამდე მისვლაც, შესაბამისად, აზრის თავისუფლება დაცული უნდა იყოს მესამე პირთა მხრიდან მისი შინაარსის გაცნობისაგან. ადამიანის უფლებები ირღვევა, როდესაც ინდივიდი ცხოვრობს

იმის შეგრძნებით, რომ მისი ნებისმიერი სიტყვა, რაიმე, თუნდაც, გაუზრებელი და სპონტანური აზრის გამოხატვა, განვითარების პროცესში არსებული დიალოგისას გამოთქმული წინასწარი პოზიცია, ან რაიმე ფორმულირება, რომლის ნამდვილი შინაარსის გაგება მხოლოდ კონკრეტული სიტუაციის ცოდნის შემთხვევაშია შესაძლებელი, სხვა გარემოებებში და სხვა კონტექსტში შეიძლება იქნას გამოყენებული. ინდივიდმა კერძო საუბრები უნდა აწარმოოს იმის ეჭვისა და შიშის გარეშე, რომ საიდუმლო ჩანაწერს ვინმე მისი ნებართვის გარეშე და ნების საწინააღმდეგოდ გამოიყენებს (იხ. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება: BVerfGE 34, 238 (246 ფ); უშუალო წყარო: ი. კობახიძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მეორე თავი, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, გვ. 181). კომუნიკაციის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებით დაცულია კომუნიკაციის მონაწილე ყველა პარტნიორი, როგორც გარე, ასევე, შიდა ჩარევისაგან, რაც იმას ნიშნავს, რომ კომუნიკაციის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებით დაცულია არა მხოლოდ მესამე პირთა მეშვეობით განხორციელებული ჩარევა, არამედ, კომუნიკაციის ერთ-ერთი მონაწილის მხრიდან დანარჩენ მონაწილეთა თანხმობის გარეშე პირადი კომუნიკაციის გასაჯაროება. განსახილველ შემთხვევაში, საქმე ეხება პირადი შეხვედრისას განხორციელებული საუბრების ფარულ აუდიოჩანაწერს. ვინაიდან საუბარი, მეორე მხარის ნებართვის გარეშე, ფარულად არის ჩანერილი, ამიტომ იგი კანონდარღვევითაა მოპოვებული, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული ჩანაწერი დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნეს მიჩნეული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის კონტექსტში. მითითებული დასკვნის საფუძველს კი წარმოადგენს ის გარემოება, რომ პირადი საუბრის ფარული ჩანერა, ხოლო შემდეგ სასამართლოში მტკიცებულების სახით წარდგენა, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით გარანტირებულ პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობას, ასევე კონსტიტუციის მე-16 მუხლს, რომელიც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას ეხება. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის №1165 რეზოლუციაში „Right to Privacy“ (1998) განმარტებულია, რომ „ევროპული კონვენციის მე-8 მუხლმა უნდა დაიცვას ინდივიდის პირადი ცხოვრება არა მარტო საჯარო ხელისუფლების, არამედ კერძო პირების მხრიდანაც“ (ევროპის საბჭოს ასამბლეის №1165 რეზოლუცია Right to Privacy), თუმცა იმის მიხედვით, პირადი ცხოვრების რომელ სფეროს შეეხება საქმე, დაცულობის ხარისხი განსხვავებულია. განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის ინტი-

მური სფერო, რომელიც აბსოლუტური დაცვით სარგებლობს. მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება კერძო საუბარს, რომელიც კერძო სფეროს განეკუთვნება და რომელიც არ სარგებლობს აბსოლუტური პრივილეგიით, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი შეზღუდვა დასაშვებია, ანუ მასში ჩარევა შესაძლებელია საამისო დაცვის ღირსი ინტერესისა და კანონიერი მიზნის არსებობის პირობებში. შესაბამისად, კერძო სფეროში ჩარევის დროს, ჩარევა გამართლებული და დასაბუთებული უნდა იყოს უპირატესი საყოველთაო ინტერესის არსებობით, ანუ ჩარევის მართლზომიერების დადგენის მიზნით, უნდა შეფასდეს, არსებობს თუ არა ისეთი დაცვის ღირსი ინტერესი, რომელიც პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებაზე უფრო მაღლა დგას (იხ. სუსგ №ას-1337-1375-2014, 17 ივლისი, 2015 წელი). მითითებული განმარტების შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ პირადი კომუნიკაციის ფარული ჩანაწერი მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის დადგენისათვის არ არის კანონით მოპოვებული მტკიცებულება და მას არ შეიძლება წინამდებარე საქმისათვის მტკიცებულებითი ძალა მიენიჭოს, ამ კუთხით გ. ს-ის მიერ წარმოდგენილი პრეტენზია დასაბუთებულია და მას იზიარებს საკასაციო სასამართლო.

4. საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები:

4.1. გ. ს-ემ საკასაციო პასუხსა და შეგებებულ საკასაციო საჩივარს დაურთო სასამართლო გადაწყვეტილების ამონარიდები.

4.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება. ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს წარმოდგენილ მტკიცებულებათა გაზიარების საფუძველი, შესაბამისად, გ. ს-ეს უნდა დაუბრუნდეს შესაგებელსა და შეგებებულ საკასაციო საჩივარზე

დართული საქართველოს უზენაესი სასამართლოს №ას-1155-1101-2014 განჩინების ამონარიდი 8 (რვა) ფურცლად, ასევე, როგორც დაუშვებელი, საქმიდან ამოღებულ უნდა იქნას ასევე რ. ს-ის დაზუსტებულ სარჩელზე დართული 30.05.2014წ. ექსპერტიზის დასკვნა და DVD-R.

5. სასამართლო ხარჯები:

5.1. მოცემულ შემთხვევაში, რ. ს-ის საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი – 6 000 ლარი გადახდილია, ხოლო გ. ს-ეს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად (15.12.2015წ. განჩინება), გადაუვადდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოს სახელმწიფო ბაჟის – 414,65 აშშ დოლარისა და 135 ევროს ეკვივალენტი ეროვნული ლარის გადახდა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

5.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა განისაზღვროს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 104-ე, 187-ე, 391-ე, 404-ე, 407-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. რ. ს-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გ. ს-ის შეგებებული საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
3. გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება და ამ ნაწილში (გ. ს-ისათვის 14 500 აშშ დოლარის დაკისრების, ასევე რ. ს-ისათვის 35 252 ევროს, 7 300 აშშ დოლარის, ამ თანხების 15%-ისა და ზედმეტად გადახდილი 2 700 ევროს დაკისრების მოთხოვნის ნაწილში) საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
4. გ. ს-ის შუამდგომლობა ვიდეო ჩანაწერებისა და ექსპერტიზის დასკვნის დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევასა და საქმიდან მათ ამოღებაზე უარის თქმის შესახებ საოქმო განჩინების გაუქმების თაობაზე დაკმაყოფილდეს.
5. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მაისის საოქმო განჩინება და

როგორც დაუშვებელი, საქმიდან ამოღებულ იქნეს რ. ს-ის დაზუსტებულ სარჩელზე დართული 30.05.2014წ. ექსპერტიზის დასკვნა, ასევე, DVD-R დისკი.

6. რ. ს-ის მოთხოვნასთან მიმართებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე წარმოდგენილი პრეტენზიის ნაწილში გ. ს-ის შეგებებული საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად.

7. გ. ს-ეს დაუბრუნდეს შეგებებულ საკასაციო საჩივარზე დართული საქართველოს უზენაესი სასამართლოს №ას-1155-1101-2014 განჩინების ამონარიდი 4 (ოთხი) ფურცლად.

8. რ. ს-ის საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია, ხოლო 2015 წლის 15 დეკემბრის განჩინებით გ. ს-ეს გადაუვადდა შეგებებულ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის – 414,65 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ლარის გადახდა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

9. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 299 82 08
www.supremecourt.ge